N17 (516) 29/IV-5/V-2010 ფასი 1 ლარი

გზა

ქართული პროზის საგანძური

ტომი №9
გურამ გეგეშიძე

შეგიძლიათ შეიძინოთ „გზის“ ამ ნომერთან ერთად!

წიგნი და „გზა“ ერთად 4 ლარი ღირს

შემდეგი ტომი

დავით კლდიაშვილი

რამ დაშოკა ოპერის სცენაზე მდგომი ვანიკო თარხნიშვილი

მაკა ასათიანის მოულოდნელი სტუმრობით გახარებული ბომონდი

„ჩვენი ტანდემი შედგა“

ია სუხიტაშვილმა ოცნება აისრულა

საუკუნის ტოლი ქალის უჩვეულო ოპტიმიზმი

თამარ ხუციშვილი: „მოხუცებულობაში შემოქმედებითი ცხოვრება დავიწყე“

რუსი კონკურსანტის მიერ დაშანტაჟებული „მის საქართველო“

„ჩვენი ოჯახი ლიდერობას არავის უთმობს“

15-წლიანი გზა სახალხო გაზეთის სტატუსამდე

ISSN 1987 - 5029

სანამ ქათამს ფერიფური წასვლია — სამახსოვრო დიასახლისებისათვის

სანო-სტუდია და გოგი ხარაბაძე

წარმოგიდგენთ: **აუდიო წიგნს**

ქოგზია

10 CD დისკი - რჩეული ლექსებით

მხოლოდ „ბიბლუსის“
წიგნის მაღაზიათა ქსელში

ფასი 28 ლარი

პოეზიის ხიბლი!..

მოესმინეთ, გაიხსენეთ

წიგნები მისამართზე მიტანით. ტელ: 38-26-74; 14-09-91 „ელვა.ჯი“

№17 (516)
29 აპრილი –
5 მაისი. 2010 წ.
ფასი 1 ლარი

ჟურნალ პალიტრა
ეზო

■ მინიატიურები 5
არჩევნების ირონია ანუ გაამოთ!
■ ჭრელი მსოფლიო 6
■ თარიღი 8
■ პოლიტიკა 12
■ ტრაგედია 14
შესაძლოა, გამოძიების კითხვებს ექსპერტიზამ გასცეს პასუხი
■ ამპლუა 18
„ვხვდები, რომ შოუმენი ვანიკო საზოგადოებასაც მოეწონა“
■ ტანდემი 20
„ჩვენ სინანულის მძაფრი განცდით გამოვირჩევით“
■ მოდელი 22
რუსი კონკურსანტის მიერ „დაშანტაჟებულ“ პატარა „მის საქართველოს“ ბებია „ატერორებს“
■ შოუბიზნესი 24
■ ვარსკვლავები 26
■ საუკუნის ტოლი 28
სიცოცხლის სიყვარულით გატარებული 97 წელიწადი
■ ჩემი ცხოვრების გზა 29
შოკით დამძიმებული ბავშვობა, შეხვედრა „უცხო“ დედასთან და სტრასბურგში ნაპოვნი Georgee
■ მინირომანი 33
წინა დღის წვნიანი
■ შემოქმედი 36
„უფულო მილიონერის“ მეტყველი ნამუშევრები
■ ეს სამყაროა 39
■ ისტორიის ლაბირინთები 41
ქართველი მამლუქი მუჰამედ ბეი ლაზ-ოღლი და ნაპოლეონი

ქვეყანა

შესაძლოა, გამოძიების კითხვებს ექსპერტიზამ გასცეს პასუხი

თეოს ძალიან უჭირს ამ ტრაგედიაზე საუბარი. მას შინ ვესტუმრე. ლოგინად ჩავარდნილ დედასთან ერთად დაგვხვდა. მომხდარს ძალიან განიცდის თეოს ქალიშვილი — 8 წლის ანა, რომელსაც მზრუნველი ბიძის გარეშე იმ სახლში ცხოვრება ვეღარ წარმოუდგენია.

8

სახე

„ჩვენ სინანულის მძაფრი განცდით გამოვირჩევით“

„დიდი მნიშვნელობა აქვს, სცენაზე შენ გვერდით ვინ თამაშობს. მსახიობობა შეგრძნებების პროფესიაა. თუ პარტნიორს, რეჟისორს, განათებას, მუსიკას ვერ გრძნობ, არაფერი გამოგივა“.

18

ცხოვრება

სიცოცხლის სიყვარულით გატარებული 97 წელიწადი

„4 აგვისტოს 98 წლის გავხდები. თავადაც მიკვირს, ვერასოდეს ვიფიქრებდი, თუ ამდენ ხანს ვიცოცხლებდი. ყველაფერი უფლის ნებაა. რამდენი ჭირ-ვარამი მაქვს გამოვლილი და დღეს მაინც ვსუნთქავ, — სასწაული არ არის?!“

28



ეზოს ნიღბები

რა საერთო აქვს „ეზოვნილებსა“ და „პოპერებს“?

„ყველაფრის თხოვება გამიგია სამეზობლოში — ქვაბის, უთოს, სკამის, მაგრამ ქმრის თხოვება პირველად გავიგონე. გათენებული არაა, რომ ტელეფონი რეკავს.

— მზია, შენი ქმარი სახლშია? ცოტა ხანს მათხოვე, რა, პატარა მოსაჭერი მაქვს რაღაც“.

76

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

■ **საკითხავი ქალებისათვის** 44
■ **ავტო** 46
■ **ტაძარი** 48
რელიგიური ომები და წმინდა ინკვიზიციის მსხვერპლნი

■ **ჯანმრთელობა** 49
■ **ტკივილი** 52
„ჩვენ გვქონდა წარსული... გვექნება მომავალი... აწმყოს კი როგორმე უნდა გავუძლოთ“...

■ **მოგონება** 54
აკაკი ხორავა, ანტიპოდი პერსონაჟი და ნაადრევად შეწყვეტილი კარიერა

■ **თინეიჯერული პონტები** 57
მოზარდების საყვარელი ადგილის უარყოფითი მხარეები

■ **წერილი ციხიდან** 58
ერთი დღე პატიმრის ცხოვრებიდან

■ **ნეთი პოეზია** 60
■ **ავტოპორტრეტი** 61
ლალი მოროშკინა. მე, პრეზიდენტი და მსოფლიო ჩემპიონი (გაგრძელება)

■ **ფანტასტიკური დეტექტივი** 65
რუსუდან ბერიძე. ცალთვალა ეშმაკი (დასაწყისი)

■ **რომანი** 69
სვეტა კვარაცხელია. ძლიერი სუსტი ქალი (გაგრძელება)

■ **რეალური** 73
ULTRIX (გაგრძელება)

■ **გზავნილები** 76
რა საერთო აქვს „გზავნილებსა“ და „პოკერებს“?

■ **ყველა ერთისათვის** 80
„სიყვარული დაუპატიჟებელი სტუმარივითაა“

■ **მობილი-ზაცია** 82
■ **პროექტი** 87
„ჩემი დავით კლდიაშვილი“ — დიდი მწერალი და „ბედისწერისგან შებრალებული“ ოფიცერი

■ **მუნდიალი** 89
■ **ერუდიტი** 92
ცნობილი ტელეწამყვანის სუსტი წერტილი და სწრაფვა ერუდიციისაკენ

■ **გასართობი** 94
■ **ასტროლოგია** 96
■ **სკანვორდი** 97
■ **საფირმო კროსვორდი** 98

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
პასუხისმგებელი რედაქტორი: მარი ჯაფარიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე

დიზაინი: ნანა გიგოლაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

სამყარო



ქართველი მამლუქი მუჰამედ ბეი ლაზ-ოღლი და ნაპოლეონი

სამშობლოდან იძულებით გადახვეწილი ქართველები ბედს არ ურიგდებოდნენ და სახელის მოხვეჭას, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ ცდილობდნენ, რომ საქართველოსთვის არ დაკარგულიყვნენ.

36

ადამიანი



ნაადრევად შეწყვეტილი კარიერა

„ბატონი აკაკის საოცარი რიდი და სიყვარული გვქონდა. როცა ინსტიტუტში შემოვიდოდა, პირველივე სართულიდან სტუდენტები ერთმანეთს ექოსავით გადასცემდნენ — „მავრი“ მოდისო (ასე ვეძახდით აკაკი ხორავას „ოტელოს“ გამო), ყველანი ადგილზე ვიყინებოდით ან გრძელი კორიდორის კედლებს გავეკვრებოდით...“

52

ბიბლუსი

— რაო, სიყვარულის დრო აღარ არისო? — მალევე მომიბრუნდა იგი. — აბა, რისი დროა?
— ჯანდაბის და დოზანის! — ისევ ავიღრინე მე.
— გასაგებია...
— თავისთვის ჩაილაპარაკა უცნობმა. — თუ ასეა, მე დამითმეთ...
— რა დაგითმოთ?
— თქვენი რომანი.

60

ტაიმ-აუტი

თაღლითი ოლიმპიელი

1972 წელს მიუნხენის ოლიმპიადაზე გერმანელი სტუდენტი, ნორბერტ სადხაუსი 42-კმ-იან მარათონში მაშინ ჩაება, როცა ფინიშამდე რამდენიმე მეტრი რჩებოდა — მან დაღლილი სპორტსმენები უკან ჩამოიტოვა და გაიმარჯვა.

86

არჩევნების ირონია ანუ გაამოთ!

შესავლის ნაცვლად ვგიჟდები წინასაარჩევნო პერიოდზე! როგორც მევენახისთვის — რთველი, ანდა მონადირისთვის — კურდღელზე ნადირობის სეზონი, სწორედ ისეა „პროვოკატორისთვის“ წინასაარჩევნო პერიოდი! „საკბილო“ მოვლენებით ხომ ისედაც სავსეა ეს პერიოდი და, ეტყობა, დაძაბულობისგან ისე იბნევიან, ამ მოვლენების მონაწილე ჩემი „კურდღლები“, რომ სისულელეს სისულელეზე ამბობენ (და აკეთებენ) და „მონადირესაც“ მეტი რა მინდა?!

ერთი მომღერალი იყო ჩემს ჯეელობაში — გვარად სურამელაშვილი. მისი ინტერვიუ დაიბეჭდა ჟურნალ „რეიტინგში“, გამიხარდა, ცოცხალი ყოფილა. რძეში ვბანაობო — იმ ინტერვიუში განაცხადა! ჰოდა, ვიფიქრე, აგერ საშაყირო თემა, ახლა დავწერ, რომ კბილებს მაწვნით იხეხავს-მეთქი, მაგრამ... უცებ რას ვხედავ ტელეეკრანზე: ხაბაზის წინსაფარში გამოწყობილი და თონეში თავით „ჩაკიდული“ უგულავა!

აბა, რაღა დროს სურამელაშვილი და წურწუმია იყო, თუ ძმა ხარ?!



ერთი, მაგის „იმიჯმეიკერის“ ტვინში ჩამახედა, რა!.. ალბათ, ბევრი იფიქრა და თავის კლიენტს ხაბაზობის დაწყება გადააწყვეტინა. მეც, დავინახე თუ არა ეს სცენა, ჩემი ჭკუით, ასეთი ხუმრობის „პროექტი“ დავსახე — კობა ხომ ჰყავთ ხაბაზი, ახლა გიგიც ეყოლებათ-მეთქი, ხაბაზი... მაგრამ „კოვზი ნაცარში ჩამივარდა“: დილის კურიერში რომ პურს აცხობდა, შუადღისას უკვე წინსაფარში კი არა, თეთრ ხალათში „გაზმანული“ ღორის ბარკალს ჭრიდა თბილისის ერთ-ერთ ბაზარში და უკვე „გიგი ხაბაზი“ კი არა, „გიგი ყასაბი“ იყო! თანაც განაცხადა, — არჩევნებამდე ყველა პროფესიას მოვსინჯავო და იმ დღის ნაშუადღევამდე შუშების მწმენდაობა და წამლების დამფასოებლობაც მოასწრო... მეტი ჯერ არ ვიცი — ამ „პროვოკაციას“ სამშაბათს ვწერ, მაგრამ შემიძლია გამოვიცნო, რას გააკეთებს: ვინც კარგად დააკვირდა და ყურადღებითაც უსმინა უგულავას მისი ბაზარში „მოღვაწეობისას“, შეამჩნევდა და მოისმენდა: როდესაც „გიგი ყასაბმა“ დაფეშხოებული (მეზარება ამ სიტყვის ახსნა, ლექსიკონში ნახეთ) სამწვადე აწონა და კლიენტს მიაწოდა, „გაამოსო“ — დააყოლა! აი, მანდ შეეშალა! უნდა ეთქვა: „შეგერგოს“! ეგ, ეტყობა, არჩევნებამდე მექისედაც აპირებს მუშაობას და ტექსტები აერია...

ისე, დაბნეული და გადაღლილი რომ იყო, წინა დღეებშივე შევნიშნე — მერიაში გამართულ შეხვედრაზე, ალბათ უნდოდა ეთქვა: „მთავარი ძალების ფოკუსირება ამ პრობლემებზე უნდა მოვახდინოთ“-ო, ან რაღაც ამგვარი, მაგრამ ასეთი რამე თქვა: „ჩვენი მთავარი ფოკუსი ამაზე უნდა გავაკეთოთ“! ჰოდა, არ ვიცი, წამოსცდა თუ შეეშალა, მაგრამ მესამე დილას თონიდან რომ დაიწყო, ბაზარში გააგრძელა და მეტი „ფოკუსი“ რაღა გინდათ, კოპერფილდს შეშურდება!..

ჰო, ამ სიტყვიერ შეცდომაზე და უგულავაზე კიდევ ეს გამახსენდა: პრეზიდენტმა რომ მოუწოდა თუ სთხოვა თუ უბრძანა თუ... მოკლედ, როგორც არის, ჩინოვნიკებს, — თქვენ-თქვენს სკოლებს დაეხმარეთო, უგულავას და „სხვათა ძლიერთა ამ ქვეყნისათა“ დახმარებებმა 1-ელი სკოლისათვის თურმე მილიონს გადააჭარბა და პრეზენტაცია მოაწყვეს. შაშკინიც ესწრებოდა და ტელეინტერვიუში ბრძანა: „დიდი მადლობა ყველას, ვინც პრეზიდენტის ინიციატივას გაეხმაურა!“ არა, ქვეყანა კი არ იქცევა, თუკი განათლების(!) მინისტრი „გამოეხმაურა“-ს ნაცვლად „გაეხმაურა“-ს იტყვის, მაგრამ სასაცილო ის ჭორი თუ ნამდვილი ამბავია: როდესაც შაშკინი დაუნიშნავთ, — ამან ქართული მთლად კარგად ვერ იცის და პრესასთან „იაღლიში“ არ მოუვიდეს, პრესცენტრში ვინმე კარგი მოქართულე დანიშნოსო, — მიშა პრეზიდენტს უთქვამს. ჰოდა, დანიშნა საქართველოს განათლების მინისტრმა — შაშკინმა საქართველოს განათლების სამინისტროს პრესცენტრის უფროსად ქ-ნი პოტრეებსკაია!!!

P.S. წინა „პროვოკაციის“ შემდეგ შინაურები ამიჯანყდნენ — მხოლოდ ოპოზიციას აშაყირებ, „მიშისტი“ გახდიო! ჩემს ელექტრონულ ფოსტაზეც არ დააყოვნეს წერილებმა საერთო პათოსით: „გადაგიბირეს?!“

ჰოდა, აჰა — დაწყნარდით! თქვენ გგონიათ, ოპოზიციას არ ჩაუდენია სისულელეები გასულ კვირაში? მაგრამ ვერ გაგაჩუმეთ და...

არა, ადგილიც აღარ მეყოფოდა დღეს, მხოლოდ ქრისტიან-დემოკრატების მიერ „ამოფრქვეული მარგალიტებისთვისაც“ კი, მაგრამ არა უშავს, წინ თვეზე მეტია!..

P.P.S. **შორენა ბეგაშვილის გადაცემა დახურეს... ეეჰ... „ხოროშეგო პო ნემნოჟკუ“ — ბატონო კობა, ასე ამბობენ რუსები, ხო?.. ეტყობა ჩათვალეს, რომ „დილა უგულავასთან ერთად თონეში“ და „ღამე შორენასთან ერთად ლოგინში“ ერთ დღეში ნამეტანი იქნებოდა.**

პროვოკატორი

ავტორს შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ ელფოსტით:
provokatori67@gmail.com

ამერიკელები აპოკალიფსისთვის ემზადებიან



აპოკალიფსის მოლოდინში, ამერიკელებმა ბუნკერის მშენებლობა დაიწყეს. როგორც ამბობენ, 200 ადამიანზე გათვლილი თავშესაფრის აგება 10 მილიონი აშშ დოლარი დაჯდება და ის სხვადასხვა სახის ბუნებრივ, ტექნოგენურ კატასტროფას გაუძლებს. ობიექტი მრგვალი ფორმის ცენტრალური სათავისისგან შედგება, რომელსაც სხივების მსგავსად, 10 სხვადასხვა განყოფილება უკავშირდება. წრიულ დარბაზში, რომლის დიამეტრიც 18 მეტრს შეადგენს, საერთო სარგებლობის ოთახებია განლაგებული (ასევე, სასადილო ოთახი და კინოთეატრი), განყოფილებებში კი — საცხოვრებელი სათავსები. ობიექტის საერთო ფართობი 1860 კვმ-ია. ბუნკერი აღჭურვილია საკანალიზაციო სისტემით. ადამიანებს, რომლებიც აქ იცხოვრებენ, საკვები პროდუქტების მარაგი ერთი წლის განმავლობაში ეყოფათ. მენიუ 100 სხვადასხვა სახის საკვებ პროდუქტსა და სასმელს ითვლის, მალფუჭებადი პროდუქტები გაყინული სახით შეინახება. ბუნკერში ექნებათ მედიკამენტებიც, იარსებებს კავშირგაბმულობის სისტემა და მიწისქვეშა ტრანსპორტი. ბუნკერები, რომელთა აღჭურვაზეც ამერიკული კომპანია Vivos ზრუნავს, უძლიერესი ატომური აფეთქებების გარდა, ბიოლოგიური ან ქიმიური იარაღით თავდასხმას, ძლიერ შტორმს, ნებისმიერი სიძლიერის მიწისძვრასა და მცირე ზომის მეტეორიტის დარტყმასაც გაუძლებს. ■

ბაკიევს მკვლელობაში ადანაშაულებენ

ყირგიზეთის ყოფილ პრეზიდენტ ყურმანბეკ ბაკიევს მასობრივი მკვლელობის ორგანიზებასა და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში ბრალი დაუსწრებლად წაუყენეს. ყირგიზეთის დროებითი მთავრობის სასამართლო სისტემისა და სამართალდამცავი ორგანოების საკითხების კოორდინატორის, აზიმბეკ ბეკნაზაროვის თქმით, დროებითმა მთავრობამ ბაკიევისთვის ხელშეუხებლობის სტატუსის ჩამორთმევის თაობაზე დადგენილება მიიღო.

ბაკიევი ბიშკეკიდან 7 აპრილს გაიქცა, როცა უშიშროების ძალებმა საპროტესტო აქციის მონაწილეებს ცეცხლი გაუხსნეს. შედეგად, დემონსტრანტებმა სამთავრობო შენობა შტურმით აიღეს. შეტაკებისას 85 ადამიანი გარდაიცვალა. ■

იაპონელები ბავშვებს ტირილში აჯიბრებენ

ტოკიოში გამართულ ტრადიციულ ფესტივალში სუმოისტი მშობლები ბავშვებს ძალით ატირებენ. The Daily Mail-ის ინფორმაციით, ფესტივალის წესების თანახმად, სუმოისტები ჟიურის წინაშე ხელში აყვანილი ჩვილებით გამოდიან. ერთმანეთის პირისპირ მდგომი ორი სუმოისტის ბავშვიდან გამარჯვებულად ის მიიჩნევა, რომელიც პირველი ატირდება.

თუ ორივე ბავშვმა ერთდროულად დაიწყო ტირილი, მაშინ მოგებულად უფრო ხმამაღლა მოტირალი ჩაითვლება. თუ ბავშვები თავისით არ ატირდებიან, ჟიურის წევრი სახეზე საშინელ ნიღაბს იკეთებს და კონკურსის პატარა მონაწილეებს აშინებს. მტირალა ბავშვების ფესტივალი იაპონიაში უკვე 400 წელია, ტარდება. თქმულების თანახმად, პატარების ტირილი ავ სულებს აფრთხობს. გარდა ამისა, იაპონელ დედებს სჯერათ, რომ მტირალების ფესტივალში მონაწილეობა ბავშვის ჯანმრთელობაზე დადებითად აისახება. ■

კენიაში ფეხბურთის ყურება აკრძალეს

კენიის ქალაქ მანდერას ადგილობრივმა მმართველობამ ტელეარხ DSTV-ს, რომელსაც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში დაგეგმილი მსოფლიოს ჩემპიონატი უნდა გაეშუქებინა, ყურება აკრძალა. ამ ფაქტით აღშფოთებული გულშემატკივრები გადაწყვეტილებას უსამართლოს უწოდებენ და აცხადებენ, რომ იძულებულნი არიან, მატჩების საყურებლად ქალაქიდან გავიდნენ.

როგორც მანდერას ადგილობრივი ხელისუფლება და ისლამური ლიდერები აცხადებენ, STV სპორტული ღონისძიებების გარდა, პორნოფილმებსაც უჩვენებდა და ახალგაზრდებზე ცუდად მოქმედებდა. ■



ნაპოვნია უძველესი ბიუსტჰალტერი

ლონდონის მეცნიერების მუზეუმში დაახლოებით, 200 წლის წინანდელი ბიუსტჰალტერი იპოვეს. მუზეუმის ერთ-ერთმა თანამშრომელმა, სელინა ჰერლიმ განაცხადა: „ჩვენ „პუს-აპი“ თანამედროვე გამოგონება გვეგონა, მაგრამ ამ ნივთის პოვნის შემდეგ მივხვდით, რომ ქალები ჯერ კიდევ 1800-იან წლებში ცდილობდნენ მკერდის გადიდებას“. ■

რუბრიკა მოამზადა
ხათუნა ბახტურიძემ

„ქართული პროზის საგანძური“

თქვენთვის
და თქვენი შვილებისთვის!









ყოველ ხუთშაბათს, ჟურნალ „გზასთან" ერთად
შეიძინეთ ცნობილი ქართველი მწერლების თითო ტომი

ქართული კლასიკისა და თანამედროვე პროზის რჩეული ნიმუშები

ტომი №9 - გურამ გეგეშიძე

წიგნის ფასი 3! დიახ, სამი ლარი!

ეს ფასი, მეცხრე ტომისთვის,
ძალაშია მხოლოდ
29 - აპრილიდან - 6 მაისამდე!

გამოიწერეთ გზა და საგანძურის ყველა ტომს ადგილზე მოგართმევთ „ვლაბ.ჯი“ ტელ: 38 26 73; 38 26 74

სპეციალური პირობები სკოლებისთვის

თუ თქვენ გამოგრჩათ „ქართული პროზის საგანძურის“ რომელიმე ტომი,
შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში.

ქვეყანა

„კვირის პალიტრა“ — სამსახური, სამეგობრო, სახლი...

15-წლიანი გზა სახალხო გაზეთის სტატუსამდე

უკვე 15 წელია, გაზეთი „კვირის პალიტრა“ ქართულ ბეჭდვით მედიასივრცეში ლიდერობას არავის უთმობს. მისი დაარსების ისტორია დიდ რისკსა და პასუხისმგებლობასთან იყო დაკავშირებული... როგორ იქმნებოდა მკითხველის საყვარელი გაზეთი — ამის გასარკვევად, იმ ადამიანებს ვესაუბრე, ვინც სიმართლის დიდი და ნათელი კოშკურის ასაშენებლად, თითო აგური მის საფუძველშივე სიყვარულით დადეს და უკვე სახალხო გაზეთად აღიარებულ გამოცემას დღემდე ერთგულად ემსახურებიან...

ლალი პაპასკირი

სალომე ნიკოლეიშვილი, *სტილისტი-რედაქტორი:*

— სანამ „კვირის პალიტრის“ დაარსებაზე მოგიყვებოდით, ჯერ არაჩვეულებრივ ქალბატონზე — ლალი გუნთაიშვილზე მინდა, გიამბოთ, იმიტომ, რომ ეს გაზეთი გულწრფელი, მეგობრული და ადამიანური ურთიერთობების საფუძველზე შეიქმნა და მოიხვეჭა სახელი... უნივერსიტეტში ჩავირიცხე თუ არა, პირველსავე დღეს, ფოლკლორის ლექციაზე პროფესორმა ქსენია სიხარულიძემ, ფოლკლორის მოამაგე და შემგროვებელი სტუდენტები — ლალი გუნთაიშვილი, ნუცა დუმბაძე და ნონა ღამბაშიძე ახსენა... ძალიან მინდოდა მათი გაცნობა... უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ჟურნალ „ახალ ფილმებში“ ჭაბუა ამირეჯიბთან მიმიყვანეს. ბატონმა ჭაბუამ, წარჩინებულ უნივერსიტეტელ გოგონებზე საუბრისას, სწორედ ეს ქალბატონები ახსენა. გავუმხილე, — მათი გაცნობა ძალიან მინდა-მეთქი. მაშინვე შემოიყვანა ნუცა. მან კი ლალი გუნთაიშვილი გამაცნო... მას შემდეგ დავმეგობრდით. მერე, როცა ქვეყანა აირია და სამუშაო არ გვქონდა, ლალიმ დამიბარა, სადაც ნუცა და ნანა ანტონოვა დამხვდნენ. ლალიმ გვითხრა: ირაკლიმ (მისმა ვაჟმა) გაზეთის გამოცემა გადაწყვიტა და თქვენი შრომისმოყვარეობისა და გამოცდილების იმედი მაქვსო. ეს დიდი რისკი იყო, რადგან ხალხს გაზეთის კი არა, პურის ფული არ ჰქონდა... დავიწყეთ ქართული და რუსული გაზეთების მოგროვება; ვცდილობდით, არც ერთი საინტერესო თემა და რუბრიკა არ გამოგვრჩენოდა და სრულყოფილი დაიჯესტი გაგვეკეთებინა... აბრეშუმის მუზეუმის შენობაში კომპიუტერული ცენტრი „მარულა“ იყო, სადაც უამრავი ადამიანი მუშაობდა და ჩვენც მათ ოფისში გადავბარგდით — გაზეთი იქ უნდა აგვეწყო. რომელი კომპიუტერიც გათავისუფლდებოდა, იმას მივუჯდებოდი. ყველას ისე გვიხაროდა, თითქოს ჩვენი შვილი იბადებოდა. კორექტურასაც თავად ვკითხულობდით, კიდეც ვაკაბადონებდით. ზოგჯერ შუაღამემდე მშივრებიც ვყოფილვართ, მაგრამ არაფერი გვახსოვდა. როცა ოთახში ადგილი არ იყო, კედელზე მიყრდნობილები ვკითხულობდით კორექტურას. ხანდახან რკინის კიბის საფეხურებზე ვსხდებოდით და იქ ვმუშაობდით... მახსოვს, პირველი ნომერი რომ გამოვიდა, ყველა ჯიხურში ვკითხულობდი, — „კვირის პალიტრა“ გაქვთ-მეთქი? ზოგს უკვირდა, ზოგი უკვე იცნობდა ჩვენს გაზეთს. მინდოდა, რაც შეიძლება მეტ ადამიანს გაეგო მისი არსებობის შესახებ... მერე თანდათან ხალხმა შეიყვარა: რედაქციაში გვირეკავდნენ და გვეუბნებოდნენ, — გმადლობთ, რომ არსებობთო!.. დროთა განმავლობაში ჟურნალისტები შემოგვემატნენ: ზურაბ მჭედლიშვილი, იზო რიკაძე და დანარჩენები... ასე, ხალხის სიყვარულითა და თანადგომით მოვედით აქამდე...

„პალიტრელები“: სხედან — გოგა თევდორაშვილი, ლალი გუნთაიშვილი, ნუცა დუმბაძე;
დგანან — იზო რიკაძე (მარცხნივ), სალომე ნიკოლეიშვილი (შუაში), მარინა ბაბუნაშვილი (მარჯვნიდან მეორე)

ირაკლი ალადაშვილი, *სამხედრო მიმომხილველი, სამხედრო-ანალიტიკურ ჟურნალ „არსენალის“ მთავარი რედაქტორი:*

— სანამ ამ გაზეთში მოვიდოდი, გაზეთ „7 დღეში“ სამხედრო მიმომხილველის სტატუსით ვმუშაობდი, პარა-

15 წლისთავის ზეიმზე: გოგა თევდორაშვილი, ნუცა დუმბაძე, სალომე ნიკოლეიშვილი, ნანა ანტონოვა-ილურიძე

ლელურად კი შინაგანი ჯარების პრესსამსახურის უფროსი ვიყავი... 1996 წელს გადავწყვიტე, კიდევ ერთ გაზეთთან მეთანამშრომლა. „კვირის პალიტრაში“ დავრეკე. ქალბატონმა მიპასუხა და რედაქციაში დამიბარა... საქართველოს შიგნით მომხდარ ყველა საომარ მოქმედებასა და ჩეჩნეთის ომში მიმიღია მონაწილეობა და საკუთარი გამოცდილებითაც ვხელმძღვანელობდი... ერთი სიტყვით, რამდენიმე სტატია დავწერე და მერე უკვე სისტემატურად დავიწყე წერა. შემდეგ, 1997 წლიდან ჩვენს გაზეთში რუბრიკა „არსენალი“ გაჩნდა, რომელიც 2004 წლიდან, „კვირის პალიტრის“ ეგიდით, ცალკე ჟურნალად გამოვიდა... სამხედრო თემატიკა არც ერთ ქართულ გაზეთში მუდმივად არ შუქდებოდა — არადა, მაშინდელ საქართველოში, როგორც ახლა, სამხედრო მოვლენების სიმცირე როდი იყო. ამას ემატებოდა სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული პრობლემები... სხვათა შორის, მაშინდელ ძალოვან უწყებებთან თანამშრომლობა და იმ სტრუქტურებისგან ინფორმაციის მოპოვება გაცილებით იოლი იყო, ვიდრე დღეს. იმ წლებში ინტერნეტი თითქმის არ იყო, მაგრამ ადამიანური ურთიერთობები არსებობდა... სიამაყით მინდა ვთქვა, რომ 1996 წლიდან მოყოლებული, ამ სფეროს „კვირის პალიტრაში“ ერთგული მკითხველი ჰყავს. ბევრმა სამხედრო კარიერა აირჩია და თავის საქმეს წარმატებით ემსახურება, ამაში კი მოკრძალებული წვლილი ჩვენც მიგვიძღვის.

იზო რიკაძე, *ჟურნალისტი:*

— „კვირის პალიტრის“ ერთ-ერთ ნომერში გადავაწყდი, რომ ჟურნალისტები სჭირდებოდათ და ბევრი არ მიფიქრია — პირდაპირ რედაქციაში მოვედი. 1998 წლის 21 სექტემბერი იყო, მაგრამ ის დღე ცხადად მახსოვს... ძველ რედაქციაში როგორც კი შევედი, ერთ-ერთი კარიდან ვიღაც ახალგაზრდა კაცი გამოვიდა, რომელსაც ვთხოვე, კადრების განყოფილების ოთახი მიმასწავლეთ-მეთქი. ერთ-ერთ ოთახში შემიყვანა და ქალბატონი ლალი გუნთაიშვილი და ნუცა დუმბაძე გამაცნო. მათ ჩემი გამოცდილების შესახებ მოვუყევი... მერე კი გავიგე, რომ ის ახალგაზრდა კაცი გოგა თევდორაშვილი იყო, ძალიან თბილი ქალბატონი ლალი კი — დედამისი... მაშინ ჩვენს გაზეთში „პოლიტიკის“ რუბრიკა არ იყო და ამიტომაც, დაახლოებით 6 თვე თბილისის და აფხაზეთის ომებს ვაშუქებდი. მერე კი ვთხოვე ბატონ გოგას, — პოლიტიკაზე მუშაობა შემიძლია, გამოცდილება მაქვს-მეთქი... რედაქტორმაც ჩემი აზრი გაითვალისწინა და მანდო. როგორ გამომდის, ამას მკითხველი შეაფასებს... თითქმის ყველა აქტუალურ ან ნაკლებად აქტუალურ პოლიტიკოსთან მქონია ურთიერთობა. ჩვენთან საკმაოდ აქტიურად თანამშრომლობდა მიხეილ სააკაშვილიც, რომელსაც გაპრეზიდენტების შემდეგ ყველაზე მეტი ინტერვიუ ჩემთვის ჰქონდა მოცემული. პირველი ინტერვიუ რომ მომცა, ვთხოვე, — მერეც არ მითხრათ უარი-მეთქი, თავიდან მოცემულ სიტყვას ასრულებდა, მერე დაივიწყა... ეს ნახევრად ხუმრობით. ისე ძალიან საინტერესო მოსაუბრე იყო, მაგრამ ჩემთვის განსაკუთრებული რესპონდენტი იყო ბატონი ზურაბ ჟვანია. სანამ ინტერვიუს დავიწყებდით, გულდასმით მომიკითხავდა, „პალიტრის“ ამბებით ინტერესდებოდა, აქტუალურ პოლიტიკურ მოვლენაზე საკუთარ აზრს მკითხავდა; მერე თავის აზრს გამიზიარებდა და მცირე დისკუსია გვქონდა... შემდეგ ვიწყებდით ინტერვიუს ჩაწერას. ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო, რომ ასეთი ჭკვიანი ადამიანი, ასეთი დიდი ინტელექტის მქონე პიროვნება ჩემი აზრით ინტერესდებოდა...

ხათუნა პაიჭაძე, *ჟურნალისტი:*

— სანამ „კვირის პალიტრაში“ მოვიდოდი, მე და ირაკლი ალადაშვილი პრესკონფერენციებზე ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს და ვმეგობრობდით. მაშინ „მთავარ გაზეთში“ ვმუშაობდი და მისი დახურვის შემდეგ გადავწყვიტე, რომელიმე მაღალრეიტინგულ გაზეთთან მეთანამშრომლა. ირაკლის ვთხოვე, იქნებ „კვირის პალიტრის“ რედაქტორთან შემახვედრო-მეთქი. დიდი იმედი არ მქონდა, რომ იქ ადგილს დავიმკვიდრებდი, ძალზე მიუწვდომელი მეგონა — სადაც ჩემნაირი ჟურნალისტი არ სჭირდებოდათ, მაგრამ მაინც გავრისკე მისვლა, ცდა ბედის მონახევრეა-მეთქი. მივედი და დავრჩი... იმ დროს ჯერ კიდევ ძველ ოფისში ვიყავით. ჟურნალისტები ერთ პატარა ოთახში იყვნენ შეყუჟულები, სადაც სულ რამდენიმე მაგიდა იდგა. ყველას თავისი მაგიდა ჰქონდა; მე, როგორც ახალმოსული, ხან მარინა ბაბუნაშვილის მაგიდის კუთხეს მივუჯდებოდი, ხან — იზოს რიკაძის მაგიდის კიდეზე ჩამოვჯდებოდი გაუბედავად. მერე, როცა უკვე „კოლექტივში შევედი“ და თავისი-

ანად მიმიღეს, მაგიდასთანაც თავისუფლად დავჯექი... რადგანაც ძალიან პრობლემურ სფეროზე — „კრიმინალზე“ ვმუშაობ, რომელიმე ერთის გამორჩევა გამიჭირდება, — ყველა თემა თუ სტატია მძიმე იყო; რედაქციაში ვიღაცების მოვარდნის უამრავი ფაქტი მახსოვს, მაგრამ სასამართლოში არავის უჩივლია, თუმცა მუქარის ზარი ბევრი ყოფილა... ერთი კურიოზული შემთხვევა მინდა, მოგიყვე: ქუთაისის საავადმყოფოში ახალგაზრდა ბიჭს ელენთა ამოაჭრეს. პაციენტი გარდაიცვალა, ჭირისუფალს კი მედდამ ამოჭრილი ელენთა 25 ლარად შესთავაზა: კრემატორიუმი არ გვაქვს და თუ არ გინდათ, რომ ძაღლებმა და ღორებმა შეჭამონ, 25 ლარი გადაიხადეთ და წაიღეთო... სტატიის გამოქვეყნების შემდეგ, დაწესებულების ხელმძღვანელი სასამართლოში ჩივილით გვემუქრებოდა. ერთ დღესაც რედაქციაში ვიღაც კაცმა დარეკა და გვითხრა, — მე დაგიდგებით მოწმედ, ქუთაისის ერთ-ერთ საავადმყოფოში სათესლე ჯირკვალი ამომაჭრეს და მისი 50 ლარად შესყიდვა შემომთავაზესო... „პალიტრა“ ჩემთვის მეორე სახლია, ბევრად უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე უბრალოდ სამსახური. როცა შვებულებაში მივდივარ, ზუსტად ერთი კვირისთავზე ვგრძნობ, რომ ეს დრო დასვენებისთვის სრულიად საკმარისია და უკან, „სახლში“ — „პალიტრაში“ მინდა დაბრუნება. შინაგანი მოთხოვნილება მაქვს, რომ ჩემი საქმე გავაკეთო.

ეკა ლომიძე, *ჟურნალისტი:*

— „კვირის პალიტრაში“ 2000 წელს, კონკურსის საფუძველზე მოვხვდი. რედაქციაში „ღრუბლიანი“ რედაქტორი — გოგა და „თვალებმოციმციმე“ ირაკლი დამხდვნენ (მაშინ ასე აღვიქვი ეს ორი ადამიანი)... მერე, როცა ლალი დეიდა გავიცანი, მალევე მივხვდი, რომ ის არ იყო უბრალოდ რედაქტორი, მასწავლებელი ან ხელმძღვანელი, — ის იყო დედა. იმდენად ახლობელი იყო ჩემთვის, არ შემეძლო, ამ სულმნათი ადამიანისთვის „ქალბატონოთი“ მიმემართა. ყველა ჟურნალისტზე ერთნაირად იყო გადაფოფრილი, ყველა უყვარდა და ყველას უყვარდა. ჩვენც ბავშვებივით, ერთმანეთის სიყვარულს გვასწავლიდა. მისი ინიციატივით, „პალიტრაში“ ჩემთვის რამდენიმე რუბრიკა „დაიბადა“. მუდმივად ცდილობდა და მეხმარებოდა, ჩემი ნიჭი ბოლომდე გამომემჟღავნებინა. მარტო მე კი არა, ყველას ასე ეხმარებოდა. მიჭირს ამ დიდებული ადამიანის თვისებების სრულად გადმოცემა... ჩემი პირველი მასალა დავწერე იეღოველებზე, რომლებიც ჯარში წასვლაზე უარს ამბობდნენ. ასე დაიწყო ჩემი თანამშრომლობა ჩემს საყვარელ გაზეთთან. მერე კი ირაკლი თევდორაშვილმა მითხრა, — ჩვენ ახლა ახალ გზას ვადგავართ, სერიოზული ჟურნალის გაკეთება გვინდა, სადაც „ბევრი სიცოცხლე“ უნდა იყოსო. საუბარი იყო ჟურნალ „გზაზე“, რომელშიც შემდეგ ასევე აქტიურად ვმუშაობდი... თუმცა „პალიტრამ“ მომცა უამრავი ფერი, ჩემს საქმიანობასა და ცხოვრებაში. ამ გაზეთს უკავშირდება ჩემი უამრავი რისკიანი ნაბიჯი, ციხის ეზოში მანქანის საბარგულში გატარებული ღამე (როცა ხელისუფლება ჩეჩენი პატიმრების რუსეთში ექსტრადიციას აპირებდა), რეპორტაჟი ცხინვალიდან... მუშაობის სტიმულს ის მაძლევდა, რომ ჩემი დიდი ოჯახი, რომელსაც „კვირის პალიტრა“ ჰქვია, ყველაფერს გააკეთებდა და განსაცდელში არ დამტოვებდა. დროთა განმავლობაში, როგორც „კვირის პალიტრა“ გახდა სახალხო გაზეთი, ისე მე — სახალხო ჟურნალისტი, ვინაიდან რეგიონებში მოწანწალე ჟურნალისტი ვარ და ამ გაზეთის წყალობით, მთელი საქართველო გავიცანი.

ლელა ჯიყაშვილი, *ჟურნალისტი:*

— ამ გაზეთის აქტიური მკითხველი ვიყავი, მიყვარდა და ერთ დღესაც აქ მოსვლა გადავწყვიტე... მაშინ ჩემი შვილები მცირეწლოვნები იყვნენ, მაგრამ არც ისე პატარები, რომ სახლში ვერ დამეტოვებინა... უბრალოდ ვიფიქრე, რომ მქონდა სათქმელი, რომელსაც სხვასაც — ანუ მკითხველსაც გავუზიარებდი. მაინტერესებდა და მიყვარდა გოდერძი ჩოხელის სამყარო და სწორედ ამაზე მომზადებული სტატია მოვიტანე „პალიტრაში“ პირველად. მახსოვს ქალბატონი ლალის აღტაცება, — მეც ძალიან მიყვარს ჩოხელიო!.. მაშინ ძველ ოფისში ვიყავით, სადაც ჟურნალისტებს ერთი პატარა ოთახი გვქონდა და სამუშაო ადგილების ნაკლებობასაც განვიცდიდით. მინახავს, როგორ წერდა იზო რიკაძე მასალებს ფანჯრის რაფაზე. ის „მრავლისმნახველი“ და „მრავლისმომსწრე“ დერეფანი თითქმის რედაქციის შიდა სამზარეულო იყო. ისმოდა, თუ როგორ საყვედურობდნენ ამა თუ იმ ჟურნალისტს ცუდად დაწერილი სტატიის, ან პირიქით — როგორ აქებდნენ მათ კარგი ნამუშევრის გამო... მახსოვს, როგორ შედიოდნენ ჩემთვის მაშინ უცნობი ჟურნალისტები რედაქტორთან ან კიდევ როგორ გამოვარდებოდა გაბრაზებული და რაღაცაზე აღშფოთებული სალომე ნიკოლეიშვილი და ვიღაცის უხეშ შეცდომას ხმამაღლა „აპროტესტებ-

და“... ჩემთვისაც მოუციათ შენიშვნა და მაშინ ვერ ვხვდებოდი, რაში ვცდებოდი, მაგრამ ახლა, როცა ჩემს ძველ ნაწერებს ვკითხულობ, ყოველგვარი გაპრანჭვის გარეშე გეტყვით, რომ ბევრი რამე ვისწავლე. პირველ წლებში სულ სხვანაირად ვუყურებდი სამყაროს და ახლა ჩემ გარშემო არსებულ რეალობას სხვანაირად აღვიქვამ... ერთ პატარა პირად საიდუმლოს გაგიმხელთ: არ დავაკონკრეტებ, მაგრამ „პალიტრის“ სამმა თანამშრომელმა, როგორც ადამიანი და როგორც ჟურნალისტი, შემცვალა...

მარინა გაგუნაშვილი, *ჟურნალისტი:*

— 1998 წლის სექტემბრის ბოლოს „კვირის პალიტრაში“ კონკურსი იყო გამოცხადებული და მეც მაშინ მოვედი. მახსოვს, პირველად ქალბატონი ლალი გამესაუბრა. ძალიან თბილი ადამიანი იყო... მინდოდა, კულტურასა და საზოგადოებაზე მეწერა, უბრალო ადამიანების პირადი გასაჭირის შესახებ მომეთხრო მკითხველისთვის. მითხრეს, — შენი სურვილით აარჩიე თემა და რესპონდენტიო. პირველი ინტერვიუ ლაურა რეხვიაშვილთან ჩავწერე და დაიბეჭდა. მერე კარგა ხანს, აფხაზეთის ომის თემაზე ვმუშაობდი, ომის დროს დაშვებულ შეცდომებსა და ომით გამოწვეულ ადამიანურ ტრაგედიებზე, — ერთი სიტყვით, ზოგადად იმაზე, თუ რატომ წავაგეთ ომი. ერთხელაც, გაგრის მაშინდელი გამგებელი მომივარდა და ოთხგვერდიანი პასუხი მომიტანა, — წერილში მოვლენები ტენდენციურად გქონდათ გაშუქებულიო. მახსოვს, როგორ დამიცვეს ქალბატონმა ლალიმ და გოგამ... მაშინ მივხვდი, რომ ძალიან მტკივნეულ თემას შევეჭიდე და იმ ტალღის ჩაწყნარების შემდეგ, ქალბატონ ლალის შევთავაზე, — ცხოვრებისეულ სიტუაციებზე დავწერ, ზოგი რესპონდენტი ინკოგნიტოდ დარჩება, ვისაც მოესურვება კი ღიად ისაუბროს-მეთქი. შემდეგ მოიფიქრეს რუბრიკა — „თქვენთვის, ქალბატონებო“, სადაც პირადი თემებიც იქნებოდა, რჩევებიც, კულინარიაც, თავის მოვლის საკითხებიც. მართალი გითხრათ, თავიდან ეჭვიც კი შემეპარა, — ნეტავ, ვინ უნდა მიამბოს საკუთარ ცხოვრებაზე გულახდილად-მეთქი?!. მაგრამ სულ ცოტა ხანში, ქალბატონები კი არა, მამაკაცებიც ისე გააქტიურდნენ, გაოცებული ვიყავი. შემდეგ, მობილურზე მიკავშირდებოდნენ ან პირდაპირ რედაქციაში მოდიოდნენ... მახსოვს ერთი რესპონდენტი, რომელიც ქვრივი ძმაკაცისთვის საცოლეს ეძებდა, მითხრა, — კაეშანს მარტო ვერ უძლებსო. ვურჩიე, გაზეთ „სიტყვა და საქმეში“ „პაემნის“ გვერდი ნახეთ-მეთქი. — არაო, — მიპასუხა, — თქვენ რომ ქალბატონები გიკავშირდებიან, ისეთი გვინდაო. მერე გაირკვა, რომ ძმაკაცისთვის კი არა, თავისთვის ეძებდა საცოლეს... ამ რუბრიკის „დამსახურებით“, უამრავი ვირტუალური და ანომიმური თაყვანისმცემელი მყავს... როგორი დაღლილი და იმედგაცრუებულიც უნდა ვიყო, „პალიტრა“ ჩემთვის ნუგეშია, რომელთანაც მხოლოდ საქმე კი არა, წლობით ნაშენები და ნაფერები ადამიანური ურთიერთობები მაკავშირებს. ამ გაზეთს ჩემს ცხოვრებაში დიდი ადგილი უკავია.

ნინო გურჭულაძე, *ჟურნალისტი:*

— 2003 წლის თებერვალში ქალბატონმა ნუცა დუმძაბემ დამირეკა და მითხრა, თქვენთან საუბარი გვინდაო. ადრეც „კრიმინალზე“ ვმუშაობდი და იმ აზრით მოვედი, რომ აქაც ამ სფეროში მემუშავა. ბატონი გოგა გამესაუბრა და იმ დღესვე დამაწერინეს ერთი მასალა, რომელიც იმავე ნომერში გამოქვეყნდა... თანამშრომლებმა ძალიან თბილად მიმიღეს, ერთ მაგიდასთან ვმუშაობდით და უნდა გამოგიტყდეთ — მაშინ, ადამიანურად, უფრო თბილი და ახლო ურთიერთობა გვქონდა... რამდენიმე წლის შემდეგ გადავწყვიტე, მხოლოდ ნარკოტიკების თემაზე მემუშავა და მას შემდეგ, ჩემს ნიშას ერთგულად ვემსახურები. თუმცა ბოლო დროს „ვერსიაზეც“ ვმუშაობ. რამდენად კარგად გამომდის, მკითხველმა შეაფასოს... ძალიან სარისკო და სპეციფიკურ თემაზე ვმუშაობ და განსაკუთრებული რესპონდენტის დასახელება გამიჭირდება, მაგრამ გამორჩეულად მახსოვს ორი ადამიანი: ერთი ქალბატონი, რომელიც იმდენად გამწარებული იყო, რომ ჯანდაცვის მინისტრს თხოვნის წერილი მისწერა, მისი შვილისთვის აფთიაქებში კოაქსილი არ მიეყიდათ და მეორე — რუსი ჯარისკაცი, საშა დროზდოვი, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, შინდისთან გმირულად დაღუპული 12 ქართველი ჯარისკაცის გმირობით გაოგნებული დარჩა... „პალიტრა“ საყვარელი საქმის ობიექტურად გაშუქების საშუალებას მაძლევს. ჟურნალისტები ჩემთვის, მხოლოდ კოლეგები არ არიან, ძალიან ბევრი რამ გამოვიარეთ ერთად და ვმეგობრობთ.

სულხან ნამჩევაძე, *ჟურნალისტი:*

— ერთ დღეს შემთხვევით, იოსებიძის ქუჩაზე მოვდიოდით. ჭიშკართან „კვირის პალიტრის“ აბრა დავინახეთ და გელა კორძაძეს ვკითხე, აქ „კვირის პალიტრა“ არის-მეთქი. — არ იცოდიო?! — არა-მეთქი. ბარემ ავიდეთ და ვკითხოთ, ჟურნალისტი ხომ არ უნდათ-თქო? შემოვედით თუ არა, ფოიეში გოგო დაგვხვდა (მაშინ არ ვიცოდით, რომ ის მედიასახლის ჟურნალისტების მიერ მრავალგზის „ნაწამები“, ოპერატორი ხატია იყო). ძალიან სერიოზული სახით გვითხრა, ერთი წუთი დაგველოდეთო... ათწუთიანი ლოდინის შემდეგ აგვიყვანეს ძალიან ლამაზ ქალბატონთან, რომელიც გრძელ და წვრილ სიგარეტს ეწეოდა. როგორც გავიგეთ, ნათია გორდელაძე ყოფილა... მერე აქ მასავით უამრავი ლამაზი ქალბატონი ვნახეთ და ახლა სპეცრაზმით თუ გაგვყრიან აქედან, თორემ ფეხის მომცვლელი აღარ ვართ...

■



ლაბორატორია „დნმ-დიაგნოსტიკა“
პჯრ (PCR) — მეთოდი

1. გენომური დაქტილოსკოპია (სადავო მამობის დადგენა);
2. მემკვიდრული დაავადებების დიაგნოსტიკა;
3. ონკოლოგიური და გენეტიკური დაავადებებისადმი მიდრეკილების განსაზღვრა;
4. სქესობრივი გზით გადამდები ბაქტერიული და ვირუსული ინფექციების დიაგნოსტიკა:
   - ორივე სქესის პაციენტთა გამოკვლევა ქორწინებამდე;
   - ორსულობის შეწყვეტისა (თვითნებური აბორტი) და ნაყოფის სიმახინჯეების გამომწვევი მიზეზების დიაგნოსტიკა;
   - საშვილოსნოს ყელის პათოლოგიების გამომწვევი ყველა მაღალი ონკოგენური ტიპების პაპილომავირუსის გამოვლენა;
   - B, D და C ჰეპატიტების დიაგნოსტიკა;
   - C — ჰეპატიტის გენოტიპირება.

კონსულტაცია უფასოა

ქ. თბილისი, ა.ყაზბეგის გამზ. 14ბ, ტელ: (995 32) 18-37-84; (899) 55 61 97; (877) 94 94 13; dna_diagnostics@hotmail.com

საქართველო რთული და არაერთგვაროვანი რეალობის წინაშე დგას

„რაც უფრო მალე დავსერიოზულდებით, მით უკეთესი იქნება“

„რუსეთი ბრუნდება, შავ ზღვაზე აგრილდა, მოსკოვი გავლენის სფეროებს იბრუნებს, აშშ-ს კი საწინააღმდეგო არაფერი აქვს...“ — მსგავსი ფრაზები დასავლურ პრესაში ბოლო დროს საგრძნობლად მომრავლდა. ცნობილი ამერიკული გამოცემა TIME იმასაც კი წერს, რომ „ფერადი“ რევოლუციები ჭკნება, ვაშინგტონს კი ეს არ აწუხებს, რადგან რუსეთთან მისი ურთიერთობები ყვავის. ამ ყველაფრის პარალელურად ცნობილი ხდება, რომ ევროსაბჭო რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შესახებ რეზოლუციას აღარ მიიღებს. ამის მიზეზად, მოხსენების ტექსტზე მონიტორინგის ჯგუფის წევრების — დევიდ ვილშაერისა და მათიას იორშის შეუთანხმებლობას ასახელებენ. გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ვილშაერი ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებს მოსკოვში შეხვდა, რის გამოც იორშმა ის კრემლის ინტერესების ლობირებაში დაადანაშაულა. რეალურად, რატომ თქვა უარი ევროსაბჭომ მოხსენების ტექსტის განხილვაზე, რით არის განპირობებული ევროპისა და ამერიკის მიერ რუსეთის მიმართ გადადგმული კომპრომისული ნაბიჯები და რა შედეგს მოუტანს პატარა საქართველოს დიდ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების ახლებური ჩამოყალიბება — ამ საკითხებთან დაკავშირებით, დიპლომატი, მეცნიერი და პოლიტოლოგი, ზურაბ აბაშიძე გვესაუბრება.

ხათუნა ბახტურიძე

— ბატონო ზურაბ, რით ახსნით ევროსაბჭოს ამ გადაწყვეტილებას?

— ვფიქრობ, რომ ევროპის საბჭო ორ ცეცხლს შუა აღმოჩნდა: ერთი მხრივ, ჰქონდა სურვილი, რუსეთის ქმედებისთვის შესაბამისი კვალიფიკაცია მიენიჭებინა, მეორე მხრივ — ფიქრობს, რომ ევროსაბჭოდან რუსეთის გარიყვა და დამდურება საერთო ჯამში, ორგანიზაციას სიკეთეს არ მოუტანს. ვფიქრობ, ამ „ჭიდილის“ შედეგად, ევროპის საბჭომ გადაწყვიტა, რეზოლუცია არ განიხილოს. რაც შეეხება საქმის კულუარულ, ტექნიკურ მხარეებს, — ამის შესახებ ნაკლებად ვარ ინფორმირებული.

— რამდენად შესაძლებელია, რომ ეს ფაქტი რუსეთმა ევროსაბჭოს სისუსტედ აღიქვას და შედეგად, უფრო მეტი კომპრომისი მოითხოვოს?

— მოსკოვი ევროპის საბჭოს ამ ნაბიჯს ნამდვილად, სისუსტედ აღიქვამს, მაგრამ არა მგონია, ამ რეზოლუციამ გადამწყვეტი ფაქტორის როლი შეასრულოს რუსეთის მორიგი პოლიტიკური ნაბიჯების განხილვისას.

— საქართველოს პრეზიდენტი TIME-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ამბობს, რომ რუსები ამერიკისგანაც ელიან კომპრომისებს და ვაშინგტონისგან არა მხოლოდ მისი პარტნიორი საქართველოს მიტოვებას, არამედ ძველი გავლენის სფეროების დაბრუნებასაც მოითხოვენ. რეალურად, თუ არის შესაძლებელი, რომ რუსეთმა თავისი გავლენის სფეროებისა თუ ბუფერული ზონების რეანიმაცია მოახდინოს?

— აშშ-ის პრეზიდენტმა და ადმინისტრაციის სხვა უმაღლესმა წარმომადგენლებმა არაერთხელ დაადასტურეს, რომ მათთვის ყოვლად მიუღებელია გასული საუკუნეების ცნებების — გავლენის სფეროებისა თუ ბუფერული ზონების რეანიმირება. დიახ, აშშ-სა და რუსეთს შორის ახლა მეტი ურთიერთგაგებაა, მაგრამ საქართველოსთან მიმართებაში ამერიკელების მხრიდან ყოველთვის აღინიშნება მათ შორის აზრთა სხვაობა. სხვათა შორის, ეს მომენტი ამ დღეებში ნატოს მინისტერიალზეც აღნიშნა გამოკვეთილად, ალიანსის გენერალურმა მდივანმა. მესმის, რომ ჩვენს საზოგადოებას სურს, იხილოს მეტი უსაფრთხოების გარანტია, რაიმე პროგრესი — ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის თვალსაზრისით, მაგრამ რეალობა რთულია და არაერთგვაროვანი. ზოგი ფიქრობს — უკეთესია, უარი ვთქვათ დასავლეთთან სტრატეგიულ თანამშრომლობაზე, იმ იმედით, რომ რუსეთი ყველაფერს დაგვიბრუნებს, — მაგრამ ეს ძალზე სარისკო ილუზიაა. რაც შეეხება სააკაშვილის ინტერვიუს, რომელიც ჯერ არ მინახავს, ვფიქრობ, ამერიკელი პარტნიორებისთვის კორექტული ფორმით ჩვენი რისკების შეხსენება ზედმეტი არ არის. მაგრამ ეს ისე არ უნდა გაკეთდეს, რომ ვაშინგტონში შეექმნათ შთაბეჭდილება, თითქოს ჩვენ მოსკოვთან კონფრონტაციაში მათ ჩათრევას ვცდილობთ.

— როგორ შეაფასებთ იმ ფაქტს, რომ მოსკოვი ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე იბრუნებს გავლენას უკრაინასა და პოლონეთში?

— ფაქტია, რომ რუსეთი ბოლო 10 წლის მანძილზე მნიშვნელოვნად მოძლიერდა. ისიც ფაქტია, რომ დასავლეთში მეტ ანგარიშს უწევენ მის ინტერესებსა და კაპრიზებს. ამას ბევრი მიზეზი აქვს. ერთ-ერთი ის გახლავთ, რომ აშშ კონცენტრირებულია ერაყზე, ირანსა და ავღანეთზე. ამ პრობლემების მოსაგვარებლად, ვაშინგტონს მოსკოვის მხარდაჭერა სჭირდება. მეორე მხრივ, ევროკავშირი შიდა ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების მოგვარებით არის დაკავებული. ამ ფონზე, მოსკოვში თავის წარმატებად მიიჩნევენ უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად შექმნილ ახალ რეალობას. წლების მანძილზე მოსკოვი ძლიერ ზეწოლას (როგორც პოლიტიკურს, ასევე ეკონომიკურს) ახორციელებდა იუშჩენკოს ხელისუფლებაზე, რამაც ამ ხელისუფლების სისუსტესთან ერთად, კრემლისათვის სასურველი შედეგი გამოიღო. მაგრამ ეს ცვლილება უკრაინაში პრინციპში, დემოკრატიული გზით მოხდა. რაც შეეხება პოლონეთს, — არა მგონია, მომხდარი ტრაგედიის შედეგად, პოლონეთის საგარეო ვექტორი კარდინალურად შეიცვალოს. პოლონეთი შემდგარი ევროპული, დემოკრატიული სახელმწიფოა, ნატოსა და ევროკავშირის წევრი. თუკი მოსკოვთან ვარშავას ნაკლებად დაძაბული, უბრალოდ, ნორმალური ურთიერთობა ექნება, ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ პოლონეთი პრორუსული ქვეყანა გახდება.

— ეი. საქართველოს პრეზიდენტის განცხადება, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებული სიტუაცია სახიფათოა და რუსეთისგან მოსალოდნელი საფრთხე დღეს ისეთი მაღალია, როგორც არასდროს, უსაფუძვლოა?

— ვფიქრობ, ამჟამად რუსეთის მხრიდან ძალისმიერი ქმედების ალბათობა მცირეა. თუმცა დაძაბულობის ესკალაცია, რაიმე პროვოკაციის ან არაპროგნოზირებადი სიტუაციის გამო, შესაძლებელია. ამიტომ, დიდი სიფრთხილეა საჭირო. როგორც ჩეხოვი ამბობდა, — როდესაც პირველ აქტში სცენაზე თოფი კიდია, ბოლო აქტში მან აუცილებლად უნდა გაისროლოს: ძალიან ბევრი იარაღია თავმოყრილი კონფლიქტურ რეგიონებში და მათ სიახლოვეს.

— რუსეთ-საქართველოს შორის კიდევ ერთი შეიარაღებული დაპირისპირების შემთხვევაში, ამერიკის პოზიცია როგორი იქნება?

— ეს მოვლენების შემდგომ განვითარებაზეა დამოკიდებული. სხვათა შორის, ამერიკასა და რუსეთს შორის კონსტრუქციული თანამშრომლობა ჩვენს ინტერესებშიც შედის. რაც ნაკლები დაძაბულობა იქნება მათ შორის, მით უფრო ნაკლებია იმის ალბათობა, რომ მოსკოვმა ჩვენ საწინააღმდეგოდ ძალისმიერ პოლიტიკას მიმართოს. მათი ურთიერთობები 2008 წლამდეც ასეთივე კონსტრუქციული რომ ყოფილიყო, ალბათ აგვისტოს ომი არც მოხდებოდა. თუმცა გაზვიადება იქნება იმის თქმაც, რომ რუსეთსა და აშშ-ს შორის ურთიერთობები ყვავის. ინტერესთა გარკვეული თანხვედრა ნამდვილად არსებობს, მაგრამ პრინციპული წინააღმდეგობა ამ ორ ქვეყანას შორის, კვლავ ბევრია. რუსეთის პოლიტიკური ელიტისა და მოსახლეობის უდიდესი ნაწილი კვლავ მთავარ მოწინააღმდეგედ ამერიკას მიიჩნევს. რაც შეეხება იმას, რომ „ფერადი რევოლუციები დაჭკნა“, — ამაში ტრაგიკულს ვერაფერს ვხედავ. პირიქით, რაც უფრო მალე გამოვალთ რევოლუციური სტიქიიდან და დავსერიოზულდებით, მით უკეთესი იქნება ქვეყნისთვის და თითოეული ჩვენგანისთვის. ■

რეალური ნაბიჯი ათასწლეულის განვითარების მიზნების მისაღწევად

2015 წლისათვის საქართველოს მთავრობამ ათასწლეულის განვითარების მიზნების განხორციელების ვალდებულება აიღო.

მათ შორის განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მე-4-ე და მე-5-ე მიზნებს. კერძოდ, 5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის 2/3-ით შემცირებას, დედათა ჯანმრთელობის გაუმჯობესებასა და დედათა სიკვდილიანობის 3/4-ით შემცირებას.

აღნიშნული მიზნების პრიორიტეტულობა გამომდინარეობს დედათა და ბავშვთა დაცვის საკითხის უდიდესი მნიშვნელობისაგან. დადგენილია, რომ ქვეყნები, რომლებიც არ იშურებენ რესურსებს ქალთა ბავშვთა ჯანმრთელობისა და განვითარებისათვის, გაცილებით სწრაფად ვითარდებიან და აღწევენ დასახულ მიზნებს, ვიდრე სახელმწიფოები, რომლებიც ამ პრობლემას ნაკლებ ყურადღებას უთმობენ.

დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის სისტემის ცენტრალურ კომპონენტად კვლავ რჩება დახმარება ორსულობის და მშობიარობის პროცესში. ცნობილია, რომ საუკუნეების განმავლობაში ქალების 90% და მეტი ბინაზე მშობიარობდა ე.წ. „ბებია-ექთანის" ხელშეწყობით. მე-20 საუკუნის დასაწყისიდან მეანობაში ბევრი რამ შეიცვალა: დაიწყო გაუტკივარების მეთოდების და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, გაფართოვდა საკეისრო კვეთის ოპერაციის ჩვენებები და სამკურნალწამლო საშუალებების არეალი, რამაც ორსულ ქალებს სამშობიარო სახლში მშობიარობის უპირატესობის რწმენა ჩაუნერგა, ისინი თავს უფრო უსაფრთხოდ გრძნობდნენ კვალიფიცირებული ექიმისა და ბებია-ექთანის მეთვალყურეობის ქვეშ. ე.წ. „სამშობიარო სახლების ბუმის" პერიოდში (1960-დან 1979წ-მდე) ანტენატალური მეთვალყურეობისა და მშობიარობის მართვის პროცესის გაუმჯობესებას თან მოჰყვა დედათა და პერინატალური სიკვდილიანობის მნიშვნელოვანი შემცირება, მუხედავად ამისა 1990 წლიდან ევროპაში დაიწყო ზემოთ აღნიშნული მიდგომის გადახედვა. ინგლისელი ექიმი გრენლი დიკ-რიდი წიგნში „ბუნებრივი მშობიარობა" წერდა, რომ „ორსულობა და მშობიარობა არის ადამიანის ფიზიოლოგიური მდგომარეობა და ექიმთა ჩარევა არ სჭირდება, ხოლო სტაციონარული პირობები ხელს უწყობს გართულებათა განვითარებას, ქალის ზედმეტ დაძაბულობას და შიშს".

1993 წელს ინგლისში დედათა და ბავშვთა დაცვის სახელმწიფო კომიტეტის ექსპერტებმა გამოაქვეყნეს მოხსენება „ცვლილებები სამეანო დახმარებაში", რომლის ძირითადი არსი შემდეგში მდგომარეობდა: გართულებული შემთხვევების მართვაში საჭიროა ექიმი მეან-გინეკოლოგების როლის გაზრდა, ხოლო ნორმალურად მიმდინარე ორსულობის და მშობიარობის წარმართვა შეიძლება სათანადოდ მომზადებულ ბებია-ექთანებს მივანდოთ. მოხსენება ეფუძნებოდა შემდეგ ძირითად პრინციპებს: ბებია-ექთანის როლის გაზრდა, სამეანო დახმარების ხელმისაწვდომობა, მაღალი რისკის ორსულობის გამოვლენა, ქალთა უფლებების დაცვა: პატივისცემა მისი არჩევანისა – თავად განსაზღვროს როგორ გარემოში (ბინაზე, სტაციონარში) უნდა, რომ იმშობიაროს და გვერდით იყოლიოს ის ადამიანები, ვისაც ენდობა.

სამშობიარო სახლებისადმი ნეგატიური დამოკიდებულების ტირაჟირებას ხელი შეუწყო რამდენიმე სხვა ფაქტორმაც. სახელდობრ, – გამოჩნდა კარგად ორგანიზებული და გავლენიანი არასამთავრობო არაპროფესიული ორგანიზაციები, რომლებიც იცავდნენ ორსულების უფლებებს. გაიზარდა ქალი-მეანების რიცხვი, რომელთაც უკეთ შეუძლიათ გაიზიარონ და შეიგრძნონ ორსულის განცდები, თვითონ ექიმებმაც გააცნობიერეს ის ფაქტი, რომ ზოგი მეთოდის გამოყენება ხდებოდა შესაბამისი ჩვენებების გარეშე, რაც ზრდიდა საექიმო ჩარევის მოცულობას და ყოველთვის არ აისახებოდა დადებითად დედისა და ბავშვის ჯანმრთელობაზე.

„ბებიაქალის ინსტიტუტის", უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობაზე ზრუნვის განხორციელება შესაძლებელი ხდება ნებისმიერ ადგილას: ბინაზე, თემსა თუ საავადმყოფოში. ბებია ქალის ფუნქციებს განეკუთვნება – როგორც ქალის, ისე მისი ოჯახის ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ კეთილდღეობაზე ზრუნვა, მათთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება, ანტენატალური და პოსტნატალური მეთვალყურეობა და მოვლა, მშობიარობის პროცესში დახმარების გაწევა. ამასთან, ისინი ორიენტირებულნი არიან ტექნოლოგიური ინტერვენციების მინიმუმამდე დაყვანასა და რისკის ორსულების იდენტიფიკაციაზე, რათა უზრუნველყონ მათი დროული გაგზავნა სტაციონარში.

საქართველოში არასამთავრობო ასოციაცია „ჰერა XXI"-ის მიერ, 2008 წლის მაისიდან, განხორციელება დაიწყო ფონდების MATRA /ETC Crystal (ნიდერლანდები)-ის მიერ დაფინანსებულმა, 3-წლიანმა პროექტმა „ზრუნვისა და ხარისხის გაუმჯობესება: ბებიაქალების ცოდნისა და უნარების განახლება საქართველოში".

პროექტის ფარგლებში ასოციაცია „ჰერა XXI"-ს აქვს მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა როტერდამის ბებიაქალთა უნივერსიტეტთან და ცდილობს გაიზიაროს და დანერგოს მათი მრავალწლიანი გამოცდილება ჩვენს ქვეყანაში.

2009 წლის მაისში პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბდა საქართველოს ბებიაქალთა ასოციაცია (საბა).

მისი ძირითადი მიზანია ბებიაქალების ინსტიტუტის გაძლიერება ისე, რომ ბებიაქალმა შეძლოს, უზრუნველყოს ქალისათვის შესაბამისი ზედამხედველობის გაწევა, მოვლა და საკონსულტაციო მომსახურება ორსულობის, მშობიარობისა და მის შემდგომ პერიოდში. მან საკუთარი პასუხისმგებლობის ქვეშ უნდა შეძლოს არა მარტო მშობიარობის წარმართვა, არამედ ახალშობილის და ჩვილის მოვლა.

„საბას" წევრი ბებიაქალების მიზანია: უზრუნველყონ ხარისხიანი მომსახურება ორსული ქალისა და მისი ოჯახის წევრებისათვის; შეცვალონ საკუთარი პროფესიული მდგომარეობა უკეთესობისკენ, გაიუმჯობესონ ცოდნა, პრაქტიკული ჩვევები და რაც მთავარია, აქტიურად ჩაერთონ ორსულ ქალზე ზრუნვის ყველა საფეხურზე.

საქართველოში ბებიაქალების პროფესიის განახლებას დიდი მხარდაჭერა დასჭირდება როგორც საზოგადოების, ასევე საგანმანათლებლო სისტემის მხრიდან, რათა თანამედროვე ქართველი ბებიაქალიც იყოს პრაქტიკოსი, რომელიც აღჭურვილია არა მარტო ფიზიოლოგიური მშობიარობის მართვის, არამედ ეფექტური პრე და პოსტნატალური ზრუნვის უნარ-ჩვევებით, რომელსაც შეეძლება სწორი, დროული გადაწყვეტილების მიღება.

ასოციაცია „HERA XXI"-ის ხელშეწყობით პროექტის „ბებიაქალთა ცოდნისა და უნარების განახლება საქართველოში" ფარგლებში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მომზადდა საერთაშორისო სტანდარტებზე ორიენტირებული ბებიაქალთა დიპლომამდელი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელსაც საფუძვლად დაედო ბებიაქალთა საერთაშორისო კონფედერაციის (ICM), მეან-გინეკოლოგთა საერთაშორისო კონფედერაციისა (FIGO) და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO) რეკომენდაციები და გაიდლაინები. თსსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული კურიკულუმი სრულ შესაბამისობაშია ბოლონიის პროცესთან; მისი ხანგრძლივობა სამი წელია და მოიცავს 180 ევროპულ კრედიტს. აკრედიტაციის პროცესის დასრულების შემდეგ პროგრამის პირველ მსმენელთა მიღება დაგეგმილია 2010-2011 სასწავლო წლის დასაწყისში.

ჩვენი აზრით, პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის გაუმჯობესებასა და განმტკიცებაში. ■

შესაძლოა, გამოძიების კითხვებს ექსპერტიზამ გასცეს პასუხი

თეო ქვაჭრელიშვილი: „ქრისტიანი ადამიანი ვარ, ცილს ვერავის დავწამებ“

დაკარგვიდან 12 დღის შემდეგ სოხუმის თეატრის მსახიობი, 33 წლის მიხეილ ქვაჭრელიშვილი გარდაცვლილი იპოვეს. ამ ფაქტის ირგვლივ დღემდე ბევრი კითხვა პასუხგაუცემელია და საზოგადოება მოუთმენლად ელოდება გამოძიებას. ახალგაზრდა მსახიობს აკაკი ხორავას სახელობის მსახიობთა სახლში უამრავმა ადამიანმა მიაგო პატივი. 19 აპრილს კი მშობლიურ კახეთში, სოფელ გავაზში გადაასვენეს. გარდაცვლილი თბილისიდან სოფელში მეგობრებმა მიაცილეს, გავაზის შესასვლელში მთელი სოფელი ფეხზე დახვდათ. თბილისიდან ჩასულ პროცესიას თვალცრემლიანი ხალხი შეუერთდა. ყველა ეძებდა პასუხს მთავარ კითხვაზე — რა გახდა ნიჭიერი მსახიობის გარდაცვალების მიზეზი. ჯერჯერობით გამოძიებას რეალობა არ დაუდგენია.

თეა ხურცილავა

მიშა ქვაჭრელიშვილი თბილისში, მარჯანიშვილის ქუჩაზე დასთან და დისშვილთან ერთად ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა. 4 აპრილს, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე გაუჩინარდა. 16 აპრილს მისი საცხოვრებელი კორპუსის წინ მდებარე, მშენებარე სახლის ლიფტის შახტაში ცხედარი შემთხვევით დარაჯმა იპოვა. მამაკაცს სახე უჩანდა, ცხედარს ზემოდან მუყაო ჰქონდა გადაფარებული...

მიშა ქვაჭრელიშვილი გაძარცული არ იყო. თან ჰქონდა საბუთები, საფული, მობილური ტელეფონი და ბინის გასაღები. დას, თეო ქვაჭრელიშვილს მეზობელ კორპუსთან ხალხმრავლობა არ გამოჰპარვია. როცა სახლის ფანჯრიდან პოლიციელების მანქანები შენიშნა, ეზოში სწრაფად ჩაირბინა და გაიგო, რომ მამაკაცის ცხედარი იპოვეს. პროზექტურაში საკუთარი ძმა მან ამოიცნო.

თეოს ძალიან უჭირს ამ ტრაგედიაზე საუბარი. მას შინ ვესტუმრე. ლოგინად ჩავარდნილ დედასთან ერთად დაგვხვდა. მომხდარს ძალიან განიცდის თეოს ქალიშვილი — 8 წლის ანა, რომელსაც მზრუნველი ბიძის გარეშე იმ სახლში ცხოვრება ველარ წარმოუდგენია. მსახიობი ცოტა ხნის წინ რეკლამაში გადაიღეს და იქიდან მიღებული 135 დოლარი დამ მის პიჯაკში იპოვა. თურმე ამბობდა, ამ ფულს შევინახავ და როცა დაგვჭირდება, გამოვიყენოთო.

— თეო, იქნებ გაიხსენოთ თქვენი ძმის გაუჩინარების დღე.

— 4 აპრილს, საღამოს 7 საათზე მეგობართან წავიდა. ღამით ლიტანიობაზე ვიყავი და მიშაც უნდა წამოსულიყო. 3 აპრილს ღამით არც უვახშმია. სავარძელში ტელევიზორის წინ იჯდა; რომ შეეხედე, ჩასძინებოდა. გავაღვიძე. უცებ წამოხტა. ვუთხარი, — რამე შეჭამე და ტაძარში წავიდეთ-მეთქი. — რაღაც, კარგად არ ვარ, ვერ წამოვალო, — მიპასუხა და დაწვა. გამთენიისას რომ დავბრუნდი, არ ეძინა, მითხრა, ვერ დავიძინეო. ბოლო დროს ნერვიულობდა და ამიტომ ვერ იძინებდა. სუფრა გავშალოთ, ჩაქაფულს გავაკეთებო, — მითხრა. მიშას ძალიან უყვარდა საჭმელების მომზადება. ერთად გავაკეთეთ, სუფრაც გავშალეთ. 5 ჭიქა ღვინო დალია. ღამენათევი ვიყავი და ვუთხარი, ცოტას დავიძინებ-მეთქი. იმ დღეს ყველა ახლობელს აღდგომა მიულოცა, თავის ტელეფონში დეპოზიტი რომ ამოეწურა, ჩემი და ჩემი შვილის ნომრებიდანაც აქვს დარეკილი. საღამოს მეგობარმა გამოუარა და თავისთან წაიყვანა; იქაც 5 ჭიქა ღვინო დაულევია. 10 საათისთვის გამოსულა, გზაში ნაცნობს ესაუბრა, მერე აბანოთუბანში, აბანოში უბანავია. ამის შემდეგ აღმოჩნდა რესტორანში ვიღაცებთან ერთად (არ ვიცი, ის ადამიანები ვინ არიან) და მერე დაიკარგა. კურსელთან უნდა მისულიყო, მაგრამ იქ არ მისულა. მეორე დილით რუსთაველის თეატრში 9 საათზე რეპეტიციაზე უნდა მისულიყო. ვიფიქრე, იქ იქნებოდა. რეპეტიციაზე რომ არ გამოჩნდა, რეკვა დაიწყეს და მას მერე ყველანი ვეძებდით...

— მისი დაკარგვა თეატრში მომხდარ დაპირისპირებას დაუკავშირეს; დასის მსახიობთა ნაწილი გაუჩინარებაში ყოფილ მმართველ დიმა ჯაიანსა და მსახიობ პაატა ვახტანგიშვილს პირდაპირ ადანაშაულებდა; ასე დარწმუნებით მათი დადანაშაულება რატომ ხდებოდა?

— არასდროს მითქვამს, რომ ბატონი დიმა ჯაიანი ჩემს ძმას ურეკავდა და ემუქრებოდა. არა, მას არც ერთხელ არ დაურეკავს. ბატონმა დიმა ჯაიანმა მიშას ხუთჯერ რუსთაველის თეატრში მიაკითხა, აქედან ოთხჯერ ვერ ნახა... მიშა ბევრ რამეზე ჩემთან არ საუბრობდა, ალბათ ფიქრობდა, ეს დას არ უნდა სცოდნოდა, მაგრამ ინფორმაციებს ვიგებდი. ვუთხარი, — ბატონი დიმა იყო შენთან და რა უნდოდა-მეთქი? მან ველარ დაფარა და მიპასუხა, რომ შეხვდა: ჯაიანმა გულისწყრომა გამოხატა, — რატომ არ დავდექი მის გვერდითო?!. როგორც ვიცი, ამ შეხვედრაზე ბატონმა დიმამ ჩემს ძმას დედაც შეაგინა და შეაფურთხა. ჩემს ძმას კიდევ ერთხელ პატიება უთხოვია მისთვის და უთქვამს: მე ვერ დავტოვებდი, ბატონო დიმა, თეატრს; თუ რამე გაწყენინეთ და ადამიანურად რამეზე გული გეტკინათ, კიდევ ერთხელ გთხოვთ პატიებას, ოღონდ დედას ნუ შემაგინებთო. ასე დაშორდნენ ერთმანეთს და ამით ამოიწურა ინციდენტი. მიშა თეატრს თუნდაც იმიტომ ვერ დატოვებდა, რომ ლუკმაპურს ხელფასით ჭამდა. ქირით ვცხოვრობდით, მატერიალურად გვიჭირდა და ეს იყო მისი შემოსავალი... არ მინდა, დღეს ვინმე დავადანაშაულო.

— როგორც ამბობენ, მუქარის ზარები იყო, მართალია?

— მუქარის ზარები ნამდვილად იყო. მსახიობი პაატა ვახტანგიშვილი ურეკავდა. პრობლემა დიმა ჯაიანის გათავისუფლების შემდეგ გაჩნდა. როგორც ვიცი, მას დასი ბევრჯერ დაუდგა გვერდზე. მიშა და დასის წევრები ხორავას სახელობის მსახიობთა სახლში დაიბარეს, რათა ამ საკითხზე შეხვედრა გამართულიყო. წინა საღამოს დასის გამგემ დარეკა და ვესაუბრე; ჩემი ძმის მისვლას ითხოვდა. იმ დროს თეატრის მმართველი ბატონი დიმა იყო. ჩემმა ძმამ ჩაიცვა და წავიდა სხდომაზე. როგორც ვიცი, მის გარდა, დასიდან იმ დღეს არავინ გამოჩენილა იმათგან, ვინც ბატონ დიმას განუდგა. იქ გაცხადდა, რომ ახალი მმართველი შერჩეული იყო. ჯაიანი ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს, — ვიცი, ახალი მმართველი შერჩეული რომ იყო, ეს მიშამ იცოდა და არ მითხრაო. დარწმუნებით ვამბობ, მიშამ ეს არ იცოდა. დასის წევრებს, რომელთა ხელმძღვანელი ჯაიანი 17 წელი იყო, ვკითხე, როცა ჩემი ძმა დაკარგული იყო, — რატომ გაიგო ბოლოს ჩემმა ძმამ, დასში ამხელა ცვლილება რომ უნდა მომხდარიყო, თუკი ასეთი მნიშვნელოვანი ფიგურა იყო-მეთქი?.. მიშა უწყინარი, პატიოსანი ადამიანი იყო, მართლა არ იყო ის ფიგურა, რაიმე განესაზღვრა და მით უმეტეს, ამ კუთხით ცვლილებებში ჩარეულიყო. დავსხდებით ალბათ, მე და ბატონი დიმა და ყველა დეტალზე დავილაპარაკებთ. დღეს ძალიან მძიმე ეტაპია ჩემს ცხოვრებაში, განუზომელია ტკივილი, რომელიც არაფრის გამო ჩემს უწესიერეს ძმას თავს დაატყდა და მთელ ჩვენს ოჯახს. მიშიკომ თავისი წესიერი ცხოვრებით დიდი სიყვარული დატოვა, არც კი ვიცოდი, ამდენ ადამიანს თუ უყვარდა. ძალიან ბევრ ადამიანს მოჰგლიჯა გული და თან წაიღო.

— წარმოუდგენლად ჟღერს, რომ სკამის გამო, ადამიანის სიცოცხლე შეიწირეს. სხვა, რაიმე უფრო სერიოზული მიზეზი ხომ არ შეიძლებოდა, ყოფილიყო?

— დღეს არაფერს ვამბობ და გამოძიებას ველოდები. დარწმუნებული ვარ, გამოძიება ყველაფერს ახდის ფარადს. ქრისტიანი ვარ — არავითარ შემთხვევაში, ჩემი ძმის ნათელ სულს არ მივაყენებ შეურაცხყოფას და ცილს არავის დავწამებ. ჩემი ძმა ყოველთვის შემრიგებელი იყო. ასეთი ძმის პატრონს, არა მაქვს მორალური უფლება, გამოძიებას გავუსწრო ან უბრალოდ, ვინმეზე რაიმე აუგი ვთქვა... მიშას დაკარგვის შემდეგ მისი ყველა თანამშრომელი დაიკითხა. ყველა ერთხმად ამბობდა, რომ ის არ იყო ნარკომანი, ლოთი, არ ჰქონია ვალები, აგრესიული არ იყო, არ ჰყოლია მტერი. ამის შემდეგ გაჩნდა კითხვა — ხომ არ ემუქრებოდა ვინმე და ამოტივტივდა თეატრის თემა... არანაირი მიზეზი არ იყო იმის, რომ დღეს ჩემი ძმა ცოცხალი არ ყოფილიყო. არავისთან ცხოვრებაში კონფლიქტი არ ჰქონია. რა გახდა მისი სიკვდილის მიზეზი, ძალიან მაინტერესებს.

— ერთ-ერთი ვერსიით, შესაძლოა, ეს თვითმკვლელობა იყო. ამას კატეგორიულად გამორიცხავთ?

— არაფერს გამოვრიცხავ. ამდენი ხნის მანძილზე ჩემს ძმაზე ამდენი მუქარა, ფსიქოლოგიური ზეწოლა ხდებოდა!.. ბოლო დროს სახლში საჭმელსაც არ ჭამდა. ძალიან გულჩათხრობილი გახდა, ჩემი მეგობრისთვის უთქვამს, რომ ძალიან წუხდა თეატრის ორად გახლეჩის გამო. შინაგანად სუფთა პიროვნება იყო და ბუნებრივია, მას ეს აწუხებდა... ბოლოს ჩემთანაც ველარ ფარავდა და ძალიან წუხდა, რომ ზარები გრძელდებოდა. რეპეტიციაზე ყველანაირად ვცდილობ, სხვანაირი ვიყო და სახლისკენ რომ მოვდივარ, ისევ დამძიმებული ვარო, — მითხრა. ფსიქოლოგიური ტერორის ქვეშ იმყოფებოდა... ადამიანები ვართ, მეც უამრავ ვერსიას ვიხილავ, მაგრამ თვითმკვლელობას მაინც დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დავტოვებ, ნაკლებად მჯერა. ჩემი ძმა მორწმუნე იყო. მართლა არ ვიცი, რა მოხდა. ვიცი, რომ ძალიან კარგი ძმა აღარ მყავს. ის მარტო ძმა არ იყო ჩემთვის, გვერდში მდგომი, ჩემი დასაყრდენი იყო. მისი გაზრდილია ჩემი შვილი. დღეს ჩემი შვილის მდგომარეობა ძალიან რთულია — სახლში ყოფნაც არ უნდოდა, იმიტომ, რომ თავისი საყვარელი მიშა აღარ ხვდებოდა... ის იმხელა სიყვარულს ატარებდა, არც ერთი ჩვენგანი არ მემეტება გაბოროტებისთვის. მიშას სულის პატივსაცემად, დაძაბული ურთიერთობის ფონზე, მინდა, ყველა შერიგდეს, ერთმანეთს აპატიონ. სიმართლე, ადრე თუ გვიან, გაირკვევა. ცილისწამებასა და შეურაცხყოფაზე ნუ გადავდივართ. ჩემი ოჯახიდან ნურავინ ელოდება ცილისწამებას, შეურაცხყოფას, რომელიმე ადამიანის მიმართ, დაუმსახურებლად. ველოდები გამოძიებას როგორც ჭირისუფალი და ერთადერთი იმედი მაქვს, რომ გამოძიება სათანადოდ ჩატარდება. ყველაზე მეტად, ექსპერტიზის პასუხი მაინტერესებს, რომელიც 25 დღეში იქნება.

— სხეულს რაიმე დაზიანება აჩნდა?

— ხელის ორივე მტევანი გაშავებული ჰქონდა. სხეული ისეთივე რბილი იყო, როგორიც ცხოვრებაში; როცა მკლავებს ხელი მოვკიდე, ისეთივე იყო, როგორიც ჩახუტების დროს მახსოვს... დაძინებულს ჰგავდა, მხოლოდ ტერფებზე ჰქონდა წითელი ლაქები, შუბლის არეში სისხლის „გროვა“ იყო. ვიკითხე, — ნატყვიარი ხომ არ არის-მეთქი? ექსპერტმა გამორიცხა და გარდაცვალების ცნობაში ჩაწერა — „ბლაგვი ტრავმა“. მოუთმენლად ველოდები ექსპერტიზის დასკვნას. ძალიან ბევრი სინჯია აღებული და ამიტომ მაქვს დანაშაულის გახსნის იმედი. მიშა დააკლდა ქალაქს, ის ალალმართალი კაცი იყო, ნათელი შუბლითა და სპეტაკი სულით. ნუთუ ამ ქალაქში ერთი პატარა ადგილი აღარ იყო, რომ ჩემს ძმას ერთი ტერფი დაედგა და ისიც დატეულიყო?..

— ისიც ითქვა, რომ დაკარგვის მეორე დღეს მისი ტელეფონი ვიღაცამ აიღო და მერე გაითიშა; ეს მართალია?

— ტელეფონზე ყველანი ვურეკავდით. ჩემი შვილის დარეკილ ერთ-ერთ ზარზე ვიღაცამ უპასუხა. მეორე ოთახში ვიყავი და ანას ხმა მომესმა: მიშა, სად ხარ? გეძებენ თეატრიდან, გთხოვ, სახლში მოდიო. ეს რომ გავიგონე, ოთახიდან გავვარდი და ანას ტელეფონი ხელიდან გამოვტაცე. ტელეფონი უკვე გათიშული იყო. ყველაფერი წამებში მოხდა. ბავშვი ამბობს, რომ იქიდან გაურკვეველი, ბლუყუნის მაგვარი ხმა მოესმა, თითქოს თქვა, — ვინ მეძებსო? მას მერე დაკავშირება ველარ შევძელით. მინდა მჯეროდეს და უფალს შევთხოვ — გაიხსნას ეს საქმე, მხოლოდ ის მინდა, ვიცოდე, როგორ მოკვდა ჩემი ძმა. უფალმა გასცეს ყველა დამნაშავეს პასუხი, თუ ასეთები არსებობენ...

მიხილ ქვაჭრელიშვილი ბავშვობიდან მსახიობობაზე ოცნებობდა. სამსახიობო ფაკულტეტზე ჩააბარა და გიზო ჟორდანიას ჯგუფში მოხვდა. ლევან წულაძე და გოჩა კაპანაძე მისი პედაგოგები იყვნენ. როგორც თეო ამბობს, მან საკუთარი თავის რეალიზაცია ვერ მოახერხა. ამის მიზეზი მისი ხასიათი იყო: არ შეეძლო, ვინმესთვის როლი ეთხოვა... ბოლო 10 წელი კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სოხუმის თეატრის მსახიობი იყო. მისი მეგობრები და კოლეგები მომხდარით შეძრწუნებულები არიან და ამბობენ, რომ ამ ტკივილს ვერაფერი შეუმსუბუქებს. დასძენენ, — საჯიშე ქართველი გამოაკლდაო საქართველოს.

25 აპრილს სოხუმის თეატრის მსახიობებმა მიხეილ ქვაჭრელიშვილის ხსოვნას მიუძღვნეს პრემიერა. ამ სპექტაკლში კოკას როლი მას უნდა ეთამაშა. საპრემიერო სპექტაკლები რამდენიმე დღე გასტანს...

მერაბ ბრეკაშვილი, *თეატრის მმართველი:*

— მიშიკო პატიოსანი, წესიერი კაცი, არაჩვეულებრივი, კეთილი ადამიანი იყო. მასთან 15-წლიანი ურთიერთობა მაკავშირებდა.

— ამ თანამდებობაზე თქვენი მოსვლის გამო ატეხილ სკანდალს უკავშირებენ მის სიკვდილს. რეალურად, რა ხდებოდა თეატრში და რატომ შეიძლება, ქვაჭრელიშვილი გამხდარიყო მსხვერპლი?

— ვერ ვიტყვი, რა მოხდა. მიშიკო რომ ნერვიულობდა, ეს ფაქტია. შეურაცხყოფა რომ მიაყენეს, ამაზე საუბრობდა. არ ვიცი, როდის შეხორცდება ის იარა, რომელიც დღეს თეატრს აქვს, — ეს ძალიან დიდი ტკივილია. ჩემი მეგობარი, კოლეგა იყო. ამ წლების მანძილზე მიშიკომ ყველა მხრივ გამომაჭღავნა თავი. მას ყველა გულში იხუტებდა... მომხდარი ყველასთვის დიდი ტკივილია. არ შეიძლებოდა, აუღელვებლად და ცრემლების გარეშე შეგეხედა, როგორ დახვდა მას თავისი სოფელი. თბილისიდან ჩასულ პროცესიას ხალხი ფეხით შეეურთდა, ყველა დასტიროდა... ყველანი ველოდებით გამოძიებას. მე ბრალდების უფლება არ მაქვს, ეს ჩემი საქმე არ არის. ეჭვს დამტკიცება სჭირდება. იმედია, გამოძიება ყველაფერს დაადგენს და საქმე აუცილებლად გაიხსნება.

— ბატონო მერაბ, ბოლო დროს როგორი იყო? ნერვიულობდა?

— თეატრში საერთოდ, დაძაბული სიტუაცია იყო, მმართველის შეცვლის შემდეგ, მიშა ბიჭებს თავის შიშს უზიარებდა. ნიჭიერი ახალგაზრდა დაგვკლდა და ყველანი განვიცდით. სოხუმში დაბრუნებაზე ოცნებობდა. სპეტაკი სულის ბიჭი იყო, მომავალზე ოცნებობდა. ■

სანამ ქათამს ფერიფური წასვლია — სამახსოვრო დიასახლისებისათვის

რაზე არ მეტყველებს ქათმის ბარკლების ფერი...

საქართველოში მომხმარებლის უფლებები რომ ხშირად ირღვევა, ეს სიახლეს არავისთვის წარმოადგენს. ბაზარზე გასაყიდად გამოტანილი პროდუქციის ხარისხის, ვარგისიანობისა თუ მისი ფასთან შესაბამისობის შესახებ მხოლოდ მაშინ ვიგებთ, როცა რომელიმე სახელმწიფო უწყება ან კერძო პირი, თავისი ინტერესის დასაკმაყოფილებლად, კონკრეტული პროდუქციის ლაბორატორიულ კვლევას ჩაატარებს და შემდეგ ამის აფიშირებას მედიის საშუალებით მოახდენს. რა თქმა უნდა, როგორც ამბობენ — ჯობს გვიან, ვიდრე არასდროს, მაგრამ ასეთ დროს მხოლოდ ის გახსენდება, რამდენჯერ მოიხმარე ლაბორატორიული დასკვნის შედეგად დაწუნებული პროდუქტი და ჯანმრთელობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რამდენად აზარალე საკუთარი ბიუჯეტი.

ემა ტუხიაშვილი

კვების პროდუქტების ბაზარზე ყველაზე დიდი მოთხოვნა, რაღა თქმა უნდა, პირველადი მოხმარების საკვებ პროდუქტებზეა. ამიტომ მომხმარებლისთვის დაგებული ხაფანგი, ხშირად, სწორედ ასეთი პროდუქციის ფასში, ხარისხში ან სულაც წონაშია საძებარი. ამის მაგალითი სასურსათო ბაზარზე მრავლად მოიძებნება, მაგრამ ამჯერად მკითხველისა და განსაკუთრებით კი — დიასახლისების ყურადღება ერთ მეტად „უწყინარ“ მარკეტინგულ სვლაზე გვინდა შევაჩეროთ, რაც მომხმარებელს, სულ ცოტა, ზედმეტად გადახდილი 50 თეთრი თავის მოტყუებად უჯდება.

დაახლოებით 10-12 წელიწადია, რაც საქართველოს ბაზარზე იმპორტირებული, გაყინული ქათმის ბარკლები იყიდება. პროდუქცია ძირითადად ბრაზილიიდან და ამერიკიდან შემოდის, ეს უკანასკნელი კი ხელსაყრელი ფასის გამო, მომხმარებელში დიდი მოწონებით სარგებლობს. ეჭვგარეშეა, ვიდრე იმპორტიორები საქართველოს ბაზარზე ამ პროდუქციას შემოიტანდნენ, ჩვენი ტრადიციები, ნაციონალური თავისებურებები და გემოვნებაც გაითვალისწინეს. ქართულ სამზარეულოში ბევრი ისეთი კერძია, რომელიც ქათმის ხორცისგან მზადდება, ამიტომ გაყინულმა ქათმის ბარკლებმა სწრაფად დაიმკვიდრა ადგილი ქართველი დიასახლისების სამზარეულოებში. გარდა ამისა, სოფლის დედალთან ან თუნდაც ფერმაში გამოზრდილ ტანმსხვილ ბროილერთან შედარებით, გაყინული ქათმის ბარკალს გაცილებით ხელმისაწვდომი ფასი აქვს, ხარისხიანი პროდუქტია და ხარჯიც ნაკლები აქვს. არჩევანიც სწორედ ამ ორი უპირატესობის გათვალისწინებით კეთდება, გემრიელი კერძის მომზადება კი უკვე გემოვნებისა და კულინარიული შესაძლებლობების საქმეა.

ნინო მოდებაძე *(სასურსათო მაღაზიის გამყიდველი):*

— მარხვის პერიოდს თუ არ ჩავთვლით, პურის, შაქრისა და სხვა აუცილებელი პროდუქტების შემდეგ, მომხმარებლებს შორის ყველაზე დიდი მოთხოვნილება ქათმის გაყინულ ბარკლებზეა. ალბათ, პირველ რიგში, მისაღები ფასის გამო. გაყინული ქათამი ორჯერ უფრო ძვირი ღირს, ვიდრე ბარკლები. სოფლად გაზრდილი დედლისა და ფერმის გაუყინავი ქათმის ფასზე აღარაფერს ვამბობ. კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც მომხმარებელი ქათმის ბარკალს ირჩევს, ის არის, რომ ქათმის ამ ნაწილისგან მეტი ხორცი მიიღება, ვიდრე სხვა ნაწილებისგან. მოკლედ, ეს პროდუქტი მომხმარებლის მოთხოვნებს სრულად პასუხობს და მისი რეალიზაციის შთამბეჭდავი მაჩვენებელიც ამით აიხსნება. ჩვენი მაღაზია საშუალო მასშტაბისაა და როგორც ხედავთ, დახლზე ქათმის სხვადასხვა პროდუქციაა წარმოდგენილი. დღის განმავლობაში ათეულობით კილოგრამ გაყინულ ქათმის ბარკალს ვყიდით, მაშინ, როცა ქათმის სხვა პროდუქტები შესაძლოა, საერთოდ, არ გაიყიდოს.

გაყინული ქათმის ბარკლებიდან მოთხოვნა უფრო ამერიკიდან იმპორტირებულ პროდუქციაზეა, რადგან მისი ფასი ბრაზილიურ ბარკლებთან შედარებით, დაბალია. მომხმარებელთა ერთი ნაწილი უპირატესობას ყვითელი შეფერილობის ბარკლებს ანიჭებს, რადგან ფიქრობს, რომ კანის სიყვითლით ხორცის ცხიმიანობა განისაზღვრება. სხვათა შორის, ყვითელი ფერის ბარკლები თეთრზე ძვირიც ღირს. მყიდველების მეორე ნაწილი კი ბუნებრივი, თეთრი ფერის ბარკლებს ყიდულობს, რადგან მიაჩნია, რომ პროდუქციის ყვითელი შეფერილობა შესაძლოა, ქიმიური დანამატების შედეგი იყოს.

ლია არსენიშვილი *(დიასახლისი):*

— კვირაში ორჯერ მაინც ვყიდულობ გაყინული ქათმის ბარკლებს, რადგან ამ პროდუქციისგან საკმაოდ მრავალფეროვანი კერძის მომზადება შეიძლება. მახსოვს, ბებიაჩემი ბაზარში საყიდლებზე რომ წავიდოდა, აუცილებლად ქარვისფერ დედალს ყიდულობდა: ყვითელი სიმინდით იქნება გამოზრდილიო. მეც ეს ჩვევად მექცა და ყვითელი შეფერილობის ქათამი უფრო ცხიმიანი და შესაბამისად, უფრო გემრიელიც მგო-

ნია. რა თქმა უნდა, იმის ილუზია ნამდვილად არ მაქვს, რომ იქ, ამერიკაში, ქათმებს ყვითელი სიმინდით ზრდიან და ამიტომაც აქვს ამ ბარკლებს ყვითელი შეფერილობა, მაგრამ ხომ გაგიგონიათ ანდაზა: ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო, და მეც მხოლოდ იმ ბარკალს ვყიდულობ, რომელსაც ყვითელი შეფერილობა აქვს. ასე მგონია, თეთრი ფერის ქათმის ხორცს ცხიმი საერთოდ არა აქვს და ჩალის გემოც ექნება. ალბათ ამიტომაც ღირს ყვითელზე უფრო იაფი, არა?

ეთერ დეკანოიძე *(დიასახლისი):*

— რა თქმა უნდა, ისევე, როგორც ქართველი დიასახლისების უმეტესობა, გაყინული ქათმის ბარკლებს მეც მოვიმხმარ. რას ვამზადებ და თითქმის ყველაფერს: ჩახოხბილს, ჩიხირთმას, ხარჩოს... მეტიც, ზამთარში ერთი ყუთი ბარკალი შევიძინე და შევაბოლინე, საკმაოდ გემრიელი გამოვიდა. დღეს გლეხსაც კი არ დაეჯერება, რომ გასაყიდად გამოტანილი ქათამი „მარგანცოვკიან“ ხსნარში არ შეუღებავს და მით უფრო რთულია არჩევანის გაკეთება, როცა საქმე იმპორტირებულ პროდუქციას ეხება. ამიტომ არასდროს ვყიდულობ ყვითელი შეფერილობის გაყინული ქათმის ბარკლებს. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ არაბუნებრივად ყვითელი ფერი აქვს. მეორეც იმიტომ, რომ გალღვობის შემდეგ, ქარვისფერი სადღაც ქრება. მესამეც იმიტომ, რომ ყვითელი ფერი ჩემთვის ბევრ ქოლესტერინსა და შესაბამისად, ჭარბ ცხიმთან ასოცირდება, რაც ჯანმრთელობისთვის მავნებელია.

უცნაური ის არის, რომ ყვითელი და თეთრი კანის მქონე ბარკლების ხარისხი აბსოლუტურად ერთნაირია და საქართველოსგან განსხვავებით, სხვა ქვეყნებში ერთი ფასი აქვს. გამოდის, ქართველი მომხმარებელი ზედმეტ ფულს მხოლოდ იმიტომ იხდის, რომ ყვითელი შეფერილობის ქათმის დანახვისას, ჯანსაღი პროდუქციის ასოციაცია უჩნდება. ეს ასოციაცია კი, სულ მცირე, კილოგრამზე ზედმეტად გადახდილი



50 თეთრია. ესეც მომხმარებლების სტერეოტიპების ექსპლუატაციის კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითია, რითაც პროდუქციის მომწოდებელი კარგად ხეირობს.

კიდევ უფრო საინტერესოა, როგორ მიიღწევა ქათმის პროდუქციის ყვითელი შეფერილობა. მეფრინველეობაში საკვებ დანამატად ხშირად იყენებენ ნივთიერება ქსანტოფილს (Xanthopyll), რომელიც ქათმის კანს არა მარტო ყვითელ შეფერილობას აძლევს, არამედ კვერცხის გულსაც კი ოქროსფერს ხდის. მანამდე, სანამ ქათმის ხორცის მწარმოებლები პროდუქციის შესაღებად ქსანტოფილის გამოყენებას დაიწყებდნენ, სახორცე ფრინველს, საკვებში კალენდულას ფოთლებს ან მსგავს ოქროსფერ, ყვითელ ან ნარინჯისფერ პიგმენტებს უმატებდნენ. თუ საკვები დანამატის სახით მეწარმე ბუნებრივ პროდუქციას იყენებს, მაშინ იურიდიულად ის ვალდებულია, მომხმარებელს პროდუქციის წარმოების საიდუმლო გაანდოს. თუმცა მომხმარებელს სრული უფლება აქვს, იცოდეს, რა სახის საკვები დანამატით გაჯერებულ პროდუქციას მოიხმარს და რატომ იხდის მეტს მხოლოდ გარეგნულ ეფექტში.

სხვათა შორის, საქართველოსგან განსხვავებით, ყვითელი შეფერილობის ქათმის უპირატესობას ბევრ სხვა ქვეყანაში აღარ ცნობენ. ეს მითი მას შემდეგ დაიმსხვრა, რაც უზარმაზარმა ფერმებმა მასობრივად დაიწყეს ქსანტოფილისა და სხვა საკვები დანამატების გამოყენება მყიდველის გულის მოსაგებად. მართალია, ამ მარკეტინგულმა სვლამ მწარმოებლებს დიდი მოგება მოუტანა, მაგრამ ყვითელი ქათმის პოპულარობა ხანმოკლე აღმოჩნდა. მომხმარებლისთვის ცნობილი გახდა, რომ პროდუქციის გარეგნული მხარე არა ჯანსაღი კვებისა და განსაკუთრებული მოვლის შედეგი, არამედ მათ მისატყუებლად მოგონილი ერთგვარი მარკეტინგული სვლა იყო.

■

სახე

„ვხვდები, რომ ზოუმენი ვანიკო საზოგადოებასაც მოეწონა“



მსახიობმა ვანიკო თარხნიშვილმა ბოლო დროს თავი ახალ ამპლუაში გამოცადა — ტელეპროექტ „ნიჭიერის“ წამყვანად მოგვევლინა. ამ როლში მაყურებელიც მოხიბლა და თავადაც კომფორტულად იგრძნო თავი, ამიტომ არ გამორიცხავს, რომ მომავალში სხვა გადაცემის წამყვანადაც სცადოს ბედი.

ელენე ბასილიძე

— ბავშვობიდან რატომღაც აკვიატებული მქონდა, რომ მსახიობი უნდა გამოვსულიყავი. რომ გითხრათ, მიზნად მქონდა დასახული, რომელიმე თეატრში მეთამაშა, არ იქნება სიმართლე. მაგრამ ფაქტი ის იყო, რომ საკუთარ თავს მომავალში მსახიობად ვხედავდი. მოგვიანებით გადავიფიქრე და არქეოლოგობა მომინდა, მაგრამ როცა უკვე უმაღლეს სასწავლებელში გამოცდების ჩაბარების დრო დადგა, დავკარი ფეხი და თეატრალურ უნივერსიტეტში ჩავაბარე (*იცინის*). დღეს ვამბობ, სურვილი ავისრულე-მეთქი, რადგანაც მთელი შეგნებული ცხოვრება მსახიობობა მინდოდა.

— მუსიკალური განათლება თუ გაქვს?

— მუსიკალური განათლება იძულებით მაქვს მიღებული (*იცინის*). მშობლებმა მუსიკაზე 4 წელი მატარეს. შემდეგ თბილისის ომი დაიწყო, ქვეყანა აირია და მუსიკაზე სიარული ვეღარ განვაგრძე. ისე, კარგად ვუკრავდი, სოლფეჯიოზეც დავდიოდი და გუნდშიც ვმღეროდი. მაგრამ ზარმაცი ვარ, ერთხელ რომ დამეზარა, ვეღარ მივუბრუნდი მუსიკას და თავი დავანებე.

— ის თუ გახსოვს, პირველად როდის დადექი სცენაზე?

— როდესაც თუმანიშვილის თეატრის სცენაზე ნუგზარ ბაგრატიონის სპექტაკლი — „ნუ მიგვატოვებ, მზეო“ ვითამაშეთ. მაშინ, თუ არ ვცდები, 1-ელი კურსის სტუდენტი ვიყავი. გავიდა დრო და თუმანიშვილის თეატრში მსახიობად მივედი.

— ახლა რომელ სპექტაკლებში მონაწილეობ?

— თუმანიშვილის თეატრის შტატში ვარ და ძალიან მიხარია, რომ დღეს ამ სცენაზე მიწევს თამაში, კერძოდ კი სპექტაკლში — „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“, „ბაკულას ღორები“, „ჰარალეთი, ჰარალეთი“, „მელოტი მომღერალი ქალი“...

— ვანიკო, სერიალ „ჩვენს ოფისში“ როგორ მოხვდი?

— კასტინგზე მიმიწვიეს. გასაუბრება გავიარე, როგორც აღმოჩნდა, ჩემი თამაში მოეწონათ და გადაღებაზე დამიძახეს. ასე აღმოვჩნდი ამ სერიალში, სადაც დღემდე ვთამაშობ და ძალიან მიყვარს ჩვენი გუნდი.

— თეატრსა და სერიალში სრულიად განსხვავებულ როლებს ასრულებ...

— თეატრში ცოცხალი მაყურებელი მყავს და იგი სრულიად განსხვავდება ტელევიზიისგან. მაგრამ ორივეგან მსახიობი ვარ და თანაბრად ვიხარჯები. ტყუილია, რომ ამბობენ, ნამდვილი მსახიობი მხოლოდ თეატრს ირჩევსო. ნამდვილი მსახიობი თუ ხარ, თამაში ყველგან უნდა შეგეძლოს. პასუხისმგებლობა, თეატრსა და ტელესერიალში ერთნაირია... მივიჩნევ, რომ მსახიობი ვერც მხოლოდ თეატრით გაიზრდება და ვერც მხოლოდ სერიალში თამაშით. მსახიობმა კინოში, თეატრსა და სერიალშიც თანაბრად უნდა ითამაშოს და სანახევროდ კი არა, მთლიანად უნდა ამოწუროს საკუთარი რესურსი... ამ შემთხვევაში, მსახიობს პროფესიული ზრდის უფრო მეტი შანსი ექნება.

— ბოლო დროს ეკრანებზე საკმაოდ ბევრი ფილმი გამოჩნდა. შენ რომელში თამაშობ?

— ჩემი ბოლო ფილმი — „რაც ყველაზე ძალიან გიყვარს 2“ იყო. მანამდე კი „თბილისურ ლავ სთორიშიც“ ვითამაშე. მიყვარს კინოც და ვცდილობ, რომ საკუთარი შესაძლებლობები მაქსიმალურად წარმოვაჩინო, გავიზარდო და გაცილებით მეტი შევძლო, ვიდრე დღემდე გამიკეთებია.

— ოდესმე შოუმენობაზე თუ გიფიქრია?

— ფიქრით კი მიფიქრია, მაგრამ წარმოდგენა არ მქონდა, თუ როგორ უნდა წამეყვანა გადაცემა. კარგ ტელეწამყვანებს ყოველთვის ტაშს ვუკრავდი, მაგრამ თავად ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ შოუმენობაც გამომივიდოდა.

— ამაში ვინ დაგეხმარა?

— პროდიუსერები დამეხმარნენ, დამაკვალიანეს, თუ რა და როგორ უნდა გამეკეთებინა, სწორ გზაზე დამაყენეს. შემდეგ უკვე თავად ავუღე ალღო და წინ საკუთარი შესაძლებლობებით დავიძარი (*იცინის*). არ ვიცოდი, თუ ასეთი კარგი იქნებოდა შოუმენობა, თორემ ამ საქმეს უფრო ადრე მოვკიდებდი ხელს (*იცინის*).

— რთულია პროექტზე „ნიჭიერი“ მუშაობა?

— კი, რა თქმა უნდა. ადვილად არაფერი კეთდება (*იღიმის*). რაც მთავარია, იმის სურვილი უნდა გქონდეს, რომ რასაც აკეთებ, მაგრად გააკეთო!

— როდესაც ამ პროექტზე მუშაობას დათანხმდი, წინასწარ თუ გრძნობდი, რომ წარმატებული აღმოჩნდებოდა?

— კი, თავიდანვე მივხვდი, რომ წარმატებული გადაცემა გამოვიდოდა და ამ პროექტზე მუშაობას ამიტომაც დავთანხმდი. საერთოდ კი ხელს ისე საქმეს არ მოვკიდებ, რომლის წარმატებაშიც წინასწარ ეჭვი შემეპარება. აღნიშნული პროექტი უკვე კარგად აპრობირებული იყო, მისმა ანალოგმა არაერთ ქვეყანაში გაამართლა, ყველგან დიდი წარმატებით სარგებლობდა. ჩვენთანაც რეიტინგული გადაცემა გამოვიდა, რისიც თავიდანვე მჯეროდა (*იღიმის*). აღმოვაჩინე, რომ ტელეწამყვანობა საინტერესო საქმიანობაა და ის ჩემი პროფესიის ერთ-ერთი ნაწილია.

— ქართული პროექტის („ნიჭიერი“) წარმატება ალბათ შენსა და თიკა ფაცაციაზეც იყო დამოკიდებული, არა?

— აბა, რა! იმ „ჯაჭვში“, რომელსაც „ნიჭიერი“ ჰქვია, თითოეული რგოლი ძალიან მნიშვნელოვანია — ოპერატორებიდან დაწყებული, მონაწილეებით დასრულებული, ყველას მნიშვნელოვანი „მისია“ აკისრია.

— გადაცემისთვის წინასწარ ემზადებით თუ თქვენი ტექსტები სრული იმპროვიზაციაა?

— ძირითადი მონახაზი ყოველთვის გვაქვს, მის გარეშე ვერაფერს გავაკეთებთ. ჩვენი მოქმედების ნაწილი მართლაც იმპროვიზაციაა, ნაწილზე კი — წინასწარ ვმუშაობთ და ჩვენი „ნაწვალები“ მაყურებელთა სამსჯავროზე გამოგვაქვს. ახლა ყველაფერსაც ხომ ვერ გეტყვი?!

— როგორია პირდაპირ ეთერში მუშაობა?

— პირადად მე გადაცემა პირდაპირ ეთერში პირველად წავიყვანე და სიმართლე გითხრა, ძალიან მომეწონა. პირდაპირი ეთერი მართალია, დადებითად არის დამუხტული და საოცრად „ექშენია“, მაგრამ სამაგიეროდ, წამყვანებს უფრო მეტი პასუხისმგებლობაც გვაწევს.

— მონაწილეთაგან რომელიმე თუ იყო სრულიად შეუფერებელი ამ პროექტისათვის?

— ყველას, ვინც ჩვენთან მოდიოდა, რაღაც ჰქონდა გასაკეთებელი; შესაბამისად, რაღაც დოზით, მისაღები იყვნენ ჩვენი პროექტისათვის. ჩვენთან სრულიად განსხვავებული ნიჭისა და შესაძლებლობის მქონე ადამიანები მოვიდნენ. ხომ გახსოვთ, ერთმა ხინკალიც კი ჭამა (*იცინის*). ვფიქრობ, სწორედ ამითაა ეს პროექტი საინტერესო... მე და თიკა თითოეულ მათგანს ვგულშემატკივრობდით, ჩვენ „გამყოფი ხაზი“ ვიყავით მაყურებელსა და მონაწილეებს შორის და ერთგვარად, მედიატორის ფუნქციასაც ვასრულებდით.

— რომელი მონაწილე დაგამახსოვრდა ყველაზე კარგად?

— ოოო, ის მონაწილე უკვე ფინალში გავიდა და ვერ გავამხელ მის ვინაობას (*იღიმის*). ეს არ იქნება ჩემგან სწორი საქციელი. აი, „ტრაქტორიანი ბიჭი“ მართლაც მაგრად დამამახსოვრდა! როდესაც ოპერის სცენაზე, ტრაქტორით მოსული ადამიანი დავინახე, შოკი განვიცადე!.. ჩემი რეაქცია კამერამაც დააფიქსირა — მთელმა საზოგადოებამ იხილა ჩემი და თიკას გაკვირვებული სახეები.



თიკაზე როგორ შეიძლება, კარგი არ ილაპარაკო?!

— მოდი, თიკაზეც ვისაუბროთ, როგორი მეწყვილეა?

— ვაიმე, თიკაზე როგორ შეიძლება, კარგი არ ილაპარაკო?! როგორი საყვარელი და კარგი ადამიანიცაა, ასევე ძალიან მაგარი მეწყვილეც არის! სულ მხარში გიდგას და შეგიძლია, თვალდახუჭული ენდო! ცუდად რომ იყო და ფეხზე დგომა არ შეგეძლოს, ბოლომდე არ მიგატოვებს; შეუძლია, შენი საქმეც თვითონ გააკეთოს. საოცრად სანდო ადამიანია, ძალიან მეგობრული და ჯიგარია!

— ამ პროექტის მსვლელობის მანძილზე მაყურებელმა შენში არაერთი ნიჭიც აღმოაჩინა. საინტერესოა, ადრე თუ გიცდია მანქანის თითით გაწევა ან სათბურის პირით გახეთქვა?

— არა, რას ამბობ?! მიცდია კი არა, იმასაც კი ვერ წარმოვიდგენდი, თუ ოდესმე მანქანის გაწევა მომიხდებოდა. მის დაძვრაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია (*იცინის*)! შემთხვევით გამომივიდა. მაშინ, როდესაც მონაწილე სცენიდან გავიდა, უხერხული პაუზა ჩამოვარდა, ჰოდა, მივედი მანქანასთან და გავქაჩე. ძალიან გამიკვირდა, მისი დაძვრა რომ მოვახერხე (*იცინის*). იგივე მოხდა, როდესაც სათბურა გავხეთქე, „გრელკის“ გაბერვა ცხოვრებაში აზრად არ მომსვლია, ცნობისმოყვარეობამ მძლია, ვცადე და „ყარაულის თოფივით“ გამივარდა (*იცინის*).

— სამომავლოდ რას აპირებ?

— ვაპირებ, ჩემი პროფესიით გავაგრძელო ცხოვრება (*იცინის*), საკუთარ თავზე რაც შეიძლება მეტი ვიმუშაო და საზოგადოება კარგი და სახალისო როლებით გავახარო.

— შეიძლება, მომავალში რომელიმე სხვა გადაცემის წამყვანად მოგვევლინო?

— არ გამოვრიცხავ. ძალიან მომწონს შოუმენობა და იმასაც ვხვდები, რომ შოუმენი ვანიკო საზოგადოებასაც მოეწონა (*იღიმის*). ასე რომ, გამორიცხული არაფერია...

■

„ჩვენ სინანულის მძაფრი განცდით გამოვირჩევით“

ანუ როგორები არიან „სტუმარ-მასპინძლის“ თანამედროვე გმირები

რუსთაველის თეატრში გოშა გორგოშაძის რეჟისორობით დადგმული სპექტაკლის — „სტუმარ-მასპინძელი“ პრემიერამ ანშლაგით ჩაიარა. ბუმბერაზი კლასიკოსის უკვდავი გმირები სცენაზე მსახიობებმა — ლევან ხურციამ (ზვიადაური), ია სუხიტაშვილმა (აღაზა) და ბაჩო ჩაჩიბაიამ (ჯოყოლა) გააცოცხლეს. ლევანი და ია წლებია, ერთმანეთს იცნობენ, მაგრამ მათი სცენაზე პარტნიორობა პირველად მოხდა.

თამუნა კვინიკაძე

— ია, ქისტი ქალის როლი რთული შესასრულებელი ხომ არ აღმოჩნდა?

— რა თქმა უნდა, ამ როლზე მუშაობა ადვილი არ იყო. 9 წელია, რაც რუსთაველის თეატრის მსახიობი ვარ და ამ ხნის მანძილზე რობერტ სტურუას გარდა არც ერთ სხვა რეჟისორთან არ მიმუშავია. გოგა გორგოშაძესთან თანამშრომლობა საინტერესო აღმოჩნდა. ყოველთვის ვამბობდი, — ორ როლზე ვოცნებობ: ერთი, ვაჟა-ფშაველას აღაზა, მეორე — რუსთაველის ასმათია-მეთქი. როცა რეჟისორმა ეს როლი შემომთავაზა, სიამოვნებით დავთანხმდი.

— ესე იგი, ოცნება აგისრულდა.

— ასე გამოდის...

ლევანი:

— იამ აღაზას როლს შესანიშნავად გაართვა თავი.

— შენს გმირზე რას გვეტყვი?

— ზვიადაური საინტერესო პერსონაჟია. „სტუმარ-მასპინძელი“ არაერთხელ მაქვს წაკითხული, საერთოდ, კითხვა ძალიან მიყვარს და ამიტომ ვაჟას შემოქმედებას კარგად ვიცნობ. „სტუმარ-მასპინძელი“ კი ის ნაწარმოებია, რომლის ყოველი წაკითხვისას, სრულიად სხვა სიღრმეში ჩადიხარ, მაგრამ ბოლომდე ჩაწვდომა მგონი, მაინც ვერ შევძელი...

— ბუნება თუ გიყვარს, ვაჟას უფრო კარგად გაუგებ...

— ბუნებაზე ვგიჟდები...

— ჩარგალში ნამყოფი ხარ?

— სამწუხაროდ, არა, მაგრამ ახლო მომავალში ამ მხარეს აუცილებლად ვესტუმრები...

— ზვიადაურს და შენ შორის პიროვნული მსგავსება თუ აღმოაჩინე?

— ზვიადაური სურვილებითა და ვნებებით აღსავსე ადამიანია. ზოგჯერ გონებით ხვდება, რომ მისი ნაბიჯი სწორი არ არის, მაგრამ გულის ძახილით მოქმედებს. ასეთი რამ მეც ხშირად დამმართვია, სურვილს ავყოლივარ და არასწორი ნაბიჯიც გადამიდგამს. ამით ზვიადაურს ძალიან ვგავარ.

— მერე გინანია?

— გამოუსწორებელი შეცდომა არასდროს დამიშვია...

— ია, შენ რით ჰგავხარ და რით განსხვავდები შენი გმირისაგან?

— მეც და ლევანიც სინანულის მძაფრი განცდით გამოვირჩევით. მასთან საერთოს ამ კუთხით ვპოულობ. სპექტაკლში აღაზა აღსარებას ამბობს — „უცხოსთვის ცრემლი ვღვარეო“ და... ერთხელ ჩემს მოძღვართან ვთქვი, ისეთი რამ არასდროს ჩამიდენია, რისი აღიარებაც არ შემიძლია, მაგრამ აღსარების თქმა მაინც ძალიან მიჭირს, შინაგანად სინანულის განცდით ვცხოვრობ-მეთქი. ვისაც სინანული არ შეუძლია, ის უფრო შესაცოდიაო — მითხრა მამამ.

— მოკლედ, ამ სპექტაკლში თქვენი ტანდემი შედგა...

— კი და სცენაზე ერთმანეთს პირველად შევხვდით.

ლევანი:

— მართალია, იას გმირთან ზვიადაურს დიდი ხნით ურთიერთობა არ უწევს, მაგრამ ჩვენი ტანდემი მაინც შედგა. სცენაზე იამ შესანიშნავი პარტნიორობა გამიწია.

— მსახიობისთვის რას ნიშნავს კარგი პარტნიორი?

— მსახიობი „შემოხაზულ წრეში“ მარტო არ უნდა თამაშობდეს, მხოლოდ თავის ხაზს არ უნდა მიჰყვებოდეს, ურთიერთობაზეც უნდა ფიქრობდეს.

ია:

— დიდი მნიშვნელობა აქვს, სცენაზე შენ გვერდით ვინ თამაშობს. მსახიობობა შეგრძნებების პროფესიაა. თუ პარტნიორს, რეჟისორს, განათებას, მუსიკას ვერ გრძნობ,

სცენაზე ერთმანეთს პირველად შევხვდით

არაფერი გამოგივა. როცა მონოლოგი გაქვს, მარტო ხარ და წარმატებაც და წარუმატებლობაც შენზეა დამოკიდებული, მაგრამ როცა დიალოგში შედიხარ, გვერდით ის ადამიანი გჭირდება, რომელიც უსიტყვოდაც გაგიგებს. თუ პარტნიორი არ გივარგა, რაც უნდა მაგარი იყო, თამაში არ გამოვა. შეიძლება, მაყურებელმა შენი მონდომება დაინახოს და დააფასოს, მაგრამ ტანდემი არ შედგება. სამწუხაროდ, არსებობენ ეგოისტი მსახიობები, რომლებიც ცდილობენ, მაყურებლის წინაშე თავად წარდგნენ კარგად და პარტნიორზე არც ფიქრობენ...

— ასეთი პარტნიორები გყოლია?

— არა, ამისგან ღმერთმა დამიფაროს. ფილმებშიც და სპექტაკლებშიც კარგი პარტნიორებით ვარ განებივრებული.

— შეგიძლია, დამისახელო ვინ არიან შენი პარტნიორები?

— თეატრში — ზაზა პაპუაშვილი და კინოში — გიორგი ზანგური. სავარაუდოდ, მაისის ბოლოს ეკრანებზე გამოვა ლევან თუთბერიძის ფილმი — „აი ლავ იუ, ბეიბი“, რომელშიც მე და გიორგი ვთამაშობთ...

— ლევან, შენთვის ვინ არიან კარგი პარტნიორები?

— ბევრი კარგი პარტნიორი მყოლია, მაგრამ ამჯერად მათი დასახელებისგან თავს შევიკავებ...

ია:

— „სტუმარ-მასპინძელში“ ჩვენთან ერთად ბაჩო ჩაჩიბაია თამაშობს.

ლევანი:

— რომელიც არაჩვეულებრივი პარტნიორია.

ია:

— მუშაობის დროს ცოტა უხასიათოდ ვიყავი, უფრო სწორად რომ ვთქვა, განვიცდიდი, როლს თავს როგორ გავართმევ-მეთქი; რაც სანერვიულო არ იყო, იმაზეც ვნერვიულობდი.

ლევანი:

— როცა კლასიკას ეხები, რთულია, ძალიან დიდი სიფრთხილე გმართებს. ამას ყველანი ვაცნობიერებდით, როლებზე მუშაობას თითოეული ჩვენგანი უდიდესი პასუხისმგებლობით შევუდექით.

ია:

— რამდენიმე დღის წინ, სესილია თაყაიშვილის ჩანაწერს მოვუსმინე. მისი სიტყვები დამამახსოვრდა, — „ჩემზე ამბობენ, უხასიათოაო. არადა, უხასიათო ნამდვილად არ ვარ, უბრალოდ, როცა ახალ როლზე ვიწყებ მუშაობას, ვნერვიულობ, მეშინია და დროებით ცუდ ხასასიათზე ვდგები“... ამ გენიალური მსახიობს თავს როგორ შევადარებ, მაგრამ მისმა ნათქვამმა აღაზას როლში მყოფი საკუთარი თავი გამახსენა.

— ლევან, ჯოყოლასნაირ ადამიანთან თუ იმეგობრებდი?

— (*პაუზის შემდეგ*) ვიმეგობრებდი. ჯოყოლასთვის მთავარი სიმართლე და ადამიანური ურთიერთობების მოფრთხილებაა, რაც ფაქტობრივად, მეგობრობაში კომფორტს ქმნის.

— სპექტაკლის დროს ტექსტის დავიწყების ან სხვა გაუგებრობის გამო შექმნილი მდგომარეობიდან პარტნიორს თუ გამოუყვანიხართ?

— როგორ არა?! გიგა ლორთქიფანიძის სპექტაკლის — „წათეს წითელი წაღების“ თამაშის დროს, მთელი მონაკვეთი თავიდან ამომივარდა. ვიდექი სცენაზე და ველოდებოდი, ჩემი პარტნიორი რეპლიკას როდის მეტყოდა. ბოლოს ქეთი ხიტირი მიხვდა, რაც მჭირდა...

ია:

— მე ასეთი რამ არ დამმართვია, მაგრამ ბევრი მსახიობისგან მსმენია, — რეპლიკა კი არა, რა როლს ვთამაშობდი, ისიც კი ვერ გამიხსენებიაო.

— ლევან, რეჟისორ გორგოშაძესთან შენც პირველად იმუშავე, არა?

— დიახ, როცა მსახიობები ერთად შეგვკრიბა, გვითხრა: ამ გენიალური ნაწარმოების მიხედვით, სპექტაკლი ერთობლივი ძალისხმევით უნდა გავაკეთოთო. ბევრ რამეზე ვიმსჯელეთ, ვიკამათეთ... რა თქმა უნდა, საბოლოო სიტყვას ყოველთვის რეჟისორი ამბობს.

ია:

— აზრთა გაცვლა-გამოცვლა აუცილებელია. შეიძლება, გაბრაზდე, გეწყინოს, აწყენინო, იჩხუბო, მაგრამ მუშაობის პროცესში ეს ნორმალურია.

— მაყურებელმა თქვენი ნამუშევარი როგორ შეაფასა?

— ნაწილს ეს სპექტაკლი კატეგორიულად არ მოეწონა, ნაწილს — პირიქით — ძალიან მოეწონა... სიმართლე გითხრა, შუალედური შეფასება არც მინდოდა, რომ ყოფილიყო. სკოლაშიც ასე ვიყავი, 2-იანსა და 4-იანს 2-იანი და 5-იანი მერჩია...

— თქვენს შემოქმედებით საქმიანობაში კიდევ რა სიახლეა?

ლევანი:

— კიდევ ერთ ახალ სპექტაკლში — გოჩა კაპანაძის „მზის დაბნელება საქართველოში“ ვთამაშობ. თავად ავთანდილ გურამიშვილის როლს ვასრულებ. სცენაზე უფროსი თაობის მსახიობების გვერდით ვდგავარ. რაღა დაგიმალო და ვნერვიულობ, ეს უდიდესი პასუხისმგებლობაა.

— შენს პირად ცხოვრებაში რა ხდება?

— პირად ცხოვრებაში სიახლეები სულ არის. ხან ასეა, ხან — ისე...

— ეს როგორ გავიგო?

— ამაზე მეტს ნუღარაფერს მკითხავ.

— ია, ასმათის გარდა, საოცნებო როლი კიდევ დაგრჩა?

— არც თეატრსა და არც კინოში დღემდე არ მომეცა შესაძლებლობა, ბედნიერი ქალის როლი ვითამაშო. არადა, ეს ძალიან მინდა.

— ცხოვრებაში თუ ხარ ბედნიერი ქალი?

— ეს ძალზე პირადი საკითხია, რომელზე ლაპარაკსაც ყოველთვის თავს ვარიდებ.

■



რუსი კონკურსანტის მიერ „დაშანტაჟებულ“ პატარა „მის საქართველოს“ ბებია „ატერორებს“

ნათია ხერგიანი ერთ-ერთი „მის საქართველო“ გახლავთ. ჩვენი ქვეყნის სახელით, ის სილამაზის მსოფლიო კონკურსზე 1994 წელს გავიდა: მცირე ასაკის გამო, გამარჯვების შანსი არ ჰქონდა, მაგრამ გამოცდილება შეიძინა და საბერძნეთიდან მიღებულ შეთავაზებასაც დათანხმდა. მას შემდეგ სწორედ საბერძნეთში ცხოვრობს. მოდელობას უკვე თავი დაანება. ევროპაში ამ სფეროში დამკვიდრებისთვის აუცილებელი ხერხები მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. რეჟისურის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, ამერიკის უნივერსიტეტში სწავლის დაფინანსება მიიღო, მაგრამ უარი თქვა — სამშობლოში დაბრუნება მთელი გულით უნდა და უცხოეთში მცხოვრებ სხვა ქართველ ახალგაზრდებსაც ამისკენ მოუწოდებს.

ეთო ყორლანაშვილი

— „მის საქართველო“ 1994 წელს გავხდი. მაშინ „მის მსოფლიოსთვის“ შიდა შესარჩევი კონკურსი არ ჩატარებულა. უბრალოდ, რუსეთიდან სპეციალისტები ჩამოვიდნენ, რომლებმაც რამდენიმე გოგონას შორის შემარჩიეს. იმ პერიოდში ინგა ჩხეიძის გუნდში ვმუშაობდი — „მოდების თეატრი“ გვქონდა.

— იმ დროს „მის საქართველოს“ ტიტული რამდენად პერსპექტიული იყო?

— „მის მსოფლიოში“ მონაწილეობისთვის კონკურსანტი 18 წლის უნდა ყოფილიყო, მე კი მხოლოდ 12-ის გახლდით. მიუხედავად ამისა, მონაწილეობის ნება დამრთეს. ეს არაკანონიერი იყო, მაგრამ მაშინ ყველაფერი ხდებოდა... „მის მსოფლიოს“ კონკურსზე გასვლა სასიამოვნოსთან ერთად, პერსპექტიულიც იყო: უცხოეთისაკენ „გზები“ გამეხსნა. უამრავი ხალხი გავიცანი, ბევრი ლამაზი გოგონა ერთად ვიხილე... კონკურსზე საპრიზო ადგილის დაკავების უფლება არ მქონდა, რადგან ასაკით პატარა ვიყავი, მაგრამ მაინც კმაყოფილი გახლდით — „მის მსოფლიოში“ მონაწილეობამ დიდი გამოცდილება შემძინა!

— „მის მსოფლიოს“ კონკურსი სად ჩატარდა?

— სტამბოლში.

— შენს ჩაცმულობაზე ვინ იზრუნა?

— ნაციონალური კაბა ილიკო სუხიშვილმა მომცა, საღამოს კაბა კი — ინგა თევზაძემ. სტამბოლში „მის პრესა“ გავხდი. ეს ერთადერთი ჯილდო იყო, რომელიც „მის მსოფლიოზე“ დავიმსახურე.

— ყველაზე უმცროს კონკურსანტს სტამბოლში რაიმე თავგადასავალი ხომ არ გადაგხდენია?

— რუსი კონკურსანტი მაშანტაჟებდა (*იცინის*).

— როგორ?

— მემუქრებოდა — თუ ჭკვიანად არ იქნები, ვიტყვი, რამდენი წლისაც ხარ და აქედან გაგიშვებენო. შემდეგ ვიღაცებთან რეკავდა — სად მომიყვანეთ?! აქ ბავშვები მონაწილეობენ და მე ფინალში ვერ უნდა მოვხვდეო?! შემდეგ, საქმეში რუსები ჩაერივნენ და ის გოგონა ფინალში მაინც გავიდა.

— რატომ აგითვალწუნა?

— რეპეტიციებისას, ქორეოგრაფი 14 გოგონას შორის მეც აუცილებლად მირჩევდა ხოლმე და ეტყობა, ეს ფაქტი არ მოსწონდა...

— შენ გარდა, მცირე ასაკის კონკურსანტები კიდევ იყვნენ?

— არა, კონკურსზე ერთადერთი ბავშვი ვიყავი, მაგრამ გარეგნობით ბავშვს არც ვგავდი.

— აღნიშნე, — უცხოეთისკენ გზა გამეხსნაო. რა შეთავაზებები მიიღე?

— მართალია, კონკურსზე გამარჯვების უფლება არ მქონდა, მაგრამ როგორც მოდელმა, ამერიკიდან, საბერძნეთიდან შეთავაზებები მივიღე. არჩევანი საბერძნეთზე შევაჩერე.

— რატომ?

— საბერძნეთში მეგობრები მყავდა და ალბათ, ერთ-ერთი მიზეზი ეს იყო. ბევრი შეთავაზება მქონდა, მაგრამ წარმატების მისაღწევად, ევროპაში სხვა რაღაცები უნდა გააკეთო, მე კი სხვა რაღაცების გაკეთება არ მინდა.

— ფოტოკამერის წინ გაშიშვლებას გულისხმობ?

— კი. მაგალითად, „პლეიბოისთვის“ სურათები უნდა გადაიღო, მაგრამ ეს ჩემს აღზრდას არ შეესაბამება. შეიძლება, ასეთი ნაბიჯი ჩემზე ბევრად ლამაზმა და პოპულარულმა ადამიანმაც კი გადადგას, მაგრამ მე ამას ვერ გავაკეთებ — მსგავსი საქციელი ჩემში არ „ზის“. ამიტომ მოდელობა მივატოვე.

— ანუ „მის მსოფლიოს“ შემდეგ, მოდელობა განაგრძე, მაგრამ ეს საქმე გარკვეულ ეტაპზე მიატოვე?

— კი, ასე იყო. რეკლამებისთვის ფოტოებს ვიღებდი. მაგალითად, 2004 წელს, ათენის ოლიმპიადის სპორტულ ტანსაცმელს ბერძენ გოგონებთან ერთად, რეკლამა მეც გავუკეთე. შემდეგ მოდელობა მივატოვე... სიმართლე გითხრა, სამოდელო საქმე აღარ მომწონს: როცა გარეგნობით გაფასებენ, ეს სასიამოვნო გარკვეულ ასაკამდეა, შემდეგ კი გბეზრდება. ამიტომ სარეჟისორო ფაკულტეტზე ჩავაბარე.

— მოდელმა რეჟისორობა რატომ გადაწყვიტე?

— რეჟისორობაც და მსახიობობაც: საბერძნეთში, როცა რეჟისურის ფაკულტეტზე აბარებ, სამსახიობო კურსებიც უნდა გაიარო, რადგან არ შეიძლება, მსახიობს მიუთითო, როგორ ითამაშოს, თუკი ეს თავად არ გაქვს გამოცდილი. კინო, თეატრი ძალიან მომწონს და მივხვდი, რომ ყველაზე მეტად რეჟისორობა მინდოდა!

— რეჟისორის ამპულაში მოგისინჯავს ძალები?

— სტუდენტური ფილმი გადავიღე, მაგრამ არავის ვაჩვენებ (*იცინის*).

— რატომ?

— ძალიან „ჩემია“...

— სტუდენტებმა და ლექტორებმა ხომ ნახეს?

— კი და ამიტომაც მივიღე ოკლა-

საქართველოში ზაფხულობით და ახალი წლის დღესასწაულებზე ჩამოვდივარ

ჰომის უნივერსიტეტში სწავლის დაფინანსება, მაგრამ არ გავემგზავრე.

— ამერიკაში სასწავლებლად გამგზავრებაზე უარი რატომ თქვი?

— ბოლო სამი წელია, რაც საქართველოში ზაფხულობით და ახალი წლის დღესასწაულებზე ჩამოვდივარ. ჩემი ოჯახი — ბებია-ბაბუა (რომლებმაც გამზარდეს), ბიძაშვილები ძალიან მომენატრა. 10-წლიანი განშორების შემდეგ, აქ რომ ჩამოვედი, საბერძნეთში დაბრუნება აღარ მინდოდა, არც — ამერიკაში სწავლა!

— საბერძნეთში დედასთან ერთად ცხოვრობ?

— დიახ. მამა რომ გარდამეცვალა, ძალიან პატარა ვიყავი. შეიძლება ითქვას, რომ ბებიამ და ბაბუამ გამზარდეს. პიროვნულ თვისებებში თუკი რამე ფასეული მაქვს, ეს ჩემი ოჯახის დამსახურებაა! უპირველეს ყოვლისა, მე საქართველოს მოქალაქე ვარ. მინდა, საზღვარგარეთ მცხოვრები ყველა ქართველი ახალგაზრდა სამშობლოში დაბრუნდეს, რადგან ძალიან ნიჭიერები არიან. საბერძნეთში ბევრი ქართველი ვარსკვლავია. ევროპაში ვინმეს რამით რომ გააკვირვებ, ესე იგი, მართლა ნიჭიერი ხარ. ქართველებით ვამაყობ!

— საბერძნეთში ქართველ ემიგრანტებს ხვდებით?

— არა, ქართველებთან ხშირი ურთიერთობა არ მაქვს, რადგან სკოლაშიც, უნივერსიტეტშიც ბერძნული სამეგობრო წრე მყავდა. სხვათა შორის, ყველას უკვირს, როცა ვამბობ, — საბერძნეთში სწავლის პარალელურად, ვმუშაობდი-მეთქი. ამაში საოცარი რა არის, დედოფალი ხომ არ ვარ? შეიძლება, ადამიანს სიზარმაცის პერიოდი ჰქონდეს, მაგრამ შეუძლებელია, 14 წლის მანძილზე არ მემუშავა! მით უმეტეს, სასწავლებლისთვის უამრავი ფულია საჭირო. მატერიალური მდგომარეობის მიუხედავად, ევროპაში თითქმის ყველა მუშაობს — ოჯახზე დამოკიდებული ნაკლებად არიან.

— მოდელობის გარდა, რამეს საქმიანობდი?

— კლუბებში ფეისკონტროლიორად ვმუშაობდი. აბა, სწავლის თანხა ხომ უნდა გადამეხადა? ძალიან დატვირთული ვიყავი — ბევრს ვსწავლობდი. სასწავლებელში იმდენ ფულს იხდი, კარგად რომ არ ისწავლო, არ შეიძლება — უბრალოდ, ფული დაგენანება (*იცინის*). კლუბში კვირაში მხოლოდ 4 დღეს ვმუშაობდი.

— ფეისკონტროლიორად მუშაობის იდეა საიდან მოგივიდა?

— ფეისკონტროლიორად რომ მიგიღონ, კარგი გარეგნობა და რაც მთავარია, კარგი რეპუტაცია უნდა გქონდეს. ერთ-ერთ კლუბში მეგობრები ვერთობოდით. კლუბის უფროსი მოგვიახლოვდა და მუშაობა შემომთავაზა. იმ პერიოდში მოდელობას უკვე თავს ვანებებდი; შემოთავაზებას დავთანხმდი. საქმე ერთ კვირაში ავითვისე: უბრალოდ, თოჯინასავით ლამაზად უნდა იდგე, სხვა საქმე არაფერი გაქვს. კარგი გასამრჯელო მქონდა.

— შენთვის საინტერესო საქმე იყო?

— ხალხს ჩაცმულობის, გარეგნობის მიხედვით ვარჩევდი და ზოგს კლუბში რომ არ ვუშვებდი, თითქოს რაღაც „მტკიოდა“. რა მნიშვნელობა აქვს, რა აცვია? ისიც ხომ ადამიანია! ჩემი კლუბი რომ ყოფილიყო, სხვანაირად მოვიქცეოდი.

— თუ არ ვცდები, მომავალი შეყვარებულიც კლუბში არ შეუშვი. რატომ?

— ცუდ ხასიათზე ვიყავი (*იცინის*). შეყვარებული — არა, თაყვანისმცემელი ყოფილა. თურმე ცნობილი ფეხბურთელი იყო. ის ჩემს საქციელს იუმორით შეხვდა და დავმეგობრდით.

— სერიოზულად შეყვარებული არასოდეს ყოფილხარ?

— არა... შინ დიდი „ტერორის“ ქვეშ ვიმყოფები: ბებია მეუბნება, — გათხოვდი, გათხოვდიო! შეიძლება, ადამიანმა ყოველდღე ერთი და იგივე იმეოროს (*იცინის*)?!

— ალბათ სასიძო „შეგულებული“ ჰყავს. როგორი უნდა იყოს ბიჭი, შენი გული რომ მოიგოს?

— თავდაჯერებული, მაკაცური, ყურადღებიანი და მასთან ერთად, ხშირად უნდა ვიცინოდე... ალბათ, ასეთ მამაკაცზე ყველა ქალი ოცნებობს.

— ნათია, ცნობილ სპორტსმენთან — მიხეილ ხერგიანთან ნათესაობა ხომ არ გაკავშირებს?

— კი, მიხეილ ხერგიანი ჩემი უახლოესი ნათესავია, მაგრამ მისგან განსხვავებით, სპორტთან ვერ „ვახლობლობ“. ერთადერთი, იოგა მიყვარს და როცა ცუდად ვარ, ვარჯიშებს ვასრულებ — სულისთვის და სხეულისთვის გადასარევია!

— მოკლედ, მოდელობას თავი დაანებე, ფეისკონტროლიორობა მოგბეზრდა. სამომავლოდ ალბათ რეჟისურაში საქმიანობას აპირებ, ხომ?

— კი, რეჟისორობა, მსახიობობა მინდა. ვნახოთ, რა იქნება... ამჟამად, მსურს, რომ საბერძნეთში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტებზე ფილმი გადავიღო.

— დაბოლოს, ალბათ „მის საქართველოს“ კონკურსებს თვალყურს ადევნებ ხოლმე. ქართველ „მისებს“ როგორ შეაფასებ?

— სამწუხაროდ, კონკურსები არ მინახავს. ზოგადად კი ქართველი მოდელები არ მინდა გავაკრიტიკო: საქართველოში სამოდელო სფერო „გაყინული“ რომ არ არის, ესეც კარგია. ჰოლივუდის დონეზე არაა, მაგრამ რაღაცას რომ ცდილობენ, ეს უკვე მისასალმებელია. ■

პიროვნულ თვისებებში თუკი რამე ფასეული მაქვს, ეს ჩემი ოჯახის დამსახურებაა!

ავთანდილის ახალი კოლექცია, თამუნა ამონაშვილის ემოციები და მაკა ასათიანის მოულოდნელი სტუმრობა

აპრილის ერთ წვიმიან დღეს, კომპანია „არტ-ფეისმა“ თბილისური ბომონდი ავთანდილის 2010 წლის ზაფხულის კოლექციის ჩვენებაზე მიიწვია. საღამო ვაკის საცურაო აუზზე გაიმართა, რამაც იმ მოღუშულ დღეს ვფიქრობ, სიცოცხლე და ხალისი ნამდვილად შესძინა, რადგანაც აუზზე მისული სტუმრები, ღონისძიების ორგანიზატორების მიერ სპეციალურად ჩვენებისთვის შექმნილი მიკროკლიმატის წყალობით, სწორედ რომ საზაფხულო განწყობილებას მაშინვე იქმნიდნენ...

ნამდვილად არ ვიცი, რა სიგრძე-სიგანისაა აღნიშნული აუზი, მაგრამ იქ მისულმა მაშინვე შევნიშნე, რომ მასში საგანგებოდ ჩაედგათ სპეციალური რკინის კონსტრუქცია, რომელზეც პოდიუმი აეგოთ... ჟღერდა მუსიკა, სტუმრებით თანდათან ივსებოდა სივრცე, მათ შორის — ბევრი ცნობილი ადამიანი მოდიოდა... ვაკის აუზზე მეგობრებთან ერთად, პოლიტიკაში ახალგადაბარგებული ჟურნალისტი — ინგა გრიგოლიაც გამოჩნდა, რომელმაც მითხრა, რომ მთელ დღეებს მოსახლეობასთან შეხვედრებს ანდომებს და რომ მისი ახალი საქმიანობა არც ისე იოლია... თუმცა მისი მოუცლელობის მიუხედავად, ინგა უახლოეს მომავალში, ჯრცელ ინტერვიუზე იქვე შევიპირე და ჩვენების ორგანიზატორებისკენ გავემართე, მაგრამ უნებლიეთ პირველად გასაუბრება საღამოს მთავარ „დამნაშავე“ — ავთანდილთან გამომივიდა.

ლალი ფაცია

— ავთო, არ ისვენებ, ხომ?

— არა (*იცინის*).. აუზი, წყალი, ზაფხული, ლამაზი ფერები, მაგარი მუსიკა, კარგი გოგონები, ახალი კოსტიუმები, შესანიშნავი განწყობილება, გემრიელი სასმელი, მშვენიერი საზოგადოება — მითხარი, რით არის ცუდი?

— მაგარია!

— ამიტომ, დღეს აქ დიდი სიამოვნებით წარვადგენ ჩემს ახალ კოლექციას, რომელშიც მთელი გული ჩავდე...

— ამ კოლექციის ნახვა მეც ძალიან მაინტერესებს...

დიზაინერთან ამ მოკლე საუბრის შემდეგ, კულისებში სამოდელო სააგენტო — „არტ-ფეისის“ ხელმძღვანელთან — ლალი ტოტიკაშვილთან გადავინაცვლე. როგორც გავარკვიე, „შარმის“ დახურვის შემდეგ, ლალი ამ ახალ სააგენტოს ჩასდგომია სათავეში და დიდი მონდომებით მუშაობს თავის მოდელებთან (ჰო, მართლა, ჩემს თანამოსაუბრეს ვარდისფერი საღამოს კაბა ავთანდილის კოლექციიდან, ძალიან უხდებოდა)...

ლალი ტოტიკაშვილი:

— ამ ჩვენებისთვის დიდი ხნის განმავლობაში ვემზადებოდით. დღეს კი მაყურებლის წინაშე ჩვენი სააგენტოს 17 მოდელი გამოვა. იმის გამო, რომ საზაფხულო-საპლაჟო, საღამოს კაბებია წარსადგენი, ადგილიც სპეციალურად შეირჩა. აუზში საგანგებოდ ჩადგმულ პოდიუმზე გოგონებმა ფეხშიშველებმა უნდა გაიარონ...

ის იყო, ლალისთან ინტერვიუ დავასრულე, მოვბრუნდი და იქვე ადამიანების ჯგუფი შევნიშნე, რომელიც დიზაინერ მაკა ასათიანის გარშემო შეკრებილიყო. ისინი მაკას მოულოდნელ გამოჩენას საოცრად გაეხარებინა. ულამაზესი ქალბატონი, როგორც ყოველთვის, შესანიშნავ ფორმაში იყო... ჰოდა, მეც მათ შევუერთდი...

თეონა თავართქილაძე:

— მართალია, გარეთ თავსხმა წვიმაა, ცუდი ამინდია და ცივა, მაგრამ როგორც კი აქ შემოვედით, ყველანი მაშინვე კარგ განწყობილებაზე დავდექით. ავთო საზაფხულო კოლექციის წარმოდგენას აპირებს. ძალიან მომეწონა იდეა, რომ ჩვენება აუზზე გაემართათ, ადგილი სწორად შეურჩევიათ... ჩემს კარგ განწყობილებას კიდევ ის აძლიერებს, რომ დღეს მაკაც ჩამოგვივიდა და ის, თქვენთან ერთად, მეც ახლა პირველად ვნახე... ასე რომ, ველი კარგ სანახაობას, რომელიც გველოდება...

— თავად როდის გეგმავ შენს მორიგ ჩვენებას?

— სულ მალე, 6 მაისს...

მაკას აზრის მოსმენაც მინდოდა, მაგრამ მითხრა, — ჩემს შთაბეჭდილებას ჩვენების შემდეგ გაგიზიარებო... სამაგიეროდ, ჩვენებამდე გასაუბრებაზე **დიზაინერ ბიჭოლას**, *უარი არ უთქვამს, რომელიც იქ თავის მუზასთან, 15 წლის ულამაზეს ნანა გუდავაძესთან ერთად გახლდათ მოსული.*

— ლალი ტოტიკაშვილთან დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებს, ამიტომ მის მიერ მოწყობილ ნებისმიერ ღონისძიებას ყოველთვის სიამოვნებით დავესწრები.

— მართალია, რომ შენი მუზა

— ნანა გუდავაძე გახდა შენი ახალი კოლექციის სახე?

— დიახ, ასეა. ეს არაჩვეულებრივი გოგონა, სამოდელო სააგენტო „ამსას“ აღმოჩენაა და სწორედ მისგან არის შთაგონებული ჩემი ახალი კოლექციაც.

— როდის გეგმავ საკუთარი ჩვენების მოწყობას?

— ჯერჯერობით მუშაობის პროცესში ვარ...

— ისე, საკმაოდ უცნაური იმიჯი გაქვს...

— ლონდონში ცხოვრების შემდეგ ძალიან შევიცვალე მეც და შესაბამისად — ჩემი იმიჯიც...

აი, დაიწყო კიდეც ავთანდილის კოლექციის დემონსტრირება... მართლა ლამაზი სანახავი იყვნენ სხვადასხვა ფერის, საზაფხულო სამოსში გამოწყობილი, პოდიუმზე ფეხშიშველი მოსიარულე მოდელები... მოდის მოყვარულებმა დიზაინერის სულ 34 კოსტიუმი იხილეს... ბოლოს, პოდიუმზე, „პაკლონისთვის“ ავთანდილიც გამოჩნდა. შემდეგ კი, მისალოცად, კულისებისკენ მაყურებლები გაემართნენ. მათ შორის, ერთ-ერთი პირველები — მაკა ასათიანი და თეონა თავართქილაძე გახლდნენ.

მაკა ასათიანი:

— არაჩვეულებრივი სანახაობა იყო. ძალიან მომეწონა. მოდი, ამ ყველაფერს ასე დავახასიათებ — საინტერესო, ლამაზი და ხალისიანი... საზაფხულო განწყობილებას ნამუშევრები ნამდვილად შეესაბამებოდა.

— ავთანდილის მიერ შექმნილი სამოსი შენს გარდერობში თუ მოიძებნება?

— კი...

— თვითონ არ აპირებ მოდის სფეროში დაბრუნებას?

— (*ღიმილით*) არა...

— დაუჯერებელია, შენი ჩვენე-

ბა ჩვენ მოგვენატრა და პროფესიონალი ამას როგორ ამბობ? *(იღიმის).* **ბოლოს უცხოეთში რამდენი ხნით იყავი წასული?**

— ერთი თვით. აქ ცოტა ხანს ვიქნები და ისევ წავალ...

— **თბილისში რომ ჩამოდიხარ, დროს ძირითადად, რას უთმობ ხოლმე?**

— მეგობრებს, ოჯახს... განსაკუთრებულს არაფერს — მოკლედ, ძველი საქმიანობით ბოლო დროს აღარ ვარ დაკავებული...

იმ საღამოზე, კიდევ ერთი, საქართველოდან დიდი ხნით წასული მომღერალი აღმოვაჩინეთ, რომელიც ნაცნობ-მეგობრებს სითბოს უნაწილებდა. ეს თამუნა ამონაშვილი გახლდათ.

— საქართველოდან 2 წელი და 4 თვე ვიყავი წასული. თბილისში ცოტა ხნის წინ ჩამოვედი. აქაურობა მართლა ძალიან მომენატრა.

— **გამგზავრებას კიდევ აპირებ?**

— კი. და ძალიან მიხარია, რომ ისევ თქვენთან ერთად ვარ. დღეს აქ ადამიანებისგან იმდენი სითბო და სიყვარული მივიღე და თავადაც გავეცი, რომ ემოციებს ვერ ვთოკავ... მოკლედ, ძალიან ბედნიერი ვარ... ამასთან, ძალიან მიყვარს ავთო ცქვიტინიძე. ის ყოველთვის ორიგინალურობით გამოირჩევა. ამიტომაც იყო, რომ ეს ჩვენება ასეთი ორიგინალური გამოუვიდა...

აზრი მსახიობ ***ია ფარულავასთვისაც*** *რომ არ მეკითხა, ალბათ აუზის ტერიტორიას ისე ვერ დავტოვებდი. ია ჩვენების შემდეგ, დაქალებთან ერთად ოჯდა და საუბრობდა.*

— ნამდვილად კარგი კოლექცია იყო. აგერ ზაფხულიც კარს მოგვადგა და ავთანდილისგან დროული იყო ამ კოსტიუმების წარმოდგენა. ხომ უნდა გვენახა ის, თუ რას გვთავაზობს ავთანდილი ზაფხულში?..

— **მერე საზაფხულოდ რომ არ ხარ ჩაცმული?**

— გარეთ ცივა, წვიმს, მაგრამ აქ შემოსული მართლა გავთბი და გავხალისდი... ■

სიურპრიზი ფლირტის მოყვარული და სექსუალური ქალბატონებისთვის...

მართალია, საქართველოში ჯერჯერობით ჩვენებებს მხოლოდ ქართველი დიზაინერები მართავენ, მაგრამ მომავალ შემოდგომას, ქართული მოდის უდიდეს ღონისძიებაზე, როგორიც „ჯორჯიან ფეშენ ვიკია“, შესაძლებელია, ისეთი სერიოზული უცხოელი დიზაინერი გვეწვიოს, როგორიც მარკ ჯაკობსია. წელს, ჩვენში ჩატარებულმა „ჯორჯიან ფეშენ ვიკმა“ ამისთვის ნიადაგი უკვე მოამზადა. ამის შესახებ კი ჟურნალისტებმა „თბილისი-მარიოტში“ მასმედიისთვის მოწყობილ პრესლანჩზე შევიტყვეთ, რომლის მასპინძელი კომპანია „ისი-პარი“ და მისი მარკეტინგისა და პიარის დეპარტამენტის ხელმძღვანელი — ხატია შამუგია გახლდათ.

ლალი ფაცია

მარკ ჯაკობსი ნიუ-იორკში დაიბადა. ხელოვნებისა და დიზაინის უმაღლესი სკოლის დამთავრების შემდეგ, შექმნა თავისი პირველი კოლექცია, რომელიც ხელით ნაქსოვი სვიტერებისგან შედგებოდა. ახალაღმოჩენილ ტალანტს მოდის სამყაროს წარმომადგენლებისგან არ დაჰკლებია შექება, მაღალი ჯილდო, წოდება, ხარისხი და აღიარება... ჯაკობსმა ასევე გამოუშვა მამაკაცის ტანსაცმლის პირველი სრული ხაზი. კოლექცია შედგებოდა ისეთი ტანსაცმლისგან, რომლის ჩაცმაც პირადად მარკ ჯაკობსს სურდა. იყო ასევე ჩანთები და ფეხსაცმელიც. ხარისხი, ღირსება, ლიდერობა, ენთუზიაზმი, პატივისცემა, თავმდაბლობა, ქველმოქმედება, ოჯახი — ეს გახლავთ მარკის უმთავრესი ღირებულებები. 2001 წელს კი მისმა კომპანიამ პირველი სუნამოც გამოუშვა. „სუნამო, ისევე, როგორც სამოსი, შექმნილია იმისთვის, რომ გამოხატოს ძლიერი, ინდივიდუალური სტილი“, — აღნიშნავს დიზაინერი. ჯაკობსის სუნამო ინარჩუნებს ყველა იმ ფუნდამენტურ ასპექტს, რაც მის დიზაინს ახასიათებს — ის საოცრად ახალგაზრდულია და უკვე დიდი ხანია, რაც მისი სახელი უმაღლეს ხარისხთან ასოცირდება; ხარისხის ეს დონე ვრცელდება მისი სუნამოების კოლექციაზეც. მაგრამ სანამ ჯაკობსი საქართველოში ჩამობრძანდება, მანამდე მის პროდუქციას ქართველი პარფიუმის მოყვარულები „დააგემოვნებენ“. ამაზე კი უფრო ვრცლად ***ხატია შამუგია*** *გვესაუბრება:*

— ქართველი პარფიუმის მოყვარულებისთვის, საქართველოში, კერძოდ, ჩვენს ქსელში სერიოზული ორი ბრენდი შემოვიდა — მარკ ჯაკობსის სუნამოები და „ქლოე“, რომლებიც მსოფლიოში დიდი პოპულარობით სარგებლობს. მათმა სურნელმა მსოფლიოში სენსაცია მოახდინა. ადრე თუ საქართველოდან ვინმე უცხოეთში მიდიოდა, მას აბარებდნენ, ჩამოეტანა ჯაკობსის სუნამო, რომლითაც შემდგომ ქართველი ლამაზმანები თავს მოიწონებდნენ. დღეს ეს პრობლემა მოხსნილია... ეს ფაქტი ქართველი ჟურნალისტებისთვის რომ გვეცნობებინა, გავმართეთ პრესლანჩი, რადგანაც თქვენ ჩვენი სერიოზული შემფასებლები ხართ.

— **რას გვეტყვი თითოეულ სუნამოზე?**

— მარკ ჯაკობსის — „დეიზი“, როგორც მას პარფიუმერიის კრიტიკოსები ახასიათებენ, არის ნორჩი, კეკლუცი გოგონასთვის, რომელსაც უყვარს ფლირტი... „ლოლა“ კი გახლავთ „დეიზის“ უფრო სექსუალური „და“. მის დიზაინშიც მთლიანად არის წარმოდგენილი მარკ ჯაკობსის ბოლო კოლექციის მთავარი ასპექტი — ფლაკონს მთლიანად ქალის სილუეტის ფორმა აქვს... რაც შეეხება „ქლოეს“, ეს ფრანგული მოდის სახლი გახლავთ, სადაც მაღალი დონის სამოსი იქმნება და ასეთივე დიზაინერები მუშაობენ. 60-70-იან წლებში იქ მუშაობდა კარლ ლაგერფილდი; „ქლოეს“ სახლის აქტიური მომხმარებლები იყვნენ — ბრიჟიტ ბარდო, მარ-

ია კალასი. მათთან თანამშრომლობდა სტელა მაკარტნი; მისი ერთგული მომხმარებელია ნატალი პორტმანი. „ქლოეს“ სუნამოს ფლაკონი, სპეციალურ მინის ჩამომსხმელ ქარხანაში კეთდება, რომლის მოვერცხლილ თავსახურს სპეციალურ საიუველირო სალონში ამზადებენ. ლენტი კი, რომლითაც ის არის გაწყობილი, ისეთ კომპანიაშია მოქსოვილი, რომელიც 130 წელია, მქსოველებს ამზადებს. ის ვერცხლის ქვიშით არის გაკეთებული და აქვს ფრანგული შამპანურის ფერი... ლენტის შებმა ფლაკონზე ხელით ხდება.

— რაც შეეხება მარკ ჯაკობსის საქართველოში ჩამოსვლას, რამდენად რეალურია?

— ეს ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო ფაქტი იქნება; მოგეხსენებათ, რომ ჩვენი კომპანია პარტნიორი გახლდათ ისეთი ღონისძიებისა, როგორიც „ჯორჯიან ფეშენ ვიკია“. გრანდიოზული მოვლენა იყო, დღეში 7 დიზაინერის ჩვენება იმართებოდა. მისმა ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ იგი წელს ოქტომბერში ისევ ჩატარდება და ისინი დაინტერესებულები არიან, რომ მარკ ჯაკობსი საქართველოში ჩამოვიდეს.

გვანცა კილასონია, *რადიო „ფორტუნას“ დირექტორი:*

— მიხარია, რომ საქართველოში პარფიუმერიული ბაზარი იზრდება. არ უნდა ვიყოთ მოკლებულები მსოფლიოში აღიარებულ არომატებს. მარკ ჯაკობსის სუნამო — „ლოლა“ ჩემთვის ზედმეტად ტკბილი არომატის მქონეა, მაგრამ რაც შეეხება „ქლოეს“, ეს არაჩვეულებრივია, ქალს ის აუცილებლად უნდა ჰქონდეს თავის ტუალეტის თაროზე. თუმცა მაინც გემოვნების საკითხია: ვისაც ტკბილი სურნელი მოსწონს, „ლოლას“ აირჩევს. მაგრამ როგორც დიზაინერი, მარკ ჯაკობსი მეტად თავდაჯერებულია, ვიდრე — სურნელში. ეს ჩვენ სპეციალურად მომზადებულ ვიდეომასალაშიც ვიხილეთ...

■

ვარსკვლავები

როკ–ენ–როლის „აკვანი“ და ლეგენდარული მუსიკოსები

როკ-ენ-როლის მოყვარულებმა „თავისუფლების მუსიკის“ დაბადების დღე აღნიშნეს. ნახევარ საუკუნეზე ოდნავ მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ამერიკაში როკ-ენ-როლის „აკვანი დაირწა“, მისი მეფე კი ელვის პრესლი გახდა.

ამ მუსიკალურ მიმდინარეობას 1952 წელს ჩაეყარა საფუძველი, როდესაც კლივლენდის რადიოსადგურის დიჯეიმ — ალან ფრიდმა ეთერში აკრძალული რიტმ-ენდ-ბლუზის სტილში შექმნილი ჩანაწერების გაშვება გაბედა. იმისათვის, რომ მოუმზადებელი პუბლიკა შოკში არ ჩაეგდო, ფრიდმა სტილს ახალი სახელი მოუგონა და როკ-ენ-როლი შეარქვა. 50-იანი წლების შუა პერიოდში ეს მიმდინარეობა საოცრად პოპულარული გახდა. 1954 წლის 12 აპრილს ბილი ჰეილიმ და მისმა კოლექტივმა Comets როკის სტილში შექმნილი Rock Around The Clock პირველი ნამუშევარი ჩაწერეს და სწორედ ეს დღე მიიჩნევა როკ-ენ-როლის ოფიციალურ დაბადების დღედ. ამ პერიოდშივე აკაშკაშდა როკ-ენ-როლის „შავი მეფის“ — ჩაკ ბერის ვარსკვლავიც, რომელსაც პირველ მომღერალ-გიტარისტსა და როკ-ენ-როლის გიტარის ზარისებური ჟღერადობის გამომგონებელსაც უწოდებენ. ორჯერ დაპატიმრების მიუხედავად, ჩაკ ბერიმ კოლოსალურ წარმატებას მიაღწია. ეს წარმატება პირველ რიგში, იმით იყო განპირობებული, რომ მუსიკოსმა „თეთრი და შავი მოსახლეობის“ მუსიკას შორის ზღვარი წაშალა და თითოეული მათგანისგან ყველაფერი საუკეთესო აითვისა. ჩაკ ბერის შემოქმედებამ მსოფლიოს ბევრ მუსიკოსს ექსპერიმენტებისკენ უბიძგა. 50-60-იანი წლების გასაყარზე, ბერის სიმღერები ლივერპულში ჯერ კიდევ ყველასთვის უცნობი Beatles-ის შესრულებით ჟღერდა, მოგვიანებით კი მისმა მუსიკამ Rolling Stones-ის კონცერტებზე ახალი ჟღერადობა შეიძინა. ჩაკ ბერიმ როკ-ენ-როლის ისტორიაში ჩარტებში შესული პირველი მომღერალი გიტარისტის სახელი დაიმკვიდრა, მაგრამ როკ-ენ-როლის ჭეშმარიტი ტრიუმფი მეორე ამერიკელი ვარსკვლავის სახელს უკავშირდება...

ერთხელ, სტუდია „სანის“ კარზე მოკრძალებულმა ჭაბუკმა — სატვირთო მანქანის მძღოლმა დააკაკუნა, რომელსაც სიმღერის ჩაწერა სურ-



და... უკვე ერთი წლის შემდეგ ჭაბუკი მეგობარ მუსიკოსებთან ერთად, ამერიკის კონტინენტს სერავდა და დარბაზებს მაყურებლით ავსებდა, ხოლო როდესაც რადიოსადგურის ეთერში კომპოზიცია Heartbreak Hotel აჟღერდა, ამერიკამ ახალი ვარსკვლავი — ელვის პრესლი გაიცნო. სცენაზე მოძრაობის, ცოტა არ იყოს, „უწესო“ მანერამ, თავდაპირველად, მკაცრი ამერიკელების კრიტიკა გამოიწვია, მაგრამ რაც უფრო მეტად კიცხავდნენ, პრესლის პოპულარობა მით უფრო იზრდებოდა; როდესაც მომღერალი ტელეეკრანზე პოპულარულ მუსიკალურ შოუებში გამოჩნდა, ათასობით ქალის გული მოინადირა და მას შემდეგ, სადაც უნდა ყოფილიყო, ფანატები არ ასვენებდნენ. „ქალწულთა ვნებებს“ ელვისი პირველად ფლორიდაში გადაეყარა. ექსტაზში მყოფი რამდენიმე გოგონა სცენაზე აიჭრა და ვიდრე ელვისი გიტარის გადარჩენას ცდილობდა, ტანზე კოსტიუმი შემოახიეს. ერთ-ერთმა გოგონამ მომღერალს ფეხსაცმელი გახადა, მეორემ კი შარვალი კბილებით გაუხია.

1956 წელს ელვისი ჰიტებით — Don't Be Cruel და Hound Dog და ბალადით — Love Me Tender — რეკორდული ვადით — 36 კვირის განმავლობაში, ჰიტაღლუმებში პირველ ადგილებს იკავებდა. მანამ წელს ექვსი „ოქროს დისკი“ გამოუშვა, ფირფიტები მრავალმილიონიანი ტირაჟით გაიყიდა. თანდათან როკ-ენ-როლი ყველაზე შემოსავლიანი მუსიკალური სტილი გახდა.

ელვის პრესლის არნახული კომერციული წარმატების შემდეგ, როკ-ენ-როლით უმსხვილესი მუსიკალური ლეიბლები დაინტერესდნენ და პატარა სტუდიების დამწყებ ნიჭიერ შემსრულებლებზე ნადირობა დაიწყეს. 50-იანი წლების ბოლოს როკ-ენ-როლი ისეთი ვარსკვლავებით გამდიდრდა, როგორებიც იყვნენ — ლიტლ რიჩარდი, ჯერი ლი ლიუისი, ბადი ჰოლი. ისინი ამერიკელები იყვნენ და 60-იანი წლების დასაწყისში, მიმდინარეობას ახალი სიცოცხლე შთაბერეს. როკ-ენ-როლში ეგრეთ წოდებული, „ბრიტანული შეჭრა“ 1964 წლის თებერვალში დაიწყო. ნიუ-იორკის აეროპორტში ჩასულ ჯგუფს ათასობით თაყვანისმცემელი დახვდა. The Beatles-მა მალე ახალი სინგლი Can't Buy Me Love"/"You Can't Do That შექმნა, რომელსაც წინასწარი განაცხადების არნახული რაოდენობა — 3 მილიონი მოჰყვა. ასეთი რამ მანამდე ჯერ არავის ახსოვდა! მეორე ამერიკული ტურნეს დროს The Beatles მათ კერპს, ელვის პრესლის ესტუმრა. შეხვედრამ მკაცრად გასაიდუმლოებულ ვითარებაში ჩაიარა. მუსიკოსებმა ერთმანეთს საჩუქრები მიართვეს, ისაუბრეს და მუზიცირებდნენ. ამ შეხვედრის შემდეგ, კიდევ ერთი მითი გავრცელდა The Beatles-ისა და ელვის პრესლის ერთობლივი შემოქმედებითი თანამშრომლობის შესახებ, თითქოს მუსიკოსებმა რამდენიმე კომპოზიცია შეასრულეს და მაგნიტოფონზე ჩაწერეს, მაგრამ ის ჩანაწერები არასდროს გამოცემულა. რამდენიმე ხმის ჩამწერმა ფირმამ აგენტებიც კი დაიქირავა, მაგრამ ფირების ადგილმდებარეობის დადგენა ვერ მოხერხდა...



„რკინის ფარდის“ მიუხედავად, „ბიტლომანიას“ ვერც ყოფილი საბჭოთა კავშირი გადაურჩა. საბჭოთა მსმენელს მათი მუსიკის ლეგალურად მოსმენის საშუალება 1960-იან წლებში შემთხვევით მიეცა: „მუსიკალური კალეიდოსკოპის“ სერიის ერთ-ერთი ფირფიტის მომზადების დროს, ფირფიტაზე თავისუფალი ადგილი დარჩა, რომლის შევსება The Beatles-ის სიმღერით Girl გადაწყვიტეს. ფირფიტა ასეთი წარწერით გამოვიდა: „კვარტეტი „ბითლზ“, „გოგონა“, მუსიკა და ტექსტი — ხალხური“. საბჭოთა მსმენელი დასავლური მუსიკის მოსასმენად მზად აღმოჩნდა...

Beatles-ის მუსიკა მრავალი საბჭოთა შემსრულებლისა თუ ჯგუფის კარიერაში რადიკალური გადაწყვეტილებების მიღების მომენტად იქცა... ■

რუბრიკა მოამზადა **ნატო მანჯავიძემ**

სიძულვილი და მადლიერება

მარი ჯაფარიძე

ვეთანხმები იმას, ვინც ამბობს, რომ ჟურნალისტობა საინტერესო პროფესიაა, მაგრამ რამდენადაც საინტერესოა, იმდენად — რთულიცაა.

ვზივარ ახლა და ჩემი რესპონდენტის ნაამბობზე ვფიქრობ... შთამბეჭდავი ამბავია... გამაოგნებელიც კი... მაგრამ როგორ დავიწყო?.. რა დავწერო?.. პირველი სიტყვისა და ფრაზის შერჩევა ყოველთვის მიჭირს. თუ დავიწყე, მერე კი მიდის აზრი მსუბუქად, ძალდატანების გარეშე. მთავარი დაწყებაა... ჩემს რესპონდენტსაც დაწყება გაუჭირდა...

შეხვედრაზე თავად შემითანხმდა და როგორც თქვა, სასაუბროდ სტიმული ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემას მიუცია. თუმცა, მისი ამბავი საკმაოდ განსხვავებულია და ზღაპარს უფრო ჰგავს. მიჭირს დასკვნის გაკეთება, ამ ზღაპარს კარგი დასასრული აქვს თუ ცუდი...

* * *

დალიმ უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ფეხსაცმლის სამკერვალო ფაბრიკაში დაიწყო მუშაობა. არაფრით გამორჩეული გოგონა იყო. არც გარეგნობა ჰქონდა განსაკუთრებული. თაყვანისმცემლებიც კი არ ჰყავდა. ჩუმი გოგონა თავჩაქინდრული მუშაობდა მუდამ.

ერთ დღეს მათთან საამქროში პროფკავშირის თავმჯდომარე შევიდა და საგზური ააფრიალა.

— გოგონებო, უფროსებიდან ერთ-ერთმა საგზურზე უარი თქვა, უნდა გადამარჩინოთ და ვინმე დათანხმდეთ გუდაუთაში უფასო საგზურით დასასვენებლად წასვლაზე.

ყველას გაეცინა. გიჟები ხომ არ იყვნენ, ნოემბერში ზღვაზე დასასვენებლად წასულიყვნენ?

— მე წავალ, — უეცრად გაისმა დალის ხმა.

— უჰ, რა კარგი გოგო ხარ. საგზურის ჩამოწერა არ დამჭირდება და პრემიას მივიღებ, — შვებით ამოისუნთქა თავმჯდომარემ.

* * *

საღამოს, შინ მისული დალი თავს იმტვრევდა, ვისთვის დაეტოვებინა ძაღლი. მარტო ცხოვრობდა. 2 წლის წინ მშობლების ბინა „დაახურდავეს“, მის დას 2-ოთახიანი შეხვდა, რადგან გათხოვებას აპირებდა და უფრო დიდი ფართი დასჭირდებოდა. რა თქმა უნდა, ოდესმე დალიც გათხოვდებოდა, მაგრამ ჯერ ხომ გასათხოვარი იყო და თაყვანისმცემელიც არ ჩანდა. ძაღლიც დისგან ერგო „მემკვიდრეობად“...

მეზობლის გოგონა დათანხმდა ძაღლის შენახვაზე იმ პირობით, რომ დალი მას საჩუქარს ჩამოუტანდა.

* * *

პანსიონატი სანაპიროდან 100-ოდე მეტრში იყო აშენებული. ზღვის ტალღების ხმა ფანჯრიდან შემოდიოდა და დალის ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ჰაერიც კი მარილით გაჯერებული და მლაშე იყო.

ადმინისტრატორს გაუკვირდა, როდესაც გაიგო, რომ დალი მაღალჩინოსნის შვილი, ცოლი ან საყვარელი კი არა, ფეხსაცმლის ფაბრიკის რიგითი თანამშრომელი გახლდათ.

— ჩვენი პანსიონატი ელიტურია, — თქვა მან, — ძირითადად მაღალი თანამდებობის პირები და მათი ოჯახები ისვენებენ.

დალის ეწყინა, მაგრამ არ გამოუმჟღავნებია.

— მე მოწინავე მუშა ვარ და საგზურით დამაჯილდოეს, — ამაყად უთხრა.

2-ადგილიანი ნომერი შეხვდა, მისი მეზობელი ასაკოვანი ქალბატონი აღმოჩნდა, რომელიც ჭიათურის მაღაროს მუშა გახლდათ. როგორც ჩანდა, ის პირველად მოხვდა ასეთ ადგილზე, რადგან იმდენი ტანისამოსი ჰქონდა წამოღებული, მთელი წელი ეყოფოდა. თბილისური საზომით, მისი სამოსი სასაცილოდ გამოიყურებოდა, მაგრამ დალის სიტყვაც არ დასცდენია.

საღამოობით ვერაფრით გაერთობოდი, რადგან დასვენების სეზონი არ იყო. თუ კარგი ამინდი იდგა, გვიან ზღვისპირა პარკში დისკოთეკა ეწყობოდა. თუ წვიმდა, პანსიონატის დარბაზში ფილმს უშვებდნენ. დალი დისკოთეკაზე არ მიდიოდა. აივანზე სკამს დაიდგამდა და იქიდან უყურებდა ლამპიონების შუქზე მოცეკვავე წყვილებს. იქ ისეთი ხალხი იყრიდა თავს, როგორიც მისი მეზობელი — სასაცილოდ ჩაცმული, თავზე დიდი თმის ბულულით. ვინაიდან დამსვენებელი მამაკაცები ცოტანი იყვნენ, საცეკვაო მოედანზე ქალები ერთმანეთს ასწრებდნენ კავალრის დათრევას.

ერთ დღეს დალი ქალაქში წავიდა, რათა იქაურობა დაეთვალიერებინა და შემდეგ მეგობრებისთვის მოეყოლა, როგორი იყო გუდაუთა. ჩვეულებრივი პროვინციული ქალაქი იყო. ქუჩაში ქათმები, ინდაურები და მსხვილფეხა პირუტყვი დასეირნობდა.

მანქანები გიჟებივით „დარბოდნენ“ და მოძრაობის წესებს არ იცავდნენ. ვინც უფრო გაბედული იყო, მისთვის შუქნიშანზე სულ „მწვანე“ ენთო. იქაურობის თვალიერებით გართულმა დალიმ ტროტუარიდან ფეხი ჩადგა და... არც დაუნახავს მარცხენა მხრიდან მომავალი ტაქსი... უეცრად, მუხრუჭების ხმამ მოიყვანა გონს.

მძღოლი ჩასკვნილი, ჭაღარა, აფხაზი მამაკაცი გახლდათ. მან კარი გააღო და მანქანიდან გადმოვიდა. გოგონამ თავი მხრებში ჩარგო, რადგან იფიქრა, „თბილისური წესით“, ახლა გალანძღავდნენ და ისეთ რამეს ეტყოდნენ, სირცხვილით დაიწვებოდა. მძღოლი მიუახლოვდა, მხარზე ხელი დაადო და თვალებში ჩახედა.

— ცუდად ხომ არ ხართ? — ჰკითხა მამაკაცმა.

— არა, — თავი გააქნია დალიმ.

— მოდი, გზის მეორე მხარეს გადაგიყვანთ, — მამაკაცმა ხელი ჩასჭიდა და გზაზე გადაიყვანა.

მოულოდნელობისა და შიშისგან დალი ატირდა. ამ დროს საიდანღაც მისი მეზობელი, ნანა გაჩნდა. დალი დაამშვიდა, ტაქსის მძღოლს მადლობა გადაუხადა და გოგონას ფეხი ააჩქარებინა,

რათა პანსიონატში მიმავალ ავტობუსზე არ დაჰგვიანებოდათ.

ნანა თბილი, ყურადღებიანი ქალი აღმოჩნდა, მაგრამ უზომოდ ბევრს ლაპარაკობდა. თბილისში ნამყოფი არ ვარო, უთხრა დალის და დედაქალაქის შესახებ ყველაფერს დაწვრილებით ეკითხებოდა.

თავგაბეზრებულმა დალიმ აუზზე, საცურაოდ წასვლა გადაწყვიტა. მით უმეტეს, რომ სასადილოში ბევრს ლაპარაკობდნენ იმ მამაკაცზე, რომელიც მსურველებს ცურვას ასწავლიდა.

დალის ძალიან ლამაზი, უცხოური საცურაო კოსტიუმი ჰქონდა. 2 წლის წინ, ვაგზლის საპირფარეშოში, სპეკულანტისგან იყიდა. მეგობრები 2 წლის განმავლობაში, ზედიზედ თხოულობდნენ მისგან საცურაო კოსტიუმს, თვითონ კი პირველად მიეცა შესაძლებლობა, ჩაეცვა და თავი მოეწონებინა.

დალიმ ამაყად შეაბიჯა იმ დარბაზში, სადაც აუზი იყო. მხარზე პირსახოცი ჰქონდა გადაკიდებული. ხალხი თითქმის არ იყო. სულ ხუთიოდე ადამიანი ცურავდა მოზრდილ აუზში.

ინსტრუქტორი ახალგაზრდა, დაკუნთული, მზემოკიდებული მამაკაცი გახლდათ, რომელიც აუზის ნაპირზე ყელმოღერებული დადიოდა. როგორც კი დალის თვალი მოჰკრა, ერთბაშად გამოცოცხლდა და კუნთები გამოაჩინა.

დალი ნაპირზე ჩამოჯდა და წყალში ფეხები აათამაშა. ცოტა ხნის შემდეგ კი აუზში თავით გადაეშვა. კარგად ცურავდა. თანრიგიც კი ჰქონდა ცურვაში. აუზი მთელ სიგრძეზე სწრაფად გადალახა, კედელს ფეხი ჰკრა და უკან მობრუნდა. ამ დროს შენიშნა, რომ ინსტრუქტორი მის გვერდით მოცურავდა. თავი ისე დაიჭირა, თითქოს არც დაუნახავს. ისევ აუზის ნაპირზე ჩამოჯდა და მხრებზე პირსახოცი მოიხვია. ცოტა ხანში წყლიდან ინსტრუქტორიც ამოძვრა და გვერდით მიუჯდა.

— ძალიან ლამაზი „კუპალნიკი“ გაცვიათ. იუგოსლავურია?

— არა, ამერიკულია, — უპასუხა დალიმ და მამაკაცი ირიბად შეათვალიერა.

მას კარგი გარეგნობა ჰქონდა, მაგრამ ეტყობოდა, რომ საკუთარ თავზე შეყვარებული იყო. ასე, 30-32 წლის იქნებოდა.

— საიდან ჩამოხვედით?

— თბილისიდან.

— ახლა გასაგებია, რატომ გაქვთ ასეთი უცნაური კილო. თბილისელები სხვანაირად ლაპარაკობთ.

დალიმ წამოდგომა გადაწყვიტა, მაგრამ მამაკაცმა მაჯაში ხელი ჩაავლო და ადგილზე დასვა.

— არ გამიბრაზდეთ, ახლა აქ დასვენების სეზონი არაა, სულ ასაკოვანი ქალები არიან ჩამოსული და უეცრად თქვენ დაგინახეთ — ახალგაზრდა, ლამაზი გოგონა, ლამაზ საცურაო კოსტიუმში.

დალის თავბრუ დაახვია მამაკაცის კომპლიმენტმა. მშვენივრად იცოდა, რომ ლამაზი სულაც არ იყო, მაგრამ ისიც უწყოდა, რომ კარგი აღნაგობა ჰქონდა. თანაც, ზღაპრებში ხომ ყველაფერი კარგად სრულდება და რატომ არ შეიძლებოდა, მასაც გამართლებოდა და ასეთ მამაკაცს მოსწონებოდა? ბედნიერების უფლება ხომ ყველას აქვს.

— მე თქვენ რაღაცას გაჩვენებთ, — მამაკაცი წამოდგა და გოგონას ხელი გაუწოდა. დალი ინსტრუქტორს გაჰყვა.

ერთ-ერთ კართან გაჩერდნენ, სადაც ეწერა: „სოლარიუმი“. მაშინ ასეთი რამის არსებობის შესახებ ცოტამ თუ იცოდა — მხოლოდ მაღალი თანამდებობის პირებმა, რომლებიც კარგ სანატორიუმებში დასვენების უფლებას აძლევდნენ თავს.

ინსტრუქტორმა ჯიბიდან გასაღები ამოიღო და კარი გააღო. დალის აღტაცების შეძახილი აღმოხდა. კარს იქით ნამდვილი სამოთხე იყო — ზამთრის ბაღი. პალმები, სუროები და უამრავი ყვავილი ხარობდა, რომელთა შორის შეზლონგები იდგა. პატარა, ლამაზი შადრევანიც კი მოჩუხჩუხებდა. ბაღის ბოლოში კი რაღაც უცნაური, ნათურებიანი მოწყობილობა იდგა, რომელიც საწოლს ჰგავდა. დალის გაუკვირდა, რადგან მსგავსი არაფერი ენახა.

— ტანი კარგად გაიმშრალეთ და დაწექით, — უთხრა მამაკაცმა.

ქალი დაემორჩილა მის ბრძანებას. ინსტრუქტორმა თვალები შავი ქსოვილის ნაჭრით აუხვია და ტანზე თხევადი კრემის წასმა დაუწყო. დალის შეეშინდა, დაიძაბა... მამაკაცის ხელები მის სხეულზე დასრიალებდა და ყველგან ურცხვად ეხებოდა.

— მზადაა, 25-მდე დავითვლი და პირქვე გადაბრუნდებით, გასაგებია?

დალიმ თავი დაუქნია. უეცრად, რაღაც გატკაცუნდა და ქალს სხეულზე თბილმა ტალღამ დაუარა. შემდეგ 25 დათვლაზე ისევ გატკაცუნდა რაღაც და „მზე“ ჩაქრა.

— შეგიძლიათ, თვალები გაახილოთ და წამოდგეთ, — ბრძანებებს იძლეოდა ინსტრუქტორი, — ხომ არ შეგეშინდათ? ეს გასარუჯი მოწყობილობაა. ჩვენმა დამსვენებლებმა უცხოეთიდან ჩამოიტანეს თავიანთი ცოლებისთვის, რათა ცუდ ამინდშიც შეძლონ გარუჯვა. ისე, ეს ოთახი ზაფხულიდან ზაფხულამდე არ ფუნქციონირებს. თქვენთვის გამონაკლისი დავუშვი.

— გმადლობ. მე წავალ, — ჩუმად ჩაილაპარაკა ქალმა, რადგან მამაკაცის ხარბი მზერა უხერხულობას უქმნიდა.

— ამ საღამოს საცეკვაოდ წავიდეთ, — გაუღიმა მამაკაცმა.

— პარკში, დისკოთეკაზე? — გაიცინა დალიმ, მამაკაცს დაემშვიდობა და წავიდა.

საღამოს უბრალოდ, გაისეირნეს... შემდეგ მამაკაცმა ვახშმად თავისთან სტუმრად წასვლა შესთავაზა.

დალი დათანხმდა. აჩიკო სანატორიუმის პირველ სართულზე ცხოვრობდა. თვითონ სოხუმელი იყო, ექიმი, აქ კი ინსტრუქტორად მუშაობდა, კარგი სამსახურის მოლოდინში.

სუფრა გაშლილი დახვდა: როგორც ჩანს, მამაკაცი წინასწარვე დარწმუნებული იყო, რომ საღამოს სტუმარი ეყოლებოდა.

დალი სავარძელში ჩაეშვა. მამაკაცმა სინათლე ჩააქრო. ოთახს მხოლოდ კედლის ბრა ანათებდა.

— მოდი, ჩვენი გაცნობის სადღეგრძელო დავლიოთ, — სომხური კონიაკი ჭიქებში ჩამოასხა მასპინძელმა.

— არ ვსვამ, — ქალმა ჭიქა განზე გასწია.

— მხოლოდ ერთი ყლუპი, — ჭიქა თავისი ხელით მიუტანა ტუჩებთან აჩიკომ.

ერთმა ყლუპმა სასმელს მიუჩვეველ გოგონას თავბრუ დაახვია. ტანში სასიამოვნო სითბომ დაუარა. დალიმ მეორე, უფრო მოზრდილი ყლუპი დააყოლა, შემდეგ კი სავსე ჭიქაც გადაკრა. ვერც კი შენიშნა, როგორ მოეშვა... კიდევ ერთი ჭიქის შემდეგ ოთახი დატრიალდა... როგორც ჩანს, მამაკაცმა საძილე საშუალება გაურია სასმელში...

აჩიკომ გოგონა ხელში აიტაცა და საწოლზე დააწვინა.

— ჩემს ოთახში წამიყვანე, — ენის ბორძიკით უთხრა ქალმა, მაგრამ მამაკაცი ზემოდან დააცხრა და პირზე ხელი დააფარა.

ქალი წინააღმდეგობას უწევდა, იბრძოდა, ჰკბენდა მოძალადეს, მაგრამ ამით მხოლოდ ახელებდა გააფთრებულ მამაკაცს. დალის კაბის გახევის ხმა ჩაესმა.

— ჩუმად, სულელო, — მამაკაცი ხვნეშოდა და ცდილობდა, ქალის ყვირილი ხელისგულით დაეხშო.

ნისლში ჩაძირული, მოთენთილი დალი მიხვდა, რომ ყვირილსა და წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა. მამაკაცის ნავარჯიშევი სხეული სულ უფრო ძლიერად აჭყლეტდა საწოლს...

— უხ, შენი! — უეცრად მამაკაცის გინების ხმა გაიგონა და სიმძიმისგან გათავისუფლდა, რადგან აჩიკო გველნაკბენივით წამოხტა — შენ რა, ქალწული იყავი? რატომ არ მითხარი? ნუთუ შინაბერა გავუიმე? ხმა არ ამოიღე, არა? შენც გინდოდა, ეს რომ მომხდარიყო. თუ მილიციაში განაცხადებ, თბილისში ჩამოვალ, გიპოვი და დედას გიტირებ! აბა, ახლავე ადექი და აქედან წადი!

დალი ლასლასით წამოდგა და ოთახიდან გავიდა. კედელ-კედელ ცდილობდა თავის ოთახამდე მისვლას. ჰოლში, მარმარილოს იატაკზე ფეხი აუცურდა და ძირს გაიშხლართა. ცდილობდა, დახეული კაბა ფეხებზე გადაეფარებინა, მაგრამ ვერ ახერხებდა. სახე პომადითა და ტუშით ჰქონდა გათხაპნილი.

ადმინისტრატორი ადგილიდან წამოხტა და თავზე დაადგა.

— რას ჰგავხარ? რა საქციელია? მეძავო! — დაჰყვიროდა ქალი.

შემდეგ ვიღაცები წამოეშველნენ და ლიფტში „შეტენეს“.

მთელი ამ ხნის განმავლობაში დალი ცდილობდა, ეკითხა მათთვის, „შენობით“ რატომ ელაპარაკებოდნენ, მაგრამ უკვირდა, რომ ენა არ ემორჩილებოდა.

მას პირიდან მხოლოდ ღმუილი ამოს-

ჩემი ცხოვრების გზა

პატარა ლანას იმ ღამესაც ბებიასთან ეძინა. გათენდა თუ არა, ფეხზე წამოხტა, — დედა ადრე მოვაო, — თქვა, აივანზე გავიდა, პატარა ხალიჩა გაშალა და ლოდინს მიჰყო ხელი. დედა კი უჩვეულოდ აგვიანებდა.

— აივნიდან ვუყურებდი, რაჟდენ ბიძა (ასე ვეძახდი) ბოლთას როგორ სცემდა ოთახში; ბებია რაღაცას ეჩურჩულებოდა და თვალით ჩემკენ ანიშნებდა. მეზობლები შემოდიოდნენ, მათი მზერაც ჩემკენ იყო მომართული. ვგრძნობდი, რაც ხდებოდა და აივანს ჯიუტად არ ვტოვებდი. დედის დაპატიმრების ამბავს შინაგანი ხმა მკარნახობდა. იმწუთას ერთადერთი სურვილი მქონდა — არც რაჟდენ ბიძას და არც არავის ჩემთვის არაფერი ეთქვათ; ვფიქრობდი, — უფროსები თუ არ მეტყვიან, რაც მოხდა და მეც არ გავამხელ, რომ ყველაფერს ვხვდები, დედა აუცილებლად დაბრუნდება-მეთქი... აივანზე რაჟდენ ბიძა გამოვიდა და ხალიჩაზე, გვერდით მომიჯდა. უსიტყვოდ ვევედრებოდი, — „არ მითხრა, არ მითხრა, არ მითხრა“... არ ვიცი, ჩემი ვედრება გაიგო თუ ასე ჰქონდა ჩაფიქრებული, თვალებში ჩამხედა და მითხრა: — დედა როსტოვში, მამის ამბის გასაგებად წავიდაო. თავი დავუქნიე და აღარაფერი რომ არ ეთქვა, წამოვხტი და ეზოში გავიქეცი... ასე გრძელდებოდა რამდენიმე თვე: ყველას სჯეროდა, რომ დედის ამბავი არ ვიცოდი. მოგვიანებით კი ეს საერთო, უსიტყვო შეთანხმება ჩემმა მასწავლებელმა დაარღვია, როცა გულუბრყვილოდ მომახალა სიმართლე: ღონისძიებაზე ლექსს იმიტომ ვერ წაგაკითხებ, რომ დედაც დაჭერილი გყავს და მამაცო... იმ წუთში ჩემი მასწავლებელი ძალიან შემეცოდა. სახლში რომ დავბრუნდი, აივანზე გავედი და მთელი დღის შეკავებული ცრემლები გადმოვღვარე. მახსოვს, საკუთარი თავის შეცოდების უმწვავესი განცდა მქონდა. ამ დღეს ბავშვობა დასრულდა...

1969 წლიდან ლანა ლოლობერიძე პარიზში, დეიდასთან გადავიდა საცხოვრებლად

ლანას დედა — ნუცა (ნინო) ხუციშვილი საბჭოთა კავშირში ცნობილ, პოტმას ბანაკში იხდიდა სასჯელს. თბილისში უმშობლებოდ დარჩენილი ბავშვის მდგომარეობის შესამსუბუქებლად, მისი ძმა — რაჟდენ ბიძა ყველაფერს აკეთებდა, ამიტომაც ლანას ის განსაკუთრებით უყვარდა. ყველაზე კარგად მის გვერდით გრძნობდა თავს. რაჟდენ ხუციშვილი ფიზიკის დარგში პირველი ქართველი პროფესორი, ობსერვატორიის დამაარსებელი, აინშტაინის მოსწავლე გახლდათ. როცა საწერ მაგიდასთან იჯდა და მუშაობდა, ლანა მუხლებზე მოუსკუპდებოდა და გაკვეთილებს ასე სწავლობდა.

ლანა 13 წლის იყო, როცა რაჟდენ ხუციშვილი დაიჭირეს. სახლში მისვლა აღარ უნდოდა, ყველა ტკივილი ერთდროულად განუახლდა. რამდენიმე თვის შემდეგ შეიტყვეს, რომ რაჟდენ ხუციშვილი დიზენტერიით დაავადდაო და მისთვის თეთრი პურის მიტანა ითხოვეს. მაშინ თეთრი პური 500 მანეთი ღირდა. ოჯახის რელიკვია, რომელიც 5.000 მანეთად იყო შეფასებული, 500 მანეთად გაყიდეს, პური იყიდეს და ციხეს მიიტანეს. იქ კი ასეთი პასუხი მიიღეს: თქვენი პატიმარი გარდაცვლილიაო.

— მისი სიკვდილის შემდეგ, ბაბუ (ასე ბებიას ვეძახდით) ლოგინად ჩავარდა. ჭამაზეც უარს ამბობდა, აღარც შეკითხვებზე გვპასუხობდა. საღამოობით, როცა ყველა დაიძინებდა, გარდაცვლილ მეუღლეს ელაპარაკებოდა, შვილების ამბებს უყვებოდა... ბოლო დღეებში სულ დამუნჯდა; იმ ქვეყნად ისევე უხმოდ და უპრეტენზიოდ წავიდა, როგორც იცხოვრა... 9 შვილიდან მხოლოდ სამმა შეძლო მისი დატირება: 2 გარდაცვლილი იყო, დანარჩენი — გადასახლებაში...

1942 წლის ზაფხული იდგა. ლანა ცემში პიონერთა ბანაკში ისვენებდა. გამუდმებით მდელოზე იჯდა და „კუკუშკას“ ელოდებოდა. გადიოდა დღე, ორი, სამი... „კუკუშკიდან“ ვიღაცები ჩამოდიოდნენ, ის კი არა და არ ჩანდა... გოგონას საკუთარი განცდები ფურცელზე გადაჰქონდა: “...არ მინდა, მიყვარდე მარტოს,/ რომ თვალებს დააწვეს ბინდი,/ რომ მწარე ცრემლები ვფანტო,/ მინდა, სულ გელოდო გზიდან,/ ოცნებამ შეისხას ფრთები...“ ლანა რეზო თაბუკაშვილს ელოდებოდა. და აი, ერთ დღეს ისიც ჩამოვიდა. მთელ დღეებს ერთად ატარებდნენ; ადიოდნენ მთის წვერზე, ისხდნენ მდინარის პირას და ლაპარაკობდნენ; ლაპარაკობდნენ ყველაფერზე, გარდა საკუთარი გრძნობებისა...

— **საბოლოოდ, თქვენი გზები გაიყარა...**

— რეზო 16 წლის იყო, როცა მოსკოვში, საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტში სასწავლებლად წავიდა. ეს, რა თქმა უნდა, დასასრულის დასაწყისი იყო. დაშორებისკენ ორივე ჩვენ ჩვენი გზით მივდიოდით... მერე რეზოს შეხვდა ქართული მშვენიერების სიმბოლო — მედეა ჯაფარიძე, რომელთანაც მთელი სიცოცხლე გაატარა. მე კი — ლადო მესხიშვილი.

16 წლის იყო, როცა თეატრალურ ინსტიტუტში სარეჟისორო ფაკულტეტზე სწავლა გადაწყვიტა. ახლობლები აღელდნენ, ოჯახური საბჭოც შეიკრიბა, მაგრამ მათი მცდელობის მიუხედავად, ლანამ გადაწყვეტილება არ შეცვალა. მალე სტუდენტი გახდა, მაგრამ მისი სტუდენტობის 3 თვეც არ იყო გასული, ინსტიტუტის პროფესორი — გიორგი ტოვსტონოგოვი სასწავლებლიდან წავიდა. ლანა აფორიაქდა, ინსტიტუტში ყოფნამ აზრი დაკარგა... სასწავლო წლის დასრულებამდე, უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. ამ საქმეში მაშინდელი რექტორი — ნიკო კეცხოველი დაეხმარა, ის ლანას დედის მეგობარი აღმოჩნდა.

— დედაზე ხშირად ვფიქრობდი. დრო გადიოდა, მისი სახე თანდათან ფერმკრთალდებოდა... თავს ძალას ვატანდი, მაგრამ ვერაფრით ვიხსენებდი, თუ როგორი ხმა ჰქონდა, როგორი ხელები... ბოლოს, ჩემს მოგონებებში მისი სახეც გაიცრიცა... მაინც ყველაზე მეტად მიყვარდა... ის 10 წლის შემდეგ დაბრუნდა. ვიცოდი, დილით მოსკოვის მატარებლით უნდა ჩამოსულიყო.

რაჟდენ ხუციშვილი

წინასწარ გვთხოვა, სადგურზე არ შევხვედროდი... სახლი თანდათან ნათესავებით და მეზობლებით ივსებოდა. ერთადერთი სურვილი მქონდა, დავრჩენილიყავი მარტო და დედას ისე დავლოდებოდი. დრო ძალიან ნელა გადიოდა... სახლთან მანქანა გაჩერდა, ყველა ადგილზე გაიყინა. სადარბაზოში ნაბიჯების ხმა გაისმა. კედელს ავეკარი, თვალები დავხუჭე და გავიგონე, ოთახის კარი როგორ გაიღო. თვალები გავახილე თუ არა, ზღურბლზე მდგარი ქალი დავინახე, დიდი, სევდიანი თვალები ჰქონდა. ყველასგან რაღაცით გამოირჩეოდა. უხმოდ შემომცქეროდა, მერე ჩურჩულით თქვა: „ლანა...“ „მიდი, მიდი, დედაშენია“, — მეუბნებოდა მარო მამიდა. ნაბიჯის გადადგმა არ შემეძლო. მამიდამ ხელით მიბიძგა. დედაჩემის წინ აღმოვჩნდი, ხელი გავუწოდე. გულში ჩამიკრა. ვიდექით ერთმანეთს ჩახვეულები და უხერხულობის გარდა, არაფერს ვგრძნობდი... დიდი ხნის მანძილზე, „დედას“ დაძახებასაც ვერ ვახერხებდი... ძალიან ლამაზი იყო. გერმანიაში, იენის უნივერსიტეტი ჰქონდა დამთავრებული. 3 დოკუმენტური ფილმის ავტორი იყო, რომლებიც მისი დაპატიმრების შემდეგ გააქრეს. დედასა და მამას ერთმანეთთან დიდი სიყვარული აკავშირებდათ. დედა პოლიტიკაში არასდროს ჩარეულა, მაგრამ არსებით საკითხებში არ ეთანხმებოდა. მოგვიანებით მითხრა: მამაშენი ჩემი ცხოვრების ერთადერთი სიყვარული და ასეთივე დიდი უბედურება იყოო...

— მამათქვენი მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა — ცეკას მდივანი იყო. მოგვიანებით პრესაში მისი საქმიანობის შესახებ სხვადასხვა ინფორმაცია დაიბეჭდა...

— ვხვდები, რასაც მეკითხებით და გიპასუხებთ. ხშირად მიფიქრია ჯალათისა და მსხვერპლის მარადიულ თემაზე. მამა მსხვერპლი იყო — ამას მისი ტრაგიკული დასასრული იმდენად აშკარად ადასტურებდა, სხვაგვარ ინტერპრეტაციაზე არც დავფიქრებულვარ. მაგრამ ყოველთვის, მთელი არსებით ვეწინააღმდეგებოდი დიქტატურაზე დაფუძნებულ იდეოლოგიას, რომელიც მამაჩემმა ცხოვრების მრწამსად მიიღო და რომელიც ყველა მის თვისებასა და მიდრეკილებას ეწინააღმდეგებოდა. დიდი დარტყმა მივიღე, როცა გაზეთებში გაჩნდა პუბლიკაციები მამასა და მისი ცხოვრების გზაზე. იმ წერილებში ყველაფერი ერთმანეთში იყო არეული — ტყუილი, სიმართლე, ცილისწამება. სინამდვილე ის იყო, რომ მას ეკუთვნოდა შემდეგი ფრაზა: საქართველოში თავად-აზნაურების პროცენტი უნდა შემცირდესო. ამ წინადადებამ შოკში ჩამაგდო. ვერაფრით წარმომედგინა, მამას ამგვარი რამის თქმა თუ შეეძლო. წავედი „იმელის“ ბიბლიოთეკაში, მისი ერთ-ერთი გამოსვლის ტექსტი მოვძებნე და თავზარდაცემულმა წავიკითხე. ეს იმდენად აუტანელი იყო, ჩემი ცხოვრების მანძილზე პირველად დავკარე ცხოვრების გემო და სურვილი... ეს თემა ჩემთვის ძალზე მტკივნეულია. მამაჩემიც, მილიონობით სხვათა მსგავსად, რევოლუციამ ჯერ „იშვილა“, თავის იარაღად გამოიყენა, შემდეგ კი — შთანთქა, გაანადგურა.

„20 წლის ასაკში დიდი სიყვარული დამატყდა თავს. ის ყოვლისმომცველი, საკვირველი გრძნობა, რომელიც ტკივილია მაშინაც კი, როცა ორმხრივია და ზღვარგადასული“, — ამ სიტყვებით იწყებს მეუღლეზე საუბარს. მისი სიყვარული ბაკურიანში დაიწყო: მეგობრებთან ერთად, იქ დასასვენებლად ჩასულმა ლანამ სათხილამურო შეჯიბრებაში მიიღო მონაწილეობა. ასპარეზობაში მე-13 ნომრით ჩაერთო. იმავე ნომრით ვაჟთა გუნდში ლადო მესხიშვილი გამოდიოდა. მანამდე ის თბილისში ჰყავდა ნანახი.

— მისი სილამაზე, მიხრა-მოხრა ისეთ ენერგიასა და სიცოცხლისადმი სწრაფვას ასხივებდა, რომ მე და ჩემი მეგობარი რუსთაველის გამზირზე ავედევნეთ. შემდეგ გავიგეთ, რომ არქიტექტორი იყო, დიდი მსახიობის — ლადო მესხიშვილის შვილიშვილი გახლდათ. დაოჯახებული იყო... იმ დღის შემდეგ ის აღარსად მინახავს. დავიწყებულიც კი მყავდა. და აი, ბედმა ერთმანეთს ბაკურიანში შეგვახვედრა. მისი დაშვების დრო დადგა. ფინიშამდე სწრაფად და მსუბუქად მისრიალებდა, მაგრამ მოულოდნელად თხილამური ვერ დაიმორჩილა და ხეს შეასკდა. გულგახეთქილი ვუყურებდი, ის კი ვითომც აქ არაფერიაო, წამოდგა, თოვლი ჩამოიბერტყა და მაგრად გადაიხარხარა. შემდეგ ჩემკენ წამოვიდა, ნომერი მოიხსნა და ღიმილით მითხრა: „იმედია, ეს რიცხვი თქვენთვის უფრო იღბლიანი იქნება“. ნომრის თასმები ზურგზე შემიკრა. ეს მეტისმეტი იყო... 13 ჩემთვის მართლაც ბედნიერი აღმოჩნდა. გოგონებს შორის II ადგილი დავიკავე. ლადომ მომილოცა და ჩვენი საერთო საცხოვრებლისკენ ერთად წავედით... მთელ დღეებს ერთად ვატარებდით. დედას არ ვემეტებოდი, ჩემზე 13 წლით უფროს, ცოლ-შვილიან, ბობოქარი წარსულით დამძიმებულ კაცთან ურთიერთობისთვის, მაგრამ არაფერს ამბობდა. ერთხელ დედასთან და ახლობლებთან ერთად, ლიძავაში ვისვენებდი. ლადომ იქ ჩამომაკითხა. ზღაპრული დღეები დაიწყო... ლიძავიდან 5 კილომეტრით დაშორე-

ლანას დედა – ნუცა (ნინო) ხუციშვილი საბჭოთა კავშირში ცნობილ, პოგმას ბანაკში იხდიდა სასჯელს

ბულ, ოქროსფერქვიშიან პლაჟზე მივდიოდით. ის ველური, უკაცრიელი სანაპირო ჩვენს ნამდვილ სამფლობელოდ ვაქციეთ. მაგრამ თან გვდევდა იმის განცდა, რომ მარტონი არ ვიყავით: ლადოს ცოლ-შვილი ჰყავდა, ჩვენი „მოპარული“ განმარტოებაც მალე დასრულდებოდა... რამდენიმე დღეში ლადო იქიდან წავიდა, მე კი მარტო დარჩენილი

პაგარა ლანა

ვწერდი: „წახვედი აგრე, თან წაიღე უთქმელი დარდი,/ ტალღები ისევ მორბოდნენ ქშენით,/ მე ცხელ ქვიშაზე ვიწექი მარტო/ და ზღვის მოქცევას თან მოჰქონდა ალერსი შენი“./ მერე რამდენჯერმე შევხვდით და დავშორდით...

მალე ლანამ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო — მოსკოვში კინემატოგრაფიის ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტზე სასწავლებლად გაემგზავრა. დედამ თავის ძველ მეგობართან — მიხეილ კალატოზოვთან წერილი გაატანა. მან ლანას მიმართ დიდი ყურადღება გამოიჩინა. - კურსზე ჩარიცხეს. დაიწყო სრულიად ახალი, მოულოდნელობებით აღსავსე ცხოვრება — შეხვედრები საინტერესო ადამიანებთან, მათ შორის — ანა ახმატოვასთან, ბორის პასტერნაკთან...

— 1957 წლიდან დაიწყო ჩემი კინოცხოვრება. სტუდიაში რომელიმე ტაძრის შესახებ ფილმის გადაღება შემომთავაზეს. გელათი ავირჩიე. „გელათის“ შემდეგ კიდევ ერთი დოკუმენტური ფილმი — „თბილისი-1500“ გადავიღე. ამ ორი ფილმით „ვგიკში“ (კინემატოგრაფიის ინსტიტუტი. — ავტ.) დიპლომი დავიცავი და მერე თბილისში დავბრუნდი. შემდეგ იყო ფილმები: „ერთი ცის ქვეშ“, „თავადის ქალი მაია“, „ფრესკა“, „მე ვხედავ მზეს“, „როცა აყვავდა ნუში“...

ერთ-ერთ საერთაშორისო კინოფესტივალზე ფრენსის ფორდ კოპოლას შეხვდა. ის უკვე აღიარებული კინოოსტატი იყო. მთელი საღამო კოპოლამ, ლანამ და ელდარ შენგელაიამ ერთად გაატარეს. კოპოლამ საქართველოში ჩამოსვლის დიდი სურვილი გამოთქვა. ლანა და ელდარი გეგმებს აწყობდნენ — როგორ უნდა გამასპინძლებოდნენ სახელოვან რეჟისორს. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებამ მას ვიზა არ მისცა.

1969 წლიდან ლანა ღოღობერიძე პარიზში, დეიდასთან გადავიდა საცხოვრებლად. ის უკვე 2 შვილის დედა იყო... 70-იან წლებში გადაიღო „აურზაური სალხინეთში“. ამ პერიოდში ჰქონდა შეხვედრები მსოფლიო კინემატოგრაფის გამოჩენილ მოღვაწეებთან: ფედერიკო ფელინისთან, მიქელანჯელო ანტონიონისთან, ჩეზარე ძავატინისთან... შემდეგ გადაიღო „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“. ეს ფილმი ლანასთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია.

— დედის დაბრუნება 10-წლიანი გადასახლებიდან — ეს ჩემი პირადი ტრაგედიაც იყო და ქვეყნის სატკივარიც. დიდხანს ვფიქრობდი, ვინ გადამეღო სოფიკოს (ამ როლს სოფიკო ჭიაურელი ასრულებს) დედის როლში. ბუნებრივია, ამ დროს დედაჩემი მედგა თვალწინ და ვერც ერთ მსახიობში ვერ ვხედავდი იმ რაღაცას, რაც ფილმის პერსონაჟს ჩემ მიერ განცდილთან დააახლოებდა. ბოლოს არჩევანი ქეთუსია ორახელაშვილზე შევაჩერე (გამოჩენილი დირიჟორის, რეპრესირებული ევგენი მიქელაძის მეუღლე). გადავიღეთ სინჯები. მართალია, ის მსახიობი არ იყო, მაგრამ სურათი იმდენად შთამბეჭდავი გამოვიდა, თითქოს დედა ხელმეორედ დამიბრუნდა. ამ ფილმის თითოეულ გმირთან მუშაობამ უდიდესი სიამოვნება მომანიჭა... იმ დროს, როცა გადაღების პროცესში ვიყავი ჩართული, გაირკვა, რომ ლადოს ოპერაცია ჰქონდა გასაკეთებელი. მოსკოვში წავედით. ოპერაციის წინ მითხრა: წავალ მთებში და გადავიკარგები ისე, რომ ვეღარასდროს მიპოვოთ — თქვენთვის ასე უფრო ადვილი იქნებაო... ოპერაცია გავუკეთეთ და თბილისში დავბრუნდით. ავადმყოფობით დაღდასმული ლადო მაინც სურვილებით იყო სავსე. გარდაცვალებამდე 10 დღით ადრე მთაში წავიდა, საყვარელ ადგილებში იხეტიალა. შინ ტოტით ხელში დაბრუნდა. მისთვის ეს აქტი ავადმყოფობაზე გამარჯვებას ნიშნავდა. სიკვდილის წინ მითხრა, — რა კარგია, ხელი არ შეგიშალე, როგორც ყველა ამბობს, შენი საუკეთესო ფილმი გააკეთეო. ამ ფილმს სან-რემოს საერთაშორისო ფესტივალზე გრან-პრი მიენიჭა. სხვა კონკურსებზეც აღინიშნა, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიითაც... დღესაც მახსოვს, რა ენთუზიაზმით მილოცავდნენ ამ პრემიას ის ადამიანები, რომლებიც ცოტა ხნის წინ მის აკრძალვას ლამობდნენ...

შემდეგ, დედის მოთხრობის მიხედვით, ფილმი — „ვალსი პეჩორაზე“ გადაიღო... ლანა ღოღობერიძის ცხოვრების გზაზე კიდევ ბევრი საინტერესო რამ მოხდა. ამბობს, რომ 1989 წლის 9 აპრილის საბედისწერო დღიდან მის ცხოვრებაში ახალი წელთაღრიცხვა დაიწყო. აქტიურად ჩაება ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში... შემდეგ აფხაზეთის ომი დაიწყო, სოხუმი დაეცა, სადაც მისი უახლოესი ადამიანი — ლევან აბაშიძე დაიღუპა... იყო პარლამენტის, ევროსაბჭოს წევრი. გული აუძგერდა, როცა სტრასბურგში პირველად ჩასულმა, ევროსაბჭოს შენობაში ერთი ოთახის კარზე აღმოაჩინა აბრა წარწერით — Georgee... ქალბატონი ლანა დასასრულს მეუბნება: „ცოტა სევდიანი საუბარი გამოგვივიდა, მაგრამ რა ვქნა, ასეთი ტრაგიზმით სავსე იყო ჩემი ცხოვრება“... ■

ლანა ღოღობერიძის ოჯახი

წინა დღის წვნიანი

უსიხარულო დღე გათენდა — კრახისა და იმედგაცრუების...

ნატა კიბის თავში, ფანჯრის რაფაზე ჩამომჯდარიყო და სიგარეტს ნერვიულად ეწეოდა. სიმართლე რომ ითქვას, მოწევას 8 წლის წინ დაანება თავი, როდესაც უნივერსიტეტში ჩააბარა და გარდამავალ ასაკში შეძენილი მავნე ჩვევებისგან გათავისუფლება გადაწყვიტა.

დღეს კი გაუჭირდა თავის დარწმუნება, რომ არ უნდა ეტირა. სიგარეტმა ცოტა უშველა, თითქოს.

„დღეს გამქრალი ოცნებებისა და ნისლით დაბურული მომავლის დღეა“, — გაიფიქრა მან.

თითქოს ჯიბრზე, სამყარო თავზე არ ენგრეოდა. ისიც კი ეჩვენებოდა, რომ ცოტა ხნის წინანდელი დაწინაურება და სამსახურებრივი წარმატება უფრო მეტად უსვამდა ხაზს მის დღევანდელ მარცხს. საბოლოოდ დაკარგა იმედი, რომ ოდესმე იმ ადამიანის ყურადღების ღირსი გახდებოდა, რომელიც უზომოდ მოსწონდა.

1 თვის წინ, საკმაოდ ცნობილ იურიდიულ ფირმაში ახალგაზრდა მამაკაცი მივიდა, რომელიც „ქალის ოცნების“ განსახიერება იყო. მაღალმა, სიმპათიურმა მამაკაცმა ოფისის ზღურბლს გადააბიჯა. ლამაზად დავარცხნილი, შავი თმა, სწორი ცხვირი, საშუალო ზომის, ნაცრისფერი თვალები გრძელი წარბების ქვემოდან ლამაზად იმზირებოდნენ. ძირს დაშვებული ტუჩის კუთხეები კი მის მამაკაცურობას ხაზს უსვამდა. ამ შესანიშნავ „ანტურაჟს“ ხაკისფერი, ზოლიანი პიჯაკი, ლამაზი თითები და მაჯაზე მბრწყინავი, ნიანგის ტყავის სამაჯურიანი ოქროს საათი ასრულებდა.

ერთ-ერთი ცნობილი ფირმის მენეჯერს თავბრუდამხვევი კარიერის მქონე ადამიანად მიიჩნევდნენ.

ოფისის ქალთა კონტინგენტმა ხმამაღლა ამოიოხრა, როდესაც მისი მარჯვენა ხელის არათითზე საქორწინო რგოლი შენიშნა. მხოლოდ ნატას არ აღმოხდენია ოხვრა. ის საკმაოდ დიდი ნებისყოფის მქონე ქალია, რომელსაც ემოციების მართვა შეუძლია.

დღევანდელმა დილამ კი ცხადყო, რომ ამ მამაკაცის გულის დაპყრობისთვის გაწეულმა ძალისხმევამ ტყუილად ჩაიარა.

მისი თაყვანისცემის ობიექტმა, ცნობილი იურიდიული ფირმის დირექტორის მოადგილეს, ნატას, მხოლოდ „მორიგე“ გამარჯობა უთხრა, სახეზე ღიმილი აიწება და მაშინვე ლიკასკენ წავიდა. მთელი საათ-ნახევარი მასთან ერთად რაღაც საბუთებს არჩევდა. ლიკას კი სხვათა შორის, ქმარიც ჰყავს და 2 მცირეწლოვანი შვილიც.

* * *

ნატამ იგრძნო, რომ სიგარეტს საზიზღარი გემო ჰქონდა. საფერფლეში ჩასრისა, კოლოფი ფანჯრის რაფაზე დატოვა, თანამშრომელს დაუბარა, რომ ბუღალტერიაში მიდიოდა და ქვედა სართულზე ჩავიდა. მას ახლა ვიღაცისთვის გულის გადაშლა სჭირდებოდა.

— მდაა, არც ისე კარგადაა საქმე, როგორც ვხედავ, — თავი გადააქნია ლიზიკომ.

ის ნატას საუკეთესო მეგობარი გახლდათ და ფირმაში ბუღალტრად მუშაობდა. ლიზიკო 32 წლის, საკმაოდ „მოსული“ ქალი გახლდათ. ყველაფერი დიდი ჰქონდა, ცხვირისა და თვალების გარდა. მუდამ ირონიულად იღიმებოდა. მრგვალ პირისახეზე ქერა კულულები ჰქონდა ჩამოშლილი. ქალური, გამომწვევი აღნაგობა ჰქონდა. ლიზიკო გამხდარი, დიდთვალებიანი ნატას აბსოლუტური ანტიპოდი იყო, როგორც გარეგნულად, ასევე ტემპერამენტით. მამაკაცებისა და კულინარიის სფეროში ლიზიკო მეგობრისთვის ავტორიტეტს წარმოადგენდა.

— ლიიზ...

— რაო, სიხარულო, რას აკეთებდი საიმისოდ, რომ მისი ყურადღება დაგემსახურებინა?

— ელექტრონულ ფოსტაზე წერილებს ვწერდი, მესიჯებს ვუგზავნიდი, ქალაქის ნომრიდან ვურეკავდი, ხმას ვიცვლიდი და სიყვარულს ვუხსნიდი.

— მერე?

— აღმოჩნდა, რომ თურმე ხმას ისე ვიცვლიდი, ბესოს ეგონა, სიყვარულს ენადაბორკილი ჰომოსექსუალისტი უხსნიდა.

ლიზიკო მოიქუფრა და მოსმენაც კი აღარ ისურვა.

— შენ რა, საბავშვო ბაღში ხარ? ცოლიანი მამაკაცის სხეულისკენ (დიახ, სწორედ სხეულისკენ) მიმავალი, ყველაზე მოკლე გზა კუჭზე გადის. ეს ყველაზე მოკლე და ყველაზე საიმედო გზაა. ამ შენი ბესოს ხასიათის გაგება კი სულ იოლია. იქნებ ის შენს წერილებს კითხულობდა და ფიქრობდა, რომ მის „საფულეზე“ მონადირე ქალი ხარ? უნდა აჩვენო, რომ თავად ის გჭირდება, მისი სხეული, გული და არა მისი საბანკო ანგარიშები. ასეთ მამაკაცებს თავიანთი შინაგანი სამყარო საჭმლის მომნელებელ სისტემაში აქვთ ჩაკარგული.

— სული?

— ცოლიან მამაკაცებს სული არ აქვთ. ყოველ შემთხვევაში — შენთვის. მან სული თავის ოფიციალურ ნახევარს მიჰყიდა. ეს კი დაახლოებით ისეა, როგორც ეშმაკთან დადებული გარიგება. ჰოდა, ცხოვრობს ასეთი არსება თავისთვის და სული მას არ ეკუთვნის. კუჭი კი მუდამ თან აქვს.

— ნუთუ სხვა მეთოდი არ არსებობს? — ამოიოხრა ნატამ. — შენ ხომ იცი, რომ სამზარეულოსთან მიმართებაში ნერვული ალერგია მაქვს. ცხობა-ხარშვის დროს ნერვები მეშლება. როცა მშობლებთან ვცხოვრობდი, ხანდახან სადილს კი ვამზადებდი, მაგრამ როდესაც მამაჩემი დააგემოვნებდა, ეს ათეისტი კაცი პირჯვრის წერას იწყებდა ხოლმე.

— კი, მაგრამ ის ხომ ჯერ კიდევ ცოცხალია? — გაიცინა ლიზიკომ. — თანაც, ბოლო 1 თვის განმავლობაში მგონი, თავად დარწმუნდი, რომ ბესოს გულის მოსაგებად სხვა გზა არ არსებობს. მაშინ თავი დაანებე ამ ახირებას!

— არ შემიძლია, ლიზ, მასთან ყოფნა მინდა, თუნდაც მცირე ხნით, თუნდაც „უკანონოდ“, მაგრამ მხოლოდ მასთან!

— მომისმინე, გენაცვალე, მე, როგორც „ექსპერტი“, გეტყვი, რომ ცოლიანი მამაკაცი წინა დღის წვნიანს ჰგავს. ახალი კერძი ყველამ გასინჯა, ვისაც ამის საშუალება და უფლება ჰქონდა. უფრო ადრე უნდა მისჯდომოდი სუფრას, ძვირფასო, ახლა უკვე ჭურჭლის დარეცხვის დროა. რა ჯანდაბად გინდა?

— ვერ გავიგე?!

— მითხარი, რა აზრი აქვს მისთვის ბრძოლას? ენერგიული, განათლებული, წარმატებული ქალი ხარ, 2 უცხო ენა იცი. ვინმე ნორმალური კაცი ამოირჩიე. მაგალითად, რომელიმე უცოლო დიპლომატი. მასთან ერთად ყველა კონტინენტს მოივლი, ნიუ-იორკიდან პარიზში გაფრინდები, პარიზიდან — სიდნეიში, შემდეგ — რიო-დე-ჟანე...

— ვიღუპები, ლიზ, თავს ვერაფერს ვუხერხებ. როგორც კი პირველად დავინახე, მაშინვე გულში ჩამივარდა... გესმის? როცა მასზე ვფიქრობ, შიგნით რაღაც მიდუღს, როცა ვხედავ — ლამის ორთქლიც გამოვუშვა.

ლიზიკო დიდხანს უყურებდა მეგობარს მასწავლებელივით, სათვალის მინებიდან და ბოლოს მძიმედ ამოიოხრა.

— ეეჰ, თურმე ჩემი მეგობარი წინა დღის წვნიანის მოყვარულთა იშვიათ კატეგორიას განეკუთვნება. ეგაა, რომ დაძველებული წვნიანის გამოყენება უნდა იცოდე. ჯერ კარგად უნდა შეაცხელო, ოღონდ — არ უნდა გადააადუღო, თორემ თავზე მოგდებული ცხიმი გადმოიღვრება.

— ლიზ, მიშველე, რა, შენ ხომ ამ საქმეში ნამდვილი ექსპერტი ხარ...

— ეჰ, საყვარელი მეგობრისთვის რას არ გააკეთებ?! დღეიდან შენს „კულინარიულ“ განათლებაზე მე ვიზრუნებ.

— დღეს არ შემიძლია, არ მცალია, 20 წუთში შინ უნდა ვიყო, სარეცხი მანქანის ხელოსანს ველოდები.

— კარგი, მაშინ ახლა ჯერ შინ

წავალთ, მერე კი მაღაზიაში და საჭირო პროდუქტს ვიყიდით, რომ შენი მაცივარი გავავსოთ, — ლიზიკომ კომპიუტერი გამორთო და წამოდგა.

2 საათის შემდეგ, ტაქსიდან მძიმე ცელოფნის პარკებით დატვირთული 2 ქალი გადმოვიდა და სადარბაზოში გაუჩინარდა.

თითქოს ჯიბრზე, ლიფტი არ მუშაობდა.

ლიზიკომ გასაღები გამოჰგლიჯა და მისი კომპლექციისთვის შესაშური ენერგიულობით წინ გავარდა. საკმაოდ მსუბუქად ადიოდა კიბეზე.

ნატა კი „სამზარეულოს ალერგიის“ შეტევის გამო ძლივს მიაბიჯებდა. ისე მიდიოდა, თითქოს ეშაფოტზე უნდა ასულიყო.

როცა სახლის კარს მიადგა, სამზარეულოდან უკვე ჭურჭლის ხმაური ისმოდა.

ნატა კიბეზე ჩამომავალ მოხუც მეზობელს შეეჯახა, ერთი პარკი გაიხა და პროდუქტი კიბეზე დაიფანტა.

— ყოჩაღ შენ! — შესძახა მოხუცმა. — რომ გკითხოს კაცმა, ალბათ გათხოვება გინდა, არა? თუმცა, რატომაც არა? გათხოვება ყველას უნდა... პროდუქტიც ბლომად შეგიძენია. გასათხოვარმა ქალმა კერძების მომზადება უნდა იცოდეს! თუ კაცს კარგად არ „გამოაძღობ“, წავა და სხვის სამზარეულოში შეეხეტება. სხვისი სამზარეულოდან სხვის ლოგინამდე კი ერთი ნაბიჯია.

ნატამ რაღაც, ბოდიშისმაგვარი ჩაიბურტყუნა, სახეზე წამოწითლდა და ძირს დაყრილი პროდუქტის მოგროვებას შეუდგა. ყველაფერი მეორე, ხელში შერჩენილ ცელოფანში მოათავსა. რაც იქ არ ჩაეტია, ლაბადის ჯიბეებში ჩაიტენა. როგორღაც სახლის კარამდე დარჩენილი რამდენიმე საფეხურიც დაძლია და შემოსასვლელში უღონოდ მიესვენა.

— „ბესამეეე, ბესამე მუჩოოოო“, — სამზარეულოში ლიზიკო მღეროდა, — „კომო სი ფიერა ესტა ლა-ლა-ლა-ლა-ლაااااა“... ნატა, იცი, ეს ტექსტი ქართულად რას ნიშნავს?

— „მაკოცე ძლიერ“, — ძლივს ამოილუღღუღა ნატამ.

— აბა, გეყოფა ასე დგომა, წამო, ვიმუშაოთ, — ლიზიკო მის გვერდით იდგა. წინსაფარიც კი ეკეთა უკვე, მეორე კი ხელში ეჭირა. — შენ „მეორეს“ მოამზადებ, მე — წვნიანსა და სალათას.

ნატა ცომს უსიცოცხლოდ ზელდა, ფარშს ამზადებდა, ღვეზელს აცხობდა და მაგიდაზე დადებულ ლანგარზე ალაგებდა.

ლიზიკომ ერთი ღვეზელი აიღო და პირში იტაკა.

— ვაიმე, დედა! — დაიძახა და თვალებიდან ნაპერწკლები გადმოყარა. — გოგო, 1 კოვზი წიწაკა მთელ ფარშზე უნდა გექნა, თითო ღვეზელზე კი არა, — სული რომ მოითქვა, უსაყვედურა ნატას, — ახლა ადგები და ქათამს

შეწვავ. იქნებ ეგ მაინც გამოგივიდეს?

— ლიიზ...

— დასჯილი ხარ და შენი ხმა არ გავიგონო! მიდი, ტაფა დაადგი ცეცხლზე.

ნატამ მორჩილად შეასრულა ბრძანება.

— ახლა ზეთი დაასხი, ბლომად დაასხი, ნუ გენანება, ხორცი უფრო წვნიანი გამოვა.

— ვაییი — დაიყვირა ნატამ და უკან გადახტა, რადგან ტაფა უეცრად აალდა. ბოთლი ხელიდან გაუვარდა და ფილებზე დაიმსხვრა. დაღვრილი სითხეც მაშინვე აალდა.

ლიზიმ მეგობარს ხელი ჰკრა, ონკანი მოუშვა და ცეცხლის ჩაქრობას შეუდგა.

— კონიაკში ვინ წვავს ქათამს? ჯობდა, პირდაპირ ბენზინი დაგესხა ტაფაზე. მოკლედ, გაზთან მისული აღარ დაგინახო! შენს საყვარელ მამაკაცს მე მოვუმზადებ კერძებს, შენ შეგიძლია, მხოლოდ ჩაი ან ყავა მოადუღო, გესმის? როდის უნდა გამოჩნდეს ოფისში ეგ შენი ბესო?

— ხვ-ხვ-ხვ...

— ხვალ?

ნატამ თავი დააქნია.

— ძალიან მაგარ ნამცხვარს გავაკეთებ, ხვალ სამსახურში წამოიღე და გაუმასპინძლდი. თუ ესეც არ იმოქმედებს, მაშინ შეგიძლია, სულელი დამიძახო. 5 წლის წინ ერთი ცოლიანი მამაკაცი მომეწონა და ვიდრე ეს ნამცხვარი არ ვაჭამე, არაფერი გამომივიდა. 100%-იან გარანტიას გაძლევ, რომ იმოქმედებს. ის, მაგალითად, რამდენჯერმე ყავაზე მესტუმრა, შემდეგ კი ცოლიც თან მოიყვანა. თურმე, მისთვის უთქვამს, რომ მე გემრიელი კერძების მომზადებას ვასწავლიდი. წარმოიდგინე, რა „ნაგლი“ უნდა იყოს მამაკაცი, რომ ასე მოიქცეს. არც ერთი შინ არ შემოვუშვი — თავი მტკივა-მეთქი, მოვიმიზეზე.

ლიზიკომ იატაკი მოწმინდა, გაზქურის ღუმელი აანთო და მიქსერი აამუშავა.

* * *

მომდევნო საღამოს ბესომ ნატა რესტორანში დაპატიჟა და ქალისთვის ცხოვრების ახალი ეტაპი დაიწყო.

ისინი კვირაში 3-4-ჯერ ხვდებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ ბესო ღამით არასოდეს რჩებოდა. წინადღეს ნატასთან ლიზიკო მიდიოდა, წვავდა, ხარშავდა, ამზადებდა...

— გუშინდელ წვნიანს შეჭამ? — ეკითხებოდა ნატა საყვარელ მამაკაცს. ის ირონიული ღიმილით თანხმდებოდა. თუმცა, რამდენიმე ხნის შემდეგ ნატას მოეჩვენა, რომ მისი საყვარელი წინა დღის, ღამის ამჟავებული წვნიანის ჭამით გაცილებით მეტ სიამოვნებას იღებდა, ვიდრე მისი ალერსით.

ორმა თვემ შეუმჩნევლად გაირბინა.

მიუხედავად ძვირფასი საჩუქრებისა და გადამეტებული ყურადღებისა, ნატას სულ უფრო და უფრო მოსაწყენი ეჩვენებოდა ბესოსთან ურთიერთობა. ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს უზარმაზარი ამება ავსებდა მისი ცხოვრების ნახევარს. როგორც ჩანს, ბესო მამაკაცების იმ კატეგორიას მიეკუთვნებოდა, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ თუ ქალს დაისაკუთრებენ, ამის შემდეგ ისე უნდა მოიქცნენ, როგორც თავად სურთ.

— არის კი რამე ისეთი, რაც მის შესახებ არ ვიცი? — ეკითხებოდა თავის თავს შეყვარებული ქალი. — ყველაფერი გავიგე, რაც კი შეიძლებოდა, გამეგო. ყოფილმა ფეხბურთელმა კომპანიის დირექტორის თანამდებობა მას შემდეგ მიიღო, რაც ამ კომპანიის მფლობელის ქალიშვილზე დაქორწინდა. ცოტა ხნის წინ სიმამრი მოუკვდა. ჩემნაირი ლამაზი ქალების საკმაოდ დიდი „კოლექცია“ აქვს და მათი სურათები ალბათ რამდენიმე ალბომს გაავსებს. ცოლს არასოდეს მიატოვებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მაწანწალად გადაიქცევა. რეალურად მოსაწყენი ადამიანია, რომელსაც ყველაზე მეტად ჭამა,

ძილი, მანქანა და ტელევიზორი უყვარს. კიდევ რა?

* * *

დეკემბერი დადგა. ზამთრის ყინვიან, შაბათ დღეს მეგობრები რესტორანში ისხდნენ და თევზს შეექცეოდნენ.

— ნატ, კიდევ რამდენ ხანს აპირებ შენი კაცის ატანას?

— „ატანაში“ რას გულისხმობ? — კითხვა შეუბრუნა მეგობარს.

— იმას, რასაც ეს სიტყვა გულისხმობს. მაგ შენმა ბესომ თავი დიდი ხანია, ამოსწურა. ეგაა, რომ ამის აღიარების გეშინია.

— არ ვიცი, ლიზ, როცა ჩემთანაა, მეჩვენება, რომ იცვლება და უკეთესი ხდება. მინდა, „გადავაკეთო“ და ისიც მინდა, რომ სამუდამოდ ჩემი გახდეს.

— ეს უკვე ნამდვილი მარაზმია, მისი გადაკეთება შეუძლებელია, — თავი გადააქნია ლიზიკომ, — დაივიწყე! ჯობია, რესტორნის დირექტორს დავუძახოთ და ვთხოვოთ, მზარეულს უფლება მისცეს, ამ თევზის კერძის მომზადების რეცეპტი გაგვიმხილოს.

მიმტანს სთხოვეს, დირექტორისთვის დაეძახა. მალე მათ წინ ახალგაზრდა მამაკაცი წარდგა, რომელსაც სუფთად გაპარსული ლოყები და დიდი, მწვანე თვალები ჰქონდა.

— გამარჯობა, ბატონო, მე ლიზიკო ვარ, ეს კი ჩემი მეგობარია, ნატა. ჩვენ ძალიან გვიყვარს კერძების მომზადება.

— მეც მიყვარს? — გაოცებით ამოილუღლუღა ნატამ.

— ძალიან გთხოვთ... ისე, როგორც ქალს შეუძლია, ნამდვილ მამაკაცს სთხოვოს... — ლიზამ ხმა ერთი ტონით დაიდაბლა.

— რას მთხოვთ? — უხერხულად შეიშმუშნა დირექტორი.

— თქვენს რესტორანში ძალზე გემრიელი კერძებია და გვინდა, თქვენმა მზარეულმა საიდუმლო გაგვიმხილოს და ამ კერძის მომზადება გვასწავლოს.

ნატას მოეჩვენა, თითქოს დირექტორის თვალებში შიში გაკრთა.

— თქვენ გსურთ, რომ მზარეულმა აქ ჩაგიტაროთ გაკვეთილი? „გაგანია“ მუშაობის პროცესში?

— არა მგონია, აქ მოხერხდეს, — მაშინვე დაეთანხმა ლიზიკო, — მაგრამ აქედან სულ რაღაც 15 წუთის სავალზე ნატას შესანიშნავად მოწყობილი სამზარეულო „მდებარეობს“. შეიძლება, იქ მოხერხდეს.

— მე არ მეკითხები? — ჩუმად ჩაილაპარაკა ნატამ.

— როგორ არა, — გაიღიმა დირექტორმა, — ამ თევზის მომზადება მე ვასწავლე მზარეულს. შემიძლია, დაგეხმაროთ და თქვენც გასწავლოთ.

— ჩვენ შეგვიძლია, ფული გადავიხადოთ ამ რეცეპტში. 200 დოლარი ეყოფა? — ლიზიკომ ჯიბიდან 100-დოლარიანი ამოიღო და მაგიდაზე დადო. — ნახევარს წინასწარ გადავიხდით.

„ლიზიკოს ახალი „ფულის ტომარა“ უშოვია“, — გაიფიქრა ნატამ.

— არაა საჭირო, დახმარების გაწევა ისედაც შემიძლია, — დირექტორმა გაიღიმა.

* * *

ნატას სამზარეულომ მამაკაცი გააოცა.

— ასეთი პროფესიული „ინსტრუმენტები“ არც ერთ სამზარეულოში არ მინახავს, რესტორნის გარდა, — თქვა მან, — თქვენ ალბათ ნიჭიერი მზარეული ხართ.

— ჰო, ალბათ, — ჩაილაპარაკა ნატამ და თითები დამალა, რომ უზადო მანიკიური არ გამოსჩენოდა.

ამ დროს ლიზიკო დერეფანში იდგა და ვიღაცას მობილურზე ელაპარაკებოდა. ნატას გული დასწყდა, რადგან დირექტორის კომპლიმენტის შემდეგ მეგობრისთვის „გამანადგურებელი“ მზერის სროლა უნდოდა.

უსაქმურობისგან ნატამ სტუმრის თვალიერება დაიწყო. ის ასე, 33-35 წლის მამაკაცი იქნებოდა, მაღალი, კარგი აღნაგობის... ტალღოვანი თმა უწესრიგოდ ეყარა.

— არა, რას ბრძანებთ, განაგრძეთ, — უხერხულად გაიღიმა ქალმა.

— რაზე შევჩერდით? ჰო, სოკო უკვე დავჭერით, ახლა ქვაბში უნდა ჩავყაროთ და დანარჩენი პროდუქტი დავამატოთ. მთავარია, თანმიმდევრობა დავიცვათ...

ისინი კარგა ხანს ფუსფუსებდნენ სამზარეულოში. ნატას რატომღაც აღარ აღიზიანებდა იქ ყოფნა და საქმის კეთება.

უეცრად, კარზე დააკაკუნეს.

— ლიზ, დაბრუ... უი, — მან კარი გააღო და მოულოდნელობისგან გახევდა.

კართან ყვავილების თაიგულით ხელდამშვენებული ბესო იდგა.

ასეთი ლამაზი ორქიდეები ნატას არასოდეს ენახა. სად იშოვა, ნეტავ?

ქალი კიბის ბაქანზე გავიდა, თაიგული ჩამოართვა და მისი ყურებით ტკბებოდა.

ბესოს კმაყოფილი სახე ჰქონდა. სამზარეულოდან მადისაღმძვრელი სუნი გამოდიოდა და ცხვირში უღიტინებდა.

— გუშინდელ წვნიანს შეჭამ? —

ყოფილმა ფეხბურთელმა კომპანიის დირექტორის თანამდებობა მას შემდეგ მიიღო, რაც ამ კომპანიის მფლობელის ქალიშვილზე დაქორწინდა

— ნატა, მომეხმარეთ, — სთხოვა ქალს, როდესაც შენიშნა, რომ ის უსაქმურად იჯდა, — სტაფილო და პომიდორი დაჭერით, უკვე გავრეცხე.

ნატას წინ, მაგიდაზე უამრავი დანა, პროდუქტი და ჭურჭელი გაჩნდა. მას უნდოდა, ლიზიკოსთვის გადაებარებინა საქმე, მაგრამ ის ლაპარაკს აგრძელებდა. თავისდა გასაოცრად, სტაფილოს დაჭრა დაიწყო. არავითარი „გვერდითი მოვლენები“ ამ პროცესს არ მოჰყოლია.

— მეგობრებო, იძულებული ვარ, დაგტოვოთ, — სამზარეულოში პალტოში გამოწყობილი ლიზიკო შემოვიდა, — მომაკითხეს და უნდა წავიდე, — ყურადღება არც მიუქცევია ნატასთვის, რომელიც ხელით ანიშნებდა, დაგახრჩობო, — რეცეპტის დატოვება არ დაგავიწყდეთ, — დაუბარა დირექტორს და კარი გაიხურა.

ამ დროს ნატამ მამაკაცის ყურადღებიანი და დაჟინებული მზერა შენიშნა. არ იცოდა, ამის შემდეგ, მასთან მარტო დარჩენილი, როგორ მოქცეულიყო.

— რაღაც არ მოგეწონათ? — ჰკითხა მამაკაცმა.

ჰკითხა მამაკაცს, ჩვეულებისამებრ.

— გუშინდელს? — გაოცდა მამაკაცი, რადგან ნატას სახლიდან საოცარი, ახალმომზადებული წვნიანის სურნელი გამოდიოდა. — იყოს გუშინდელი, უარს არ ვიტყვი.

უეცრად, ქალს ირონიული მზერა გაუხდა. მამაკაცს თაიგული უკან გაუწოდა. იმანაც გამოართვა. ნატა თვალებში უყურებდა მას და იღიმებოდა.

— მაშინ ხვალ მოდი, — უთხრა და თვალი გაუსწორა.

ბესოს არაფერი უთქვამს, მაგრამ მზერაზე შეეტყო, რომ ყველაფერს მიხვდა. ჩაიცინა და ამაყად დაეშვა კიბეზე. როდესაც ნაბიჯების ხმა შეწყდა, ნატა შინ შევიდა და კარი ზურგს უკან მიხურა.

მაგიდა სამ ადამიანზე დახვდა გაწყობილი. დირექტორი კი ღუმლიდან შემწვარ თევზს იღებდა.

— ლიზიკო არ მოვა, — თქვა დიასახლისმა და ზედმეტი თეფშები აიღო... შემდეგ ფილტვებში ბლომად ჰაერი დააგროვა და გარეთ ხმაურით გამოუშვა.

სწორედ მაშინ დაიფიცა, რომ მის სახლში წინა დღის წვნიანი არასოდეს იქნებოდა. ■



სამყარო

„უფულო მილიონერის“ მეტყველი ნამუშევრები

ეთო ყორღანაშვილი

მხატვარი — გივი ვაშაკიძე უამრავი სურათის ავტორია, მაგრამ საკუთარი სახელოსნო დღესაც არა აქვს. სამუშაო გარემოს ყველაზე მეტად, სოფლის ულამაზესი ბუნება „უვსებს“. ამ ცოტა ხნის წინ, ბატონმა გივიმ თავის ვაჟთან — მხატვარ გიორგი ვაშაკიძესთან ერთად ნამუშევრების გამოფენა მოაწყო. მართალია, მის სურათებში ადამიანებს ყველაზე მეტყველი — თვალები არა აქვთ, მაგრამ მაინც „მეტყველებენ“...

— გამოფენის მოწყობა დაახლოებით, 4 თვის წინ დაიგეგმა. თბილისში დაბადებულ-გაზრდილი ვარ, მაგრამ სოფელთან მარადიული სიყვარულის გრძნობა მაკავშირებს — ბუნების მოტრფიალე გახლავართ და ამიტომაც, საცხოვრებლად სოფელ ჯიხაიშში გადავედი.

— დიდი ხანია, რაც სოფელში ცხოვრობთ?

— 1991 წელს ცეცხლმოკიდებული ქალაქის ყურება ვერ შევძელი. მებრძოლი არა ვარ, ხელში იარაღი რომ ამეღო და მაგალითად, „მხედრიონს“ შევჭიდებოდი. ამიტომაც, სოფელში გამგზავრება გადავწყვიტე და მას შემდეგ ჯიხაიშის მკვიდრი ვარ...

— იმ პერიოდში თქვენი განცდები ტილოზე თუ გადაიტანეთ?

— ამ თემაზე შექმნილი ნამუშევრები არა მაქვს, მაგრამ ძალადობის საწინააღმდეგო 2-3 სურათი დავხატე. ისინი გამოფენაზე არ გამომიტანია — ადამიანების დახოცვის ამსახველია... მე-10 კლასში ყოფნისას, მშობლიური ლიტერატურის გამოცდაზე 6-სტრიქონიანი თავისუფალი თემა დავწერე, რომელშიც სვანეთის ბუნება, უშბის სილამაზე აღვწერე. მიუხედავად იმისა, რომ თემა მხოლოდ 6 სტრიქონს მოიცავდა, მასწავლებელმა ნამუშევარი მაღალი ნიშნით შემიფასა. ამით მაგრძნობინა, — შენს სულიერ სამყაროს პატივს ვცემო! მას შემდეგ ვფიქრობ, რომ ყველაზე დიდი სილამაზე ადამიანის სულშია! ჩემს ნამუშევრებში ადამიანებს თვალი, წარბი, წამწამი არა აქვთ, მაგრამ ისინი მაინც მეტყველებენ, ჩემს სათქმელს ამბობენ...

— შეიძლება ითქვას, რომ გამოფენაზე თქვენი სულიერი სამყარო გვიჩვენეთ?

— ჩემი — არა. ესაა დანახული და შეძენილი სულიერი სამყარო: ჩემი მეგობრების, ახლობლების, შემხვედრი ადამიანების... გუშინ ბიჭებმა მითხრეს: ტელევიზიით რომ თქვი, — ჩემს მეგობრებს ვხატავო, აბა, სადაა ის სურათები, გვიჩვენეო! მათ ვუპასუხე: თქვენს პორტრეტებს კი არა, იმ სამყაროს ვხატავ, რომელიც თქვენში მოწესრიგებულად „ზის“-მეთქი (*იღიმის*).

მუზა შემდეგ მოვიდა — როცა გოგონების აღქმა დავიწყე და პირველი სიყვარული მეწვია...

— ხატვა როდის დაიწყეთ? ვინ ან რა იყო თქვენი პირველი მუზა?

— მუზა შემდეგ მოვიდა — როცა გოგონების აღქმა დავიწყე და პირველი სიყვარული მეწვია... სხვათა შორის, ხატვა მამამ შემაყვარა.

— ისიც მხატვარი იყო?

— არა, საკანცელარიო სამსახურის წარმომადგენელი გახლდათ, მაგრამ როგორც ჩანს, ხელოვნის სული ჰქონდა. ადრე ძალიან ლამაზად დასურათებული ჟურნალი „ოქტომბრელი“ გამოდიოდა, რომელიც მამას ჩემთვის მოჰქონდა ხოლმე, შემდეგ საღებავებიც მიყიდა: ჟურნალიდან გორის ხედი (სტალინის სახლი, ციხესიმაგრე) „გადმოვიხატე“, მამამ კი მიჩვენა, თუ როგორ უნდა გამეფერადებინა. კარგი გამოვიდა...

არ ყოფილა შემთხვევა, რომ ჩემი სურათი ერთ ადამიანს მაინც არ „გაეგოს“

მოგვიანებით პიონერთა სასახლეში, გრიგოლ მესხთან და შალვა კაპანაძესთან მოსამზადებელი კურსი გავიარე, სადაც ძირითადად, ნატიურმორტებს ვხატავდით... პირველი შემოქმედებითი სურათიც იმ პერიოდში დავხატე: სვანური მთები, კოშკები, წინა პლანზე კი დაჭრილი მხედარი, რომელიც წყაროსკენ მიხოხავს... მაშინ მერვე-მეცხრე კლასის მოსწავლე გახლდით და ვაჟა-ფშაველას შემოქმედების გავლენის ქვეშ ვიყავი.

— იმ პერიოდისთვის მხატვრის პროფესია უკვე არჩეული გქონდათ?

— სწორედ პიონერთა სასახლეში სწავლისას მივხვდი, რომ მქონდა სურვილი — მხატვარი გავმხდარიყავი; შემდეგ სამხატვრო აკადემიაში ჩავაბარე. მადლობას ვუხდი ქიტა ქუთათელაძეს, სერგო ქობულაძეს, რობერტ სტურუას. ბატონ რობერტს რჩევას ხშირად ვეკითხებოდი.

— ზოგჯერ იმის შიში არ გეუფლებათ, რომ შეიძლება, თქვენი ნამუშევრების არსს საზოგადოება ვერ ჩასწვდეს?

— არა, რადგან არ ყოფილა შემთხვევა, რომ ჩემი სურათი ერთ ადამიანს მაინც არ „გაეგოს“. მართალია, ეს ნამუშევრები ბევრს არ მოსწონდა და სხვათა შორის, ახლაც არ მოსწონს, მაგრამ მერე რა მოხდა? — ადამიანი ისეთს ვერაფერს გააკეთებს, ყველას რომ მოაწონოს თავი. საბჭოთა პერიოდში მეუბნებოდნენ: — ისე დაგმარხავთ, ვერც კი გაიგებო! „კაგებეს“ წარმომადგენლები გამოფენის მოწყობაზე უარს მეუბნებოდნენ და მთხოვდნენ, — მათ წარმომადგენლობაში შევსულიყავი, სხვა მხატვრები

3 წლის იყო, როცა ფეხისგული დახაგა, შუაში კი წერგილი დასვა – აქ მტკივაო

დამესმინა. ჩემი ერთი სიტყვის გამო, ვიღაცას ცხოვრებას ვერ დავუნგრევდი. არც სახელოსნო მქონია, არც გამოფენები მომიწყვია, მაგრამ როგორღაც, მხატვართა კავშირის წევრი გავხდი... ასეთი სირთულეები ჩემს სულიერ სამყაროზე არ მოქმედებდა (მე მაინც ვხატავდი), მაგრამ მატერიალურად კი ძალიან მიჭირდა.

— საინტერესოა, იმ პერიოდში რას ხატავდით?

— მაგალითად, ერთ-ერთი სურათი ასეთია: წეროს ვიოლინო აქვს ჩახუტებული, აქეთ-იქიდან კი უხეში წეროები დგანან. სურათს ჰქვია — „ვიოლინოს ხმა ისმა“, ე.ი. საიდანღაც „ვიოლინოს“ ხმა კიდევ ისმოდა, ვიღაც მაინც „უკრავდა“, მიუხედავად იმისა, რომ მას შავოსანი „წერო“ ადგა თავს! მოკლედ, ეს ჩემი პროტესტი იყო!

— ნამუშევრების ფართო საზოგადოებამდე მიტანას ახერხებდით?

— კი, მაინც ვახერხებდი! მაშინ აკაკი ბაქრაძე რუსთაველის თეატრის დირექტორი იყო. მას ჩემმა მეგობარმა ჩემ შესახებ უთხრა და ამ არაჩვეულებრივი ადამიანის დახმარებით, რუსთაველის თეატრის ფოიეში ჩემი ნამუშევრების გამოფენა მოეწყო — ხალხმა ჩემი სუ-

დაუსვით
www.mkurnali.ge
კითხვა ექიმს

დიდებული ნამუშევრები აქვს, მაგრამ მანაც ჩემი ბედი გაიზიარა: აქ არ გვწყალობენ

რათები ნახა, კეთილი სიტყვები მითხრა, ელგუჯა ამაშუკელმა კი ნამუშევრებს სტატია მიუძღვნა, ლია სტურუამ ტელევიზიით, თბილად ილაპარაკა...

— **ამ დროს „კეთილმოსურნეებს“ როგორი რეაქცია ჰქონდათ?**

— ზამთარი იყო და გამოფენაზე მოსულმა ერთმა ესტონელმა დამთვალიერებელმა პლასტმასის საოცარი ციგა მაჩუქა. გარეთ გამოსულს მხატვართა კავშირის მაშინდელი თავმჯდომარე შემხვდა და როცა შეიტყო, რომ ციგა სიყვარულის ნიშნად მაჩუქეს, მითხრა: საქართველოში ციგა რად გინდაო?! დამცირების სურვილი ძვალსა და რბილში ისე ჰქონდა გამჯდარი, რომ ციგა დამიწუნა (*იცინის*).

— **და მიუხედავად ყველაფრისა, თქვენს საქმეს მაინც აკეთებდით...**

— დიახ და ძმაკაცები „უფულო მილიონერს“ მეძახდნენ (*იცინის*). როცა ხალხს თავისუფლება (ოღონდ, „ზედმეტი“ არა!) მისცეს, გერმანიაში გავემგზავრე. მე და ჩემმა ვაჟმა — გიორგი ვაშაკიძემ ჩვენი ნამუშევრები წავიღეთ და თქვენ წარმოიდგინეთ, აბსოლუტურად ყველა გაიყიდა! რაც შეეხება აქ მოწყობილ გამოფენას, ნამუშევრები 200-მა კაცმა მაინც დაათვალიერა, მაგრამ სურათი მხოლოდ ერთმა შეიძინა. საქართველოში სულიერ სამყაროზე მოთხოვნილება არ არის, ჩვენთვის ფულის მოხვეჭა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე — გაცემა. სურათის ნაცვლად, ადამიანი მაგალითად, ტახტს იყიდის... ზოგი სურათსაც ყიდულობს, მაგრამ მყიდველს კიდევ ვიღაც მრჩეველი ჰყავს, რომელიც ამა თუ იმ ნამუშევრის შეფასებას ცდილობს. ალბათ, ქართველები საკუთარ გემოვნებას ვერ ენდობიან...

— **თქვენს ვაჟზეც გვიამბეთ. გამოფენაზე მისი ნამუშევრებიც იყო წარმოდგენილი?**

— დიახ. მისი ნამუშევრები მხატვრის სულიერ სამყაროს გვიჩვენებს — უბრალოდ, დამნახველი სჭირდება! 3 წლის იყო, როცა ფეხისგული დახატა, შუაში კი წერტილი დასვა — აქ მტკივაო (*იცინის*)! ახლა სურათებს ხატავს და ამბობს, — მტკივაო, რადგანაც „დამნახველები“ არ ჰყავს (*ილიმის*)... რეალისტურ, იმპრესიონისტულ, სიურრეალისტურ სურათებს ქმნიდა. ახლა ამ ყველაფერს მოეშვა და აბსტრაქციაზე გადავიდა. დიდებული ნამუშევრები აქვს, მაგრამ მანაც ჩემი ბედი გაიზიარა: აქ არ გვწყალობენ და რა ვქნათ?!.

— **გამოფენებს საზღვარგარეთაც აწყობთ?**

— ვერა, ჩვენი შემოსავლით ამას ვერ გავწვდებით, „თავისუფალი“ ფული არ გვრჩება; ამ საქმეს ვინმემ სპონსორობა უნდა გაუწიოს... ადრე, გერმანიაში ყოფნისას, ერთი ოჯახი გვმასპინძლობდა და ისინი გამოფენის მოწყობასაც გვთავაზობდნენ, მაგრამ უკვე მოხუცდნენ, ვეღარ დაგვეხმარებიან... 1989 წლის 9 აპრილამდე მოსკოვში, „მზიურში“ ჩემი ნამუშევრების გამოფენა დაიგეგმა. რუსეთში ვიყავი, როცა 9 აპრილის ტრაგიკული ამბის შესახებ შევიტყვე და მაშინვე, ამ მოვლენის ამსახველი ფოტოებიც ჩამოიტანეს; ქუჩაში ხალხი სურათებს ხევდა, ჩემი აფიშაც ჩამოხიეს, რადგანაც ზედ ქართული სახელი და გვარი ეწერა... მიუხედავად ამისა, ყველა ჩემი ნამუშევარი გაიყიდა. რამდენიმე წლის წინ, რუსეთში მცხოვრებმა ქართველმა გამოფენა მომიწყო, მაგრამ ერთი სურათიც ვერ გავყიდე.

— **ეს რუსეთ-საქართველოს დაძაბული ურთიერთობის ბრალია?**

— არ ვიცი. შეიძლება, მათი მოთხოვნა ვერ დავაკმაყოფილე...

— **დაახლოებით, რამდენი სურათი გაქვთ შექმნილი?**

— უამრავი! ბევრი მათგანი „კაპიკებადაც“ გამიყიდია, რათა ოჯახს პური ჰქონოდა.

— **თავის გატანას როგორ ახერხებთ?**

— ღვთის წყალობით! ჩემს ვაჟს მეუღლე და შვილები ჰყავს. ცოლი მუშაობს, მაგრამ ხელფასს თვეობით არ აძლევენ. მოკლედ, მატერიალური საკითხი ჩვენთვის მძიმეა.

— **სახელოსნო არც ახლა გაქვთ?**

— არა, მე და ჩემი ვაჟი დღესაც შინ ვმუშაობთ, ოღონდ, განსხვავება ის არის, რომ ის თბილისში ცხოვრობს, მე — სოფელში. სამუშაო გარემოს ყველაზე კარგად, ბუნება „მივსებს“ — ჩიტები ჭიკჭიკებენ, მამალი ყივის, ძროხა ბღავის... ჩემი მეუღლე მშვიდი ქალია, მას დიდ პატივს ვცემ.

— **ბატონო გივი, თქვენი რომელიმე ნამუშევარი რაიმე განსაკუთრებულ მოგონებას ხომ არ უკავშირდება?**

— ერთხელ ხის მასალისგან ცხენი გავაკეთეთ, რომელიც ჩემს შვილიშვილს ძალიან შეუყვარდა, გაიძახოდა: სულ ჩემთან უნდა იყოსო! ჰოდა, ის ხის ცხენი დავხატე და ასე დავაფიქსირე სამუდამოდ. სურათს „მოგონება“ ჰქვია (*ილიმის*).

— **დასასრულ, რამის თქმა ხომ არ გსურთ?**

— ძალიან მინდა, „ვეფხისტყაოსანი“ გავაფორმო — ასამდე ილუსტრაცია მაქვს შექმნილი. კარგი იქნება, ამ საქმეს ვინმე სპონსორობას თუ გაუწევს.

რომაელი გლადიატორი



ძველ რომში, სპეციალურ სტადიონზე, ხალხის გასართობად ბრძოლა გლადიატორებს ან მებრძოლსა და ცხოველს შორის ეწყობოდა.

ეტრუსკებს თავისებური მსხვერპლშეწირვის ტრადიცია ჰქონდათ: სასიკვდილოდ განწირულ ადამიანებს ხმლებს აძლევდნენ და საფლავთან აჩხუბებდნენ — სუსტი კვდებოდა, გამარჯვებული კი მაყურებლის ტაშს იმსახურებდა. რომაელები ამ სანახაობით ისე მოიხიბლნენ, რომ მისი გამართვა რომში დაიწყეს და მალე, გლადიატორების ბრძოლა იტალიელების საყვარელი გასართობი გახდა. ცნობილია, რომ იმპერატორ ცეზარის დროს 320 გლადიატორის შერკინება ჩატარდა, რომლის წესები ასეთი იყო: თუ მებრძოლი დაიჭრებოდა, მაყურებლის გადაწყვეტილებით, მას ან მოკლავდნენ, ან ცოცხალს დატოვებდნენ, მაგრამ ცხადია, გადამწყვეტი სიტყვა იმპერატორს უნდა ეთქვა. აწეული ცერი „სიცოცხლეს“, ხოლო დაწეული — „სიკვდილს“ ნიშნავდა. აღსანიშნავია, რომ ნერონის მმართველობის დროს არენაზე ქალი-გლადიატორები გამოიყვანეს, დომიციანის დროს კი — ჯუჯა მებრძოლები. გლადიატორთა ბრძოლები ჩვენს ერამდე 400 წელს აიკრძალა.

ასეთი სანახაობა ძირითადად, კოლიზეუმში (ამფითეატრის მშენებლობა იმპერატორ ვესპასიანეს მმართველობის დროს დაიწყო და ტიტუსის დროს დასრულდა), პომპეუსის, ვერონისა და სხვა ამფითეატრებში იმართებოდა. არსებობდა გლადიატორთა კლასიფიკაციაც:

ანდაბატი შუა საუკუნეების რაინდივით იყო ჩაცმული და ისეთი მუზარადი ეხურა, რომ ბრძოლის დროს მოწინააღმდეგე ვერ დაენახა;

ხმლით შეიარაღებულ, წარსულში კანონსაწინააღმდეგო საქმის ჩამდენ მებრძოლს ბესტიარი ერქვა. იგი ველურ ცხოველს უნდა შებრძოლებოდა. მოგვიანებით, გაწვრთნილი ბესტიარი გლადიატორი ხდებოდა;

დიმაჰერს ორივე ხელში ხმალი ეპყრა და ისე იბრძოდა;

ლაკვეარი მოწინააღმდეგის შეპყრობას ლასოთი (მსხვერპლის დასაჭერი მარყუჟიანი თოკი) ცდილობდა;

ეკვიტი ცხენზე ამხედრებული, ხმლით იბრძოდა;

პროვოკატორო ერთადერთი მეომარი იყო, რომელსაც თავდაცვის მიზნით, ტყავის ჟილეტი ეცვა;

რუდიარი გათავისუფლებულ, მაგრამ გლადიატორად დარჩენილ მეომარს ერქვა. ის მწვრთნელის, დამხმარის ან მსაჯის მოვალეობას ასრულებდა;

ვენატორი ცხოველებთან ერთად გამოდიოდა და სხვადასხვა ილეთს ასრულებდა. ის გლადიატორი არ იყო, მაგრამ მისი გამოსვლა შოუს ელემენტს შეიცავდა.

პრეგენარი წარმოდგენის დასაწყისში გამოდიოდა და მაყურებლის გახურება, სისხლიანი შოუსთვის შემზადება ევალებოდა.

სხვათა შორის, გლადიატორების საზღვაო შერკინება — ნავმახიაც იმართებოდა და ყველაზე ცნობილი ასეთი სანახაობა იმპერატორ კლავდიუსის დროს გაიმართა. რომის მახლობლად, ტბაზე გამართულ „ომში“ 50 საბრძოლო გემი და 20 ათასი ადამიანი მონაწილეობდა. აღსანიშნავია, რომ ბრძოლაში ცოცხლად გადარჩენილ ყველა გლადიატორსა და დამნაშავეს (შერკინებაში ისინიც მონაწილეობდნენ) თავისუფლება აჩუქეს.

გლადიატორებს შორის ყველაზე ცნობილი კასტი, კრიკსი პუბლიპორი და სპარტაკი იყვნენ. იმპერატორ კომოდოსაც უყვარდა გლადიატორებთან შებრძოლება (სულ 735 შერკინებაში მონაწილეობდა), მაგრამ ლეგენდის თანახმად, იგი არენაზე კი არ მოკლეს, არამედ ბრძოლის წინ დაახრჩვეს — ეს ისტორია მხატვრულ ფილმ „გლადიატორშიც“ ასახეს.

რომის იმპერიის დაცემის შემდეგ, ნავმახი ორჯერ — 1550 წელს საფრანგეთში, ანრი II-ისა და 1807 წელს იტალიაში, ნაპოლეონის თაოსნობით ჩატარდა.

პინგვინი – „მსუქანი მეხცხალი“

„პინ“ თავს, ხოლო „გვინი“ — თეთრს ნიშნავს. სხვათა შორის, სიტყვა „პინგვინი“ ლათინურიდან „მსუქანსაც“ ნიშნავს და ხუმრობით, მათ „მსუქან მერცხლებს“ ეძახიან. ისინი ბინადრობენ ანტარქტიდის, ავსტრალიის, აფრიკისა და სამხრეთ ამერიკის ნაპირებზე, გალაპაგოსის კუნძულზე. დღესდღეობით, პინგვინის 18 სახეობა არსებობს და აქედან, სამი გადაშენების პირასაა.

პინგვინის ნახვა ევროპის ზოგიერთ ზოოპარკშია შესაძლებელი, ხოლო მიუნხენისა და ედინბურგის ზოოპარკებში ე.წ. „პინგვინების აღლუმიც“ კი ეწყობა — ამ დროს ფრინველი ვოლიერებიდან გამოჰყავთ და პარკის ტერიტორიაზე ასეირნებენ.

პინგვინი ერთადერთი ფრინველია, რომელსაც შეუძლია ცურვა და არა — ფრენა. იგი ორ ფეხზე დადის — მას მოკლე და სქელი ფეხები აქვს, პატარა ნაბიჯებით გადაადგილდება, ხოლო თუ ეჩქარება, კი არ გარბის, არამედ მუცელზე წვება და სრიალებს.

პინგვინები ჯგუფებად ცხოვრობენ,

რათა მტრებისგან თავი და შთამომავლობა დაიცვან. ისინი წყალში სელაპებს, ზვიგენებსა და წყლის სხვა ცხოველებს უფრთხიან, მიწაზე — თოლიებსა (ეს ფრინველი მათი კვერცხით იკვებება) და ადამიანებს. ძვირად ფასობს პინგვინის ცხიმი, მაგრამ ხორცი უგემური აქვს.

სამეფო ჯიშის პინგვინები კარგი მოცურავეები არიან და მათ 100-200 მეტრ სიღრმეზე შეუძლიათ ჩაყვინთვა; ზოგიერთი მათგანი 27 კმ/სთ-ი ცურავს... ყველაზე დიდი საიმპერატორო ჯიშის პინგვინია — 1,1 მეტრამდე იზრდება და 27-40 კგ-ს იწონის.

პინგვინი ყინვაგამძლე ფრინველია — მინუს 110 გრადუსზეც მშვენივრად გრძნობს თავს. შედარებისთვის, თეთრი დათვები და სელაპები მხოლოდ მინუს 80 გრადუსს უძლებენ.

გვირგვინიანი პინგვინები ანტარქტიდის გერბსა და დროშაზეა გამოსახული. ასევე, ეს ფრინველი ახალზელანდიურ 5-დოლარიანსაც ამშვენებს.

უძველეს სასახლეებში მოხეტიალე აჩრდილები და ქვეყანა, სადაც მოჩვენებებს პატივს სცემენ

მსოფლიოში ყველაზე მეტი მოჩვენება ინგლისში „ცხოვრობს“. რამდენიმე წლის წინ შოტლანდიელმა ფსიქოლოგებმა უინძორების სასახლეში მოჩვენებათა გამოკვლევა ჩაატარეს, მაგრამ მათი ზუსტი რაოდენობა ვერ დადგინდა. სამეფო ოჯახი მოჩვენებებს პატივისცემით ეპყრობა, მაგრამ ცნობილია, რომ მათი ეშინოდა პრინცესა დაიანას და ერთ-ერთთან შეხვედრით გამოწვეული შოკის დაძლევაში მას ფსიქოლოგის დახმარებაც კი დასჭირდა.

მოჩვენებებით განთქმულია ბრიტანეთის სოფელი პლაკსლი, სადაც ზუსტად 12 მოჩვენება ცხოვრობს. დროდადრო, ამ სოფლის მთავარ ქუჩაზე ცხენებშებმული ძველებური ეტლი „ჩაივლის“ ხოლმე, შორიახლოს კი ბოშა ქალი ჩიბუხს აბოლებს — ის ოდესღაც, ჯადოქრობაში ამხილეს და სწორედ ამ ადგილას დაწვეს; რამდენიმე საუკუნის წინ ერთ-ერთმა მასწავლებელმა მინდორში, დაფნის ხეზე თავი ჩამოიხრჩო. მისი ლანდი დღესაც, ტოტებს შორის „ქანაობს“; შავი მეწისქვილის აჩრდილი მხოლოდ ჭექა-ქუხილის წინ ჩნდება... პლაკსლში, მოჩვენებების სანახავად, ყოველწლიურად უამრავი ტურისტი ჩადის.

ტაუერის მთავარი „გმირი“ ანა ბოლეინის აჩრდილია. მას თეთრებში ჩაცმულ ქალს ეძახიან. იგი ხშირად ჩნდება იმ ოთახში, სადაც ჩამოხრჩობის წინ ღამე გაატარა, დერეფნებში კი ანთებული სანთლით გადაადგილდება.

ჰენრი VIII და მისი ცოლები ჰემპტონის სასახლეშიც ხშირად „ჩნდებიან“. პირველ ცოლთან — ეკატერინე ჰოვარდთან გაყრის შემდეგ, მეფე ანა ბოლეინზე დაქორწინდა, მისი ჩამოხრჩობის შემდეგ კი ჯეინ სეიმური შეირთო, რომელიც მშობიარობას გადაჰყვა. ჰენრი მერვის მომდევნო ცოლმაც სიცოცხლე ეშაფოტზე დაასრულა. მეფისა და მისი ცოლების აჩრდილები ჰემპტონის სასახლის ხშირი სტუმრები არიან. თვითმხილველები ამბობენ, რომ სავსემთვარეობისას ანა ბოლეინის პორტრეტიდან გამოსახულება რამდენიმე საათით ქრება, სასახლეში კი ქალის კივილი ისმის. ერთხელ, ტურისტები სასახლეში ეკატერინე ჰოვარდის აჩრდილს შეხვდნენ და გული წაუვიდათ. მათ დაინახეს, რომ თეთრებში ჩაცმული ქალი სამლოცველოსკენ გარბოდა... თურმე, სინამდვილეში, როცა დედოფალმა საკუთარი დასჯის შესახებ შეიტყო, სამლოცველოსკენ გაიქცა, სადაც დაცვამ შეიპყრო. თავად მეფის აჩრდილი სასახლეში ჭექა-ქუხილამდე რამდენიმე წუთით ადრე ჩნდება. ამ დროს ხალხს მძიმე ნაბიჯების ხმა ესმის, სიცივეს გრძნობს და გაელვებისას, ჰენრის გამოსახულებასაც ხედავს.



დიდი ხანია, რაც მეცნიერები ჰემპტონის მოჩვენებებს იკვლევენ და სპეციალურ დღიურსაც კი აწარმოებენ, სადაც აღნიშნავენ, თუ რომელი მოჩვენება, რა ვითარებაში, როდის და რამდენჯერ იხილეს.

მოჩვენებები ედინბურგის სასახლეშიც ბინადრობენ. ათი დღის განმავლობაში, თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი 240 მოხალისე სასახლის მოჩვენებების აღწერას ცდილობდა. სამეფო წევრების აჩრდილების გარდა, მათ დააფიქსირეს ქალი, ჩვილი ბავშვით ხელში, მუსიკოსი, რომელიც გუდასტვირზე უკრავდა და ა.შ. აღსანიშნავია, რომ შავი ჭირის დროს სასახლის სარდაფში, უამრავი ადამიანი ცოცხლად დაიმარხა.

ინგლისში მოჩვენებებს პატივს სცემენ და უფრთხილდებიან კიდეც. მოჩვენებების მაძიებელთა პირველი კლუბი ლონდონში, 1665 წელს შეიქმნა და ცნობილი ფიზიკოსი, რობერტ ბოილი ხელმძღვანელობდა. კლუბის მიზანი, მოჩვენების ფენომენის ახსნა იყო. ამავე მიზეზით, 1882 წელს შეიქმნა მეორე ორგანიზაცია, რომლის წევრები მოჩვენებების გამოჩენის ადგილებსა და მათ ქმედებებს დოკუმენტურად აფიქსირებდნენ.

მოამზადა რუსუდან გელაშვილმა

ქართველი მამლუქი

მუჰამედ ბეი ლაზ-ოღლი და ნაპოლეონი

მიხეილ ლაგაძე

ქართველმა მამლუქებმა ეგვიპტისა და ერაყის ისტორიაში საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს — ამ ქვეყნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყება და აღმავლობა სწორედ მათ სახელებთანაა დაკავშირებული. სამშობლოდან იძულებით გადახვეწილი ქართველები ბედს არ ურიგდებოდნენ და სახელის მოხვეჭას, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ ცდილობდნენ, რომ საქართველოსთვის არ დაკარგულიყვნენ. მათ თავიანთი ქართველობა ყოველთვის ეამაყებოდათ, მიუხედავად იმისა, რომ მამლუქთა ზნეობის კოდექსი — „ალ-ფურუსია“ ეროვნულ წარმომავლობაზე უბრალო საუბარსაც კი სასტიკად კრძალავდა — ყოველი მამლუქი ჭეშმარიტი მუსლიმანი, სულთნის ერთგული მეომარი უნდა ყოფილიყო და სწორედ ამით უნდა ეამაყა, წარსული კი დაევიწყებინა...

ეგვიპტეში პირველი მამლუქები XII საუკუნიდან გამოჩნდნენ, როდესაც სულთანმა სალაჰადდინ იბნ აიუბმა (1169-1193) განსაკუთრებული სამხედრო გვარდიის შესაქმნელად ბევრი თეთრკანიანი მონა შეიძინა და მათ გაწვრთნას მიჰყო ხელი. ამ დრომდე ეგვიპტის სულთნები მონებად მხოლოდ შავკანიანებს ყიდულობდნენ და სხვათა შორის, პირად გვარდიასაც მათგან ადგენდნენ. ომიანობის დროს სულთნები ლაშქრისათვის ძირითადად, ბედუინებს ქირაობდნენ, რასაც ხშირად, გაუთვალისწინებელი ხარჯები სჭირდებოდა. სალაჰადდინ იბნ აიუბს თეთრკანიანი მონების ყიდვის იდეა მაშინ გაუჩნდა, როდესაც ჯამაგირით უკმაყოფილო ბედუინები აუჯანყდნენ.

ეგვიპტის სულთნის ბრძანების აღსასრულებლად ეგვიპტელმა ვაჭრებმა მონები ძირითადად, ბალკანეთისა და კავკასიის ქვეყნებში შეიძინეს. შემდგომშიც, როდესაც სალაჰადდინ იბნ აიუბის რეფორმამ გაამართლა და მამლუქთა რაზმები სულთნის ხელისუფლების მთავარ დასაყრდენად იქცა, ახალ-ახალ მონებს უმეტესად, სწორედ ამ რეგიონებში ყიდულობდნენ. XVI საუკუნის დასაწყისში, როდესაც ეგვიპტეში ოსმალები გაბატონდნენ, მამლუქებს მონები აღარ ეთქმოდათ — ისინი გავლენიან სამხედრო კასტად იყვნენ ქცეულნი. ოსმალებს ეგვიპტის მმართველობის უმაღლესი ორგანოს, მამლუქთა საბჭოს (დივანის) უფლებები არ შეუზღუდავთ. უბრალოდ, მას სათავეში ფაშა ჩაუყენეს და ოსმალეთის სულთანს დაუქვემდებარეს; ამასთანავე, საჭიროების შემთხვევაში, მამლუქებმა ოსმალო ფაშას გაძევების უფლება შეინარჩუნეს.

ეგვიპტეში ოსმალების მმართველობა 300 წელზე მეტხანს გაგრძელდა და ამ ხნის განმავლობაში, ამ ქვეყანას მამლუქები, თითქმის ერთპიროვნულად მართავდნენ. მათ ოსმალეთის სულთნის წინააღმდეგ რამდენიმე აჯანყებაც მოაწყვეს — მაგალითად, 1649 წელს ეგვიპტის ყველა ციხესიმაგრეში ოსმალური გარნიზონები ამოწყვიტეს და კაიროში ფაშა სიკვდილით დასაჯეს; 1769 წელს ეგვიპტის დამოუკიდებლობა უკვე მეორედ გამოაცხადეს და ხელისუფლებას 1773 წლამდე ინარჩუნებდნენ. სწორედ ამ უკანასკნელ აჯანყებას მეთაურობდა ქართველი მამლუქი — ალი ბეი, ეგვიპტესა და მის ფარგლებს გარეთ „ალ-ქაბირის“ (არაბულად — დიდი) საპატიო წოდებით ცნობილი მთავარსარდალი — დასავლეთ საქართველოს მკვიდრი ეგვიპტეში 1741 წელს, თურქმა სოვდაგრებმა ჩაიყვანეს.

ალი ბეი ალ-ქაბირი ოსმალებმა 1773 წლის 8 მარტს, სიკვდილით დასაჯეს და ეგვიპტე კვლავ თავიანთ სულთანს დაუმორჩილეს. ალი ბეის შეიარაღებულ რაზმებში მყოფი სხვა ქართველი მამლუქები, რომლებსაც ოსმალები აღარ შეხებიან, მალე გაერთიანდნენ — მათ სათავეში დივანის ხელმძღვანელი, იბრაჰიმ ბეი და ცხენოსანთა ნაწილების სარდალი, მურად ბეი ჩაუდგნენ. ქართველებმა ეგვიპტეში ძველი გავლენა დაიბრუნეს; ისინი იმასაც შეეცადნენ, რომ იმდროინდელი საერთაშორისო საზოგადოებრიობის მხარდაჭერით, ეგვიპტისთვის დამოუკიდებლობა ლეგიტიმურად მოეპოვებინათ.

სწორედ მაშინ, როდესაც მამლუქები ეგვიპტიდან ოსმალთა განდევნას უსისხლოდ, მაშინდელი მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოებთან დაკავშირების გზით გეგმავდნენ, ევროპაში საერთო ვითარება მკვეთრად შეიცვალა — საფრანგეთში დიდი რევოლუციის შემდეგ, 1795 წელს ჩამოყალიბებულმა მმართველობის უმაღლესმა ორგანომ, ე.წ. „აღმასრულებელმა დირექტორიამ“ სახელმწიფოს პირველ კონსულს, ნაპოლეონ ბონაპარტს „ინდოეთისაკენ გზის

ეგვიპტის ეროვნული გმირის, ქართველი მამლუქი მუჰამედ ბეი ლაზ-ოღლის ძეგლი კაიროში

გაჭრა“ ანუ აღმოსავლეთის ქვეყნების დაპყრობა დაავალა. აღსანიშნავია, რომ ფრანგების ეს ჩანაფიქრი, უპირველეს ყოვლისა, ინგლისის უკიდურეს დასუსტებას ისახავდა მიზნად — ნაპოლეონ ბონაპარტს საფრანგეთის მსოფლიო იმპერიად ქცევა ეწადა და მიზნის მისაღწევად, უპირველეს ყოვლისა, ინგლისის ძლიერებისათვის ბოლო უნდა მოეღო.

ეგვიპტეში გალაშქრების გეგმებს ნაპოლეონი მკაცრად ასაიდუმლოებდა, რადგან სურდა, ხმელთაშუა ზღვაში გაბატონებული ინგლისისათვის დარტყმა მოულოდნელად მიეყენებინა. ამავდროულად, საფრანგეთის პირველმა კონსულმა სტამბოლში, ოსმალეთის სულთნის კარზე საიდუმლო ელჩობა გაგზავნა — ფრანგმა დიპლომატებმა სულთანს შესთავაზეს, საფრანგეთთან სამოკავშირეო ხელშეკრულება დაედო, რომლის თანახმადაც, ფრანგული ფლოტი დარდანელისა და ბოსფორის სრუტეებს, ეგვიპტისა და ალჟირის სანაპიროებს გააკონტროლებდა. სტამბოლში ბონაპარტის შემოთავაზება ინტერესით განიხილეს და ხანმოკლე ბჭობის შემდეგ, პასუხიც გასცეს: ოსმალეთი საფრანგეთის არმიას და ფლოტს სრუტეებში ვერ შეუშვებდა, მაგრამ ეგვიპტისა და ალჟირის სანაპიროებთან მათ გამოჩენას მთელი გულით მიესალმებოდა.

ოსმალების ამგვარი პასუხის მთა-

აბუქირის ბრძოლა. ფრანგი მხატვრის, ანტუან-ჟან გროს (1771-1835) სურათი

ვარი მიზეზი, რასაკვირველია, ის იყო, რომ ეგვიპტელი მამლუქები სულთანს ეურჩებოდნენ და ცდილობდნენ, ინგლისის კეთილგანწყობილება მოეპოვებინათ — იბრაჰიმ ბეი (ანუ აბრამ შინჯიკაშვილი) ინგლისის სამეფო კართან მოლაპარაკებებს დიდი ხნის განმავლობაში აწარმოებდა და მეფე ჯორჯ III-ს სთავაზობდა, მისი ქვეყანა ეგვიპტის მთავარი მოკავშირე გამხდარიყო: „ასე ჩვენ შევძლებთ, ოსმალეთის ძლიერებას ბოლო მოვუღოთ და გავათავისუფლოთ აღმოსავლეთის ჩაგრული ხალხი. საუკუნეებია, რაც ისინი დასავლეთიდან ხსნას მოელიან“, — სწერდა ქართველი მამლუქი ინგლისის მეფეს. ამ დროს იბრაჰიმ ბეი თავის პატარა სამშობლოზეც ფიქრობდა, რომლის მონახულებაც, ეგვიპტეში მოხვედრილ სხვა თანამემამულეთა მსგავსად, ოცნებად ჰქონდა ქცეული. მამლუქთა წინამძღოლს ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე მეორესთანაც ჰქონდა კავშირი, შემდეგ კი უფლისწულ ალექსანდრე ბატონიშვილთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ალექსანდრე ბატონიშვილს რუსთა საწინააღმდეგოდ, ინგლისთან კავშირების დამყარებაში სწორედ იბრაჰიმ ბეი ეხმარებოდა.

ამრიგად, ნაპოლეონმა ოსმალეთთან საიდუმლო შეთანხმებას მიაღწია და ეგვიპტეში ლაშქრობაც გადაწყდა — ფრანგული შეიარაღებული ძალები ხმელთაშუა ზღვის პორტებში: ტულონში, აიაჩოში, გენუასა და ჩივიტავეკიაში ფარულად გადაიყვანეს. 1798 წლის 19 მაისს, ნაპოლეონის უშუალო ხელმძღვანელობით, ჯარები ერთდროულად გავიდნენ ზღვაში, კუნძულ სიცილიასთან შეერთდნენ და გზა სამხრეთისკენ განაგრძეს. ნაპოლეონის პირველი სამიზნე კუნძული მალტა იყო, რომელიც იმხანად ინგლისის პროტექტორატის ქვეშ იმყოფებოდა. კუნძულს ინგლისელებთან ერთად, მალტის რაინდთა ორდენი განაგებდა. ფრანგებს მათ წინააღმდეგ ბრძოლა არ დასჭირვებიათ — მალტის ორდენმა ნაპოლეონის ულტიმატუმი მიიღო და ფრანგების მხარეს გადავიდა. თითქოს, ეგვიპტისაკენ გზა ხსნილი იყო, მაგრამ ინგლისურმა დაზვერვამ ნაპოლეონის განზრახვის შესახებ შეიტყო. ლონდონმა ფრანგული ჯარების განადგურება ცნობილ ადმირალს, ჰორაციო ნელსონს დაავალა. ნელსონი ინგლისური ფლოტის საუკეთესო გემებით ნაპოლეონს დაედევნა, მაგრამ ვერ დაეწია — ვიდრე ინგლისელები ეგვიპტის მთავარ ნავსადგურ ალექსანდრიაში ჩააღწევდნენ, ნაპოლეონმა ეგვიპტელი მამლუქების წინააღმდეგობის დაძლევა მოახერხა. იბრაჰიმ ბეი და მურად ბეი იძულებული გახდნენ, კაირო დაეტოვებინათ და მიმალულიყვნენ, თუმცა მანამდე — 1798 წლის 21 ივლისს ფრანგების „ტანმოკლე ფაშათ-ფაშას“ (ასე უწოდებდნენ მაშინ არაბულ ქვეყნებში ნაპოლეონს) ეგვიპტის სატახტო ქალაქთან ახლოს, ფიცხელი ბრძოლა გაუმართეს. ნაპოლეონმა ძლივს შეძლო ბრძოლის მოგება, მერე კი კაიროში გენერალი დავუ დატოვა, თავად კი ჯარებს ზემო ეგვიპტის დასაპყრობად წაუძღვა. სხვათა შორის, ზემო ეგვიპტეში ნაპოლეონის შეჭრას ადგილობრივმა მოსახლეობამ პარტიზანული ომის გაჩაღებით უპასუხა, რომელსაც სათავეში მურად ბეი ჩაუდგა.

1798 წლის ივლისის ბოლოს ალექსანდრიაში ჩამოსულმა ჰორაციო ნელსონმა ფრანგული ფლოტი კი გაანადგურა, მაგრამ შემდგომი წინსვლისაგან თავი შეიკავა, რადგანაც ჯარის გამოსაკვებად რეზერვები აღარ გააჩნდა. ინგლისელები ალექსანდრიის მახლობლად დაბანაკდნენ და შეეცადნენ, კაიროდან მიმალულ მამლუქების წინამძღოლებს დაჰკავშირებოდნენ. მალე ჰორაციო ნელსონს იბრაჰიმ ბეისა და მურად ბეის გამოგზავნილი დელეგაცია ეწვია, რომელსაც სათავეში მუჰამედ ბეი ლაზ-ოღლი ედგა. მამლუქებმა ინგლისელ ადმირალს სამხედრო ფლოტის შექმნაში დახმარება სთხოვეს: „ნაპოლეონი ეგვიპტის შენარჩუნებას ვერ შეძლებს, რადგანაც თქვენი წყალობით, საფრანგეთთან კავშირი აღარ აქვს... თუ ძლიერ სამხედრო ფლოტს შევქმნით, იგი თავის ქვეყანაში დაბრუნებასაც ვეღარ მოახერხებს, ეგვიპტეშივე გავანადგურებთ“, — უთხრა მუჰამედ ბეიმ ჰორაციო ნელსონს.

ჰორაციო ნელსონი ქართველი მამლუქის ჭკუითა და გამჭრიახობით მოხიბლული დარჩა. მან ჟურნალში ასეთი ჩანაწერი გააკეთა: „ჩვენს გემზე ამოვიდა მაღალი, აღმოსავლურ ყაიდაზე მოხდენილად ჩაცმული კაცი... იგი მუჰამედ ბეი ლაზ-ოღლის სახელით გაგვეცნო და გვითხრა, რომ წარმოგზავნილი იყო მამლუქთა წინამძღოლ იბრაჰიმ ბეისაგან... მუჰამედ ბეი ლაზ-ოღლი გარეგნობით მკვეთრად განსხვავდებოდა არაბებისაგან — იგი ქერა იყო და უფრო მაღალი, ვიდრე მისი მხლებელი არაბები, თუმცა არაბულად და თურქულად ბრწყინვალედ ლაპარაკობდა... მე კი ვიცოდი, რომ ეგვიპტეს ამჟამად კავკასიელთა რასა მართავს, რომელიც „გეორგიანთა“ სახელით იწოდება და მისი წარმომადგენლები დიდი გამჭრიახობითა და სამხედრო საქმის კარგი ცოდნით გამოირჩევიან... მუჰამედ ბეი ლაზ-ოღლიც თავისი რასის ყველა საუკეთესო თვისებით იყო დაჯილდოებული“.

სამწუხაროდ, მუჰამედ ბეი ლაზ-ოღლის ქართული სახელი უცნობია, მაგრამ ეგვიპტის ეროვნული გმირის ქართველობის შესახებ ყველა ეგვიპტელმა იცის. სავარაუდოდ, ეს ქართველი მამლუქი ლაზეთიდან ან სამეგრელოდან იყო გატაცებული — ოსმალური გვარი ლაზ-ოღლი „ლაზის შვილს“ ნიშნავს. ქართველი მუჰამედ ბეი ლაზ-ოღლი სამართლიანად მიიჩნევა ეგვიპტის სამხედრო-საზღვაო ძალების შემქმნელად: მან 1798 წლის ბოლოს, ჰორაციო ნელსონის დახმარებით, ალექსანდრიის მახლობლად ორი გემი ააგო, რომლებსაც ეგვიპტის სანაპირო და ნილოსის დელტა უნდა დაეცვა, ნაპოლეონისათვის კი საფრანგეთში გაბრუნების შესაძლებლობა არ მიეცა; თუმცა, მოულოდნელად, ჰორაციო ნელსონმა ჯარები ისევ გემებზე დასხა და ეგვიპტე დატოვა. მუჰამედ ბეიმ ფლოტის მშენებლობა შეაჩერა და ინგლისელების დაბრუნებას ელოდა.

ამავდროულად, ფრანგული არმია ეგვიპტეში ლაშქრობას კვლავ აგრძელებდა — ნაპოლეონმა დაიმორჩილა ზემო ეგვიპტე, მაგრამ ადგილობრივ მოსახლეობაში ფართო მხარდაჭერის მოპოვება ვერ შეძლო, რამაც გამარჯვებით გამოწვეული სიხარული ნელ-ნელა გაუნელა. ამას ისიც დაემატა, რომ საფრანგეთში დირექტორია გაკოტრდა და შესაბამისად, პირველ კონსულს ვეღარავინ აფინანსებდა. თუმცა, ნაპოლეონის შეჩერება შეუძლებელი იყო — ის ყოველთვის, დასახული მიზნის მიღწევას ცდილობდა და უკან დახევას სიკვდილი ერჩივნა. მიუხედავად იმისა, რომ ეგვიპტეში სიტუაცია კვლავაც რთული იყო, ნაპოლეონმა გადაწყვიტა, ეს ქვეყანა ერთგული გენერლებისთვის ჩაებარებინა, თავად კი სირია დაემორჩილებინა. საფრანგეთის პირველი

კონსული ჯარის ერთ ნაწილთან ერთად, ეგვიპტელებს ხელიდან დაუძვრა და სირია-პალესტინის სანაპიროებს დაესხა თავს. 1799 წლის თებერვალში ნაპოლეონმა ქალაქი იაფა აიღო, მაგრამ გზის გაგრძელება ვეღარ შეძლო, რადგან ჯერ ერთი, ნავსადგურ აკოსთან ბრძოლაში დამარცხდა და მეორეც — ეგვიპტის შესახებ ცუდი ამბები შეიტყო: მისი იქ არყოფნით ოსმალებმა, ინგლისელებმა ისარგებლეს და ალექსანდრიისკენ 18-ათასიანი არმია გაგზავნეს.

მართლაც, როცა ოსმალებმა ჰორაციო ნელსონის მიერ საფრანგეთის ფლოტის განადგურების შესახებ შეიტყვეს, ნაპოლეონთან დადებული საიდუმლო ხელშეკრულება დაივიწყეს და გადაწყვიტეს, რომ ეგვიპტეში თავიანთი ძალაუფლება კვლავ აღედგინათ. პირველ ეტაპზე, ოსმალეთის სულთანმა, სელიმ III-მ მამლუქების ქართველ წინამძღოლებს საგანგებო ფირმანი გაუგზავნა, რომლითაც ეგვიპტეში მათი ძალაუფლება კანონიერად ცნო, შემდეგ კი ინგლისელებს დაუკავშირდა და ნაპოლეონის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედება შესთავაზა. ლონდონმაც, ცხადია, ეს შეთავაზება მაშინვე მიიღო — ამჯერად, ინგლისის საექსპედიციო კორპუსს სათავეში ადმირალი სერ სიდნეი სმიტი ჩაუდგა.

ნაპოლეონი სწორედ ინგლისურ-ოსმალური შემოტევის საფრთხემ აიძულა, სასწრაფოდ ეგვიპტეში გაბრუნებულიყო. ამასობაში, მოწინააღმდეგეთა ჯარებმა ალექსანდრია დაიკავეს, მაგრამ წინსვლის ნაცვლად, თავდაცვით პოზიციებზე აღმოჩნდნენ — შიდა ეგვიპტეში ფრანგული ჯარები იმყოფებოდნენ; თუ ინგლისელები და ოსმალები წინსვლას განაგრძობდნენ, სირიიდან მობრუნებულ ნაპოლეონს ადვილად შეეძლო, მათთვის ზურგიდან დაერტყა და ისინი ალყაში მოექცია. ამიტომაც, სერ სიდნეი სმიტმა და ოსმალური ქვედანაყოფების მეთაურმა, წარმოშობით ალბანელმა მუჰამედ ალი ფაშამ გადაწყვიტეს, ნაპოლეონს აბუქირთან დალოდებოდნენ — ისინი იმედოვნებდნენ, რომ უკვე ნაცნობ ადგილებში მტრის ხელმეორედ დამარცხება არ გაუჭირდებოდათ.

ინგლისურ-ოსმალურ ჯარებს მამლუქთა ლაშქარიც შეუერთდა, რომელსაც მუჰამედ ბეი ლაზ-ოღლი მეთაურობდა. ეგვიპტელი ისტორიკოსების მტკიცებით, მან მოითხოვა, წინა ხაზზე მამლუქი მეომრები დაეყენებინათ. თავიდან ოსმალო სარდალი, მუჰამედ ალი ფაშა ამ წინადადებას არ ეთანხმებოდა, მაგრამ დავა სერ სიდნეი სმიტმა გადაწყვიტა — ის მუჰამედ ბეი ლაზ-ოღლის კარგად იცნობდა და მუჰამედ ალი ფაშას ურჩია, ბრძოლა მამლუქებს დაეწყოთ. ოსმალომ ინგლისელ ადმირალს უარი ვეღარ ჰკადრა, მაგრამ ამ ყველაფრით უკმაყოფილო დარჩა.

1799 წლის 25 ივლისს — ნაპოლეონის დამარცხებიდან ზუსტად ერთი წლის მერე — აბუქირის კონცხთან ინგლისურ-ოსმალურ და ფრანგულ არმიებს შორის ბრძოლა გაჩაღდა. მამლუქებმა ფრანგთა მოწინავე ნაწილები ერთიანად აკაფეს და ნაპოლეონის არმიის ყველაზე ძლიერ ქვედანაყოფს — ვენეციელ დრაგუნთა პოლკს, რომელსაც გენერალი მიურატი სარდლობდა, ყიჟინით შეუტიეს. მამლუქთა მეთაური მუჰამედ ბეი ლაზ-ოღლი ხმალამოწვდილი დაქროდა და კაფავდა მტერს. ამ სანახაობას გენერალი მიურატი და თავად ნაპოლეონი მოშორებით მდებარე, პატარა გორაკიდან ადევნებდნენ თვალს. „შეხედეთ, გენერალო, რა ყოჩაღად იბრძვის ის ეგვიპტელი მამლუქი!.. აბა, სხვა ვინღა შეაჩერებს მას, თუ არა თქვენ!“ — წარმოთქვა უცებ ნაპოლეონმა. მიურატმა მაშინვე იშიშვლა ხმალი და საბრძოლველად გავარდა.

რამდენიმე წამში მუჰამედ ბეი ლაზ-ოღლი და გენერალი მიურატი ერთმანეთის პირისპირ იდგნენ. ფარიკაობის წესებს ორივე კარგად ფლობდა, ამიტომაც ერთმანეთთან ბრძოლა გაუჭირდათ. გენერალმა ძლივს აიცდინა ქართველი მამლუქის მოქნეული ხმალი, საპასუხოდ კი მისი მხარში დაჭრა მოახერხა. მოულოდნელად, მუჰამედ ბეიმ მარცხენა ხელით დამბაჩა ამოიღო და მიურატს ესროლა. აღსანიშნავია, რომ შემდგომში, გენერალი თავადვე აღნიშნავდა: მუჰამედ ბეიმ განზრახ მესროლა ისე, რომ ტყვია ძვალს არ შეხებოდა — მან მხოლოდ ლოყიდან ლოყაში გაიარაო. დაჭრილი მიურატი ბრძოლის ველიდან გაიყვანეს, მუჰამედ ბეიმ კი ხმალი შემართა და ფრანგებს დაუყვირა: „ეგ კაცი ღირსეული მეომარია და ვწუხვარ, რომ მეგობრები არა ვართ!“ როდესაც ეს სიტყვები ნაპოლეონს უთარგმნეს, პასუხად, მანაც დანანებით თქვა: „ერთი-ორი ასეთი ვაჟკაცი მეც რომ მომცა, ფრანგულ დაშნას განგსაც შევახებდი!“ მამლუქებისგან განსხვავებით, ფრანგებს ინგლისელებისა და ოსმალების დაძლევა არ გასჭირვებიათ, რამაც საბოლოოდ გადაწყვიტა აბუქირის 1799 წლის ბრძოლის ბედი — გამარჯვება ფრანგებს დარჩათ.

მუჰამედ ბეი ლაზ-ოღლი ბრძოლის ველიდან უვნებელი გამოვიდა. ფრანგების გამარჯვების მიუხედავად, მას იარაღი არ დაუყრია — მურად ბეისა და იბრაჰიმ ბეისთან ერთად ის კვლავაც, პარტიზანულ ომს ჩაუდგა სათავეში. ამჯერად, მამლუქებს მხარს ოსმალეთიც უჭერდა. თანაც, აბუქირის ბრძოლის მოგების შემდეგ ნაპოლეონმა ეგვიპტე მალე დატოვა და პარტიზანებს წარმატების მიღწევა აღარ გასჭირვებიათ — 1800 წელს მამლუქების წინამძღოლმა, მურად ბეიმ ფრანგ გენერალ კლებერთან საზავო შეთანხმებას მოაწერა ხელი, რის შედეგადაც, ფრანგებმა ეგვიპტე დატოვეს.

მკითხველთა უმეტესობამ ალბათ, კარგად იცის, რომ ცნობილ ქართულ მხატვრულ ფილმს — „მამლუქი“ — საფუძვლად მწერალ კონდრატე თათარაშვილის მოთხრობა, „მამელუკი“ უდევს. სხვათა შორის, მოთხრობის სიუჟეტი ფილმისაგან განსხვავდება — იქ მხოლოდ ერთი გატაცებული ბიჭის თავგადასავალია მოთხრობილი, რომელსაც ბოლოს, ბრძოლაში ვენეციელი ასისთავი ამარცხებს. საფიქრებელია, რომ კონდრატე თათარაშვილმა თავის მოთხრობაში მუჰამედ ბეი ლაზ-ოღლის და გენერალ მიურატის ბრძოლის ამბავი ასახა.

P.S. მუჰამედ ბეი ლაზ-ოღლიმ შემდგომშიც არაერთხელ გამოიჩინა თავი, რის გამოც, 1828 წელს კაიროში მისი ძეგლი დადგეს — მართალია, ისლამი ადამიანის დახატვას და გამოქანდაკებას კრძალავს, მაგრამ ეგვიპტელებმა ქართველი მამლუქის მიმართ უდიდესი პატივისცემის ნიშნად, რელიგიური დოგმაც კი დაარღვიეს.

ფრანგი გენერალი იოახიმ მიურატი

ბეჭდები და მისი საიდუმლოება

სამკაული ყველა ქალს უყვარს, მაგრამ ყველამ როდი იცის, ესა თუ ის ბეჭედი რომელ თითზე უნდა გაიკეთოს. არსებობს მეცნიერება, რომელიც ამტკიცებს, რომ ამ საკითხს სერიოზულად უნდა მივუდგეთ.

ცერი

დაკავშირებულია თავთან, კისერსა და ხერხემალთან. კარგია, თუ ამ თითზე გაიკეთებთ ალმასის თვლებით შემკულ ვერცხლის ან თეთრი ოქროს ბეჭედს.

საჩვენებელი თითი

მასზე უნდა გაიკეთოთ საფირონის, ოპალის (ბიოენერგეტიკოსების აზრით, ოპალი ნათესაური კავშირების განმტკიცებას უწყობს ხელს) და აკვამარინისთვლიანი (აკვამარინი მეზღვაურთა ქვად მიიჩნევა) ბეჭედი.

შუა თითი

მასზე უნდა მოირგოთ ვერცხლის ბეჭედი, რომელშიც ჩასმული იქნება იისფერი ან შავი თვალი. თუმცა, მათ ტარებას მხოლოდ საქმიანი შეხვედრების დროს გირჩევთ.

არათითი

იგი დაკავშირებულია გულთან. ამიტომაც, მასზე საქორწინო ბეჭედს ატარებენ. იმისათვის, რომ წარმატება და სიყვარული მოიზიდოთ, ამ თითზე წითელთვლიანი (ლალი, ძოწი, წითელი იასპი) ბეჭედი გაიკეთეთ.

ნეკი

ძველ სწავლულთა აზრით, ყველაზე პატარა თითი პასუხს აგებს მეტყველებაზე. გირჩევთ, იგი ყვითელ (სარდიონი, ქარვა, ტოპაზი) ან მწვანეთვლიანი (ზურმუხტი, ქრიზოლითი, ქრიზოპარი) ბეჭდით შეამკოთ.

კორპორატიულ წვეულებაგე ქცევის წესები

შუალედური მდგომარეობა სამსახურსა და დღესასწაულს შორის — ამგვარად შეიძლება დავახასიათოთ ღონისძიება ხელმძღვანელობისა და კოლეგების წრეში. აქ შეიძლება რეპუტაციის გაფუჭებაც, პრინცის პოვნაც, საკუთარი ღირსებების წარმოჩენაც და კარიერასთან გამომშვიდობებაც. ყველაფერი დამოკიდებულია თქვენს ქცევაზე. თავად მოწვევა დღესასწაულის აღსანიშნავად უკვე სიხარულის საბაბია, რადგან ეს კეთილგანწყობილების და სტაბილურობის მაჩვენებელია. წვეულებაზე დროის კარგად გატარებისთვის საკმარისია მარტივი წესების დაცვა.

ქცევის 5 წესი

პირველი: დასწრება აუცილებელია, რადგან ეს ფირმისადმი თქვენი ლოიალურობის გამოხატულებაა. მოერიდეთ მსგავს კომენტარებს: „ეს რაში მჭირდება?!“, „მოსაწყენი იქნება“, „უინტერესოა“, „იქ რითი უნდა გავერთო?“ და ა.შ.

მეორე: მთავარია იმიჯი. წვეულება საუკეთესო მიზეზია, წარმოაჩინოთ საკუთარი თავი ბევრად უკეთ, ვიდრე ჩვეულებრივ სამუშაო დღეს. თქვენი სამოსი გამორჩეული უნდა იყოს, რათა ამ წვეულების მნიშვნელობას გაუსვათ ხაზი. თუმცა ამპლუის მკვეთრი ცვლილება საჭირო არ არის, რადგან წვეულება დასრულდება, შთაბეჭდილება კი დარჩება. არ გაგიკვირდეთ, თუკი სუპერმინი კაბასა და ღრმა დეკოლტეში გამოცხადების შემდეგ, როგორც სერიოზულ თანამშრომელს, ისე აღარავინ აღგიქვამთ.

მესამე: არა არის რეკომენდებული სამსახურზე ლაპარაკი, რადგან ეს წვეულებას გააფუჭებს. თქვენ მიგიღებენ წარმოსახვის და ინტერესების არმქონე ადამიანად, რომელსაც კარიერის გარდა სალაპარაკო არაფერი აქვს და ბოსის ერთი გაღიმების ფასად ყველაფერზე თანახმაა. ისაუბრეთ სახალისო თემებზე.

მეოთხე: არავითარი ფამილიარობა ხელმძღვანელობასთან! იმის შეგრძნებამ, რომ დღეს ყველაფრის უფლება გაქვთ, შესაძლოა კარიერულ წინსვლასა და ხელფასის მომატებზე საუბრისკენ გიბიძგოთ. ეს კი უკვე ზედმეტია! 99%-ში სასურველ მიზანს ვერ მიაღწევთ; 1% კი უფროსობის წილია, რომელიც საჩოთირო თემას წვეულების დროს არ განიხილავს.

მეხუთე: გამოიჩინეთ ზომიერება! ამგვარ წვეულებაზე გამორიცხულია ღრეობა, მაგიდაზე ცეკვა, დიდი რაოდენობით ალკოჰოლის მიღება და ინტენსიური ფლირტი დაოჯახებულ კოლეგებთან. თუ ამგვარი საქციელის შემდეგ არ გაგათავისუფლებენ, მომდევნო წვეულებამდე (სადაც ამ ყველაფრის გამოსწორების საშუალება მოგეცემათ) „საოფისე განხილვის“ საგანი იქნებით.

კვერცხის სალათა

მასალად საჭიროა:

10 კვერცხი;
1 ჩ/კ უცხო სუნელი;
2 ცალი სტაფილო;
2 ცალი ბოლოკი;
1 კონა მწვანე სალათა;
1 კონა კამა;
1 კონა ოხრახუში;
200 გ მაიონეზი;
შავი პილპილი, მარილი გემოვნებით.

მომზადების წესი:

მოხარშული კვერცხი დაჭერით 4 ნაწილად. შეურიეთ გახეხილი სტაფილო, ბოლოკი, წვრილად დაჭრილი ხახვი, კამა, ოხრახუში, უცხო სუნელი, მარილი, მაიონეზი და კარგად აურიეთ. თეფშზე დააწყვეთ სალათის ფოთლები, დადეთ გამზადებული სალათა და ზემოდან ბადისებურად მოასხით მაიონეზი.

გრეიპფრუტის დიეტა

დიეტის ხანგრძლივობა 12 დღეა. ამ დროის განმავლობაში თავისუფლად დაიკლებთ 3 დან 7 კგ-მდე. ეს მეთოდი საკუთარ თავზე წარმატებით გამოცადეს კაილი მინოუგმა და ბრუკ შილდსმა.

დიეტის დაცვის წესები:

• აუცილებელია კალორიულობის შეზღუდვა, დღეში მხოლოდ — 800 კალორია;

• დილა დაიწყეთ გრეიპფრუტით ან გრეიფრუტის ახალგამოწურული წვენით;

• საუზმესა და სადილზე აუცილებლად მიირთვით გრეიპფრუტი. ამავდროულად შეგიძლიათ მიიღოთ თევზი, მოხარშული ან მოშუშული საქონლის, ქათმის ხორცი.

• ყავა — არა უმეტეს 1 ფინჯნისა დღეში.

ნებადართულია:

უცხიმო ხორცი, რძის პროდუქტები — მხოლოდ დაბალცხიმიანი, ხილი, ისპანახი, ბროკოლი, ბულგარული წიწაკა.

აკრძალულია:

დესერტი, გაზიანი სასმელები, კარტოფილი, მაიონეზიანი სალათები, პური, მაკარონი, ყველი, რძიანი ფაფა, კომბოსტო, ბურღულეული, კიტრი, სტაფილო, ტომატი.

დიეტის დადებითი მხარე:

ეს დიეტა საკმაოდ დაბალანსებულია. ნებადართული პროდუქტების სია დიდია და საშუალებას გაძლევთ, მიიღოთ ყველა საჭირო ვიტამინი და მიკროელემენტი. გარდა ამისა, გრეიპფრუტი დიდი რაოდენობით შეიცავს იმუნიტეტისთვის ძალიან საჭირო C ვიტამინს.

დიეტის უარყოფითი მხარე:

მხოლოდ 800 კალორია დღეში ძალიან ცოტაა და თუ თქვენ აქტიური ცხოვრების წესს მისდევთ, ანდა ბევრს მუშაობთ, ადვილად იგრძნობთ დაღლილობას და სისუსტეს.

ენერგიისა და ტონუსის წყარო

ჩვენი დატვირთული ცხოვრების რიტმს რომ ავყვეთ და თან ენერგია და ტონუსიც შევინარჩუნოთ, სპეციალისტები გვირჩევენ:

1. ბევრი იმოძრავეთ, თანაც ეცადეთ, ეს სიამოვნებით გააკეთოთ.

2. გარშემო მყოფებთან შეხებას თავს ნუ აარიდებთ — მეგობრული მოხვევა, ხელის ჩამორთმევა — ენერგიის ჯანსაღი წყაროებია; ეცადეთ, გაიაროთ მასაჟის კურსიც.

3. სამუშაო დღის განმავლობაში თავს ხანმოკლე დასვენების უფლება მიეცით.

4. დიეტაზე ნუ გადახვალთ. მიირთვით ჯანსაღი საკვები დღეში 5-6-ჯერ, მცირე ულუფებით.

5. გაიხსენეთ არომათერაპია. პიტნის ეთეროვანი ზეთი ეფექტიანი გამამხნევებელი საშუალებაა.

6. ისუნთქეთ ღრმად. რაც მეტ ჟანგბადს ჩაისუნთქავთ, მით უფრო მოგემატებათ ენერგია.

7. თავს დასვენების დღე მოუწყვეთ — უბრალოდ წამოწექით ან ისეირნეთ.

8. ყოველთვის ერთსა და იმავე დროს დაწექით და ადექით, დასვენების დღეებშიც კი.

9. კვირაში ერთხელ კარგად გამოიძინეთ.

დღისა და საღამოს მაკიაჟი

ყველა ქალს სურს, ლამაზად გამოიყურებოდეს, მაგრამ მაკიაჟის გაკეთებისას ხშირად უშვებენ შეცდომებს, რაც უმალვე მათ გარეგნობაზე აისახება. თუმცა ამ შეცდომების თავიდან აცილებაც არ არის რთული, თუკი რამდენიმე მარტივ რჩევას გაითვალისწინებთ:

√ ტუჩების მოცულობის გაზრდის მიზნით, არასოდეს გამოიყენოთ მუქი ფერის ფანქარი. ტუჩებს კარგად გამოკვეთს პომადის ზემოდან წასმული „ბლესკი“, ტუჩის ფანქარი კი პომადის ტონალობის უნდა იყოს.

√ წვეულებიდან გვიან დაბრუნებულს, ალბათ გეზარებათ მაკიაჟის მოშორება, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ ამით სახის კანს დიდ ზიანს აყენებთ: მაკიაჟით დახშულ ფორებში მყარად ჯდება დღის მანძილზე სახეზე დადებული მტვერი. კანმა აუცილებლად უნდა ისუნთქოს, ამიტომ, მისი გაწმენდა ყოველდღიურად საჭიროა.

√ ტონალური კრემი კარგი განათების პირობებში ან დღის სინათლეზე შეარჩიეთ. ვიდრე შეიძენდეთ, კრემი თხლად გადაისვით ხელის მტევანზე და დააკვირდით, რამდენად ორგანულად ერწყმის იგი თქვენი კანის ფერს. გახსოვდეთ, რომ სახის ტონალური კრემი არც ძალიან ღია უნდა იყოს და არც — ძალიან მუქი.

√ არ წაისვათ ბევრი „რუმიანა“. მან ოდნავ უნდა გამოკვეთოს თქვენი სახის კანის ფერი. „რუმიანა“ წაისვით ყვრიმალებზე (არავითარ შემთხვევაში არ აიწითლოთ ლოყები), შუბლზე, ნიკაპსა და ცხვირის წვერზე.

√ თუკი ღია ფერის კანი და თმა გაქვთ, წარბების გამოსაკვეთად ნუ გამოიყენებთ შავ ფანქარს. თქვენთვის უფრო შესაფერისი ღია ყავისფერი ან რუხი (ფერფლისფერში გარდამავალი) ფანქარი იქნება.

√ მაკიაჟის გაკეთებისას ნუ ეცდებით გამოკვეთოთ თვალებიც, ტუჩებიც და სახის ფერიც (რა თქმა უნდა, თუ სცენაზე გასასვლელად არ ემზადებით). თუ თვალების სილამაზის გამოკვეთა გსურთ, ტუჩებზე მქრქალი ფერის პომადა და უფერო „ბლესკი“ წაისვით. თუ ტუჩებზე წითელ პომადას ისვამთ, თვალებზე მკრთალი ფერის ჩრდილი უნდა იკმაროთ.

√ თვალებზე ჩრდილების წასმის დროს, ტუშის გამოყენებაც აუცილებლად დაგჭირდებათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, თვალები „ჩამქრალი“ და „ჩავარდნილი“ გამოჩნდება.

√ დღის მაკიაჟი გაცილებით მოკრძალებული უნდა იყოს, ვიდრე საღამოსი. ნუ წახვალთ სამსახურში და დღისით დანიშნულ შეხვედრაზე თოჯინასავით მოხატული და ტონალური კრემით „დამძიმებული“ სახით. მაკიაჟის გადაჭარბების უფლება მხოლოდ საღამოს გაქვთ.

ანტიდეპრესანტი

გზაში საკითხავი კოლაქი

ძველი თქმა

1. ჭიას მეცნიერულ ენაზე უმბილიკუსი ჰქვია.

2. კლეოპატრა მჟავე კიტრს საკუთარი სილამაზის საიდუმლოს ეძახდა.

3. ჩრდილოეთ პოლუსზე 185 დღის მანძილზე მზის დანახვა შეუძლებელია.

4. დედამიწაზე ყოველწლიურად, 50 ათასი მცირე და დიდი მიწისძვრა ხდება.

5. საჯანდრავი ხის იარაღია, ახლად გარეცხილი ქსოვილის გასასწორებლად.

6. გიგანტური ექსკავატორი — „სილვერ სპეიდი“ 700 ათასი ნაწილისგან შედგება.

7. საქართველოს კანონმდებლობით, თუ საფლავს 20 წლის განმავლობაში პატრონი არ გამოუჩნდა, იგი თავიდან გაიცემა.

8. მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ადამიანები კოსმეტიკურ პროდუქციაში ყოველწლიურად, 5 მილიარდ გირვანქა სტერლინგს ხარჯავენ.

9. ბგერა წყალში უფრო სწრაფად ვრცელდება, ვიდრე ჰაერში. წყალში მისი სიჩქარე წამში 1480 მეტრია, ჰაერში — 330.

10. მსოფლიოს მასშტაბით ფუტკრები ყოველდღიურად, 3 ათას ტონა თაფლს ამზადებენ, რომლის მოპოვების დროსაც 3 ტრილიონი ყვავილის დამტვერვას ახდენენ.

11. ადამიანი, რომელიც დღეში თითო კოლოფ სიგარეტს ეწევა, კვამლთან ერთად, წელიწადში ნახევარ ფინჯან კუპრს ყლაპავს.

12. ჩარლზ დარვინს ბავშვობაში მამა ეჩხუბებოდა, — რა უბედურებაა, სულ ცხოველებს რომ დასდევ, შენგან ხეირიანი კაცი არ გამოვა, ოჯახს შეარცხვენო.



13. თბილისში სტუმრობისას, ალექსანდრე დიუმას ქართველებმა ცნობა მისცეს, — ამ კაცის დათრობა შეუძლებელია, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ვერაფერი მოვუხერხეთო.

14. კომუნისტების მმართველობის დროს ბულგარელები თავიანთ სამარკო ღვინოებს „პეპსის“ კონცენტრატში ცვლიდნენ და „საბჭოთა ბრენდ“ „პეპსი-კოლას“ ასხამდნენ.

15. ხშირად, ინგლისში კურდღლებზე მოშინაურებული კვერნებით ნადირობენ. კვერნა კურდღლის სოროს პოულობს, შიგ ძვრება და მას ზურგზე ჰკბენს. თავის გადასარჩენად, კურდღელი სოროდან გამოდის და წინასწარ დაგებული ბადის მახეში ებმება. ბადეში გაბმულ კურდღელს მონადირე კისრის მოგრეხით კლავს.

განახლებული Touran

კომპანია Volkswagen-მა განახლებული კომპაქტვენის — Touran — შესახებ გაავრცელა ინფორმაცია, რომლის მსოფლიო პრემიერა ლეიპციგის მოტორშოუზე შედგება. ავტომობილს რადიატორის ცხაურის ახალი საფირმო სტილი და „მეექვსე“ Golf-ის ფარები გამოარჩევს. უკნიდან თვალში საცემია საბარგულის სახურავის მოზრდილი შუშა, დიოდური ფარები და სპოილერი, რომელიც აეროდინამიკური წინააღმდეგობის კოეფიციენტს 0,32-დან 0,29-მდე ამცირებს. განახლებული VW Touran-ის სალონში დაამონტაჟეს განსხვავებული სავარძლები, ახალი მრავალფუნქციური საჭე, ხელსაწყოების პანელი. კომპაქტვენის შეკვეთა შესაძლებელი იქნება 5 და 7-ადგილიანი მოდიფიკაციებით. პირველ შემთხვევაში, საბარგულის მოცულობა 695 ლიტრს შეადგენს (მეორე რიგის სავარძლების მოხსნის შედეგად — 1989 ლიტრს), მეორე შემთხვევაში კი საბარგულის მაქსიმალური მოცულობა 1913 ლ იქნება. ევროპულ ბაზარზე სიახლე 8 ძრავათი გაიყიდება. ბენზინის მოტორებს შორის საბაზო 1,2-ლიტრიანი, 105 ცხ.ძ. სიმძლავრის ტურბინირებული „ოთხიანი“ გახდება, ხოლო დიზელის ძრავებში — 1,6-ლიტრიანი, 90 ცხ.ძ. სიმძლავრის აგრეგატი. ასევე, ბენზინის ძრავათა ხაზში 140 და 170 ცხ.ძ. 1,4-ლიტრიანი აგრეგატებიც იქნება. ეს მოტორები სიჩქარის გადაცემათა 7-საფეხურიანი რობოტიზებული კოლოფით იმუშავებს. დიზელის ხაზში წარმოდგენილია 105, 140 და 170 ცხ.ძ. სიმძლავრის ტურბომოტორები. სავარაუდოდ, ევროპაში განახლებულ Touran-ზე ფასები 19.367 ევროდან დაიწყება. ■

ლონდონურ ტაქსის ჩინელები აააწყობენ

ჩინურმა ავტომწარმოებელმა — Geely — Englon-ის სახელით ცნობილი კონცეპტუალური მანქანის პირველი გამოსახულება გაავრცელა, რომელიც უახლოს მომავალში ცნობილ „ლონდონურ შავ ტაქსის“ ჩაენაცვლება. ახალი ავტომობილის პრემიერა აპრილის ბოლოს, პეკინის მოტორშოუზე შედგება. უახლოეს მომავალში Geely ფირმის — Manganese Bronze Holdings-ის აქციათა საკონტროლო პაკეტის შეძენას აპირებს, რომლის ქვეგანყოფილება — London Taxis International კლასიკურ ლონდონურ კებებს 1948 წლიდან უშვებს. მომავალში, „შავი ტაქსებისთვის“ საჭირო ძარებისა და შასის წარმოების გადატანა ჩინეთში იგეგმება. ადრე იუწყებოდნენ, რომ Geely და Manganese Bronze Holdings-ი შანხაიში ერთობლივი ქარხნის მშენებლობაზე შეთანხმდნენ. ვარაუდობდნენ, რომ წარმოებას თითქმის 100 მილიონი დოლარის ინვესტიცია დასჭირდებოდა და ამ საქმეში ბრიტანელთა წილი მხოლოდ 38% უნდა ყოფილიყო. ჩინეთში წელიწადში 20 ათასი კების გამოშვება იგეგმება (შედარებისთვის, დიდ ბრიტანეთში წელიწადში 2,5 მანქანაზე მეტი არ იწყობა). ■

Phaeton ჩინური ბაზრისთვის

ორიოდე დღის წინ ბრიტანულმა გამოცემამ — Auto Express — კომპანიის — Volkswagen — განახლებული ფლაგმანი სედანის — Phaeton — ფოტოები გამოაქვეყნა. ზოგიერთი მონაცემით, სურათებზე სპეციალურად ჩინური ბაზრისთვის შემუშავებული ავტომობილია წარმოდგენილი. ასეთი მანქანის მსოფლიო პრემიერა პეკინის მოტორშოუზე, აპრილის ბოლოს შედგება. სხვა ინფორმაციით, ანალოგიური გარეგნობის სედანი ევროპაშიც გამოჩნდება და მისი პრეზენტაცია პარიზის გამოფენაზე იგეგმება. განახლებულ VW Phaeton-ს მცირედით შეუცვალეს ფარები, თვალში საცემი გახდა ახალი წინა ბამპერი, რადიატორის განსხვავებული ცხაური და უკანა დიოდური ფარები.

ადრე გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ჩინეთში რესტაილირებული Phaeton ადგილობრივი მილიონერებისთვის უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული, მაგრამ ნიურტინგერში მდებარე საავტომობილო ინდუსტრიის ინსტიტუტის ხელმძღვანელის, ვილი დიცის მოსაზრებით, Volkswagen ჩინეთში ლუქს-ავტომობილების მწარმოებლად არ მიიჩნევა. სედანი VW Phaeton 2002 წლიდან გამოდის და ამ მომენტისთვის, მან რესტაილინგი ორჯერ განიცადა. ამ მანქანის გაყიდვების რიცხვს წელიწადში 20 ათასი ეგზემპლარისთვის არ გადაუჭარბებია, ხოლო 2006 წელს გერმანული კომპანია იძულებული გახდა, აშშ-ის ბაზარზე ამ მანქანის გაყვანაზე უარი ეთქვა, რადგან acigi მეტისმეტად არაპოპულარული იყო. გასულ წელს მსოფლიოს მასშტაბით, მხოლოდ 4071 „ფაეტონი“ გაიყიდა.

■

ქანგბადმბადი ავტო

ჩინური საავტომობილო კომპანია SAIC (Shaghai Automotive Industry Corporation) პეკინის მოტორშოუზე ორიგინალურ კონცეპტ-ავტოს წარადგენს, რომელსაც Leaf ჰქვია. ავტომობილის განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ მწარმოებელთა თქმით,





მის ფოთლის სტილში წარმოდგენილ სახურავს, მზის სხივების პირდაპირი მოქმედების შედეგად, ჟანგბადის გამომუშავება შეუძლია. ამ მოწყობილობის მოქმედების პრინციპს კომპანია SAIC-ის მესვეურები არ ააშკარავებენ. კონცეპტუალური ავტომობილი SAIC Leaf ელექტრომოტორითაა აღჭურვილი, რომელიც სპეციალური აკუმულატორებით იკვებება. აკუმულატორები სახურავზე დამონტაჟებული მზის პანელებითა და მომცრო ჰაერის ტურბინებით ფუნქციონირებს. პროტოტიპის დეტალური ტექნიკური და დინამიკური მაჩვენებლები ამ ეტაპზე, უცნობია. სავარაუდოდ, ანალოგიური ტექნოლოგიები სერიულ ავტომობილებზე გამოყენებული არ იქნება.

■

მოამზადა ალექსი რეხვიაშვილმა

ანტიდეპრესანტი

გზაში საკითხავი კოლაქი

ქემდგენელი ოქმაო იგანიძე

16. ჩოქელა მტაცებელი მწერია. რუსები მას „ბოგომოლს“ ეძახიან. გამრავლების დროს ჩოქელას მამრი ყოველთვის იღუპება — მდედრი მას თავს აგლეჯს, რადგანაც შეწყვილებისას, მამრის თავი სპერმის გამოყოფის შემაკავებელ იმპულსებს გადასცემს საკუთარ სხეულს.



17. ლონდონის „ბიგ ბენი“ 1859 წლის 1-ელი მაისიდან მუშაობს. საათი მხოლოდ 1977 წელს გაჩერდა, როცა კოშკი გაარემონტეს და კიდევ, ხუთი წუთით, როცა საათის კორექტირება მოხდა.

18. ჰიტლერის ურყევი რწმენით, გერმანიის განვითარებისთვის აუცილებელი იყო ე.წ. „ლებენსრაუ“ („Lebensrau“) — სასიცოცხლო სივრცე, რომელიც მის ქვეყანას ომის საშუალებით უნდა მოეპოვებინა.

19. ინგლისის მეფე ჩარლზ II ფარაონთა სარკოფაგებიდან ამოღებული მტვრით იზელდა სხეულს, რათა ეგვიპტის მმართველთა სიდიადე გადასცემოდა.

20. „ღმერთს არ სცალია, თავში რომ გვირტყას,/ რომ დაგვიმტკიცოს, რა მართალია,/ გულმოწყალეა, დაგვიგდებს სიტყვას,/ უცოდველობით გადამთვრალია,/ ჩვენ კი გვცალია, რომ ვიმეტიჩროთ,/ ჩვენგან რა მიდის, რა გვენაღვლება,/ სხვისი ლურსმნები რატომ შევირჭოთ,/ უკვე შეირჭო ცოდვის ამღებმა.../ შენ ხომ გადარჩი, მე ხომ გადავრჩი../ ვინ რას დაეძებს სულებს ნაქურდალს,/ მძიმე ყოფილა ჯვარი აღმართში,/ მაგრამ მთის თავში თურმე დახურავს.../ შენ ხომ გადარჩი, მე ხომ გადავრჩი.../ ღადავ-ღადავში, ღადავ-ღადავში...“ — ეს ლექსი ნიკო გომელაურმა ნანუკა ჟორჟოლიანის შოუში წაიკითხა.

21. ჰექტორ ბერლიოზმა 1836 წელს „მარსელიეზა“ დაამუშავა და ხელნაწერ პარტიტურას ზემოდან წააწერა: „ორი გუნდისთვის, ორკესტრისა და ყველა პატრიოტისთვის, ვისაც ხმა და სმენა აქვს, გული უცემს და სისხლი დაუდის ძარღვებში“.

22. 1867 წელს თბილისის ოპერის პარტერში მსხდომმა გიმნაზიელებმა ქართული სამეფო დროშა ააფრიალეს და პატრიოტულ ლოზუნგებს გაიძახოდნენ. სპექტაკლი შეჩერდა, მაგრამ ვიდრე შუქს აანთებდნენ, გიმნაზიელებმა თავს უშველეს. პოლიციამ ვერავინ მოიხელთა, მაგრამ ამ ამბავმა კავკასიის მმართველობას საშუალება მისცა, იტალიური ოპერა დაეხურა, დასი დაეშალა და იტალიელ მომღერალთა გასტროლები შეეჩერებინა. მას შემდეგ კარგა ხნის განმავლობაში, ოპერაში მხოლოდ რუსული ოპერები, რუს მომღერალთა მონაწილეობით იდგმებოდა.

რელიგიური ომები და წმინდა ინკვიზიციის მსხვერპლნი

პროტესტანტიზმის წარმოშობას ევროპაში რელიგიური ომები მოჰყვა — კათოლიკეებსა და პროტესტანტებს შორის ბრძოლა თითქმის 2 საუკუნის მანძილზე გრძელდებოდა. ამავე პერიოდში, წმინდა ინკვიზიცია, რომელიც კათოლიკურ სამყაროში წარმოიქმნა, სრულიად უდანაშაულო ადამიანებს კოცონზე წვავდა, რის საწინააღმდეგოდაც, პროტესტანტულმა სამყარომ მეცნიერების მფარველობა დაიწყო. მიწიერი ცოდნით განათლებულ ადამიანებს შორის სულ მალე, ათეიზმი ჩამოყალიბდა, რომელიც ჯერ ევროპაში, შემდეგ რუსეთსა და მსოფლიოს სხვადასხვა ადგილას გავრცელდა.

შორენა მერკვილაძე

არქიმანდრიტი მაკარი (*აბესაძე*):

— XVI საუკუნის 20-იან წლებში პროტესტანტიზმის კიდევ ერთ მიმდინარეობას — ანგლიკანობას დაედო სათავე. ანგლიკანობის ჩამოყალიბება ინგლისის მეფის, ჰენრი VIII-ის (1509-1547) სახელს უკავშირდება; ამავე წლებში დანიისა და შვეციის მეფეებმა კათოლიკობა უარყვეს და ლუთერანობა მიიღეს — ამ გზით კათოლიკური ეკლესიის მძიმე გადასახადებისგან გათავისუფლება სურდათ. ინგლისის მეფე ჰენრი VIII თავდაპირველად, პროტესტანტიზმს შეეწინააღმდეგა, 1520 წელს პროტესტანტების წინააღმდეგ ტრაქტატიც კი დაწერა, რის გამოც, რომის პაპმა „რწმენის დამცველის“ საპატიო წოდება მიანიჭა. ცოტა ხანში ინგლისის მეფემ კანონიერ მეუღლესთან გაყრა და ფრანგი ანა ბოლეინის შერთვა განიზრახა. ამ მიზნის მისაღწევად, მეფეს რომის პაპის თანხმობა სჭირდებოდა, მაგრამ პაპმა კლიმენტ VII-მ უარი უთხრა... 1534 წელს ინგლისის პარლამენტმა ინგლისის ეკლესია რომის ეკლესიის დაქვემდებარებიდან გაათავისუფლა და მის მეთაურად მეფე გამოაცხადა. ამის შემდეგ ჰენრი მერვემ ცოლად ანა ბოლეინი შეირთო. მან გააუქმა პაპის უფლება ინგლისის ეკლესიაზე და რომთან კავშირიც გაწყვიტა, მაგრამ პროტესტანტულ მოძრაობას მაინც არ შეუერთდა, ეკლესიაში ყველაფერი უცვლელად დატოვა.

ანგლიკანურ ეკლესიაში სარწმუნოებრივი რეფორმა ჰენრი VIII-ს მემკვიდრის, ედუარდ VI-ს დროს დაიწყო (1547-1553). ჰენრი მერვეს მხოლოდ პაპისგან დამოუკიდებელი ეკლესიის შექმნა სურდა, მისმა მიმდევრებმა კი ინგლისის ეკლესია სრულ რეფორმაციამდე მიიყვანეს: კენტერბერის მთავარეპისკოპოსმა, თომას კრამერმა 553 წელს ახალი სარწმუნოების 42 მუხლი გამოაქვეყნა, რომელიც შეიცავდა სწავლებას ეკლესიისა და სულის ცხონების მიღწევის შესახებ, მაგრამ ამით ეკლესიის სრული რეფორმაცია არ მომხდარა. ედუარდ VI-ს გარდაცვალების შემდეგ ინგლისის ტახტი მარიამ ტიუდორმა, მეტსახელად მარიამ კათოლიკემ დაიკავა, რომელიც კათოლიციზმის ფანატიკური მომხრე გახლდათ. მისი მეფობის პერიოდში მთავარეპისკოპოსი კრამერი, რომელმაც თავის შეხედულებებზე უარი არ თქვა, კოცონზე დაწვეს... ინგლისის ეკლესიის რეფორმაცია დედოფალ მარიამის გარდაცვალების შემდეგ, 1558 წლიდან განახლდა, როცა ტახტზე გარდაცვლილი დედოფლის ნახევარდა — ელისაბედ ტიუდორი ავიდა. 1563 წელს ანგლიკანური მიმდინარეობის მთავარი დოგმატები სარწმუნოების 39 მუხლში ჩამოაყალიბეს. ანგლიკანები მხოლოდ ორ საეკლესიო საიდუმლოს — ნათლისღებასა და ზიარებას აღიარებენ, დანარჩენ საეკლესიო საიდუმლოებებს კი ისე მოიხსენიებენ, როგორც კარგ ქრისტიანულ წეს-ჩვეულებებს...

ამავე პერიოდში საფუძველი ჩაეყარა პროტესტანტიზმის კიდევ ერთ მიმდინარეობას — კალვინიზმს, რომელიც ჟენევაში ჟან კალვინის მოძღვრების საფუძველზე ჩამოყალიბდა.

XVI საუკუნეში ჯვაროსნებმა ბოლო ციტადელი, კვიპროსიც დაკარგეს — ეს ტერიტორია ოსმალეთის იმპერიამ დაიპყრო. ამ დრომდე ანუ XV საუკუნის მიწურულს ევროპის სახელმწიფოებმა ამერიკა აღმოაჩინეს და იმ ძალამ, რომელიც თითქოს, წმინდა მიწის გასათავისუფლებლად იყო მიმართული, გეზი დასავლეთისკენ აიღო — ჯვაროსანთა უმეტესობა წმინდა მიწის გასათავისუფლებლად მხოლოდ გამდიდრებისა და მიწის დაპატრონების მიზნით მიდიოდა, თანამედროვე ამერიკის კონტინენტმა კი ასეთი ადამიანების მოთხოვნები აბსოლუტურად დააკმაყოფილა. აღსანიშნავია, რომ ლათინური ამერიკა ძირითადად, კათოლიკური სამყაროს გავლენის ქვეშ მოექცა, ჩრდილოეთ ამერიკა — პროტესტანტების.

პროტესტანტიზმის წარმოშობას ევროპაში რელიგიური ომები (კათოლიკეებსა და პროტესტანტებს შორის) მოჰყვა, რაც ათწლეულების მანძილზე გრძელდებოდა. საბოლოოდ, საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, პორტუგალია ლათინურ-პაპისტური ეკლესიის შემადგენლობაში დარჩა, ევროპის დანარჩენი ნაწილი კი პროტესტანტული გზით წავიდა. რელიგიურ დაპირისპირებას არა მხოლოდ რიგითი ადამიანები, არამედ სამეფო ოჯახები და მეფეებიც შეეწირნენ. ამ პერიოდში ანუ ე.წ. წმინდა ინკვიზიციის დროს, რომელიც კათოლიკურ სამყაროში წარმოიქმნა, ხშირად უმიზეზოდ, სრულიად უდანაშაულო ადამიანებს კოცონზე წვავდნენ; ადამიანები სიკვდილით ისჯებოდნენ ახალი მეცნიერული აღმოჩენის გამოც, რომელიც ეკლე-

ჰენრი VIII

სიას და საღვთისმეტყველო საკითხებს საერთოდ არ ეხებოდა. ამის საპირისპიროდ, პროტესტანტულმა სამყარომ მეცნიერების მფარველობა დაიწყო, რამაც მიწიერი ცივილიზაციის თვალსაზრისით, პროტესტანტული სამყაროს განვითარება განაპირობა. XVIII საუკუნის ბოლოს ჯერ საფრანგეთში, შემდეგ კი სხვა ქვეყნებშიც გამოჩნდნენ ათეისტები. ათეიზმმა არა მარტო მართლმადიდებლური შეხედულება უარყო, არამედ სამყაროში რაიმე მისტიკურის არსებობაც კი გამორიცხა; აბსოლუტურად ყველაფერი მატერიალიზმამდე იქნა დაყვანილი, რასაც მოჰყვა ცნობილი რევოლუციები საფრანგეთში, ევროპის სხვა ქვეყნებში, რუსეთში და ის ჯაჭვური რეაქციით, მთელ მსოფლიოში გავრცელდა.

ადამიანების ათეიზმამდე მისვლა პროტესტანტულმა აზროვნებამ განაპირობა, თავად ათეიზმი კი მიწიერი ცოდნით განათლებულ ადამიანებს შორის ჩამოყალიბდა, მერე კი თანდათანობით, ხალხშიც — განსაკუთრებით, ქალაქში მცხოვრებ დაბალ ფენებში გავრცელდა. რაც შეეხება სოფლის მოსახლეობას, ის იმ სარწმუნოების ტრადიციებს მისდევდა და ინარჩუნებდა, რომელიც ჰქონდა... სოფლის მოსახლეობისგან განსხვავებით, ქალაქში მცხოვრებთ თავის რჩენა უჭირდათ. ისინი დამოკიდებულნი იყვნენ საწარმოში შრომაზე, განიცდიდნენ ჩაგვრას და ადვილად მოექცნენ იმ მეცნიერების გავლენის ქვეშ, რომლებიც ათეისტურად იყვნენ განწყობილნი ანუ მოხდა ურწმუნოების პოლიტიზება — ღარიბთა ფენებში ათეიზმის ჩამოყალიბება, რომელიც ჯერ ევროპაში, შემდეგ რუსეთსა და მსოფლიოს სხვადასხვა ადგილას გავრცელდა. ■

ანა ბოლეინი

რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

როგორ გავუმკლავდეთ პემფიგუსს

პემფიგუსი კანის იშვიათ დაავადებათა ჯგუფს მიეკუთვნება და პირის ღრუს ან გენიტალიების ლორწოვან გარსზე ბუშტუკების გაჩენა ახასიათებს. ეს დაავადება ჩვეულებრივ, 30-60 წლის ასაკის ადამიანებში გვხვდება, მაგრამ შეიძლება, სხვა ასაკის წარმომადგენელსაც განუვითარდეს. თუ ამ დაავადებას საწყის ეტაპზე არ უმკურნალებენ, შეიძლება, ქრონიკულ ფორმაში გადავიდეს.

როგორც აღვნიშნეთ, პემფიგუსს ლორწოვან გარსზე ბუშტუკების გაჩენა ახასიათებს. ეს ბუშტუკები ადვილად სკდება და რჩება ღია ჭრილობა, რომელიც შეიძლება, მცირედ სისხლმდენი იყოს და ადვილი მოსალოდნელია, რომ ინფექციაც კი შეიჭრას. არსებობს ამ დაავადების რამდენიმე ტიპი:

პირველი ტიპის პემფიგუსი (ზომიერი) — იწყება პირში ბუშტუკების გაჩენით, შემდეგ კი კანზეც გადადის. ბუშტუკები შეიძლება, გენიტალიების ლორწოვან გარსზეც გაჩნდეს. როგორც წესი, ისინი მტკივნეულია, მაგრამ ქავილი არ ახასიათებს.

მეორე ტიპის პემფიგუსი — ამ დროს პროცესში ლორწოვანი გარსი არ ერთვება. ბუშტუკები, რომლებიც სახესა და თავის კანზე აღმოცენდება, თანდათანობით მკერდსა და ზურგზე გადადის. ეს ბუშტუკები არ არის მკვრივი, უმტკივნეულოა, მაგრამ ახასიათებს ქავილი.

მესამე ტიპის პემფიგუსი — ამ დროს პირის ღრუსა და ტუჩებზე, საყლაპავზეც ჩნდება მტკივნეული ჭრილობები. მოსალოდნელია, რომ ამ დროს ფილტვებიც დაზიანდეს, შედეგად კი ფილტვების პროგრესირებადი დაავადება და ძლიერი ქოშინი განვითარდება.

დაავადების რისკ-ფაქტორებს წარმოადგენს:

* 30-60 წლის ასაკი;
* ებრაული წარმომავლობა;
* აუტოიმუნური დარღვევები.

რაც უფრო ადრეულ სტადიაზე დაიწყება პემფიგუსის მკურნალობა, მით მეტად ეფექტიანი იქნება. მკურნალობის მიზნით ინიშნება კორტიკოსტეროიდები, ზოგჯერ კი იმუნოდეპრესანტებისა და ანტიბიოტიკების დანიშვნაც ხდება საჭირო. მკურნალობის დროს აუცილებელია ექიმის მუდმივი კონსულტაცია.

მკურნალობის პარალელურად, ავადმყოფმა ზედმიწევნით კარგად უნდა მოუაროს საკუთარ თავს. ამ დროს აუცილებელია:

* ტრავმების თავიდან აცილება;
* ტალკის გამოყენება — კანის დაზიანებულ უბნებში ტალკის მოყრა;
* ლოსიონების გამოყენება დაცვისა და შენიღბვის მიზნით — უსიამოვნო შეგრძნების თავიდან აცილების მიზნით, პაციენტმა ჭრილობებსა და ბუშტუკებზე დამამშვიდებელი ლოსიონი უნდა წაისვას.

ვენების ვარიკოზული გაგანიერების მკურნალობის მეთოდები

ვენების ვარიკოზული გაგანიერება, ვენების სანათურის პათოლოგიური გაგანიერებაა. ამ დაავადების მკურნალობას ჰიპოკრატე, ავიცენა, გალენი და პარაცელსი ცდილობდნენ. ვარიკოზი 40 წელს გადაცილებულ ყოველი მესამე ქალსა და მეათე მამაკაცს აწუხებს.

ყველაზე ხშირად, ეს დაავადება ფეხის ვენებზე ვითარდება. ვარიკოზის დროს ვენის კედელი გადაგვარებულია — ის შედარებით განიერია, ელასტიკურობას კარგავს და მასში დისტროფიული ცვალილებები ვითარდება. ვარიკოზის დროს ზიანდება ვენების სარქვლოვანი სისტემაც, რომელიც სისხლის ნაკადის უკუმიმართულებით (კიდურებიდან გულისკენ) გადინებაში მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებს. როგორც წესი, პერიფერიული ვენებიდან (კიდურებიდან) სისხლის უკუგადინებისას სარქველი იშლება და სისხლს ქვემოთ ჩამოდინების საშუალებას არ აძლევს, მაგრამ მაშინ, როცა ვენის კედელი — გაგანიერებული, სარქველები კი დაზიანებულია, ეს პროცესი შეფერხებულია ანუ გულისკენ სათანადო რაოდენობის სისხლი ვეღარ ბრუნდება და იგი პერიფერიულ ვენურ სისტემაში გუბდება.

სისხლის ნაკადის უკუდინებას სხვა ფაქტორებიც განაპირობებს. მაგალითად: სისხლის კიდურებიდან გულისკენ გადინებაში წვივის კუნთებიც მონაწილეობს. კერძოდ, მუშაობის დროს ეს კუნთები მონაცვლეობით იკუმშება და დუნდება, შედეგად კი ვენებზე ზემოქმედებს და მათ სისხლის გადატუმბვაში ეხმარება — სწორედ ამიტომ უწოდებენ წვივის კუნთებს პერიფერიულ გულს. პერიფერიული ვენური სისტემიდან სისხლის უკუგადინებაში გულიც მონაწი-

ლეობს. ამ პროცესში გარკვეულ როლს თამაშობს: დიაფრაგმის მოძრაობა, მუცლის შიდა წნევა, სისხლძარღვის შიდა ტონუსი.

ვარიკოზული გაგანიერების მიზეზი

ზედაპირული ვენების ვარიკოზული გაგანიერება შეიძლება, გენეტიკურად იყოს გაპირობებული. მართალია, ბავშვთა ასაკში ვენების დისპლაზია გამოხატული არ არის, მაგრამ დროთა განმავლობაში გენეტიკური ფაქტორი იჩენს თავს და კლინიკურად გამოვლინდება.

შეიძლება, ვენების ვარიკოზული გაგანიერება რაიმე დაავადებამ გამოიწვიოს. მაგალითად, ადვილი მოსალოდნელია, რომ მცირე მენჯის ღრუს ორგანოების ანთებითი ან სიმსივნური პროცესების დროს მოხდეს ზეწოლა თეძოს ვენებზე, რაც პერიფერიულ ვენურ სისტემაში შეგუბებას განაპირობებს. ასევე, ოპერაციის ან მშობიარობისას შესაძლოა, თეძოს ვენების თრომბოზი განვითარდეს, რაც შეგუბებით მოვლენებს განაპირობებს (განსაკუთრებით, ღრმა ვენებში), ამას კი ვენის კედლის გაფართოება მოჰყვება, შეფერხდება სისხლის უკუგადინება და პერიფერიულ ვენებში სისხლი შეგუბდება.

ვენების ვარიკოზის საფრთხე ძირითადად, იმ პროფესიის ადამიანებს ემუქრებათ, რომელთაც ფეხზე დიდხანს დგომა უხდებათ.

დაავადებულს აწუხებს:

დაავადების საწყის სტადიაზე, ადამიანი კიდურებში სიმძიმესა და წვას გრძნობს; დიდხანს სიარულის დროს ფეხები ოდნავ პასტოზური უხდება ანუ უშუპდება, ადვილად ეღლება, ზოგჯერ კი წვივის კუნთების კრუნჩხვებიც გამოვლინდება. თუმცა, ეს ნიშნები იმდენად უმნიშვნელოა, რომ ავადმყოფი, როგორც წესი, ამას სერიოზულად ვერ აღიქვამს. დროთა განმავლობაში, ქვემო კიდურებზე ჩნდება ვარიკოზული ვენები. იმის მიხედვით, თუ რომელი ვენაა დაზიანებული, გვხვდება ღერძული, ქსელური და შერეული ვარიკოზი. დაავადების საწყის ეტაპზე ანუ მის ვიზუალურად გამოვლინებამდე, ვარიკოზის აღმოჩენა ფუნქციონალური სინჯებით ან ინსტრუმენტული გამოკვლევებითაა შესაძლებელი.

ზედაპირული ვენების ვარიკოზული გაგანიერების გართულებები:

* ქრონიკული ვენური უკმარისობა;
* ტროფიკული გართულება — კანის ფერის შეცვლა და საბოლოოდ, ტროფიკული წყლულის ჩამოყალიბება;
* ვარიკოზული ვენის გასკდომა და სისხლდენა, რაც შეიძლება, ღამითაც მოხდეს;
* თრომბოზი და თრომბოფლებიტი.

ზედაპირული ვენების ვარიკოზი კიდურებზე იმდენად ნათლადაა გამოხატული, რომ მისი დიაგნოსტიკა ძალიან იოლია, მაგრამ დაავადების ხარისხის დადგენის, მკურნალობის სწორი მეთოდის შერჩევისა თუ ოპერაციის განსაზღვრის მიზნით, გამოკვლევების ჩატარებაა საჭირო. ინსტრუმენტული

გამოკვლევის მეთოდებიდან ყველაზე მისაღები და არაინვაზიური მეთოდი დოპლეროგრაფიაა. ასევე, არსებობს ფუნქციონალური სინჯები ღრმა ვენების გამტარებლობაზე, სარქვლებისა და პერფორანტების უკმარისობაზე.

მკურნალობა

არსებობს ზედაპირული ვენების ვარიკოზული გაგანიერების კონსერვატიული და ქირურგიული მკურნალობის მეთოდი. კონსერვატიული მკურნალობა გულისხმობს:

* კომპრესული თერაპია — სასურველია, ავადმყოფმა ქუსლიანი ფეხსაცმელი ატაროს — როცა წვივი დაჭიმულია, კუნთების აპონევროზი (თხელი, მკვრივი მყესოვანი ფირფიტა, რომლითაც კუნთი ძვალს ან სხეულის სხვა ნაწილებს ემაგრება), ელასტიკური ბინტის მსგავსად, ზედაპირულ ვენებს უჭერს, ზედაპირული ვენების დახშობა კი გარკვეულწილად, სასარგებლოა, რადგან ღრმა ვენებში სისხლის ნაკადი ძლიერდება და შეგუბებას ადგილი არ ექნება. ამავე მიზნით ხდება ელასტიკური ბინტისა და ტრიკოტაჟის (ელასტიკური გეტრი, კოლჰოტი) გამოყენება;
* არ შეიძლება დიდხანს დგომა ან ჯდომა; პაციენტი უნდა იწვეს ან დადიოდეს და როცა წევს, ფეხი ოდნავ მაღლა უნდა ჰქონდეს. უნდა შეასრულოს სპეციალური ვარჯიშები, ასევე კარგია კონტრასტული შხაპის მიღება, ცურვა და სხვა.
* ვენების გაგანიერების მკურნალობის ერთ-ერთი მეთოდია სკლეროთერაპია ანუ დაზიანებული ვენების სკლეროზირება. სკლეროთერაპიის დროს წამლებით ვენის კედლის ანთების გამოწვევას ახდენენ, შემდეგ კი კედლების ერთმანეთთან მიხორცებისა და ობლიტერაციის (დახშობა) განვითარების მიზნით, მის კომპრესიას მიმართავენ. ბოლო დროს დაინერგა სკლეროთერაპია ლაზერის საშუალებით.

რაც შეეხება სამკურნალო პრეპარატებს, ექიმის დანიშნულების გარეშე მათი მიღება დაუშვებელია! თუმცა, არსებობს პრეპარატები, რომლებიც დაავადების პროგრესირებას აფერხებს.

ვარჯიშები

შემოგთავაზებთ რამდენიმე ვარჯიშს, რომელიც სასარგებლოა ზედაპირული ვენების ვარიკოზული გაგანიერების როგორც პროფილაქტიკის, ისე მკურნალობის მიზნით. ეს ვარჯიშები სისხლის მიმოქცევის ნორმალიზებაში, ფეხებიდან სიმძიმის შეგრძნებისა და ვენური შეგუბების მოხსნაში დაგეხმარებათ. ვარჯიშები განსაკუთრებით, სასარგებლოა მათთვის, ვისაც დიდხანს ჯდომა ან ფეხზე დგომა უწევს:

1. დაჯექით სკამზე. ფეხები ერთმანეთს მიატყუპეთ და 15-20-ჯერ გააკეთეთ ფეხის წვერებზე აწევ-დაწევა;
2. ორივე ხელით დაეყრდენით სკამს ან კომოდს და 15-20-ჯერ აიწიეთ ფეხის წვერებზე, შემდეგ კი დაეყრდენით ტერფებს.
3. ორივე ხელით, მხრების დონეზე მიეყრდენით კედელს და 20-ჯერ (ერთმანეთის მონაცვლეობით), ჯერ აიწიეთ ფეხის წვერებზე, შემდეგ კი ტერფებს დაეყრდენით.
4. ჩასუნთქვისას ხელები ასწიეთ ზევით და დადექით ფეხის წვერებზე, შემდეგ ამოისუნთქეთ და დადექით ტერფებზე (20-ჯერ).
5. დაჯექით ან დაწექით და ამოძრავეთ ტერფები სხვადასხვა მხარეს — ზემოთ, ქვემოთ, მარჯვნივ, მარცხნივ (15-20-ჯერ).
6. ერთდროულად ორივე ფეხის წვერზე დადექით, შემდეგ კი „მოწყვეტით“ დაეშვით ტერფებზე.

■

P.S. **პატივცემულო მკითხველებო, მოგვწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გსურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე:** nino.char@yahoo.com.

ახალი ნომერი
ოჯახის
მუნიციპალი
ცვნვმ ეკიმოვნ მიხვერ...

ადამიანი

„ჩვენ გვქონდა წარსული... გვექნება მომავალი... აწმყოს კი როგორმე უნდა გავუძლოთ“...

თამარ ბუზალაძე

თითქმის ორი წელი გავიდა აგვისტოს ომის შემდეგ და საქართველოს ჯერაც არ განელებია მაშინ მიყენებული სისხლიანი ტკივილი. ყველამ იცის, რომ ზოგიერთი დევნილი თავის მიტოვებულ სახლს დაუბრუნდა, უამრავი მათგანი კი უსახლკაროდ დარჩა. ოკუპირებული ტერიტორიებიდან — ერთ-ერთი — სოფელი ერედვია. ვიდრე რუსები ჩვენს მიწა-წყალს მიისაკუთრებდნენ, ერედველ მეგობარს ხშირად ვსტუმრობდი. იქ ჩასვლა განსაკუთრებით საინტერესო, დღესასწაულზე მცხეთიჯვრობაზე იყო. მცხეთის ჯვრის მონასტრის სახელობის ნიში ერედვის ზემოთ, ტყეში იდგა. აღდგომიდან მესამე კვირის პარასკევს ერედველები მცხეთიჯვრობას აღნიშნავდნენ. უკვე მეორე წელია, სოფლის მკვიდრნი ერედველები ამ დღესასწაულს მცხეთის ჯვრის მონასტერში ხვდებიან. წელს მცხეთიჯვრობა 23 აპრილს იზეიმეს.

ნათია ჟივიძე

ყველასთვის ცნობილ ერთ-ერთ რუსულ საიტზე ერედველებს საკუთარი ჯგუფი აქვთ ჩამოყალიბებული, რომელშიც მათთან მეგობრული ურთიერთობის გამო, მეც გავწევრდი. იქ ნანახმა ფოტოებმა და წაკითხულმა ფრაზებმა იმდენად შემძრა, გადავწყვიტე, მკითხველისთვისაც გამეზიარებინა. ჯგუფს ჰქვია „ერედვი, ქვეყნის მერვედი“. ერედველები ერთმანეთს საკუთარ ტკივილს უზიარებენ, სოფელში დაბრუნებაზე ოცნებობენ და იმაზე ბჭობენ, ერედვში ჩასვლისას პირველად რას მოიმოქმედებენ. გარდა ამისა, მცხეთიჯვრობის აღნიშვნასთან დაკავშირებითაც სწორედ ამ საიტის მეშვეობით უთანხმდებიან ერთმანეთს: „იმ ძველი ერედვის ეშხს ვეღარ დავიბრუნებთ, მაგრამ თანამედროვე ერედვი მალე გვექნება“. „ჩვენი სოფლის გზაზე მალე ავივლი, თანაც შიშის გარეშე. ვისაც არ გეშინიათ, გამომყევით“... „მცხეთიჯვრის ძალა და მადლი მოგვცემოდეს ყველას, რომ გავუძლოთ ამ დიდ ტკივილს, მაგრამ ეს დროებითია, რადგან რაც ჩვენია, დაგვიბრუნდება“. „აუცილებლად, აუცილებლად დავბრუნდებით! ძალიან მენატრება ერედვის ცა, ღრუბლები, თითოეული ხე, ქვა, ერედვის სიო! თქვენ, ყველა ერედველი მენატრებით! „ახლა ვხვდები, რას ნიშნავს ჩემთვის ერედვი... იქ გული დამრჩა. ღმერთო, ვფიქრობ და ვერ ვიჯერებ, რომ შეიძლება, იქ ვეღარ მივიდე... ალბათ მოვკვდები. არ შემიძლია... მენატრები, ძალიან მენატრები. როცა დავკარგეთ, მაშინ მივხვდი, რომ უფრო მეტად მიყვარს. ერედვი ჩემი ბავშვობაა, ჩემი პირველი სიყვარული, ტკბილი მოგონება. უფალო, დაგვეხმარე, დავიბრუნოთ ეს პატარა სავანე“.

„ერედვში გავატარე ყველაზე ბედნიერი ეტაპი ჩემი ცხოვრების: ბავშვობა, გულის ნაწილი ერედვში დამრჩა. ერედველებო, წინასწარ გილოცავთ მცხეთიჯვრობას! ღმერთს ვთხოვ, მომავალ მცხეთიჯვრობას ჩვენს დამწვარ სახლებთან დაგვეღოცოს და ჩვენი სოფლის ეკლესიაში დაგვენთოს სანთელი!“ „საგურამოში მცხოვრები ერედველები მცხეთის ჯვარზე ადიან, იმედია, ყველანი მოხვალთ... ერედვი მცხეთაში იკრიბებაა... 23 აპრილს“... „გაზაფხულის მოსვლასთან ერთად, უფრო ძალიან ამტკივდა ერედვი. ძალიან მენატრება, ასე არასდროს დამმართვია... სიტყვებს თავს ვერ ვუყრი, მინდა რაღაც ვთქვა და არ გამომდის... გაჩუმება კი აღარ შემიძლია“... „ერედვში რომ დავბრუნდები, ალბათ ძალიან ბევრს ვიტირებ ჩემს ნასახლარზე... მერე ეკლესიაში ავალ და წინაპრების ნაკვალევზე სანთელს დავანთებ! ეს იქნება ყველაზე დიდი სიხარულისა და დიდი ტკივილის დღე... ღმერთო, მომასწარი ამ დღეს... თუ მოვესწრები, ჯერ დავიჩოქებ და ერედვის მიწას ვკამბორებ, მერე კი პირველ რიგში არგვიცში ჩვენს სასაფლაოზე ავალ და ჩვენს მიტოვებულ საფლავებს მოვეფერები“... „წუხელ ისევ მესიზმრა... ისევ იქ ვიყავით... ყველაფერი ძველებურად იყო... ჩვენი სახლი, უბანი, ეზო, ყვავილებიც ისევ ყვაოდნენ, ძაღლიც მისთვის ჩვეულ პოზაში იწვა და მზეს ეფიცხებოდა. წუხანდელი სიზმარი იმ ჯგუფს ეკუთვნის, გამოღვიძებას რომ განანებინებს. ძნელია, იმ ყველაფერს, რომელიც ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება იყო, დღეს მხოლოდ სიზმარი დაარქვა. დაუჯერებელია... იქნებ, სულაც ახლა ვარ სიზმარში? კი, კი... ნამდვილად ასე იქნება. უცნაური და მოულოდნელი ამბები ხომ სიზმარში მეტია. ჰოდა, აი, ამწუთას ვარ ძილში და კოშმარულ სიზმარს ვხედავ: საშინელი სროლის ხმა, დამანგრეველი აფეთქებები... სახლის ზემოთ მფრინავი ბომბდამშენები, სა-

წელს მცხეთიჯვრობა 23 აპრილს იზეიმეს

ვარაუდოდ, მტრისა უნდა იყოს. ასეც აღმოჩნდა. თვითმფრინავებიდან „რაღაცები“ გადმოყარეს... სოფელი მტვერსა და კვამლში გაეხვია. ვხედავ, როგორ ჩაინგრა რამდენიმე მეზობლის სახლი. დიდი ალბათობაა, ჩემსასაც იგივე დაემართოს, მაგრამ საკუთარი სახლისთვის ასეთი სასჯელი იმდენად მტკივნეულია, რომ მგონია, ასაფეთქებელ ბომბებს თავად აააფეთქებს ჩემი ტკივილი... ამჯერად გადარჩა. მხოლოდ მინებია ჩამსხვრეული. ამბობენ, ისევ განმეორდებაო... მოსახლეობა უნდა გავიყვანოთო... მამა არ მოდის, არ ემეტება თავისი ფუძე მისატოვებლად. ძმამ თვრამეტდღიანი სარეზერვო მომზადება გაიარა და თავი „დიდი მეომარი“ ჰგონია, სად წამოვა. დედა და ბებია კაკებს მარტო ხომ არ დატოვებენ და ლიახვის ხეობის მიტოვების კანდიდატები მე, ჩემი და და სხვა, ჩვენს მდგომარეობაში მყოფნი აღმოჩნდნენ. მანქანა მანქანას მისდევს. გაჰყავთ ბავშვები და ქალები. მძღოლები აღელვებას არ იმჩნევენ, თუმცა ყველას თვალებში თვითგადარჩენის ინსტინქტი იკითხება. ცოტაც და ყველაფერი პანიკაში გადავა. გორს გამოვცდით. თითქოს, ცოტათი დამშვიდდა ყველა. გზად ჯარისკაცი გვაჩერებს. თავისი ცოლ-შვილის გამომგზავრება უნდა და ადგილს ითხოვს. მიუხედავად იმისა, რომ ყველას ვიღაც უზის კალთაში, მანქანაში ადგილს მაინც ყველასთვის ვპოულობთ“...

ამ უკანასკნელმა ჩანახატმა ისე დამთრგუნა, მისი ავტორით დავინტერესდი და აღმოჩნდა, რომ ჩემს მეგობარს, ***თამარ გუზალაძეს*** *დაუწერია. ვთხოვე, იქნებ ინტერვიუზეც დამთანხმდე-მეთქი. ცოტა იყოყმანა, მაგრამ ჩვენი საუბარი შედგა. მერე კი ერთ ერედველ ქალბატონსაც შემახვედრა.*

— იქნებ გაიხსენო, პირველად, რა სიტუაციაში მოგიხდათ ერედვის დატოვება და მანამდე თუ ვრცელდებოდა ინფორმაცია მოსალოდნელი საფრთხის შესახებ?

— სოფელში ახალი ჩასული ვიყავი. ვფიქრობდი, აგვისტოს შვებულებას იქ გავატარებ-მეთქი, მაგრამ 4 დღის შემდეგ სროლები და აფეთქებები რომ დაიწყო, აღარ დამთავრებულა. ისეთი ხმაურიანი ღამეები იყო, დილა რომ თენდებოდა, მეგონა, ყველა სახლი მიწასთან გასწორებული იქნებოდა. დილით ყველაფერი მშვიდდებოდა და დაძაბულობა არც იგრძნობოდა. იქ ხალხი ასეთ რამეებს ნაჩვევი იყო და თავიდან, შიში თითქოს არც გვქონია, მაგრამ 7 აგვისტოდან ამ ყველაფერმა უკვე გაუსაძლისი და დაუმთავრებელი სახე მიიღო. ისეთი საშინელი აფეთქებები იყო, სახლი ზანზარებდა, დღესაც ძალიან მიკვირს როგორ გავუძელით ამდენს. ახალი ჩასული ვიყავი, როგორც გითხარით, და წამოსვლა არ მინდოდა. ვფიქრობდი, იქნებ დამშვიდდეს ყველაფერი და ეს არდადეგები აქ ვიყო-მეთქი. ფეხს ვითრევდი, მაგრამ რომ გავიგეთ, რომ უკვე ქალები და ბავშვები თითქმის გაეყვანათ, მე და ჩემი დაც იძულებულები გავხდით, წამოვსულიყავით. სამარშრუტო ტაქსის გამოგვაყოლეს, გზადაგზა გორის რაიონის სოფლებიდან ხალხი გვემატებოდა, მანქანები ისე გადაივსო, მივხვდი, საქმე იმაზე სერიოზულად იყო, ვიდრე მეგონა. ჩვენ თბილისისკენ მოვდიოდით და ვხედავდი, როგორ მიდიოდნენ ჩვენი სამხედროები იქით, ცხინვალისკენ. მაშინ ვიგრძენი, რომ სისხლი უეჭველად დაიღვრებოდა. მე და ჩემი და ასე ჩამოვედით თბილისში, მაგრამ მშობლები იქ დარჩნენ და მთელი ღამეები არ მეძინა, ყოველ წუთს ტელეფონზე ვრეკავდი და მათ ამბებს ვიგებდი... არც ისე დიდი ვარ, მაგრამ, სამწუხაროდ, 90-იანი წლების ომსაც მოვესწარი და მახსოვს, როგორ დავტოვეთ ცხინვალი. მაშინ საკმაოდ პატარა ვიყავი და როგორც ჩანს, ეს ყველაფერი ასეთი მტკივნეული არ იყო ჩემთვის. აქამდე მეგობრებთან რომ ვყვებოდი ხოლმე ცხინვალიდან გამოსვლის ამბავს, სულ იმას ვამბობდი, კიდევ კარგი, პატარა ვიყავი და ყველაფერი ვერ გავაცნობიერე, თორემ ის რომ ახლა დაგვმართოდა, ვერ გადავიტანდი-მეთქი. რას წარმოვიდგენდი, თუ კვლავ მომიწევდა ამ ყველაფრის თავიდან განცდა?! თურმე ღმერთი იმაზე დიდ სასჯელს არასოდეს მოგვივლენს, ვიდრე გადატანაც შეგვიძლია... ყველაფერს ეგუები, ალბათ, როდესაც თვითგადარჩენის ინსტინქტიღა მუშაობს და დანარჩენი ყველაფრისგან დაცლილი ხარ. მაშინ თბილისში ვიყავი და მარტო იმაზე ვფიქრობდი — ჩემი მშობლები, ჩემი ძმა, ჩემი ბიძაშვილები, რომლებიც იქ იყვნენ, როგორმე ცოცხლები გადარჩენილიყვნენ; ბიძაჩემი, რომელიც სოფელში ჩარჩა და ვერ გამოგვყავდა, როგორმე ცოცხალი ყოფილიყო; მაშინ სხვა არაფერი მადარდებდა... ყველანი რომ ცოცხლები გადარჩნენ, მერე დავიწყეთ იმაზე ფიქრი, თუ რა მოხდა და ცოტა უფრო გვიან იმაზე — თუ როგორ უნდა დაგვეწყო კიდევ ერთხელ ახალი ცხოვრება და იძულებულები ვიყავით, საკუთარი თავისთვის შეგვეძახა, რომ ახლა, როგორც არასდროს, გამძლეობა და ოპტიმიზმი გვჭირდებოდა.

— თბილისში ჩამოსვლის შემდეგ სად დაბინავდით და დღეს სად ცხოვრობთ?

— ძალიან ცუდად მახსენდება ის დღეები, როდესაც ყველანი თბილისში ჩამოვიდნენ. მერიის შენობასთან რომ მივედი და მთელი ლიახვის ხეობის ხალხი იქ დავინახე, თვალებს არ ვუჯერებდი. ეს ადამიანები რამდენიმე დღე ასე „ქუჩაში ეყარნენ“ და თავშესაფარს ვერ პოულობდნენ. მთელი კვირა გახდა საჭირო, რომ ისინი დაებინავებინათ... ამ დღეების გახსენებაც არ მინდა... თბილისში ჩამოსვლის შემდეგ, ჩვენც, სხვა ლტოლვილებივით, საბავშვო ბაღის შენობაში ვცხოვრობდით...

— ხელისუფლება თუ დაგეხმარათ?

— მახსოვს, თავიდან პირველადი მოხმარების ნივთებსა და საკვებს გვაძლევდნენ, შემდეგ კი, საცხოვრებლის სანაცვლოდ გამოყოფილი ფულადი კომპენსაცია ავიღეთ. საომარ ვითარებაში ბევრი რომ მოითხოვო შენი ქვეყნისაგან, ალბათ, არ იქნება სწორი, მაგრამ ახლა ვფიქრობ, რომ ჩვენს ქვეყანას დაზარალებული ხალხისთვის მეტის გაკეთება შეეძლო. თითქმის ორი წელი გავიდა და რამდენიმე ათეული ოჯახი კვლავაც თავშესაფრის გარეშეა დარჩენილი. ამ ხნის მანძილზე, რუსეთის აგრესიის შედეგად დაზარალებული პირებისათვის სტატუსის მინიჭებაც კი ვერ მოხერხდა. არადა, ეს, კანონის მიხედვით, რამდენიმე დღეში უნდა მოხდეს.

— ერედველებს როგორი ურთიერთობა გაქვთ ერთმანეთთან?

— ბუნებრივია, ყველას ძალიან გვენატრება ერთმანეთი, მაგრამ ხშირად ვერ ვახერხებთ შეხვედრას. ბევრი ჩემი მეგობარი დიდი ხანია არ მინახავს. მათთან, ძირითადად, ინტერნეტითა და ტელეფონით ვკონტაქტობ. აქედან გამომდინარე, კარგად ვიცი, თუ ვინ სად არის და რას

აკეთებს. სხვადასხვა ჩასახლებაში არიან გადანაწილებულები. ბევრი მათგანი უმუშევარია, ზოგმა მოძებნა მცირედი შემოსავლის წყარო და ასე, ნელ-ნელა ცდილობენ შეეგუონ ბედს. თუმცა ყველა მათგანს ეს ყველაფერი მაინც დროებითი ჰგონია, ყოველ შემთხვევაში, ცდილობენ, არ დაიჯერონ, რომ ლიახვის ხეობის გარეშე მოუწევთ დარჩენილი ცხოვრების გატარება... პი-

ამით, როგორც ამბობენ, თავად რუსები და ოსებიც ძალიან შეშინებულები არიანო...

რადად მეც, ცოტა უტოპიური მეჩვენება, დღევანდელ პოლიტიკურ ფონზე ერედვში დაბრუნება, მაგრამ თავს არ ვაპატიებ, ეს იმედი რომ გამიქრეს.

— რა იცით დღეს ერედვზე? თუ გაქვთ ინფორმაცია, რა მდგომარეობაშია თქვენი სოფელი?

— ვიცით ის, რომ ყველა სახლი გადამწვარია და არც ერთი სულიერი იქ აღარ დარჩა. ერედვის შემოგარენში მხოლოდ რუსი და ოსი სამხედროები პატრულირებენ. ღვთის მადლით, იქ არსებული ეკლესია-მონასტრები დაწვას გადაურჩა და საოცარია, რასაც ერედვის ქვემოთ მდებარე, გორის რაიონის სოფლის მოსახლეობა ჰყვება. ერედვამდე არის სოფელი დიცი; ბოლო სოფელია, რომელსაც ჩვენ ვაკონტროლებთ, იმის იქით უკვე პატარა ლიახვის ხეობა იწყება და იქ შესვლა არ შეგვიძლია. დიცის მოსახლეობა ამბობს, რომ რამდენჯერმე შეუმჩნევიათ საღამოობით, თუ როგორ გადმოდის ერედვის მცხეთისჯვრის ეკლესიიდან რაღაც დისკოს ფორმის და ჩაესვენება ერედვის წმ. გიორგის ეკლესიაში. ამით, როგორც ამბობენ, თავად რუსები და ოსებიც ძალიან შეშინებულები არიანო...

მარინა ბერუაშვილი:

— 3 დღე-ღამის განმავლობაში შეუწყვეტლივ ისმოდა აფეთქების ხმა, მაგრამ ჩვენთან სროლები 20 წლის განმავლობაში პერიოდულად მიმდინარეობდა და ამას მეტ-ნაკლებად, შეგუებულები ვიყავით, ამიტომ სოფლის დატოვებას არავინ ვფიქრობდით მანამ, სანამ ვერტმფრენებმა არ დაგვბომბეს...

მოსალოდნელი საფრთხის შესახებ არაფერი ვიცოდით, ამიტომ იყო, რომ ბავშვებიც კი სოფელში იმყოფებოდნენ. მე და ჩემმა მეუღლემ ჩვენი შვილები 7 აგვისტოს გამოვგზავნეთ თბილისში, ჩვენ კი 8 აგვისტოს ჩავედით გორში. ერთი ღამე ნათესავთან გავატარეთ. მეორე დღეს, მე და ჩემი მეუღლე ისევ დავბრუნდით სოფელში. ვფიქრობდით, თუ შესაძლებელი იქნებოდა გაჩერება, დავრჩებოდით, მაგრამ სოფელში რომ ავედით, ვხედავდი, როგორ დაფრინავდნენ თვითმფრინავები სახლების თავზე. დაიწყო საშინელი აფეთქებები და სროლა. სოფელი თითქმის დაცლილი იყო, გაჩერება შეუძლებელი გახდა, იძულებული გავხდით, უკან გამოვბრუნებულიყავით. 9 აგვისტოს საღამოს ჩამოვედით თბილისში და დროებით თავი ერთ-ერთ საბავშვო ბაღს შევაფარეთ. იანვრის შუა რიცხვებამდე იქ ვიყავით. ამჯერად, ვაზისუბნის დასახლებაში ნაგირავებ ბინაში ვცხოვრობთ. დევნილების ნაწილმა სპეციალურად ჩვენთვის აშენებული კოტეჯის სანაცვლოდ თანხა მიიღო. მართალია, 10.000 დოლარი ძალიან ცოტაა ახალი ცხოვრების დასაწყებად, მაგრამ ჩვენც თანხის აღება ვარჩიეთ.

— ერედველებთან კონტაქტს ინარჩუნებთ?

— რა თქმა უნდა. ერედველების ნაწილი სოფელ კოდაში ჩასახლდა, ნაწილი — შაუმიანში, წეროვანში, შავშვებში, გორში... ერთმანეთს ძირითადად თავყრილობებზე ვხვდებით — ქორწილი იქნება, დაბადების დღე თუ სხვა რამ. ისე, ქუჩაში რომ გავდივარ, სულ ერედველებს ვეძებ. კარგი იქნებოდა, თითოეული სოფელი ერთად დაესახლებინათ. ასე რომ გვყვარებია ერთმანეთი, ეს ახლა, დევნილობაში ვიგრძენი.

— ალბათ ერედვში დაბრუნების იმედი არ დაგიკარგავთ...

— ხომ წარმოგიდგენია, როგორი იქნება იმ ადამიანის ცხოვრება, მიწა-წყალს რომ დაატოვებინებენ, საფლავს რომ დაათმობინებენ. ის დამწვარ-დანგრეული და გავერანებულიც გენატრება, ბალახებით აბიბინებულ ნასახლარებს რომ დამსგავსება; სული რომ გტკივა, სხეულში ჩამყუდროებული და მყუდროებადარღვეული... როგორი იქნება იმ ადამიანის ცხოვრება, რომელიც სოფლის მიწას მანქანის საბურავებზე შერჩენილს ჩამოფერთხავს და მოწინებით შეინახავს... შვილები მამხნევებენ და მამზადებენ ახალი ცხოვრების დასაწყებად, მაგრამ ყოველივე ამასთან შეგუება ძალიან ძნელი ყოფილა. მიუხედავად ამისა, ადამიანი მაინც იმედით ცოცხლობს. აუცილებლად უნდა დავბრუნდეთ, უნდა ვეცადოთ, რომ მფეთქავი მაინც დავიბრუნოთ ჩვენი მამული. ჩვენ გვქონდა წარსული... გვექნება მომავალი... აწმყოს კი როგორმე უნდა გავუძლოთ... ■

მოსალოდნელი საფრთხის შესახებ არაფერი ვიცოდით

მერი კოტიაშვილი

დამანა მდივნიშვილს მსახიობობა ძალიან უნდოდა. თეატრალურ ინსტიტუტში, მისაღებ გამოცდაზე საყვარელი პოეტის — ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის წაკითხვა გადაწყვიტა. წაკითხულ ლექსში უმაღლესი შეფასება აკაკი ხორავამ დაუწერა. ინსტიტუტში ბევრს მუშაობდა იმისთვის, რომ კარგი მსახიობი გამოსულიყო. რატომღაც ყოველთვის უარყოფით როლებს სთავაზობდნენ. რეჟისორები ეუბნებოდნენ, ძალიან ფაქიზი სული გაქვს და უარყოფითი როლების თამაშით უნდა გამოიწრთოო. თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ბათუმის თეატრში თამაშობდა. შემდეგ სიყვარული ეწვია და მეუღლის თხოვნით, მსახიობობას თავი დაანება, მაგრამ ხელოვნებისთვის ზურგი არ შეუქცევია. არის რამდენიმე წიგნის ავტორი. მას ეკუთვნის ას ულამაზეს ქართველ ქალბატონზე დაწერილი და გამოცემული წიგნი...

„როგორ მოვხვდი თეატრალურ ინსტიტუტში“

— 1947 წელს თეატრალურ ინსტიტუტში სამსახიობო ფაკულტეტზე ვაბარებდი. მისაღებ გამოცდებს სპეციალობაში აკაკი ხორავა თავმჯდომარეობდა. პროგრამით გათვალისწინებული ნაწარმოები (ლექსი, პროზა და იგავ-არაკი) უნდა წაგვეკითხა. მე ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი — „ვპოვე ტაძარი“ წარმოვადგინე. არავის შევუჩერებივარ... მცირე პაუზის შემდეგ, აკაკი ხორავამ ცოტა მკაცრი ტონით მკითხა: „ვინ გირჩია, რომ ეს ლექსი წაგეკითხა?“ — ფერი მეცვალა. ვიფიქრე — როგორც ჩანს, ჩემთვის არ შეიძლებოდა, ამ ლექსის წაკითხვა-მეთქი. დამნაშავესავით თავი ჩავღუნე და მოკრძალებით ვუპასუხე: „ძალიან მიყვარს ბარათაშვილის ლექსები“... სინანულის გრძნობამ შემიპყრო. ყელში ბურთი გამეჩხირა. მეგონა, ჩავიჭერი, მაგრამ თავი რომ ავწიე, აკაკი ხორავას ღიმილიან სახეს თვალი მოვკარი. გამოვცოცხლდი, — გააგრძელეო, — მითხრა. წავიკითხე ეპიზოდები პროზაული ნაწარმოებებიდან. მეტყველების პედაგოგმა — მალიკო მრევლიშვილმა დავალება მომცა, — სიტყვიერად უნდა გამომეხატა წაკითხული მასალის დედააზრი, რასაც ადვილად გავართვი თავი. შემდეგ მუსიკალური სმენა გამისინჯეს. როიალზე დაკრული მუსიკალური

აკაკი ხორავა, ანტი პოდი პერსონაჟი და ნაადრევად შეწყვეტილი კარიერა

დამანა მდივნიშვილი ოჯახთან ერთად

ბგერები სიმღერით უნდა გამემეორებინა. პიანისტმა საკმაოდ გრძელი მონაკვეთი დამიკრა. ვღელავდი, ყურადღება გამეფანტა და ერთ ადგილას ტონალობას ავცდი... პიანსტმა გულგრილად განაცხადა, — სმენა არა აქვსო. ხორავამ ის ტაქტი ისევ გაგვამეორებინა. სიხარულისგან გონება გამინათდა, მაგრამ პიანისტმა ორჯერ უფრო რთული და გრძელი ფრაზა დაუკრა. რაც შემეძლო, ხმას ავუწიე და ზუსტად ისე ვიმღერე, როგორც კონსერვატორიის ღია ფანჯრებიდან მესმოდა ხოლმე, მომღერლების მიერ შესრულებული კრიალა ჰანგები. მოულოდნელობის გამო კომისიის წევრებმა ერთხმად გაიცინეს. ხორავამ პიანისტს გადახედა: „ა ტი სკაზალა, ჩტო ნეტ უ ნეიო სლუხა“.

შემდეგი გამოცდა მსახიობის ოსტატობაში მქონდა, სადაც კომისიის წევრები გახლდნენ — აკაკი ფაღავა, დიმიტრი (დოდო) ალექსიძე და კოწო ანდრონიკაშვილი; რეჟისორის ასისტენტი იყო, იმ დროს ფრონტიდან დაბრუნებული ახალგაზრდა რეჟისორი — მიხეილ თუმანიშვილი. ბატონმა დოდო ალექსიძემ ასეთი ეტიუდი მომცა: — მყავს ძმა, რომელიც ფრონტზეა... ძმისგან გამოგზავნილი ამანათი შემოაქვს ფოსტის თანამშრომელს (ფოსტის მუშაკი მიშა თუმანიშვილი იყო). მე უნდა გავხსნა ყუთი და დავათვალიერო. საჩუქრები გახარებულმა ამოვალაგე. მასში ბავშვის ტანსაცმელი და სათამაშოები აღმოჩნდა, რამაც ძალიან გამახარა. როდესაც ყველაფერი ამოვაწყვე, კონვერტი დამხვდა. გავხსენი და წერილი ხმამაღლა წავიკითხე, აღმოჩნდა, როდესაც ძმა ამანათს გამოსაგზავნად ამზადებდა, მას სასიკვდილო ტყვია მოხვედრია. მაგრამ გვერდზე მდგომი მეგობარი გადარჩა და ამანათი მისი წყალობით მივიდა ადრესატამდე... ძმის დაღუპვის ამბავი რომ შევიტყვე, ჩემი აღტაცება მწარე ტირილით შეიცვალა და დიდხანს ვღრიალებდი... როლში ისე შევიჭერი, რომ ბოლოს მითხრეს, — გეყოფა, დაწყნარდიო... არადა, მართლა მყავდა ოჯახში გაზრდილი დედის ძმისშვილი — ზურაბ ახვლედიანი, რომელიც ფრონტზე დაიღუპა და იმ წუთებში სწორედ ის დამიდგა თვალწინ.

სტუდენტობის დაუვიწყარი წლები...

— ინსტიტუტში დადგმული სპექტაკლებიდან გავიხსენებ პიესას — „მეორე ფრონტის იქით“. პედაგოგი და რეჟისორი — მიშა თუმანიშვილი გახლდათ. ვთამაშობდი საკონცენტრაციო ბანაკის ზედამხედველ გერმანელ ქალს — მარი კლერს, რომელიც ტყ-

ქალბატონი დამანა ძიძიას როლში

ვთამაშობდი საკონცენტრაციო ბანაკის ზედამხედველ გერმანელ ქალს — მარი კლერს

როლი სპექტაკლიდან „იმათ მხარეში“

„მავრი“ — ასე ვეძახდით აკაკი ხორავას „ოტელოს“ გამო

ვეობაში მყოფ საბჭოთა ქალებს სასტიკად ეპყრობოდა, მათ ყველანაირად ამცირებდა. შიშის ზარს სცემდა და ჩამოხრჩობით ემუქრებოდა. ეს როლი რეჟისორმა ჩემი ბუნების საწინააღმდეგოდ შემირჩია. როგორც თვითონ განმიმარტა, თურმე ძალზე რომანტიკული და მორიდებული ვიყავი. საჭირო იყო, უფრო ენერგიული, აქტიური და ანჩხლი ქალის როლი მეთამაშა. ვფიქრობ, მეგობრების რეცენზიების შეფასებით, მარი კლერის როლს კარგად გავართვი თავი. ჩემი თანაკურსელი და მეგობარი — ლამზირა ჩხეიძე დღესაც სამაგალითოდ იხსენებს ჩვენი სტუდენტობის დროინდელ სპექტაკლებს. ხოლო ჩვენივე თანაკურსელმა — დიანა კესნერმა, რომელიც ზოგჯერ ჩემი დუბლიორიც იყო, საგაზეთო სტატია მომიძღვნა — „მშვენიერება სულისა“, რომელშიც თითქმის მთლიანადაა აღწერილი ჩემი აწმყო და სტუდენტური ცხოვრება.

გავიხსენებ სადიპლომო სპექტაკლს — „ლუტონინების ოჯახი“, რომელიც დიდმა მსახიობმა და რეჟისორმა — აკაკი ხორავამ დადგა. იგი ამავე დროს, ჩვენი რექტორიც იყო და ყველა სიკეთესთან ერთად, ინსტიტუტში მკაცრი წესრიგი დაამყარა. სწავლის დაწყება 9 საათის ნაცვლად, 9-ის ნახევარზე დააწესა. დაგვიანება, ხმაური, უწესრიგობა გამორიცხული იყო. ერთმანეთთან სტუდენტების მეგობრული წაკინკლავებაც კი ესმოდა, რადგან აუდიტორიაში მოსასმენი აპარატი იყო დამონტაჟებული. რუსულის გაკვეთილებს პედაგოგი რუსუდან მიქელაძე გვიტარებდა — ყველასთვის საყვარელი, გულკეთილი, ფაქიზი

სულის პიროვნება. გოგონები წინა მერხებზე ვსხდებოდით, ბიჭები — უკან, მაგრამ მოუსვენარი სტუდენტები მაინც ვერ მშვიდდებოდნენ... ერთხელ გიული ჭოხონელიძემ ნაწნავზე სქელი ძაფი გამომაბა, თვითონ კი მერხის ქვეშ დაიმალა. მასწავლებელმა გამომიძახა. წამოვიწიე და თმა მომეწიწკნა. შევკივლე... თურმე უარესი მელოდა. გაისმა ხორავას მგრგვინავი ხმა: — „რუსუდან სალამონოვნა, პრიშლიტე კამნე ეტუ დევოჩკუ ი მალჩიკა“... მის კაბინეტში ორივენი ჩავედით. გიულის გაუღიმა და გაუშვა. მე კი ინსტიტუტიდან მაშინვე გამრიცხა. — აქ აღარ მოხვიდეო, — მითხრა. სახლში უხმოდ წავედი, განცდების გამო 3 დღის განმავლობაში არავის დავლაპარაკებივარ. არც სახლიდან გავსულვარ. მეოთხე დღეს ჩემს სახლში ინსტიტუტიდან გამოგზავნილი კურიერი მოვიდა, — ხორავა გიბარებსო. მასთან კაბინეტში რომ შევედი, მითხრა, — ამ ერთხელ გაპატიებ და ლექციები აღარ გააცდინოო. მინდოდა მეთქვა, რომ დამნაშავე არ ვყოფილვარ, მაგრამ ხმის ამოღებას როგორ გავბედავდი? ბატონი აკაკის საოცარი რიდი და სიყვარული გვქონდა. როცა ინსტიტუტში შემოვიდოდა, პირველივე სართულიდან სტუდენტები ერთმანეთს ექოსავით გადასცემდნენ — „მავრი“ მოდისო (ასე ვეძახდით აკაკი ხორავას „ოტელოს“ გამო), ყველანი ადგილზე ვიყინებოდით ან გრძელი კორიდორის კედლებს გავეკვრებოდით...

„ხორავამ თითოეული სტუდენტის ცხოვრების პირობები იცოდა“

— მეოთხე კურსზე ბედნიერება გვეწვია. ხორავა გამოსაშვებ სპექტაკლს — „ლუტონინების ოჯახს“ — თვითონ დგამდა. ამ პიესაში ლუტონინების ოჯახის რძალი ვიყავი, აგნია მერქვა. დისციპლინა კიდევ უფრო გამკაცრდა. ზამთრის პერიოდი იყო. დილის 9-ის 15 წუთზე დარბაზში უნდა ვყოფილიყავით, ცხრის ნახევარზე კი სცენაზე ავდიოდით. ისე მოხდა, რომ ორი წუთით დამაგვიანდა — ძალიან გამიბრაზდა... პიესა ჩემი სიტყვებით იწყებოდა. პირველი ორი წინადადება ყოჩაღად წარმოვთქვი. იმ დროს დარბაზში აქოშინებული და სახეაწითლებული მერი მიქელაძე შემოვარდა. უცებ წარმოვიდგინე, რომ მას ჩემზე მეტად დასჯიდა, მაგრამ სულ სხვა რამ მოხდა. „დაისვენე“, — უთხრა. წარმოვიდგინე, რომ უღირსი ვარ და ამიტომაც დამტუქსა. შემეცოდა საკუთარი თავი და ცრემლები მომაწვა. „გააგრძელე“, — შემომძახა. სცენა ასე იწყებოდა — მიჭირავს ყვავილების სარწყავი ვედრო, ყვავილებს ვრწყავ და თან მათ სიტყვებით ვეფერები. დავიწყე როლის შესრულება, მაგრამ ცრემლები მახრჩობდა. დამარცვლით ვლაპარაკობდი. მან ყური კარგად მომიგდო და ყველაფერს მიხვდა. სცენაზე ამოვარდა. გულში ჩამიკრა და მოფერებით განმიმარტა, „იცი, რაშია საქმე? ორ ნაბიჯზე ცხოვრობ, არ უნდა დაიგვიანო, მერი კი ავლაბრიდან, უთენია ფეხით მოდის. ახლა გაიქეცი. წყალი დალიე, დამშვიდდი და მუშაობა გავაგრძელოთ“. ეს ეპიზოდი იმიტომ გავიხსენე, რომ ჩვენდა გასაოცრად, ხორავამ თითოეული სტუდენტის ცხოვრების პირობები იცოდა. გაჭირვებულ სტუდენტებს ჩუმად ეხმარებოდა. რომ გაიგო, გიული ჭოხონელიძეს მამა არ ჰყავდა (1937 წელს დაუხვრიტეს), მას საკუთარი შვილივით ჰპატრონობდა. სტიპენდია ორჯერ გაუზარდა. უბინაო, ჩამოსულ სტუდენტებს სტუდქალაქში აბინავებდა. ყურადღების ქვეშ ჰყავდა. ჩემს საყვარელ ინსტიტუტთან, აღმზრდელ პედაგოგებთან, მეგობრებთან ბევრი სასიამოვნო მეგობრობა მაკავშირებს. ყველანი ერთ ოჯახად ვცხოვრობდით და უერთმანეთოდ მომავალი ვერ წარმოგვედგინა... ■

დამანა მდივნიშვილი (დგას მარჯვნივ) მეგობრებთან ერთად

ეროვნული საუკეთესო ადგილის უპირველესი მცდელები

მაცდური გარეგნობა და „გამყიდველი“ თვალები

„თინეიჯერულ პონტებს“ ამჯერად, მხოლოდ 1 გვერდს ვუთმობთ (პატიმრის მიერ გამოგზავნილი წერილის გამო, რომელიც მომდევნო გვერდებზე იბეჭდება) და იმედია, ამის გამო რუბრიკის ერთგული მკითხველები არ გაგვინაწყენდებით. ვინაიდან მოზარდებთან დაკავშირებულ თემას ერთ გვერდში ვერაფრით ჩავატევდი, გადავწყვიტე, თქვენთვის საინტერესო და სასარგებლო ინფორმაცია მოგაწოდოთ.

ლიკა ქაჯაია

შევიდეთ თუ არა „მაკდონალდსში“

როგორც ვიცი, მოზარდების საყვარელი ადგილი „მაკდონალდსია“ და ალბათ, ამ დაწესებულების შესახებ ყველაფერი გაინტერესებთ. „მაკდონალდსის“ შესახებ ინტერნეტში უამრავი ინფორმაციის მოძიებაა შესაძლებელი და მათგან რამდენიმე შევარჩიე:

* 1970 წელს ამერიკელებმა „მაკდონალდსში“ 6 მლრდ დოლარი დახარჯეს, 2001 წელს — 110 მლრდ-ზე მეტი.

* თითოეული ამერიკელი საშუალოდ, ყოველ კვირას 3 ჰამბურგერსა და 4 ულუფა კარტოფილს მიირთმევს.

* სტუდენტობისას ყოველი მერვე ამერიკელი „მაკდონალდსში“ მუშაობდა. 1958 წელს მომსახურე პერსონალისთვის 75-გვერდიანი წესების კრებული გამოიცა, დღესდღეობით კი მუშაობის დაწყების მსურველებს 750-გვერდიანი ინსტრუქციის წაკითხვა უწევთ.

* 25 წლის წინ სპეციალურად ფასტ-ფუდის ქსელებისთვის გამოიყვანეს ქათმების ჯიში — „მკ“. ამ ფრინველის

თეთრი ხორცისგან საფირმო კერძს — „ჩიკენ მაკნაგეტს“ ამზადებენ.

* „მაკდონალდსის“ კაფეებიდან მსუბუქი (ზოგჯერ — სერიოზული) დაზიანებებით ყოველწლიურად, საავადმყოფოში 200 ათასი თანამშრომელი მიჰყავთ.

* ევროპელთაგან, ამ სწრაფი კვების ობიექტს ყველაზე ხშირად, ინგლისელები სტუმრობენ და ამის გამო, ბრიტანეთში მსუქანთა რიცხვმაც ორჯერ იმატა.

* ძროხებს, რომელთა ხორცსაც ფასტფუდებში იყენებენ, დაკვლამდე 3 თვით ადრე, სპეციალურ შენობებში ამწყვდევენ და მარცვლეულით კვებავენ.

* „მაკდონალდსის“ შემწვარი კარტოფილი ძალზე პოპულარულია. ადრე კარტოფილს 7-პროცენტიან ბამბის ზეთსა და 93-პროცენტიან საქონლის ცხიმში წვავდნენ, 1990 წლიდან კი მცენარეულ ცხიმში იწვება.

* ცნობილი ფაქტია, რომ ფასტ-ფუდის თანამშრომლები არ მიირთმევენ „მაკდონალდსის“, საკუთარი ხელითვე მომზადებულ კერძებს (უცნობია, როგორ იქცევიან „მაკდონალდსის“ ქართველი მზარეულები). 2000 წელს ნიუ-იორკის „ბურგერ კინგის“ 3 ახალგაზრდა თანამშრომელი დააკავეს, რადგანაც ისინი ყველა კერძში აფურთხებდნენ. ლოს-ანჯელესის კაფეების ვიდეოჩანაწერებში აღბეჭდილია „მაკდონალდსის“ თანამშრომელთა ქცევები, რომლებიც სიგარეტის ნამწვავებს საჭმელზე აქრობენ და ძირიდან აკრებილ პროდუქტებსაც იყენებენ. გარდა ამისა, ნაჩვენები იყო კადრები, სადაც ტარაკნები და ვირთხები თავისუფლად დასეირნობდნენ საკვებ პროდუქტებზე.

* ყველა კერძი ქიმიურადაა დამუშავებული და არომატულ დანამატებს შეიცავს.

არ ვიცი, „მაკდონალდსის“ ქართველი მზარეულები სისუფთავეს იცავენ თუ არა, კერძებში ქიმიურ დანამატებს ურევენ თუ არა, მაგრამ ფაქტია, მათ მიერ დამზადებული ჩისბურგერი თუ ჰამბურგერი საკმაოდ მიმზიდველად გამოიყურება და მათ გემოსაც ვერ დაუწუნებ.

საიდუმლო, რომელსაც თვალები გასცემენ

ბევრი კითხვა მოგვდის იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა გამოიცნო ადამიანი მისი გარეგნობის მიხედვით. ბევრი მოზარდი წუწუნებს იმის გამოც, რომ ძალიან მიმნდობია და ამიტომაც, მის მოტყუებას ყველა იოლად ახერხებს. მერწმუნეთ, ადამიანის გამოცნობა მისი თვალებითაა შესაძლებელი — აბა, ჩახედეთ საყვარელ ადამიანს თვალებში, მერე ქვემოთ მოცემული ტექსტი წაიკითხეთ და მიხვდებით, რომ ეს ყველაფერი ჭეშმარიტებაა.

ცისფერი, ნაცრისფერი ან ლურჯი

ასეთი ფერის თვალების მქონე ადამიანს წინააღმდეგობა არ აშინებს და

დასახული მიზნისკენ ჯიუტად მიიწევს. ყოველთვის მზადაა თავგადასავლებისა და ავანტიურისათვის. თუ ასეთი თვალების მქონე ადამიანთან რომანი გაქვთ, მის შეცვლას ნუ შეეცდებით. უმჯობესია, საერთო მიზნები განახორციელოთ.

ჭრელა

მერყევი ხასიათი აქვს და გუნება-განწყობილება ხშირად ეცვლება — დღეს თუ ერთი მოსწონს, ხვალ მეორეს ეფიცება სიყვარულს. უჭირს გადაწყვეტილების მიღება. ბრძოლას დანებება ურჩევნია.

ზურმუხტისფერი

ვერ იტანს კრიტიკას. ყოველთვის აღფრთოვანებულია საკუთარი საქციელით და იდეებით. უყვარს მხიარულება და არც გარშემო მყოფებს აძლევს მოწყენის საშუალებას. თუ შეუყვარდა, მის გამო შეუძლებელს შეძლებს.

თაფლისფერი

ყოველთვის მოწესრიგებულია. იცის, როგორ მოაწონოს თავი გარშემო მყოფებს; კარგი მოსაუბრეა და დახვეწილად იცვამს. უყვარს ყურადღების ცენტრში ყოფნა. სიყვარულში ბედნიერებას მაშინ პოვებს, თუ რჩეული ნებისმიერ სურვილს აუსრულებს. ■

ერთი დღე პატიმრის ცხოვრებიდან

„იმედია, ჯოჯოხეთს თავს დავაღწევ და ვიყვირებ: თავისუფალი ვარ!“

არახალია, რომ პატიმრები ჟურნალ-გაზეთების კითხვით დროს კლავენ, თავს ირთობენ და ხშირად, პრესის წარმომადგენლებს, ჩვენს მკითხველებს თავიანთ წუხილსაც გვიზიარებენ. ამჯერად, ერთ-ერთი საპყრობილიდან მოგვივიდა წერილი, რომელშიც საკუთარ ადვოკატზე შეყვარებული პატიმრის დარდია გადმოცემული. თუმცა ის არა მარტო თავის სიყვარულზე გვიამბობს, არამედ გვიხატავს სიტუაციას, რომელიც საკანში სუფევს. ცხადია, გამოკეტილ ოთახში ჯდომა ჯოჯოხეთია და ამას ჩვენი მგზავნელიც ადასტურებს, მაგრამ ის ადამიანური დარდი და ტკივილი, რომელიც გულით დააქვს, გისოსებს მიღმა ყოფნას ორმაგად უმძიმებს — მას ეცოდება ის პატიოსანი ადამიანები, რომლებმაც მის გამო ციხისკენ სავალი გზა „გატკეპნეს“ და მასთან შეხვედრის მოლოდინში, ციხის კართან ათენ-აღამებენ; ეცოდება ის ადამიანები, რომლებსაც მისი დატუსაღებით გული ეტკინათ და ბოლოს, ეცოდება საკუთარი თავიც, რადგან ასეთ ჯოჯოხეთურ სიტუაციაში, საკუთარი ცოდვების გამო აღმოჩნდა.

„ნოემბრის ბოლოს, დათოვლილ მთებზე ნისლი ჩამოწვა თუ არა, თავისუფლება აღმიკვეთეს. ჰოდა, ახლა მზიან ცასა და მთვარიან ღამეს საკნის გისოსებიდან ვუმზერ. ძნელი ყოფილა ჩაკეტილი ცხოვრება. დასანანია, რომ ჩემი გასამართლება ნამდვილ თემიდას არ შეუძლია — მოწყობილი პროვოკაციის მსხვერპლს, სიმართლის დამტკიცება არ ძალმიძს...

რადიოში ისმის საამური სიმღერა — „ამაღამ დედა დავკარგე, როგორც ჩერქეზმა — ისარი“. დედის დარდი მაწუხებს. თურმე როგორ მყვარებია ჩემი ოჯახი. მენატრება დედა, მამა, ძმა, ჩემი სახლი, ახლობლები, თბილისის ქუჩები, ჩემს ოთახში დაბრძანებული ხატები, სადაც დაჩოქილი ვლოცულობდი. რაც დრო გადის, მით უფრო ვეგუები პატიმრის ცხოვრებას. დავრწმუნდი, რომ ღმერთის განგებით, საკუთარი ცოდვების გამო მოვხვდი ციხეში. ალბათ, ამ განსაცდელს ჩემი ლამაზი ადვოკატი გადამატანინებს — მე ხომ მასთან შეხვედრა მძიმე ტვირთს მიმსუბუქებს. მისით 2 წლის წინ მოვიხიბლე. ადვოკატის ლამაზი სახის, თვალების ცქერისას, თითქოს ვძლიერდები. ის ლამაზი სიტყვებით მაიმედებს და მეც, ბედნიერი ვარ, რომ ასეთი ქალი მიცავს. სანუკვარი, საოცარი ხმა და კოხტა ტანი აქვს ჩემს ადვოკატს. ის ძალიან უშუალო, თბილი და მოკრძალებულია. ამასთან, არის ძლიერი და მხიარული — ამიტომაც ჩამივარდა გულში. მასთან შეხვედრა და ლაპარაკი მახარებს. ეს გოგონა უსაყვარლესი, სანუკვარი შუამავალია ჩემსა და ჩემს ოჯახს შორის, იმედის და სიყვარულის სანთელია. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, მან თავი შემაყვარა თავისი სისპეტაკით, სილამაზითა და გონიერებით.

მაინტერესებს, როგორ წარიმართება ჩემი სასამართლო პროცესი. მერწმუნეთ, პატიმრის განცდები სულ სხვანაირი, არაბუნებრივია. ციხეში ის სამყაროა, სადაც თითქმის ყოველი დღე და ღამე ერთმანეთს ჰგავს. საკანში ექვსნი ვართ. გვაქვს ხატების კუთხე, სადაც დილით და საღამოს სანთელს ვანთებთ, რიგრიგობით ვლოცულობთ. მოკლედ, ყველანი უფლის ნებას ვართ მინდობილნი და იმედი გვაქვს, რომ რაღაც შეიცვლება... ახლობლების მიერ ჩვენს პლასტიკურ ბარათზე დარიცხული ფულით პროდუქტებსა და ჟურნალ-გაზეთებს ვყიდულობთ. მთელი დღე სტატიებს ვკითხულობთ, შემდეგ კი ამა თუ იმ საკითხზე დისკუსიას ვაწყობთ — ძირითადად, სამართალწარმოებაზე. ვიხილავთ ჩვენს საქმეებს, ვიმუშავებთ დაცვის ტაქტიკას ანუ რა ვთქვათ სასამართლოზე.

დილის 7 საათზე საკნის კარის სარკმელს, ე.წ. „კარმუშკას“ გვიღებენ და პურს გვაძლევენ, 9 საათზე კი საუზმე მოაქვთ — საჭმელსაც ამ სარკმლიდან გვაწვდიან. ამ დროს მე საჭმელს არ ვჭამ, მირჩევნია, მეძინოს. თანაც, აქაური არც ჩაი მომწონს და არც სხვა რამ... როცა თანასაკნელები საუზმობას მორჩებიან, საწოლიდან მერე ვდგები, პირს ვიბან და თუ წვერი მაქვს გასაპარსი, ვიპარსავ. ისე, წვერს ძირითადად იმ დღეს ვიპარსავ, როცა ჩემს ადვოკატს ველოდები... საკანს რიგრიგობით ვალაგებთ. აქ ერთმანეთს პატივს ვცემთ და ვცდილობთ, ერთმანეთი გავამხნევოთ... რომელიმე ჩვენგანი ოთახის დალაგებას რომ იწყებს, დანარჩენები ლოგინებზე ავდივართ, რათა ერთმანეთს ხელი არ შევუშალოთ. მე ჩვენი ბიბლიოთეკიდან ამოტანილი ერთი წიგნი უკვე წავიკითხე — მიხეილ ბულგაკოვის „Ìàñòåð è Ìàðãàðèòà“. ვიდრე ამ წიგნს შევარჩევდი, ჩვენი თანასაკნელი ამ ნაწარმოებზე გადაღებულ ფილმზე გვიყვებოდა და მასზე იმდენი ვილაპარაკეთ, რომ ბიბლიოთეკარმა ქალმა სწორედ ეს წიგნი შემოგვიტანა. „კარმუშკა“ რომ გაიღო და ბიბლიოთეკარი დავინახე, ვკითხე, — გალაკტიონის წიგნი ხომ არა გაქვთმეთქი? — მან კი აგდებულად მიპასუხა: — გალაკტიონი არა, ისო და გრიგოლ ჩიქოვანის წიგნი — „რჩეული“ შემომაჩეჩა.

დღის 2 საათზე ე.წ. „ბალანდა“ მოაქვთ — ჯამზე ხან სუფთა, ხანაც ჩახოხბილის მსგავსი წვენი ასხია... მთელ დღეს კითხვასა და ლაპარაკში ვატარებთ, თან, რადიოს მეშვეობით მუსიკებს ვუსმენთ. ჩვენი საკანი სულ 15 კვმ-ია. კედლები ღია მწვანედაა შეღებილი; საკნის რკინის კარიც მწვანეა, ოღონდ — შედარებით მუქი გახლავთ. საპირფარეშო დახურულ ადგილასაა და მასაც მწვანე რკინის კარი აქვს. გვაქვს წყლის ონკანი, იატაკზე დამაგრებული გრძელი ხის მაგიდა, სკამი. საკნის გისოსიანი ფანჯრიდან მოპირდაპირე კორპუსი ჩანს. ჩვენი კორპუსის მსგავსად, გარედან ისიც მოწითალო ფერადაა შეღებილი. ჩვენი კორპუსის უკან კიდევ ერთი კორპუსია, იმის უკან კი ციხის რესპუბლიკური საავადმყოფო. სხვათა შორის, ციხის საავადმყოფო მწვანედაა შეღებილი ისევე, როგორც ციხის ადმინისტრაციული კორპუსი. ეს ის კორპუსია, სადაც პატიმრები ადვოკატთან, მღვდელთან ან ახლობლებთან შესახვედრად მიჰყავთ. სწორედ ამ კორპუსში ვხვდები ჩემს სანატრელ ადვოკატს, საგამოძიებო ოთახში. ერთხელ დედაჩემსაც შევხდი. ის ნერვიულობისგან საოცრად შეცვლილი იყო; უნდოდა ეტირა, მაგრამ მე გავაჩერე. პაემნის ოთახიდან მალე გამოვედი, რადგანაც მისი სევდიანი სახის ყურება ვეღარ შევძელი, არ მინდოდა, დედის ცრემლი დამენახა; ბოღმამ ლამის დამახრჩო და თავი ძლივს შევიკავე, რომ არ ავტირებულიყავი...

დაახლოებით 17 საათზე იწყება შემოწმება, ე.წ. „პრავერკა“: კონტროლიორი აღებს კარს და ჩვენ რიგრიგობით გავდივართ გარეთ — ხელები ზურგს უკან გვაქვს დაწყობილი

და კედელთან სახით ვდგებით. კამერაში მორიგე ვინც არის, მას ნაგავი გამოაქვს და „აბსლუგაში“ მომუშავე პატიმარს აძლევს. ამასობაში, ოფიცერი ჩვენს საკანში შედის, კამერას ათვალიერებს, რათა რაიმე კანონსაწინააღმდეგო არ გვქონდეს დამალული. ჩვენი კამერიდან გამოვა თუ არა, საკუთარ ადგილებს ვუბრუნდებით, კონტროლიორი კი კარს ხურავს, გადარაზავს და მიდის.

დაახლოებით 19 საათზე ისევ საჭმელი მოაქვთ — ხან „გრეჩიხაა“, ხან მაკარონი, ზოგჯერ ბრინჯი — ქათმის ხორცით, ჩაი, ხანდახან თითო ნაჭერი თევზი. ჭამის შემდეგ ყველა თავის ჭიქას, ჯამს და კოვზს რეცხავს. ჭიქა, კოვზი და ჯამი პლასტმასისაა. საკანში ცენტრალური გათბობა გვაქვს, რომელიც გისოსაღმართული სარკმლის ქვევითაა დამონტაჟებული. როცა სიცივეა, რადიატორს ვადებ ფეხისგულებს, რათა გაყინული ტერფები გავითბო. კამერაში ყველაზე თბილად მე მაცვია, თავს ვუფრთხილდები. აბა, რომ გავცივდე, ვინ იქნება პატრონი?! ჩემი თანასაკნელებიც მცივანები არიან — როგორც კი ოდნავ აცივდება, ფანჯრის გაღება არ უნდათ, მე კი მიყვარს სუფთა ჰაერი.

შაბათობით აბანოს დღე გვაქვს. საღამოს 10 საათზე კონტროლიორი „კარმუშკას“ აღებს და გვეუბნება: — შუქი ჩააქრეთ! ჩვენ შუქს ვაქრობთ. ამ დროს მოპირდაპირე კორპუსის ფანჯრებშიც არაფერი ანათებს; რადიოს გარედან გვითიშავენ. ერთ-ერთი ჩვენგანი სალოცავ კუთხესთან მიდის, ანთებულ სანთელს პურისგან მოზელილ შანდალში დებს და რიგრიგობით ვლოცულობთ. სხვათა შორის, ჩვენ ჟურნალებიდან ამოჭრილი ხატები გვაქვს, პურისაგან მოზელილი ჯვარი... ცოტა ხნის წინ თანასაკნელთან მღვდელი შემოვიდა და დედისგან გამოგზავნილი ორი ხატი, პატიმრის სალოცავი ბროშურა შემოუტანა. მე ღმერთს ვთხოვ, ლოცვისას გამაძლიეროს, ჩემი ოჯახი განსაცდელისგან დაიფაროს. უფალს ვევედრები, რომ მაპატიოს ცოდვები და მალე გამიყვანოს ციხიდან; ღვთისმშობლის ხატს ვთხოვ, გამიწიოს დედობა ამ განსაცდელში... ლოცვის შემდეგ ვიხსენებთ ძველ ამბებს — ზოგი რას ჰყვება, ზოგი — რას და ამასობაში, გვეძინება კიდეც.

აქ თითქმის ყოველი დღე ერთიმეორეს ჰგავს. ჩემ გარდა, თავისი ადვოკატით ყველა უკმაყოფილოა. ჰო, მე ყველაზე კარგი ადვოკატი მყავს! ჩემთვის მასთან შეხვედრა დღესასწაულია... კვირაში ერთხელ მამაჩემი მოდის და ტანსაცმელი მოაქვს, მე კი გასარეცხ ტანისამოსს ვუგზავნი დედას. მეცოდება მამაჩემი, ციხის კართან რომ მომყავს. მართლა არ მეგონა, ოდესმე ციხეში თუ მოვხდებოდი...

მინდა, ახალი წლის შემობრძანება გავიხსენო: 31 დეკემბერს, „პრავერკაზე“ გასულები ციხის ოფიცერმა გაგვაფრთხილა: დღეს შუქი 12 საათამდე გექნებათ, რადიო მთელი ღამე ჩართული იქნება, მაგრამ ხმის ოდნავ ამაღლება და კარცერში ამოგაყოფინებთ თავსო. მოახლოვდა ღამის 12 საათი, გარეთ თოვდა. კონტროლიორმა კარის ჭუჭრუტანიდან შემოიხედა, რაც იმას ნიშნავდა, რომ შუქი უნდა ჩაგვექრო. ჩავაქრეთ შუქი და სანთელი ავანთეთ. თანასაკნელმა კარადიდან „სნიკერსი“ გამოიღო, ექვს ნაწილად გაყო და ყველას დაგვირიგა. ერთმანეთს პირზე კოცნით ვულოცავდით ახალ წელს, ჭიქები გამოვიღეთ, წყლით ავავსეთ, ერთმანეთს მივუჭახუნეთ და დავილოცეთ. ჩვენი მოპირდაპირე კორპუსის გისოსიანი სარკმლიდან ანთებული სანთლები დავინახეთ — იქაც საეკლესიო

საღამოს 22 საათზე კონტროლიორი „კარმუშკას“ აღებს და გვეუბნება: — შუქი ჩააქრეთ!

სანთლები იყო დანთებული. გისოსებზე მიმაგრებულმა სანთლებმა მთელი საპყრობილე გაანათა და თითქოს იქ სულ ცოტა ხნით, სიწმინდემ დაისადგურა. ფანჯარა გამოვაღეთ და გავიგონეთ, თუ როგორ გვილოცავდნენ მოპირდაპირე კორპუსიდან პატიმრები ახალ წელს, ჩვენც შეძახილით მივულოცეთ. ვიგრძენით, რომ ამ დროს ღმერთი ჩვენთან იყო...

ადრე ახალ წელს ხან სახლში ვხვდებოდი, ხან — სამსახურში, ახლა კი ციხეში ვარ. ღამის 12 საათის დადგომისთანავე ჩვენგან მარცხნივ მდებარე საცხოვრებელი კორპუსებიდან მაშხალები გაისროლეს — წითლად, მწვანედ, ლურჯად ნათდებოდა ცა. ფეიერვერკების გრუხუნმა დაამშვენა ახალი წელი. ჩვენ არც საახალწლო სუფრა გვქონდა და არც — ალკოჰოლური სასმელი. სახელმწიფომ საღამოს, სავახშმოდ შემოტანილი საცივით მოგვილოცა ახალი წელი. ისე, ამისთვისაც მადლიერები ვიყავით... ჩემს ოჯახზე დავფიქრდი, სევდა მომეძალა — ნეტავ, როგორ ხვდებიან ჩემები ახალ წელს? საწყალი დედაჩემი ტირილით შეხვდებოდა, მას ხომ შვილი ციხეში ჰყავს. ჰო, ჩემს სახლში წუხილი უფრო იქნებოდა, ვიდრე საახალწლო განწყობილება.

ანალოგიურად შევხვდით 7 იანვარს, ქრისტესშობის დღესასწაულს — ღამის 12 საათზე სანთლები ავანთეთ და გისოსებზე მივამაგრეთ. რადიო „საპატრიარქოს არხზე“ დავაყენეთ და პატრიარქის გამოსვლას ვუსმენდით. მისი მოლოცვის შემდეგ კი ქრისტიანულ სასწაულებსა და რელიგიაზე ვლაპარაკობდით.

ვიმედოვნებ, რომ მომავალ ახალ წელს მაინც არ ვიქნები აქ. ეჰ, რამდენი ადამიანი დადარდიანდა ჩემი დაპატიმრებით, ზოგიერთი გარეწარი კი გაიხარებდა. არა უშავს, ყველაფერი წარმავალია, სულ ციხეში არ ვიქნები. განვიწმინდები ცოდვებისაგან და ღმერთი ისევ დამაჯილდოებს თავისუფლებით.

ციხეში გავხდი 30 წლის. გავიღვიძე თუ არა, თანამესაკნეებმა მომილოცეს. ყველაზე სასიხარულო კი ის იყო, რომ შუადღეს კონტროლიორმა კარი გამოაღო და შემომძახა: — ადვოკატთან! ძალიან გამიხარდა. მან არ იცოდა, რომ დაბადების დღე მქონდა. ვუთხარი, 30 წლის გავხდი-მეთქი. მომილოცა. კარგა ხანს ვისაუბრეთ, მერე მშობლებისთვის გადასაცემი წერილი მივეცი, ერთმანეთი გადავკოცნეთ და დავემშვიდობე.

ადვოკატს უკვე ორი ლექსი მივუძღვენი. ღამით, ძილის წინ მუზა მომივიდა და სასწრაფოდ ჩავიწერე. ჩემი თანასაკნელიც წერს ლექსებს, უკვე ერთი რვეული გაავსო. ამ საკანში პოეზიის მოყვარული მხოლოდ მე და ის ვართ, ორივე გალაკტიონს ვცემთ თაყვანს.

მიდის და მიიგრაგნება უფერული ცხოვრება საკანში. იმედია, მალე დავაღწევ თავს ამ ჯოჯოხეთურ ციხის გისოსებს და აქ აღარასდროს დავბრუნდები. როგორც ამ წუთისოფელში ყველაფერს აქვს თავისი დასაწყისი და დასასრული, ალბათ, ეს ტანჯვაც ოდესმე დასრულდება და მთელი ხმით ვიყვირებ: თავისუფალი ვაააარ!..“

■

ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

წვეთი პოეზია

ვაპირებ ცხოვრებას

ვაპირებ ცხოვრებას,
სანამ ცოცხალი ვარ,
ვაზროვნებ, სანამ და
მტლავშიაც ღონე მაქვს,
რამდენი ხანია, რამდენი ხანია,
ყოველდღე,
ყოველწამს ვაპირებ ცხოვრებას!

ვაპირებ ცხოვრებას და
აღარ დამადგა
საშველი, – თადარიგს
თავი ვერ გავართვი,
შაქარყინულივით
თითებში ჩამადნა
ბავშვობის სიტკბო
და სიმწიფის ლაზათი.

ველარ გავიხარე, ველარ გავიოცე,
ვერ გავამაისე ხანმოკლე აპრილი,
ვერ გადავაქციე ცხოვრებად – სიცოცხლე
და ცის ქვეშ ვერ ვნახე საჩემო ადგილი!..

ო, ღმერთო! როდემდე,
როდემდე
როდემდე...
გადიან დღენი და მგონია, ვბერდები,
გაუხარებელი ყიჟინით მომდევენ
აუცხადებელი ჩემი იმედები...

და ისევ – ლოდინი, და ისევ – მზადება
და გული ცივდება – ჩამქრალი საკირე...
სიცოცხლე თავდება!
სიცოცხლე თავდება,
მე ჯი სულ ცხოვრების დაწყებას ვაპირებ!

მიხეილ ქვლივიძე

ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია
არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით
1982 წელს გამოცემული
ქართული ენის
განმარტებითი ლექსიკონის
ერთტომეულის მიხედვით
შემდგენელი თამარ ივანიძე

ბ

დასაწყისი იხ. „გზა“, №2-16

ბაყილა, ბაყილო — ახალი, ნორჩი ხე.

ბაშუსტა! თურქ. (ძვ.) — დიახ, ბატონო! ბატონი ბრძანდებით!

ბაჩა — 1. პატარა ტანის საქონელი. 2. ცხენი, რომელსაც ძუა-ფაფარი გაკრეჭილი აქვს.

ბაცაცა — 1. იგივეა, რაც ბაჭია. 2. იგივეა, რაც ქურდბაცაცა.

ბაძგი — მარადმწვანე ბუჩქი.

ბახი — უვარგისი ცხენი.

ბავკავკლანა — 1. პატარა ბავშვი. 2. დაბალი, სქელი და უშნო ადამიანი.

ბებკი — ძონძის ნაკერები. „ძველზე ძველი დაკერებული“ (საბა).

ბებუთი სპ. — დიდი, მოხრილი, უკეცი დანა.

ბედასლი სპ.-არაბ. (საუბ.) — უფხო, უხეირო, უუნარო, მოუხერხებელი კაცი.

ბედენა — არაფერი ბედენაა — არაფერი განსხვავებაა, არაფერს ნიშნავს. რა (დიდი) ბედენაა? — რა (დიდი) განსხვავებაა? რა მნიშვნელობა აქვს?

ბედუინი არაბ. — მომთაბარე არაბი.

ბეზმენი რუს. — იგივეა, რაც ცალსასწორი (ხელში დასაჭერი ზამბარიანი სასწორი).

ბეითალი (ძვ.) — იგივეა, რაც ვეტერინარი.

ბელგა (ძვ.) — ბეჭედი ან სხვა რამ სამკაული, სასიძოს მიერ საპატარძლოსთვის მირთმეული იმის ნიშნად, რომ ქალს ირთავდა ცოლად.

ბელეტაჟი ფრ. — 1. ჩვეულებრივ მეორე სართული (საცხოვრებელ სახლში). 2. თეატრში — პირველი იარუსი ბენუარს ზევით.

ბელეტრისტიკა ფრ. — მხატვრული თხრობითი ლიტერატურა (რომანი, მოთხრობა...).

ბელეშა — რქებდახრილი მსხვილფეხა საქონელი — ლაბა.

ბელეშა (საუბ.) — უხეირო, უშნო, უსუფთაო.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ეფექტურად
ეფექტურად
ეფექტურად

ბით და ლალის ბევრად სჯობიხართ! ლალი, იმედია, არ გეწყინება? რატომაც, არა? რა მოხდა, თუ ხანდახან მშობლები გვჯობნიან? აი,

გივი სიხარულიძე ლალის დაბადების დღეს

გიულიც მშვენივრად გამოიყურება, ისწავლეს ქართველმა ქალებმა თავის მოვლა! — არ ჩერდებოდა მიშა.

— წამო, წამო, გაჭამო, თორემ, ალბათ, შიმშილით კვდები, — უთხრა მანანამ.

— ჰო, ჩემმა ცაცამ კი მომიმზადა რაღაცები, მაგრამ ისეთი ამბავი ხდებოდა, ვიღას ეცალა...

ათკაციანი მაგიდები სულ შევსებული იყო. სუფრასთან, რომელთანაც მიშა მივაცილეთ, რამდენიმე მაღალჩინოსანი და ცნობილი საზოგადო მოღვაწე იჯდა. მიშას დაჯდომა და მათი ჯგუფურად წამოშლა ერთი იყო.

— ლალი, დიდი ხანია არ გვინახავს ერთმანეთი და ცალკე გადავსხდებით, — მომახალეს მომზადებული ტექსტი.

ალბათ, ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა დღეში ჩავარდებოდა თითოეული ჩვენგანი, დედაჩემი უხერხულობისაგან სულ წითლად დაიფოთლა.

— დაჯექი, მიშა, შვილო, მეც და ლალიც შენთან ვიქნებით, — ამოილუღლუღა მანანამ უხერხულობის დასამალავად.

— არა უშავს, ნუ შეწუხდებით, ყველაფერი რიგზეა, — თავაზიანად მიუგო მიშამ, თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს.

ვერ მოვისვენე და „ამბოხებულთა“ სუფრასთან მივიჭერი.

— რას აკეთებთ, გაგიჟდით? ეს რა უზრდელობაა? — ვეღარ ვიკავებდი თავს.

— აბა, რას დაათრევ სააკაშვილს ყველგან? შენს მეტი არავინ არსად ეპატიჟება, რა ჯანდაბად გინდა? — მისაყვედურა ერთმა.

— ჰო, მით უმეტეს, ახლა მინისტრის მოადგილე ხარ და სულ არ შეგშვენის ასეთებთან მეგობრობა, — დასძინა მეორემ, — უპერსპექტივოა.

— სხვათა შორის, კანცელარიის მეათე სართულზეც არ მოგიწონებენ, — დაამატა მესამემ.

— ხომ არ შეიშალეთ? სად კანცელარია და სად ბავშვობის მეგობარი? ასე როგორ შეიძლება, თუ მხოლოდ „მოქალაქეთა კავშირთან“ უნდა ვიმეგობრო? ეს რა საქციელია? — ჩემს აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა.

უკან გაბრუნებულს ახალი სიურპრიზი მელოდა, — კანდელაკის გვერდით მჯდომი და მის მეუღლედ აღქმული ვულგარულად „მოციმციმე“ თეა გაშმაგებული მიიჭრა სააკაშვილის სუფრასთან, უცნაური პოზა მიიღო, სამაგრი გამოიძრო, გრძელი შავი თმა გაიშალა და სცენაზე მომღერალ თემო რცხილაძის „მოია მულატკას“ რიტმს აჰყვა. ყოველივე ეს სტრიპტიზკლუბში საგანგებოდ შეკვეთილ პრივატულ ცეკვას უფრო ჰგავდა. კანდელაკი ბრაზისაგან ცოფს ყრიდა. რას იტყვის ხალხი? თეა ხომ ყველას გიორგის ცოლი ეგონა, მან კი მიშასკენ წაიწია!

ხალხი კი ნამდვილად ამბობდა, კანდელაკს ქალი გაექცა სუფრიდან და სააკაშვილს კალთაში ჩაუხტაო. გაამტყუნებდით?

საბრალო დედაჩემი ისევ მიშას დასახსნელად გარბოდა.

— Они что, совсем с ума посходили, может быть сегодня полнолуние? — მიყვიროდა მანანა, რომ როგორმე მუსიკის ხმა გადაეფარა.

— მიშიკო, извини, мы её совсем не знаем — უბოდიშებდა მანანა მიშას და თან ცდილობდა, თეას საქციელი ლოგიკურად აეხსნა, — ალბათ, ბევრი მოუვიდა დალევა, ქალაქურ „ტუსოვკაზე“ პირველად არის. ყურადღებას ნუ მიაქცევ...

რა ყურადღება, რის ყურადღება! მიშა მონუსხული უყურებდა თეას კლაკვნას, გარშემო ვეღარაფერს ხედავდა და არაფერი ესმოდა. ასეთი მიშა ჩემთვის სიურპრიზი იყო. რამდენჯერ ვყოფილვართ ხალხმრავალ ადგილას, სასტუმროებში, შეხვედრებზე, მაგრამ მიშა არასოდეს გამოირჩეოდა ქალებისადმი დიდი ყურადღებით. რა მოხდა ამჯერად? იქნებ ქალისაგან წამოსული მოულოდნელი ვნება, ყურადღება და რაც მთავარია, ინიციატივა, გადამწყვეტი აღმოჩნდა? იქნებ დამსწრეთაგან უხეშად უარყოფილმა აქ იპოვა თავისი თავი? იქნებ პროვინციელმა თეამ მოუხსნა მთავარი კომპლექსი — მიუღებლობა თბილისურ საზოგადოებაში? ახლა კი ის საღამოს მთავარი გმირი იყო, გმირი, რომლისთვისაც ქალი ცეკვავს, როგორც მხევალი შაჰისათვის, როგორც გეიშა იაკუძა-პატრონისათვის, როგორც ბოშა ლამაზმანი — რუსი დიდგვაროვნისათვის. ცეკვავს მხოლოდ მისთვის!

საღამოს დასასრული არ უჩანდა. რომა რცხილაძის „ნატვრის ხეს“ ზაზა შენგელიას შესრულებული რეი ჩარლზის კომპოზიციები ცვლიდა, მაიას რუსული რომანსებიც არავის ტოვებდა გულგრილს. „Цыганочка, цыганочка“, — მოითხოვდა საზოგადოება. მე და ჩემი უბადლო პარტნიორი გივი სიხარულიძე ჩვეული ცეცხლოვანებით ვასრულებდით სტუმრების სურვილს. საცეკვაოდ წამოჭრილი საზოგადოება, მიუხედავად დილის ხუთი საათისა, გულიანად ერთობოდა.

მხოლოდ ერთი კაცი იჯდა მოღუშული — გიორგი კანდელაკი, სულით ხორცამდე შეურაცხყოფილი გორელი მეგობრის საქციელით.

უკვე 19 ნოემბრის დილა თენდებოდა, დაღლილი, ქანცგაწყვეტილი სტუმრები გასასვლელისაკენ მიემართებოდნენ. მაშინ არავინ იცოდა, რომ სააკაშვილის სუფრიდან გაქცეული ხალხი უახლოეს ერთ წელიწადში მის მეხოტბეთა პირველ რიგებში აღმოჩნდებოდა, შემდეგ კი, ჟამთა სვლასთან ერთად, ისევ ოპოზიციაში. როგორც იტყვიან ფრანგები, სე ლავი...

ცხინვალი

არასამთავრობო ორგანიზაციის ფარგლებში ხშირად მომიწყვია შეხვედრები, თათბირები, ტრენინგები, მაგრამ თათბირი გენერლებთან, დამეთანხმებით, სულ სხვა დატვირთვაა. მე, საგულდაგულოდ დავარცხნილი, მკაცრ კოსტიუმში გამოვეწყვე და სათათბირო ოთახში შევედი.

გენერლები, დიდჩინოსანი სამხედრო პირები და პოლიციელები საოცრად პუნქტუალურები აღმოჩნდნენ.

— Генерал Евневич, команду-

ющий сухопутными войсками.

— Генерал Набздоров, командующий миротворческими войсками.

— გენერალი მიხეილ ქებაძე, საქართველოს სამშვიდობო ჯარების სარდალი.

— სანდრო მეზვრიშვილი — გორი-ცხინვალის ტრასის უფროსი.

— გენერალი უჩაძე, ბებიათქვენის ბიძაშვილი, — გამიღიმა გენერალმა.

— გილოცავთ, ქალბატონო ლალი, გვიმსახურეთ როგორც საჭიროდ ჩათვლით, ერთი საქმე გვაქვს საკეთებელი და ძალას არ დავიშურებთ, — დაიწყო გენერალმა ქებაძემ.

— Очень приятно, надеюсь, сработаемся, — გააგრძელა გენერალმა ნაბზდოროვმა.

თათბირი კეთილგანწყობილად და ჰარმონიულად მიდიოდა. წარმომიდგენია, თითოეულ მათგანს რამდენი რამ გადაუტანია. გენერალ უჩაძესა, რომელიც მართლაც ახლო ნათესავად მეკუთვნოდა, თუმცა დღემდე პირადად არ ვიცნობდი, და გენერალ ქებაძეზე მართლაც ლეგენდები მსმენია. რომ არა ეს ადამიანები, ვინ იცის, რამდენჯერ დაირღვეოდა ჩვენი მშვიდი ძილი. გენერალი ქებაძე ქართლის სოფლების მშვიდობას სრულად უზრუნველყოფდა და ხშირად პირადი რისკის ფასად მოსაზღვრე ქართულ-ოსურ სოფლებში ლოკალურად გაჩენილ უთანხმოებას ახშობდა.

გენერლებთან დამშვიდობება და გიორგი კანდელაკთან დარეკვა ერთი იყო, მოზღვავებული ემოცია გარეთ გამოსვლას ლამობდა.

— ვერასოდეს წარმოიდგენ, ახლა ვის შევხვდი, — ვტრაბახობდი მე, — წარმოიდგინე, ამდენი გენერალი ერთად! ვთქვი მე და გვარების ჩამოთვლა დავიწყე.

გიორგი რაღაც უღიმღამოდ მისმენდა:

— ჰო, კარგი, კარგი, მოკლედ, საღამოს ვარიანში პატარა სუფრა მაქვს და გელოდები, რა...

— რა, შენ სულ არ გაინტერესებს ჩემი ამბები? გეუბნები, ასეთ ხალხს შევხვდი და თათბირი ჩავუტარე-მეთქი, შენ კი რაღაც სუფრაზე მელაპარაკები? — ვუყვირე და ტელეფონი გავუთიშე.

ყველა კაცი ერთნაირია!

გიორგიმ ორ წუთში დამირეკა.

— კარგი, რას ფიცხობ? ძალიან მიხარია, უბრალოდ, ვარჯიშიდან გამოვედი და დაღლილი ვარ, გაიხადე ეგ შენი „პრონსკი“ კოსტიუმი, ჩაიცვი ჯინსები და ბოტასები და ჩამოდი. ცოტას დაისვენებ, გაერთობი და ეგ შენი გენერლებიც დაგავიწყდება, — გიორგის ყოველთვის შეეძლო ნებისმიერი თემის „გალაითება“.

მართლაც, ვის აინტერესებს ჩემი სამსახურის საქმეები? — ავიჩეჩე მხრები და ემოციადაცლილი საქმეებს მივუბრუნდი.

ვარიანი თბილისიდან 80 კილომეტრშია, ამიტომ სამინისტროდან სახლში გავიარე და სასწრაფოდ სამზადისს შევუდექი. იმის გამო, რომ ამ ბოლო დროს სულ მკაცრ კოსტიუმებში მიწევდა სიარული, ასე მონატრებული ჯინსების ჩაცმა ძალიან მსიამოვნებდა.

— რომელი ავირჩიო? ეს, წითელი ზოლით, თუ ეს, ოქროსფერი გულებით? — მზერა გულებიანზე შევაჩერე და თან გუნებაში აღვნიშნე, რომ ამ ბოლო დროს ჩემთვის უჩვეულო სენტიმენტები შემომეპარა...

ვარიანის სასტუმროდან ხმამაღალი დიმპიტაური გამოდიოდა. გიორგის კი ძალიან უყვარდა დროს ტარება და ქეიფი, მაგრამ თითქოს დღეს არაფერი ჰქონდა დაგეგმილი, თორემ ხომ მეცოდინებოდა? მანქანით სასტუმროსთან ახლოს მივედი. გარეთ უჩვეულო სანახაობა დამხვდა, — მწკრივად დაწყობილი მამაკაცები „ჩესტს“ მიღებდნენ და „Этот день победы“-ს დოლ-გარმონის აკომპანემენტით არეულად მღეროდნენ.

— არ არსებობს! — დავიყვირე მე, როცა სურათი მკაფიო გახდა, და დილანდელი თათბირის მონაწილე გენერლები, გვარიანად შეზარხოშებულები, მწკრივში ვიხილე.

გიორგის სიცილისაგან ცრემლები მოსდიოდა. წარმოიდგინეთ ჩემი რეაქცია. მთელი დღე კაცს ტვინი გავუბურღე ჩემი გენერლებით და იმაზე არ დავფიქრებულვარ, რომ ეს გენერლები, სამსახურებრივი მოვალეობიდან გამომდინარე, ყველაზე ხშირად სწორედ კონფლიქტის ზონის განაპირა სოფელ ვარიანისა და პირადად გიორგის ხშირი სტუმრები იყვნენ.

— Я вас где-то видел, — ასეთი რეაქცია ჰქონდა გენერალ ნაბზდოროვს, რომელიც ინტერესით ათვალიერებდა ოქროსფერ გულებს ჩემს ჯინსებზე...

...მეორე დღეს სამინისტროში ცხინვალის ადმინისტრაციიდან დარეკეს.

— ქალბატონო ლალი, ჩვენმა სამართალდამცველებმა თქვენიანები დააკავეს და თუ ჩამოსვლას გაბედავთ, გადმოგცემთ, — ინფორმაცია მშრალი და ლაკონიური იყო.

— მალხაზ, რა ვქნათ? — ვკითხე მინისტრს.

— რადგან შენ მოგითხოვეს, უნდა წახვიდე, რა თქმა უნდა, რისკი არის, მაგრამ შენი გადასაწყვეტია.

— აბა, „თუ გაბედავთ“ შევიწერო? მივდივარ. ვინ გამომყვება? — ვიკითხე მე.

— ლალი, ხომ იცი, რომ ჩვენი მწირი ბიუჯეტის გამო ვერც მძღოლს გამოგაყოლებ და ვერც დაცვას, მოკლედ, გადაწყვიტე.

ამასობაში სამინისტროს დაკავებულების მშობლები „ბომბავდნენ“, — „წამალზე“ დაჭერილი 19 წლის ბიჭი და 20 წლის ფეხმძიმე გოგო დეკემბრის ცივ დღეებს მინუს თორმეტგრადუსიან ყინვაში, ცხინვალის ციხეში ატარებდნენ.

— სანდრო, შენი ჭირიმე, ცხინვალი თვალითაც არ მინახავს, თანაც გზა არ ვიცი, გთხოვ, გამომყევი, რა... — ვევედრებოდი ტელეფონში ტრასის უფროსს სანდრო მეზვრიშვილს.

— რა თქმა უნდა, ლალი, რა პრობლემაა, როგორც იტყვი, მხოლოდ ის მითხარი, როდის გინდა, მანქანა რომ მოვამზადო?

— ახლავე, სანდრო, ახლავე მინდა, თორემ რა ელით იმ ბავშვებს, არავინ იცის, — ვეწუწუნებოდი მე.

— კარგი, ბაზარი არ არის, ერთ საათში სამინისტროსთან ვიქნები და ჩამოდი.

* * *

— ასე მოდიხარ? — მკითხა სანდრომ, როდესაც მანქანაში ვჯდებოდი.

— ჰო, რა იყო, რო?

— რა და ცივა, შენ კი თხლად გაცვია, თბილისი კი არ არის, ცხინვალია! გინდა სახლში გაგატარო?

— არა, არა, დროს ვერ დავკარგავ, თანაც ქუჩაში ხომ არ უნდა ვიარო, წავედით.

მანქანამ გეზი ცხინვალისკენ აიღო.

ცხინვალი ერთი პირქუში პატარა დაბა აღმოჩნდა, რომელსაც სიცოცხლის ნიშანწყალი დიდად არ ეტყობოდა. „გადააგდეს ოსები რუსებმა“, — გავიფიქრე მე. სრული სტაგნაცია, — არც კინო, არც თეატრი, არც რესტორანი, არც ჟრიამული, თითქოს ცხინვალი ჯერ კიდევ ინელებდა თავს დატრიალებულ უბედურებას.

კოკოითის რეზიდენციაში ჩვენი რეგიონული ტელევიზიების ჟურნალისტები შევნიშნე.

— აქ რა გინდათ? — ვკითხე ყოფილ კოლეგებს.

— კოკოითის ადმინისტრაციი-

დან დაგვირეკეს, ქართულ მხარეს პატიმრებს გადავცემთო.

ყველაფერი ცხადი გახდა. კოკოითი ქულების დაწერას ცდილობდა, კეთილი ნების ჟესტი საქვეყნოდ დანახული უნდა ყოფილიყო.

ე. წ. პრეზიდენტის ადმინისტრაციას პოსტსაბჭოეთის მძაფრი სუნი ასდიოდა. ცოტა ხანში აღმოჩნდა, რომ ეს სუნი სულაც არ იყო „გარდასულ დროთა“ მოგონება, — საქმე ის არის, რომ ცხინვალის ადმინისტრაცია ნავთქურებით თბებოდა.

კოკოითი საშუალო ტანის ჯირკივით კაცი აღმოჩნდა. როგორც უმეტესობა ცხინვალსა და ქართლში, ისიც ყოფილი მოჭიდავე იყო.

— Очень приятно, холодно, мороз! — მითხრა უხეში, სპეციფიკური აქცენტით და ნავთქურასთან მიფიცხება შემომთავაზა.

„ვა, პრეზიდენტი კაცი ნავთქურასთან თბება?“ — გამეცინა გუნებაში.

კოკოითიმ მოკლედ აღწერა ვითარება და გაკვირვება გამოთქვა იმის გამო, რომ მე დაცვისა და ესკორტის გარეშე ჩავედი.

— Как вы посмели? — მკითხა მან.

— Просто, – ვუპასუხე მე, — это территория Грузии! Я могу поехать, куда захочу и когда захочу.

— Это спорный вопрос. Перейдём к делу, подпишите акт освобождения.

მე მოვაწერე ხელი დოკუმენტს ქართველი პატიმრების მიღებაზე.

— Идите в тюрьму, — მითხრა კოკოითიმ.

მივხვდი, რომ ეს ერთგვარი ფსიქოლოგიური ზეწოლა იყო.

ლალი და გენერალი ევნევიჩი

ცხინვალის ციხის კარი მძიმედ და ზლაზნით გაიღო, ბადრაგი წინ მიმიძღოდა. გრძელი, ბეტონის დერეფნის ბოლოში გულშემზარავი ქვითინი მომესმა. მე ფეხს ავუჩქარე.

საცოდავი ქართველი ახალგაზრდები მწარედ ინანიებდნენ დანაშაულს და ნანატრ თავისუფლებას ელოდნენ. ისე, ჩვენში დარჩეს და, რომ არა კოკოითის ეს თუნდაც ანგარებით გაკეთებული კეთილი ნების ჟესტი, ჩვენი პატიმრები კიდევ დიდხანს ვერ ნახავდნენ მზის შუქს.

გარეთ გათანგული, ნანერვიულები, მაგრამ უზომოდ მადლიერი მშობლები გველოდნენ.

— უღრმესი მადლობა, გფარავდეთ უფალი, — მესმოდა მათი ლოცვა.

— კარგი, ახლა გვიანდება, ეცადეთ, დაბნელებამდე წახვიდეთ, — ვურჩიე მე.

ორი მანქანა, ქართული ნომრებით, წამში ნისლსა და ბურუსში გაუჩინარდა.

— როგორ არ დაგიჯერე, სანდრო, — მივუტრიალდი ჩემს თანამგზავრს.

— გაიყინე, არა?

— ჰო, არაფერია, ახლა ჯაბეევიჩს დავემშვიდობები და წავიდეთ.

— იჩქარე, თორემ ღამე სიარული არცთუ უსაფრთხოა, — გამაფრთხილა სანდრომ.

ცხინვალის ადმინისტრაციაში ამაყი კოკოითი ინტერვიუებს უხვად არიგებდა და თან ოსი ხალხის გულისხმიერებას აღნიშნავდა.

მეც ვთქვი ჩემი სათქმელი და დავპირდი პროპორციული წესით ოსი მსჯავრდადებულების გადაცემას.

— Не получится, у вас мой начальник милиции Чермен Букулов уже три года сидит, сколько прошу, никто не слушает!

— Я постараюсь! — დავპირდი მე.

ჩემი საბუთები კოკოითის კაბინეტში დარჩა, ამიტომ მე და სანდრო შევბრუნდით ასაღებად.

ოთახში ორი უცნობი მამაკაცი დაგვხვდა.

ჩემს დანახვაზე ერთი, უფრო მაღალი და ტანადი, წამოხტა და ძალიან ახლოს მოვიდა.

— Ты кто? — მკითხა.

მე თავი წარვუდგინე, საბუთები ავიღე, ედუარდ ჯაბეევიჩს დავემშვიდობე და გასასვლელისაკენ გავემართე.

— Стой, ты никуда не уедешь! — იყვირა მაღალმა და ტანმორჩილ მეგობარს რაღაც გადაუჩურჩულა.

— ლალი, ცუდად არის ჩვენი საქმე, — მითხრა სანდრომ, — კარგი, ერთი-ორს ჩემს თავზე ვიღებ, მერე რა ვქნათ?

— ნუ ნერვიულობ, რამეს მოვიფიქრებ, — ვუთხარი სანდროს და მაღალს მივუბრუნდი.

— ვითომ რატომ ვერ წავალ? რა, მომერიეთ ქალს? ეს არის ოსური სტუმართმოყვარეობა? — გადავედი მე ქართულზე, რომელიც ოსებმა მშობლიურივით იცოდნენ.

მაღალი შეკრთა.

— რა იყო, გაგეხუმრეთ, ქვევით სუფრაა გაშლილი, აი, იქეიფებ ჩვენთან ერთად და წადი!

— თუ არ მინდა ქეიფი?

— ჩვენ გვინდა! შენ კი ჩვენს იურისდიქციაში ხარ და შესაბამისად უნდა მოიქცე. გაიგე?

მივხვდი, რომ წინააღმდეგობის გაწევას აზრი არა აქვს და მოძალადეებს ქვევით, სარდაფში გაშლილ სუფრაზე გავყევი.

— იცი, ესენი ვინ არიან? — მკითხა კოპებშეკრულმა სანდრომ.

— არა? ვინ არიან?

— ძმები „დიკები“, ანუ ველურები, მოსკოვში ცხოვრობენ და მთლიანად აკონტროლებენ ცხინვალს, კოკოითი მათი ფინიაა.

ინფორმაცია ძალზე უიმედოდ ჟღერდა.

ოცი კაცისთვის გაშლილ სუფრასთან, პრაქტიკულად, მთელი ცხინვალის მთავრობა იჯდა.

თამადად უფროსი ძმა, რუსეთში ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი, მსხვილკისრიანი ჯამბულატი დაინიშნა. უმცროსი ძმა ალბერტი ვითარებას აკვირდებოდა.

— როგორ გავაღწევთ აქედან? — წამჩურჩულა სანდრომ.

— გეგმა მაქვს, იმედია, გაამართლებს, ვუპასუხე მე.

ჯამბულატი დაჟინებით ითხოვდა, რომ ყველა სასმისი პირადად მე ბოლომდე შემესვა.

— აბა, რა გეგონა, კაცურ სამსახურს რომ ირჩევდი, — იმეორებდა ხშირ-ხშირად, — რაო, საქართველოში აღარ დარჩნენ კაცები, ასეთი პატარა გოგო არ არბენინონ ცხინვალში?

სუფრის წევრები თამადის ლაზღანდარობით ხალისობდნენ, სანდრო კი ბოღმისაგან ჩანგალს ღუნავდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი

რუსუდან ბერიძე

იმ ავბედით დღეს გამომცემელმა კაბინეტში უკვე მეორედ არ შემიშვა. პრინტერზე საგანგებოდ ამობეჭდილი რომანი კი თანაშემწის — მარის ხელით დამიბრუნა.

ამ კაფანდარა ახალგაზრდა ქალს ერთხანს, ლამის გამომცემლობაში ყოველი მისვლისას, ყვავილებს ვჩუქნიდი. შემდეგ რესტორანშიც დავპატიჟე და ხამანწკებითა და ძვირფასი ღვინით გავუმასპინძლდი. მოკლედ, ჩვენებურად, ქართულად რომ ვთქვათ, კაი ფული დავახარჯე, მაგრამ შენც არ მომიკვდე!.. ჩვენმა ურთიერთობამ ოდნავაც კი არ წაიწია წინ. მერე და მერე კი დიდად აღარც მე მივძალებივარ. ამ ქალაქში ფულის შოვნაა ძნელი, თორემ ქალებს რა გამოლევს?!.

ისე, მარი ტიპური ფრანგი ქალია. ერთ-ერთი იმათგანი, ცალკე აღებული რომ არაფერი უვარგა, მაგრამ მთლიანობაში მაინც საოცრად მიმზიდველად გეჩვენება. რა არის ამის მიზეზი — განსაკუთრებული ფრანგული პეწი თუ ჩაცმის გამორჩეული მანერა? ან იქნებ, სახის მეტყველი მიმიკა და მუდმივი ღიმილი?.. ჰო, ალბათ უფრო — ეს მუდმივი ღიმილი... ქართველები კბილებს ასე ხშირად არ ვაჩენთ. ჩვენ ბევრად უფრო ბუნებრივები ვართ და ამიტომაც, როცა გვეღიმება, მხოლოდ მაშინ ვიღიმებით, ჩვენი სიცილიც გულიდან მოდის და მოთქმა-ვიშიც... ალბათ ამიტომაა, როცა რომელიმე უცხო ქვეყანაში მოხვედრილს გვიღიმიან, გვეჩვენება, რომ შთაბეჭდილება მოვახდინეთ და იმას კი ვერ ვამჩნევთ, რომ ეს მხოლოდ საგანგებო რეპეტიციაგავლილი თავაზიანობის დამადასტურებელი ღიმილია და სხვა არაფერი.

ჩემს გამოჩენაზე მარიმაც ზუსტად ასე გამიღიმა და საქაღალდე მომაწოდა.

— მაგრამ შეფთან რომ პირადად მინდოდა დალაპარაკება?!. — იმის იმედით, რომ გამომცემელს შემდეგი რომანის ავანსს მაინც გამოვტყუებდი, წყალწაღებულივით ხავსს ჩავეჭიდე.

— რა არის, იცით, ჟორჟ!.. — როგორც ჩანს, შორიდან მოვლა გადაწყვიტა მარიმ, რადგან სახელით მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მომმართავდა.

ჟორჟ!.. ჭირივით მძულდა ეს სახელი და ლამის ოცნებად მქცეოდა იმის სურვილი, ჩემთვის ვიღაცას ერთხელ მაინც ქართულად — გიორგიო, — მოემართა. მაგრამ აქ ხომ შენი სახელიც ყველას ფეხზე ჰკიდია და შენი ქართველობაც...

— ჯერ ერთი, მუსიე ნოკური ძალიან დაკავებულია, — დინჯად განაგრძო მარიმ. — და თქვენც შემოგითვალათ, დრო ტყუილად არ დაკარგოს, ახალი რომანის პირველი თავი ხვალ მაგიდაზე უნდა მედოსო...

— პირველი თავი უკვე აქ არის! — იმედმოცემულმა საქაღალდე

სასწრაფოდ გავხსენი. — როგორც ჩანს, უბრალოდ, ვერ შეამჩნია.

დაწუნებული რომანის თავფურცელზე, სათაურის ქვეშ, შეფის ოკრობოკროდ ნაწერმა ასოებმა წითლად გამოანათა: „რით ველარ შეიგნე, რომ გარეთ ოცდამეერთე საუკუნეა და რომანტიკული სასიყვარულო სცენები აღარავის აინტერესებს?!. ახალი რომანის დასაწყისიც ხელახლაა დასაწერი. მეტი დინამიკა, მეტი ვნება, მეტი სისხლი, ბოლოს და ბოლოს!“

— ესე იგი, მეტი სისხლია საჭირო, ხომ?!. — ჩავიბურტყუნე ჩემთვის.

— მე ეს არ მითქვამს, — ზედმეტად ხმის ერთი სიმიც კი არ შერხევია, ისე მიპასუხა მარიმ.

— თქვენ არა!.. თქვენ როგორ გეკადრებათ?! — გაცოფებულმა საქაღალდე იღლიაში ამოვიჩარე. — ეს მე ვთქვი და ნამდვილ სისხლის გუბეებსაც დავაყენებ!..

გამომცემლობიდან გამოსულს ცენტრალურ ქუჩაზე მოსახვედრად პატარა ბაღი უნდა გადამეჭრა. იქ, მაღალი ხეების ჩრდილქვეშ სულ რამდენიმე ხის სკამი იდგა, რომლებზეც ყოველთვის ნორჩი შეყვარებული წყვილები ისხდნენ და ერთმანეთს ხან გაშმაგებული კოცნიდნენ, ხანაც ისე ნაზად და ლამაზად ეფერებოდნენ, თვალს ვერ მოსწყვეტდი... „აბა, რა, — რატომღაც გული კიდევ უფრო ჩამწყდა ამის გახსენებაზე, — ვიღას აინტერესებს სიყვარული?..“

ჩემდა გასაოცრად, იმ დღეს ბაღიდან ყველა შეყვარებული უკვალოდ გამქრალიყო და ამიტომ, სკამებიც თავისუფალი იყო. „ჯანიც გავარდეს — ერთხელ მეც ჩამოვჯდები და სიგარეტს მაინც გავაბოლებ“, — გავიფიქრე და პირველივე სკამისკენ გავწიე. თუმცა სანამ დავჯდებოდი, იქვე მდგარი ურნისკენ, გამჭვირვალე პლასტიკატის საქაღალდეში გამომწყვდეული ჩემი ბოლო სასიყვარულო განცდები მოვისროლე. საქაღალდემ ჰაერში უსიამოდ გაიწუილა და ისიც კი მომეჩვენა, რომ ურნაში ჩავარდნისას რაღაც კვნესის მაგვარი ხმა გამოსცა. „ესეც ასე! — ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოვიღე და სწრაფად გავხსენი. — მოვრჩით სიყვარულს და გადავედით ხოცვა-ულეტაზე!“

სკამზე კი არ დავჯექი, დავეხეთქე. სიგარეტს მოვუკიდე, გამეტებით მოვქაჩე და, როგორც იქნა, შვებით ამოვისუნთქე. შემდეგ ნელ-ნელა მოვდუნდი, თვალებიც მივლულე და წარმოვიდგინე, როგორ გახდა ჩემი ახალი რომანი ბესტსელერი, როგორ ვიშოვე ამ გზით უზარმაზარი ფული, დავბრუნდი საქართველოში და ისევ ჩემს ყოფილ ცოლ სოფიკოზე ვიქორწინე. ვისაც ჩვენი წივილ-კივილით განქორწინება ახსოვს, იფიქრებდა, გაგიჟდაო, მაგრამ მე ახლა აქ, ამ უცხო ქვეყანაში ჩემს უარყოფილ სიყვარულზე მეტად არავინ მსურდა და მენატრებოდა. სოფიკოს გახსენებაზე მთელ ტანში სასიამოვნო ჟრუანტელმა დამიარა და წამით მისი ნაზი კანის განუმეორებელი სურნელიც კი ვიგრძენი...

— შეიძლება? — ბოლომდე ოცნებაც კი არ შემარჩინა ვიღაცის უსიამოვნო ხმამ.

თვალები უკმაყოფილოდ გავახილე, გვერდზე მივიხედე და მეზობელ სკამზე მჯდარი, შუახნის მამაკაცი დავინახე. მას გაქუცული ფართხუნა ლაბადა ეცვა, ასეთივე უსახური, ფართოფარფლიანი ქუდი კი თვალებამდე ჩამოფხატოდა.

— რა ბრძანეთ? — კითხვაზე კითხვითვე ვუპასუხე უცნობს.

— საქაღალდეზე გეუბნებით. — დამიკონკრეტა მან. — შეიძლება, ურნიდან ამოვიღო?

— ააა! — როგორც იქნა, მივუხვდი და მაშინვე ანგლობის ხასიათზეც დავდექი. — აი, ეს უკვე მე კი არა, ურნას უნდა ჰკითხოთ, რადგან ჩემი შედევრი ახლა მხოლოდ მისი საკუთრებაა....

უცნობი ურნისკენ გადმოიხარა, საქაღალდე ამოიღო და საგულდაგულოდ გაწმინდა. შემდეგ გვერდითაც უცერემონიოდ მომიჯდა, საქაღალდე გახსნა და შიგ თავისი გრძელი ცხვირი ჩარგო.

— რაო, სიყვარულის დრო აღარ არისო? — მალევე მომიბრუნდა იგი. — აბა, რისი დროა?

— ჯანდაბის და დოზანის! — ისევ ავიღრინე მე.

— გასაგებია... — თავისთვის ჩაილაპარაკა უცნობმა. — თუ ასეა, მე დამითმეთ...

— რა დაგითმოთ?

— თქვენი რომანი.

— ჩემი რომანი? — საბოლოოდ გამოვფხიზლდი და მგონი, ფულის შოვნის გადაწურული იმედიც კი დამიბრუნდა. — თქვენ რა, გამომცემელი ხართ?

— არა, — ძაფივით თხელი ტუჩების კუთხეებით გაიღიმა უცნობმა, — მაგრამ ვგრძნობ, რომ თქვენ ეს რომანი აღარ დაგჭირდებათ...

— სწორად გიგრძნიათ!.. დაიტოვეთ, ჩემი ფეშქაში იყოს! — „ყვავს რა ჰქონდა, ბუს გაჰქონდას“ პრინციპით, ხელგაშლილობის ხასიათზე დავდექი უცბად, რადგან მივხვდი, რომ ფულის სუნი სულ ტყუილად მეცა.

— ფული ნამდვილად არა მაქვს, — თითქოს ფიქრს მიმიხვდაო, ისე დაიწყო უცნობმა, — მაგრამ შემიძლია, სანაცვლოდ სხვა, თქვენთვის უფრო საჭირო და მნიშვნელოვანი რამ შემოგთავაზოთ.

— მაინც რა? — ვგრძნობდი, რომ უცნობი უკვე თავს მაბეზრებდა.

— წამომყევით და გიჩვენებთ. აქვე ვცხოვრობ. დარწმუნებული ვარ, ძალიან გამოგადგებათ...

უსიტყვოდ ავედევნე, თუმცა ფეხები მაინც უკან მრჩებოდა. ეს კაცი თავიდანვე არ მომეწონა. როცა საკუთარი სახლიდან შორს გადახვეწილი, აღმა-დაღმა დაეხეტები და ათასნაირ სიტუაციაში ათასი ჯურის ადამიანს ხვდები, ნელ-ნელა, მთლად ინტუიცია თუ არა, ყნოსვა მაინც გიმუშავდება და ავისა და კარგის გარჩევასაც სულ უფრო ნაკლებ დროს ანდომებ...

— აქეთ მობრძანდით! — ბინაში შესვლისთანავე ლაბადა და ქუდი კედელთან მდგარ სკამზე მოისროლა უცნობმა და ერთ-ერთი ოთახის კარი შეაღო. ოთახში მხოლოდ ვიწრო მაგიდა, მაგიდაზე კი ბოლო თაობის კომპიუტერი იდგა.

— ჰა, როგორია?!. — ერთმანეთისგან არაბუნებრივად დაშორებული და ავადმყოფურად აღაპლაპებული თვალები შემომანათა უცნობმა, თუმცა ისევე სწრაფად დახარა, რომ მათი ფერის გარჩევა ვერ მოვასწარი.

— შესანიშნავია! — აღტაცება ვერ დავფარე მეც და მაშინვე წარმოვიდგინე, ჩემს ჯაბახანა კომპიუტერს სანაგვეში რაოდენ დიდი სიამოვნებით გადავუძახებდი.

— პრაქტიკულად ახალია, — „საკუთარი საქონლის“ ქებას განაგრძობდა უცნობი. — თვეც არ იქნება, რაც ერთი პროგრამისტისგან ვიყიდე...

— თქვენ რა პროფესიის ბრძანდებით? — თავადაც ვერ მივხვდი, უცნობის საქმიანობით რატომ დავინტერესდი.

— მმმე... — ენა დაება მას. — მეე... მორგში ვმუშაობ... — ძლივსღა ამოღერღა შემდეგ.

„აი, თურმე, საიდან ის რაღაც იმქვეყნიური სიცივე და უსიამო სუნი, ამ კაცის გამოჩენისთანავე რომ ვიგრძენი!..“ — გავიფიქრე, მაგრამ ხმამაღლა სულ სხვა რამე ვთქვი:

— ფრიად საჭირო პროფესია გქონიათ... კომპიუტერიც ძალიან საჭირო ნივთია, მით უმეტეს, ჩემთვის, მაგრამ... — მაინც უკან ვიხევდი, რადგან ვგრძნობდი, რომ რაღაც უხილავ ხაფანგში ვყოფდი თავს.

— ამას რაღა „მაგრამ“ უნდა?!. — გამაწყვეტინა უცნობმა. — თქვენ თქვენი რომანი აღარ გჭირდებათ, მე — ეს კომპიუტერი. ასე რომ, გარიგებაც შედგა! ოღონდ — ერთი პირობით: ახლავე უნდა წაიღოთ...

როცა ბინიდან კომპიუტერი გამომქონდა, ჩვენი თვალები წამით ერთმანეთს კიდევ ერთხელ შეხვდა. ჩემმა უცნაურმა მასპინძელმა ერთდროულად, დაცინვითა და თანაგრძნობით შემომხედა, მისი თვალების ფერი კი ვერც ამჯერად გავარჩიე...

შინ მისვლისთანავე ახალი კომპიუტერი გავმართე და ორიოდე დღის წინ დაწყებული რომანის შესავლის გადაკეთებას შევუდექი. რომანის მთავარი გმირი მანიაკი მკვლელი იყო. მოგეხსენებათ, თემა საკმაოდ გაცვეთილია, თუმცა სიუჟეტში ახალი ნიუანსების შეტანას მაინც ყველანაირად ვცდილობდი. როცა იმ ადგილამდე მივედი, სადაც მანიაკმა ჟღალთმიანი ფრანგი მეძავი მოკლა და მისი შიგნეულის სამედიცინო ჭურჭელში განაწილება დაიწყო, კომპიუტერის ზედა მარჯვენა კუთხეში ფერადი ტელევიზორის ეკრანის მსგავსი ფანჯარა, ფანჯარაში კი თავად მანიაკიც გამოჩნდა. მას უზარმაზარ ხელებზე მსხვერპლის სისხლში მოსვრილი რეზინის ხელთათმანები ეკეთა, სამედიცინო ჭურჭელს უცნაური კრუსუნ-ქსუტუნით უტრიალებდა და მათ გარშემო მსხვერპლის ჟღალი თმის კულულებს აწყობდა.

ამ საშინელი სურათის შემხედვარემ უცბად ისეთი გულის რევა ვიგრძენი, სააბაზანოში ძლივს შევასწარი. უკან მობრუნებულს კი კომპიუტერის სამუშაო მაგიდაზე აღარც მანიაკი დამხვდა და არც ის საშინელი ფანჯარა. ვიფიქრე, ეს ყველაფერი უბრალოდ მომეჩვენა-მეთქი. მაგრამ ნანახმა მაინც იმდენად ამომაგდო კალაპოტიდან, რომ წერა კი არა, სიუჟეტზე ფიქრიც კი ვეღარ გავაგრძელე.

ისეთი განცდა მქონდა, თითქოს ცოტა ხნის წინ მკვლელს მეც გვერდით ვედექი და მის შავბნელ ქმედებებს უშუალოდ ვაკვირდებოდი. მერე კომპიუტერის უწინდელი პატრონის უცნაური გამოხედვაც გამახსენდა და მთლად მოვიშალე. როცა ყოველდღე გიჟებს ხვდები და კიდევ უფრო დიდ სიგიჟეებზე წერაც გიწევს, გარეკვამდე თავადაც ერთი ნაბიჯიღა გრჩება...

მივხვდი — ამ მდგომარეობიდან მარტო სასმელი თუ გამომიყვანდა, ამიტომ სამზარეულოში გავედი, მაცივრიდან კონიაკის გახსნილი ბოთლი გამოვიღე და პირდაპირ მოვიყუდე...

როგორც კი ცოტა დავწყნარდი და დეტექტივის წერას დავუბრუნდი, კომპიუტერის კუთხეში ფანჯარა ისევ აციმციმდა. გული მაშინვე ყელში მომებჯინა... ფანჯარაში კი ახლა ადგილობრივი კრიმინალისტები გამოჩნდნენ. ისინი საშინლად მოკლული მეძავის სახლში იმყოფებოდნენ და მკვლელის თითის ანაბეჭდებს ამაოდ ეძებდნენ.

მოკლული ელიტური მეძავი იყო და ამიტომაც, სხვა ღამის პეპლებივით, ქუჩაში დგომა აღარ უწევდა. მას კლიენტები — შეძლებული მამაკაცები შინ აკითხავდნენ და მისი დახმარებით ყველა თავიანთ ქვენა-ფანტაზიას ასხამდნენ ხორცს. ამ სახლის კედლები არაერთი, საზოგადოე-

ბაში პატივსაცემი ბატონის ცხოველური ინსტინქტების უტყვი მოწმე გამხდარა...

მეძავი წარმოშობით კავკასიელი (მგონი, სულაც ქართველი!) იყო. მისი ოჯახი სიღატაკეში ცხოვრობდა. თავად სულ პატარა იყო, როცა ბედმა გაუღიმა — უშვილო ფრანგმა ცოლქმარმა იშვილა და საფრანგეთში წამოიყვანა. ახალ ოჯახში გოგონას მიშელი დაარქვეს. მიშელი 8 წლის ძლივს იქნებოდა, როცა მამობილმა დედობილის შინ არყოფნით ისარგებლა და სასტიკად გააუპატიურა. ავხორცი კაცი მიშელზე მთელი 5 წელი ძალადობდა. ბოლოს გოგონამ ვეღარ გაუძლო და შინიდან გაიქცა.

ქუჩაში მოხვედრისთანავე სუტენიორი დაეპატრონა. ის ახალბედა მეძავს სასტიკ ექსპლუატაციას უწევდა, დაუნდობლად ძარცვავდა და მხოლოდ საჭმლის, ათასში ერთხელ კი — კლიენტების მოსაზიდი, გამომწვევი ტანსაცმლის გასაახლებელ ფულსაც უტოვებდა.

მაგრამ მიშელს ბოლოს მაინც გაუმართლა: ერთმა კლიენტმა ხარჭად დაისვა და ეს მდიდრული ბინაც უყიდა. მართალია, მამაკაცი მალევე გარდაიცვალა, მაგრამ მიშელს ამის შემდეგ აღარც ცხოვრება გასჭირვებია და არც შეძლებული კლიენტები მოჰკლებია.

პოლიციის კომისარი, ბატონი ბოჟე მოღუშული აკვირდებოდა მეძავის

მყუდრო ბუდეში ინტერესით მოფუსფუსე კრიმინალისტებს. ბინაში უამრავი თითის ანაბეჭდი იყო დატოვებული. თუმცა, როგორც მალევე გაირკვა, უკლებლივ ყველა — მოკლული მეძავის კლიენტებს ანუ იმ პატივსაცემ ბატონებს ეკუთვნოდა, რომლებიც მკვლელობის დროს საკუთარ ლოგინებში, გვარიანად მოყირჭებული ცოლების გვერდით ხვრინავდნენ. ასე რომ, მკვლელი სულ სხვაგან იყო საძებარი. მაგრამ სად? — აი, კითხვა, რომელიც ბოჟესთვის უკვე ნამდვილ თავსატეხად ქცეულიყო.

კომისარმა ჯიბიდან ქათქათა ცხვირსახოცი ამოიღო და ოფლით დაცვარულ შუბლზე მოისვა. „მსხვერპლი არც მკვლელობამდე და არც შემდეგ არ გაუუპატიურებიათ. „გამოდის, ეს საშინელი მკვლელობა ვიღაცამ მხოლოდ მკვლელობისთვის ჩაიდინა, — ფიქრში თავისთვის მჯელობდა ბოჟე. — ან შეიძლება, მკვლელი ნამდვილი მანიაკია და თავად მკვლელობის პროცესით ტკბება?.. იქნებ, მას უდიდეს ნეტარებას სწორედ სისხლისა და უმწეო მსხვერპლის ყურება ანიჭებს? თუმცა შეიძლება, საქმე ბევრად მარტივადაა და მეძავი ვიღაც ჭკუაზე გადამცდარის მსხვერპლი გახდა... შიზოიდები ხომ გაზაფხულზე განსაკუთრებით აქტიურდებიან — ახლა კი გარეთ სწორედ გაზაფხულია და ბულვარებში აფეთქებული წაბლის ხეებიც განსაკუთრებულად მძაფრ არომატს აფრქვევენ...“

პოლიციელებმა ბინა დალუქეს, მეძავის გამოშიგნული გვამი კი მორგის გზას გაუყენეს.

გზაში კომისარმა რამდენიმე ახალი გაზეთი იყიდა და საკუთარ თვალებს არ დაუჯერა: ერთ-ერთ მათგანში საბრალო მეძავის მკვლელობის ამბავი ისეთი სიზუსტით იყო აღწერილი, თითქოს პუბლიკაციის ავტორს მარტო პოლიციელებისა და კრიმინალისტების საქმიანობა კი არა, თავად მკვლელობაც საკუთარი თვალით ენახოს. არადა, არც ერთ „მჯღაბნელს“ (ძირითადად, ასე იხსენიებდა ბოჟე ჟურნალისტებს) მეძავის ბინის ზღურბლიც კი არ გადაულახავს. „ჯგუფში აშკარად „ჩამშვები“ მყავს“, — დაასკვნა ამის შემდეგ კიდევ უფრო მოქუფრულმა პოლიციის კომისარმა.

ბინის მეპატრონეს — გვარიანად მობერებულ მადამ რანიეს ფული მგონი, უკვე მეასედ ვესესხე, უახლოეს მარკეტში გავვარდი და კიდევ ერთი ბოთლი კონიაკი, ყავა და ცოტა საჭმელიც მოვიმარაგე. უკან მობრუნებულს მადამ რანიე ისევ კიბის თავში მდგარი დამხვდა. ეტყობოდა, რაღაცის თქმა დაავიწყდა, მაგრამ როგორც კი ჩემს ხელში კონიაკის ბოთლი დამინახა, ხელი ჩაიქნია და დემონსტრაციულად შემაქცია ზურგი.

„არა, რა, ეს ქალი მართლა, ძალიან ჰგავს ჩემს ფრანგულის მასწავლებელს“, — საბოლოოდ დავასკვენი და ის დრო გამახსენდა, როცა ბებიაჩემმა ერთ დღეს გადაწყიტა, რომ ფრანგული უნდა მესწავლა და ამ მიზნით, მასწავლებელიც დამიქირავა. „ინგლისური კიდევ ჰო, მაგრამ ფრანგულის ცოდნა რაღა ჯანდაბად უნდა?!“ — მაშინვე აბურტყუნდა მამაჩემი, რომელსაც ჩემი სწავლა-განათლება უკვე უამისოდაც მძიმე ტვირთად აწვა. მაგრამ ჩვენს ოჯახში ბებიაჩემის — ანუ მამაჩემის სიდედრის(!) სიტყვა კანონი იყო და მეც ჩემთვის კიდევ ერთი უცხო ენის დასაუფლებელ აღმართს შემიყენეს. ღმერთმა აცხონოს ბებიაჩემი! მართლაც ბრძენი ქალი იყო და ალბათ, კოჭებშივე შემატყო, რომ საბოლოოდ, ენების ცოდნით თუ ვიშოვიდი ლუკმას...

სანამ საქმეს შევუდგებოდი, კონიაკი კარგა გვარიანად დავაგემოვნე. „აბა, ფხიზელი ჩემი მტერი მიუჯდეს ამის კლავიატურას“, — თვალი უკვე ერთგვარი შიშითაც კი შევავლე გამომწვევად „მომზირალ“ კომპიუტერს. მაგრამ შიშზე ძლიერი მაინც ცნობისმოყვარეობა აღმოჩნდა. ძალიან მინდოდა, მანიაკის ბუნაგი აღმეწერა და ისიც გამეგო, თუ ვინ იყო და საიდან?

როგორც კი კლავიატურის პირველ ასოს შევეხე, ოცდაორდუიმიანი მონიტორის ეკრანის კუთხეში იმდენად ცოცხალი სურათი გამოჩნდა, თითქოს ვიღაც ვებ-კამერით იღებდა. ბარში, მაღალ სკამზე წამოსკუპებული მანიაკი მშვიდად წრუპავდა აბსენტს. ბარი მეძავებით იყო სავსე, თუმცა საკმაოდ რიგიან კოსტიუმში გამოწყობილ მანიაკს ერთიც არ მიახლოებია. „იქნებ, ეს მდედრის უშეცდომო ყნოსვის შედეგია?..“ — გავიფიქრე ჩემთვის... მანიაკი კი ისევ მშვიდად იჯდა და ახლა უკვე მიშელის ბინიდან წამოღებულ, ძვირად ღირებულ სიგარას აბოლებდა.

თავადაც გამიკვირდა, მაგრამ ამჯერად, მაცივარში გადანახული კონიაკის ბოთლის გამოსაღებად აღარ წამოვმდგარვარ. „რაც არის, არის!“ — გადავწყვიტე და ისე, რომ სურათისთვის თვალი წამითაც აღარ მომიშორებია, ბარში განვითარებული მოვლენების აღწერა დავიწყე. ვგრძნობდი, რომ ახლა უბრალო მოთვალთვალე კი არა, ბარში განვითარებული მოვლენების თანამონაწილე ვხდებოდი. უფრო მეტიც — მე უკვე ამ დიდხელება, ჯმუხი ფრანგის თანამზრახველიც კი ვიყავი. გაფაციცებით ვაკვირდებოდი, მეძავებს გამჭოლ მზერას როგორ ესროდა და ცხვირის ნესტოებში მისი სიგარის კვამლის სუნი მიღიტინებდა. უკვე მეძავების ლაპარაკიც გარკვევით მესმოდა და ბარში დარხეული მუსიკის ხმაც...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ძიების სუსტი ქალი

სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით

gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი იხ. „გზა“, №14-16

თვითონაც არ იცოდა სალომემ, რატომ გამოიპრანჭა ასე საგანგებოდ. იმდენად გამომწვევად გამოიყურებოდა, ძალაუნებურად გაგექცეოდა თვალი მისი სხეულისკენ. მოკლე კაბა ეცვა, ღრმად გულამოჭრილი. ვიწრო სამოსი მის მრგვალ თეძოებსა და გრძელ ფეხებს კიდევ უფრო სექსუალურს აჩენდა. მანქანაში რომ ჩაჯდა, ვაკომ შეუმჩნევლად გააპარა თვალი მისი მაღალი მკერდისკენ.

— იცი?.. წუხელ ბევრი ვიფიქრე და... გადავიფიქრე, — თქვა მოულოდნელად სალიმ.

— გადაიფიქრე? როგორც გენებოს... მაშინ შენ მითხარი, როგორ მოვიქცე.

— ცოტა უფრო ახლო მანძილზე რომ გაგვესეირნა, არ შეიძლება?

— შეიძლება, მაგრამ მაშინ მარშრუტს მე ავირჩევ.

— კარგი, თანახმა ვარ.

— მანგლისში ავიდეთ, არც იქ არის ნაკლები ბუნება.

— ავიდეთ, — ადვილად დაეთანხმა გოგონა.

ვაკომ უსიტყვოდ დაძრა ნაცრისფერი ჯიპი და მთელი სისწრაფით გააქანა. „რა ძვირფასი მანქანაა!.. ნეტავ, თავისია თუ ითხოვა?“ — გაიფიქრა სალომემ, ფეხი ფეხზე გადაიდო და კაბა მუხლებზე ჩამოიწია.

— რაღაც, სევდიანი მეჩვენები... — ვაკომ თავი მოაბრუნა და დაკვირვებით შეათვალიერა.

— მამიდაზე ვფიქრობ...

— რატომ? ცუდად ხომ არ არის?

— არა, კარგად არის, მაგრამ მარტო დარჩა და მომეჩვენა, რომ წამოსვლისას მოიწყინა... რატომ არ დაპატიჟე? ის ხომ შენი მეგობარია.

— რა თქმა უნდა, მეგობარია, თანაც ძალიან კარგი და საყვარელი მეგობარი, მაგრამ მე მხოლოდ შენთან ერთად მინდოდა ყოფნა. არ მინდა, შენ გვერდით გატარებული წუთები სხვას გავუნაწილო. როგორ ფიქრობ — ეს დანაშაულია? — მრავლისმეტყველი ღიმილი ესროლა მამაკაცმა.

სალომეს განგაშის ზარმა დაჰკრა გონებაში. იქნებ მაინც შეცდა და არ უნდა დაეჯერებინა მისთვის? ვინ იცის, რა აზრები უტრიალებს თავში?!.

— როგორც ვატყობ, შენი შემოთავაზება არც ისეთი უანგაროა, პატივცემულო ვაკო, — გესლიანად აღნიშნა.

მამაკაცს ღიმილი მაშინვე გაუქრა.

— მაპატიე, ცუდი არაფერი მიგულისხმია. ვიფიქრე, ასე უფრო დავუახლოვდებით ერთმანეთს-მეთქი. მამიდაშენთან ვერ იქნებოდი ბოლომდე გახსნილი, ასე არ არის? თუ რამე არ მოგწონს, დავბრუნდეთ... — ვაკომ სვლა შეანელა.

— არ ღირს გეგმის შეცვლა, — მსწრაფლ შეაწყვეტინა გოგონამ... ალბათ იმის შეეშინდა, რომ მასთან განმარტოებულს აუცილებლად მოუწევდა თავის პირად ცხოვრებაზე ლაპარაკი. მარინას თანდასწრებით კი ვაკო თავს ზედმეტი კითხვის დასმის უფლებას არ მისცემდა.

— თუ ასეა, გზა გავაგრძელოთ, სხვა რა დაგვრჩენია?! — გახალისდა ვაკო და კვლავ მოუმატა სიჩქარეს.

რაც უფრო მაღლა ადიოდნენ, მით უფრო მატულობდა სიცივე, მიუხედავად იმისა, რომ მზე სასიამოვნოდ აცხუნებდა.

— კარგია, რომ გამოიდარა, — შენიშნა მამაკაცმა.

— ჰო, მაგრამ მაინც ცივა.

— უკანა სავარძელზე ჩემი პულოვერი დევს, შეგიძლია ჩაიცვა.

— გმადლობ, მეც მომაქვს ჟაკეტი, მაგრამ ჯერ არ მინდა. თუ ძალიან შემცივდება, მერე მოვიხურავ, — იუარა სალიმ.

გოგონა ხარბად ათვალიერებდა გარემოს. აქ მართლაც განსხვავებული ჰაერი იგრძნობოდა.

— მანგლისში ლამაზი პარკი აქვთ, ცოტა ხნით შევიდეთ და გავიარ-გამოვიაროთ, ყავა დავლიოთ...

— აქეთ არასდროს ვყოფილვარ.

— როგორ, წყნეთში ნამყოფი არ ხარ?

— წყნეთში — კი, მაგრამ მანგლისში — არასდროს.

— ესე იგი, სიურპრიზი გამომსვლია და ეგ არის!

— როგორც ჩანს...

სალომე ყოველი წამით ტკბებოდა. უნდოდა, ამის შესახებ ვაკოსთვის ეთქვა, მაგრამ გადაიფიქრა. მამაკაცი, თითქოს ჯიბრზე, სულ არ იხედებოდა მისკენ. ისეთი გულგრილი გამომეტყველება ჰქონდა, უცხო თვალს დაქირავებული მძღოლი ეგონებოდა...

მაგრამ სალის ეს მხოლოდ ეჩვენებოდა. ვაკო შიგადაშიგ, შეუმჩნევლად აპარებდა მზერას გოგონასკენ და მისი ლამაზი მუხლისთავების ყურებით ტკბებოდა. სიამოვნებამოგვრილს მხოლოდ ისღა დარჩენოდა, მთელი ძალით ჩაჰფრენოდა საჭეს, რათა ხელები მისკენ არ გაჰქცეოდა. ამწუთას მის გვერდით სხვა ქალი რომ მჯდარიყო, აუცილებლად ჩაუცურებდა ხელს მუხლისთავებს შუა, მაგრამ სალი სხვა ქალი არ იყო და ამას ვერ გაუბედავდა...

სალომეს ყურები დაუგუბდა. „როგორც ჩანს, სიმაღლის გამო წნევამ თამაში დაიწყო“, — გაიფიქრა და ორივე ხელი ყურებზე აიფარა.

— არა უშავს, მალე გაგივლის, ცოტაც მოითმინე, — მიუხვდა მამაკაცი და თბილად გაუღიმა.

გოგონას პასუხი არ გაუცია. რატომღაც, ლაპარაკის ხასიათი გაუქრა.

ქვედა მხრიდან მიადგნენ პარკს. გაშლილ მინდორზე ხალხი კანტიკუნტად ირეოდა. ნელი ნაბიჯებით გაუყვნენ ახალამწვანებულ მდელოს.

— ყავას ხომ დალევ? — ჰკითხა ვაკომ.

— დავლევ, ოღონდ სხვა არაფერი მინდა, — თავი დაუქნია სალიმ.

პატარა კაფეს მიადგნენ, რომელიც ჯიხურს უფრო ჰგავდა, ვიდრე კაფეს. მამაკაცმა ორი უნალექო ყავა შეუკვეთა.

— ნამცხვარს არ გასინჯავ? თითო ნაჭერი ავიღოთ, — შესთავაზა მამაკაცმა.

— არა, გმადლობ, ჯერ არ მშია.

— როგორც გინდა.

ვერა და ვერ აეწყო საუბარი. სალომე გულში საკუთარ თავს უბრაზდებოდა, — რატომ იჩქარა მასთან შეხვედრა?.. ხომ შეიძლებოდა, ჯერ უფრო ახლოს გაეცნო, უფრო გაშინაურებოდა და მერე გაჰყოლოდა სასეირნოდ. აი, როგორი დისკომფორტი შეექმნათ გასეირნების ნაცვლად. ეს უკეთესია? ვაკო თავაზიანობას კი ინარჩუნებდა, მაგრამ ისეთი მხიარული და მეგობრული ვერ იყო, როგორიც წინა საღამოს. აშკარად ეტყობოდა, რომ მასაც გადაედო სალის უხასიათობა. ბოლოს მაინც არ მოუთმინა გულმა, ველარ გაუძლო დაძაბულობას და გაუბედავად წარმოთქვა:

— შენი წყენინება არ მინდოდა, მაპატიე...

ვაკომ ყავა მოსვა და ამ ხნის განმავლობაში, პირველად ჩახედა გოგონას თვალებში.

— როცა მე გითხარი, შენთან გატარებული წუთები არ მინდა, სხვას გავუნაწილო-მეთქი, ცუდი არაფერი მიგულისხმია, შენ კი დაიბოღმე. ეს მხოლოდ სიტყვის მასალა იყო და მეტი არაფერი. სულაც არ ვაპირებ, რაიმე ისეთი ჩავიდინო, რაც შენს სურვილს შეეწინააღმდეგება. უკაცრავად, მაგრამ დამავიწყდა, რომ შენ ყველა მამაკაცი საზიზღარი ტირანი გგონია.

გოგონა შეიშმუშნა.

— ალბათ ყველა არა.

— მაგრამ შენ არ მაძლევ შანსს, დაგარწმუნო ამაში. თუკი მართლა ასეა საქმე და გიძნელდება ჩემ გვერდით ყოფნა, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენს მეგობრობას აზრი არა აქვს.

მამაკაცმა ბოლო სიტყვები განსაკუთრებულად ხაზგასმით წარმოთქვა.

— შენ არასწორად გამიგე, — თავი იმართლა სალიმ, — მე, უბრალოდ, ნერვები მაქვს გაფუჭებული იმ ყველაფრის შემდეგ, რაც გადავიტანე. გარდა ამისა, წუხელ ავთოს დაურეკავს ჩემს დედინაცვალთან და... ამან მთლად მომშხამა. უფრო ამის გამო ვარ უხასიათოდ.

— შენს ყოფილ ქმარს? — ვაკომ თავი გადახარა და გვერდულად გახედა.

გოგონამ თავი დაუქნია.

— რა უნდოდა?

— უნდა, რომ შევურიგდე.

მამაკაცს უცნაურად შეერხა წარბები და სალის ეს არ გამოჰპარვია.

— და მერე... შენ?

გოგონამ მსუბუქად აიჩეჩა მხრები.

— დღეს დილით უნდა დამერეკა ჩემი დედინაცვლისთვის, მაგრამ, გჯერა, რომ დამავიწყდა?

სალი ისე იყო დილიდან აფორიაქებული, მართლა დაავიწყდა მედეასთან დარეკვა. ჯერ იყო და, მთელი ღამე ვაკოზე ფიქრში გაათენა, მერე იმაზე ნერვიულობდა, რა ჩაეცვა, ბოლოს კი, როცა ეს პრობლემაც გადაჭრა, მთელი გულისყური ჭიშკრისკენ ჰქონდა მიმართული — მამაკაცი როდის მოაკითხავდა, — რის გამოც ქმარყოფილი და დედინაცვალი საერთოდ გადაავიწყდა.

— ხდება ხოლმე, ამას გულთან ახლოს ნუ მიიტან. უკან რომ დავბრუნდებით, აუცილებლად შეგახსენებ, რომ დასარეკი გაქვს. შენმა ქმარმა იცის, სად ხარ? შესაძლებელია, ჩამოვიდეს?

— არა მგონია, — ყოყმანით უპასუხა წარბებაწეულმა, რადგან თავადაც არ იყო ამაში ბოლომდე დარწმუნებული.

— კი, მაგრამ რისი იმედი აქვს? რა აიძულებს, იფიქროს, რომ შეიძლება შეურიგდე? თუ ყველაფერი არ გითქვამს ჩემთვის?.. — ვაკოს საკმაოდ არასასიამოვნო გაუხდა ტონი.

სალომე მოიღუშა. არ უნდოდა, ავთოზე ელაპარაკა. ვაკოს სულაც არ ეხებოდა მათი ურთიერთობის დეტალები, მაგრამ რაღაც აუცილებლად უნდა ეპასუხა.

— სიმართლე გითხრა, მას არ უნდოდა ჩემთან განქორწინება. ვერც კი მიხვდა, რატომ გავშორდი. ის თავის საქციელში ცუდს ვერაფერს ხედავდა.

— ნამდვილი ბრმები ისინი არიან, ვისაც დანახვა არ სურს, — ციინიკურად ჩაიცინა მამაკაცმა.

— აი, ზუსტად მოარტყი! ეგ არის პრობლემა, სხვა კი არაფერი! — წამოიძახა სალიმ. — რადგან სუვენირებს მჩუქნიდა და რაღაც სისულელეებზე ხარჯავდა ფულს, რახან კომფორტულ ბინაში მაცხოვრებდა და მისი მეგობრების გართობისთვის არაფერს იშურებდა, მიაჩნდა, რომ მე არაჩვეულებრივი, მაძღარი ცხოვრება მქონდა. ამ დროს თავში აზრადაც არ მოსდიოდა, რომ მეც მსურდა, მეგობრები მყოლოდა, დაქალებთან გამევლო, რაღაც დამოუკიდებლად მეკეთებინა. იმის წარმოდგენაც კი უჭირდა, როგორ შეიძლებოდა, უკმაყოფილო ვყოფილიყავი. არ ესმის, რა მტანჯავდა, რა მაწუხებდა.

— ვწუხვარ, რომ გუშინდელი საღამო მისმა ზარმა ჩაგიშხამა. არადა, წუხელ ისეთ ხასიათზე დადექი, აშკარად გეტყობოდა, როგორ განიტვირთე, თითქოს რაღაც მძიმე ტვირთისგან გათავისუფლდი. დღეს კი ისევ ისეთი დაძაბული და შეშინებული ჩანხარ, როგორიც ჩვენი პირველი შეხვედრის დროს იყავი.

სალის მწარედ გაეღიმა.

— არც მე მეგონა, თუ ასე შეიცვლებოდა სიტუაცია. მისმა ზარმა ზედმეტად იმოქმედა ჩემზე. არადა, მართლა ძალიან ვაფასებ, რასაც ჩემთვის აკეთებ. დაუნახავი არა ვარ, უბრალოდ... ასე მოხდა. თუმცა მე დღევანდელი დღითაც კმაყოფილი ვარ.

მამაკაცმა ამჯერად ცალი წარბი აზიდა.

— მართლა?

— რა თქმა უნდა.

— აბა, მაშინ არც სადილზე მეტყვი უარს, არა?

სალომემ ირგვლივ მიმოიხედა.

— ჰო, მაგრამ აქ სად უნდა ვისადილოთ?

— ორი ვარიანტი გვაქვს, — დაიწყო ჩამოთვლა ვაკომ, — აქედან რამდენიმე კილომეტრში ერთი პატარა რესტორანია, ჩვენებური კერძებით. სხვათა შორის, ძალიან გემრიელად ამზადებენ ყველაფერს. თუ არა და, მარკეტში შევიაროთ, მშრალი საჭმელი ვიყიდოთ და სადმე ბუნებაში განვმარტოვდეთ.

— ჩემი აზრით, პიკნიკი სჯობია, — გათამამდა სალი. ხალხმრავლობა მაინცდამაინც არ იზიდავდა, თანაც, ვაკოსთან სიმყუდროვეში ყოფნა უფრო ხიბლავდა, ვიდრე უცხო, ნასვამი ადამიანების ყაყანის მოსმენა.

— ესე იგი, უკვე აღარ გეშინია ჩემი?.. — ეშმაკურად შეხედა მამაკაცმა.

— შიშით საერთოდ არავისი მეშინია. უბრალოდ, მამაკაცებს არ ვენდობი, თუმცა ისიც მესმის, რომ ყველა ერთნაირი არ არის. ასე რომ...

— ჰოდა, ძალიანაც კარგი. ყავა მშვენიერია, მაგრამ კუჭს საკვები სჭირდება. ხომ მეთანხმები?

— გეთანხმები.

— მაშინ, გზას გავუდგეთ, — სახე

გაუნათდა ვაკოს, აშკარად უკეთეს ხასიათზე დადგა.

მარკეტში შეიარეს, ყველი, პური, ძეხვი, კიტრის მარინადი, ერთი ბოთლი წითელი ღვინო, მანგოს წვენი იყიდეს და პარკის გვერდით მდებარე ხეივანში, პირდაპირ მინდორზე დასხდნენ. როგორც ჩანს, ვაკო მომზადებული წამოვიდა, რადგან მანქანიდან პლედი გადმოიღო და ძირს დააფინა, ხოლო შავი, სქელი პულოვერი სალის მხრებზე შემოახვია.

— რა სიმდიდრეა!.. აქ იმდენი რამეა, ორს კი არა, ხუთ ადამიანსაც ეყოფა. ძალიან მანებივრებ, ვაკო, — გადაიკისკისა გოგონამ და სახელდახელო სუფრის გაშლას შეუდგა.

— ეგ რა არის?! შენ რომ ჩემი ცოლი იყო, განებივრება მერე გენახა! არასდროს არაფერს მოგაკლებდი! და არც არასდროს მოგექცეოდი ისე, როგორც ჩემს საკუთრებას.

მზერა, რომლითაც მამაკაცმა ქალს გახედა, ერთდროულად, სერიოზულიც იყო და მგრძნობიარეც. სალის ცხელმა ტალღამ დაუარა სხეულში. ამ მზერას რომ გაჰქცეოდა, ღვინით სავსე ჭიქა სასწრაფოდ მიიტანა პირთან და სულმოუთქმელად გამოცალა. მამაკაცმა ვერ შეიმჩნია მისი საქციელი, ვითომ უდარდელად შეუვსო ცარიელი ჭიქა, ყველი და პური გადაუღო და კიტრის მარინადის ქილის გახსნას შეუდგა. მცირე ხნით სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ირგვლივ კაციშვილი არ ჭაჭანებდა, რაც კიდევ უფრო იდილიურს ხდიდა მათ ერთად ყოფნას.

— მაშასადამე, როგორც მივხვდი, მასთან დაბრუნებას არ აპირებ, არა? — მოულოდნელი შეკითხვა დასვა ვაკომ.

— ღმერთო ჩემო, არა! — წამოიყვირა სალიმ. — ამის გაფიქრებაც კი მზარავს.

— იცი, ხანდახან ისეთი ტიპის მამაკაცები, როგორიც შენი ქმარია, ქალებზე ადვილად მბრძანებლობენ, ეხერხებათ ცოლების მართვა. ბევრს უჭირს, წინ აღუდგეს ასეთ სიმკაცრეს...

— ვიცი, მაგრამ მე არ მიჭირს. ავთოსთან დაშორება ყველაზე საუკეთესოა, რაც ცხოვრებაში გამიკეთებია. მას არასდროს დავუბრუნდები, — გადაჭრით თქვა გოგონამ და თავმოხდილი ქილიდან კიტრი ამოიღო...

გემრიელად ისადილეს. სალის ლოყები აუფორაჯდა ღვინისგან, შემსუბუქდა კიდეც და ლაპარაკის საღერღელიც აეშალა.

შუადღე გადასული იყო, როცა სუფრა აშალეს. მიუხედავად იმისა, რომ ორი ჭიქა დალია, გოგონას მაინც სციოდა, ხელები და ფეხები მთლად გაეყინა, მაგრამ ამის შესახებ ხმამაღლა არ დაუჩივლია.

უკანა გზაზე ვაკომ დაბალ ხმაზე ჩართო მაგნიტოფონი. ერთხანს ჩუმად მოდიოდნენ, მუსიკას უსმენდნენ მხოლოდ. სალის ავთოზე ფიქრი გონებიდან არ შორდებოდა. არ უნდოდა, ყოფილი ქმარი გაეხსენებინა, მაგრამ თავს ვერაფერს უხერხებდა. ყველაფერი წუხანდელი ზარის ბრალი იყო. არა, არა, სანამ მედეას არ დაურეკავს და არ გაარკვევს, რა ჯანდაბა უნდოდა ავთოს, მანამდე ვერ მოისვენებს.

ის იყო, წყნეთში შევიდნენ, რომ მანქანის ძრავამ დაიგრუხუნა და ჩაქრა. მამაკაცმა რამდენჯერმე სცადა დაქოქვა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

ვაკომ ერთი გემრიელად შეიკურთხა, გადავიდა და მანქანას კაპოტი ახადა. კარგა ხანს უჩხიკინა რაღაცას, მერე კვლავ დაქოქვა სცადა... როგორც იქნა, მოახერხა.

— რა სჭირდა? — დაინტერესდა სალი.

— საწვავის ამოქაჩვა უჭირს რატომღაც. ასეთი რამ არასდროს დამართვია. მოგვიწევს გაჩერება და შემოწმება. აჯობებს, თავი დავიზღვიოთ, თორემ შეიძლება თბილისამდე ვერც ჩავაღწიოთ.

— მაგრამ აქ მხოლოდ სახლებია ირგვლივ. სად უნდა შეაკეთო? — შეშინდა სალი.

— რა პრობლემაა?! აქედან ჩემი სახლი სულ ათიოდე მეტრშია.

— რა? სახლი? — გოგონას გული გადაუქანდა. — შენ რა, აქ ცხოვრობ?

ცოტა არ იყოს, გაოგნებულმა შეხედა მამაკაცს. აქ, ირგვლივ ისეთი მდიდრული სახლებია... თუ რომელიმე მათგანი მას ეკუთვნის, ეს იმას ნიშნავს, რომ ფანტასტიკურად მდიდარია... მაგრამ თუ ასეა, რატომ აქამდე არ უთხრა?! რაღაცას ატყუებს... წუხელ არ იყო, რომ გამოუცხადა, რესტორანთან ახლოს ვცხოვრობო? მაშინ წყნეთი რომ არ უხსენებია? იქნებ აგარაკი აქვს აქ? და მერე რა?! სურს, რომ თავისთან შეიტყუოს?.. რატომაც არა, მან ხომ უკვე მოიპოვა მისი ნდობა! ახლა რომ ახტეს და დახტეს, უხერხულიც კი იქნება, პატარა ბავშვივით გამოუვა უარის თქმა. იმიტომაც უთხრა ალბათ წამოსვლისას, მე ავირჩევ მარშრუტსო.

— პატარა, „მოკრძალებული“ სახლი მაქვს აქ, — თქვა ვაკომ.

— ნაქირავები თუ საკუთარი? — დაკონკრეტება მოითხოვა გოგონამ.

— ჩემი სამუშაო მოითხოვს, რომ აქ თავშესაფარი მქონდეს: ხშირად მიწევს წყნეთში შეკვეთის აღება.

— და რას აკეთებ?

— სახლის დიზაინს, ბუხრებს, ხის კიბეს და რა ვიცი, კიდევ ბევრ რამეს.

— ესე იგი, დიზაინერი ხარ?

— რაღაც მაგდაგვარი, — ოდნავ შესამჩნევად გაიღიმა ვაკომ და მანქანა დააგორა.

— ბევრი რამე გცოდნია...

— უკვე კარგად შემისწავლე, არა?! — სიცილი ვერ შეიკავა მამაკაცმა.

...უზარმაზარ ორსართულიან სახლს მიადგნენ.

— აი, აქ ვქირაობ ერთ ოთახს. ეს ჩემი უფროსის სახლია, — თქვა ვაკომ და ხელი წინ გაიშვირა.

— ოჰო! რა ლამაზია! შენი ბოსი ალბათ ძალიან მდიდარია, ასეთ ძვირფას სახლში თუ ცხოვრობს.

— თვითონ არ ცხოვრობს. ეს მისი აგარაკია. ზაფხულობით ამოდის ხოლმე აქ, ცოლ-შვილთან ერთად.

— არაჩვეულებრივია! — აღფრთოვანება ვერ დაფარა გოგონამ.

ვაკო მანქანიდან გადმოსვლაში მიეხმარა სალის. ჟრუანტელმა დაუარა, როცა მამაკაცის გამოწვდილ ხელს შეეხო. თავი გვერდზე მიაბრუნა, რათა მამაკაცს მისი რეაქცია შეუმჩნეველი დარჩენოდა. როცა მან ხელი შეუშვა, მხოლოდ მაშინ ამოისუნთქა შვებით, თან საკუთარ თავზე ბრაზობდა, გრძნობას გამოვლენის საშუალება რომ მისცა. თუმცა, როგორ უნდა შეეჩერებინა იგი, თუკი აქამდე მის არსებობაზე წარმოდგენაც არ ჰქონდა? მსგავსი ჟრჟოლა ხომ აქამდე არასდროს განუცდია!.. არადა, მამაკაცს დღეს ისეთი არაფერი გაუკეთებია, მოვლენების პროვოცირება მოეხდინა. ის ნამდვილი ჯენტლმენივით იქცეოდა.

ვაკომ წინ გაუსწრო და მოჩუქურთმებულ ხის კიბეს აუყვა.

— ეს შენი გაკეთებულია? — სალომემ ხელი გადაუსვა ლამაზ რიკულებს.

— ჰო, ჩემია, — გულგრილად ჩაილაპარაკა ვაკომ.

— კარგი ხელი გქონია, — შეაქო გოგონამ და გაწითლდა.

ვაკომ არაფერი უპასუხა, გასაღები კარს მოარგო, გააღო და მანდილოსანი წინ გაატარა.

— ძალიან საყვარელი სახლია, — გულწრფელად აღიარა სალიმ, — გამიმართლა, აქ რომ მოვხვდი.

— აქ ყველაფერია, რაც მჭირდება, — დაეთანხმა იგი.

— არც მე მაწყენდა ასეთი სახლი, თუმცა უფრო პატარაზეც სიამოვნებით დავთანხმდებოდი, თუნდაც ქალაქგარეთ, — შენიშნა გოგონამ.

ოთახის შუაგულში ვეებერთელა ყავისფერი ხალიჩა ეგო, კედლებზე იმავე ფერის, ოღონდ უფრო ღია ტონალობის შპალერი იყო გაკრული. ტყავის სამეული და კრემისფერზოლიანი ფარდები მდიდრულ იერს მატებდა იქაურობას. მარცხნივ ბარის დახლი შენიშნა, რომლის უკან, კედლის მთელ გაყოლებაზე, უზარმაზარი აკვარიუმი იყო განთავსებული. ზღვის წყალმცენარეებით გალამაზებული. პატარა, ფერადი თევზები კუდის ქნევით დაცურავდნენ ჟანგბადის

ბუშტებით გაჯერებულ წყალში.

— ამ თევზებს ვინ უვლის? — ცოტა არ იყოს, გაიოცა.

— ერთი ქალია, აქაური მცხოვრები. ყოველდღე ამოდის და უვლის... თევზებსაც და სახლსაც, — დააკმაყოფილა მისი ცნობისმოყვარეობა ვაკომ.

— ძალიან მომეწონა ეს ყველაფერი.

— ჰოდა, თუ ასეა, აგერ დაჯექი, წვენი დალიე, მე კი გავალ და მანქანას მივხედავ, კარგი?

— კარგი.

— იმედია, არ მიწყენ.

— არა მგონია. მაგრამ იქნებ რამეში დაგეხმარო?

— რა საჭიროა, ტყუილად გაისვარო შენი ლამაზი ხელები. ნუ შეწუხდები, ეს კაცის საქმეა და როგორმე თავად გავუმკლავდები.

— რა „შოვინიზმია!“ — წარბები შეჭმუხნა სალიმ. — გგონია, რადგან ქალი ვარ, ფიზიკური შრომა არ შემიძლია? არც ისეთი ნაზი ვარ, როგორიც ვჩანვარ. „დედიკოს გოგო“ არასდროს ვყოფილვარ, სხვათა შორის, და ბევრ რთულ საქმეს კაცებზე ნაკლებად როდი ვაკეთებ.

ვაკოს ხარხარი აუტყდა. ისე მიამიტურად ამბობდა სალი ყოველივე ამას, მამაკაცი ძალზე გამხიარულდა.

— ძალიანაც კარგი, თუ ასეა. სხვა დროს აუცილებლად გავითვალისწინებ, მაგრამ — არა ახლა. დამელოდე, მალე მოვალ.

ვაკო გავიდა. სალიმ ერთხანს შეიცადა, მაგრამ მერე გულმა არ მოუთმინა და გარეთ გავიდა. თვალებით ვაკოს დაუწყო ძებნა. უეცრად სუნთქვა შეეკრა: მამაკაცი წელს ზემოთ გაშიშვლებულიყო და მანქანას უჩხიკინებდა. დაკუნთული, გარუჯული მკლავები და განიერი მხრები მზეზე სასიამოვნოდ ულაპლაპებდა. სპორტსმენივით ჰქონდა სხეული დაჭიმული.

სალომეს უცნაური რამ ემართებოდა. მაჯა აუჩქარდა, სისხლმა საფეთქლებში აასხა... სიამოვნებისაგან გააჟრჟოლა. სასწრაფოდ შებრუნდა სახლში, რათა სული მოეთქვა და დამშვიდებულიყო. თავისი ქმრის გარდა, შიშველი მამაკაცი ასე ახლოდან რამდენი წელია, არ ენახა.

შეეცადა, სხვა რამეზე გადაეტანა ფიქრი. ეს სახლი, მაგალითად, ძალიან კარგია, მდიდრული და გემოვნებიანი, მაგრამ... ძალიან დიდია. რა საჭიროა ამხელა საცხოვრებელი ფართობი?! შეიძლება, ისე გავიდეს დრო, ყველა ოთახი ვერც ვერაფერში გამოიყენო. მართალია, მოეწონა, მაგრამ თავისთვის ასეთს არასდროს იყიდის. აი, მხოლოდ ერთი სართული რომ იყოს, უკეთესი იქნებოდა, უფრო მყუდრო და მოხერხებული. პატარა ოთახები შედარებით კომფორტულია, ვიდრე ასეთი დარბაზები. მათი ავეჯით გავსება არ გინდა?!. თუმცა ეს სახლი სულაც არ არის ავეჯით გადატვირთული, პირიქით, სიხალვათეა და უხდება კიდეც ინტერიერს.

აი, სამზარეულო კი მართლაც კარგია. ორკარიანი მაცივარი, ჭურჭლის სარეცხი მანქანა, გაზქურა და ვერცხლისფერი კარადები... ალბათ ძალიან ძვირფასია, ასეთი მოსკოვშიც კი არ უნახავს არავისთან. ეჰ, ნეტავ მისი იყოს ეს ყველაფერი! რამდენი ხანია, ასეთ სამზარეულოზე ოცნებობს! უკეთესს ვერ ინატრებს ადამიანი.

სალი ისე ჩაიძირა ფიქრებში, ვერც კი შეამჩნია, როგორ მიუახლოვდა ზურგიდან ვაკო. როცა მოტრიალდა, ლამის მკლავებში ჩაუვარდა მამაკაცს. მოულოდნელობისგან ისე შეხტა, ინსტინქტურად მკლავში სტაცა ხელი და მისი კუნთების ძალაც მაშინვე შეიგრძნო. კვლავ წამოუარა შეუცნობელმა, სასიამოვნო, დაუოკებელმა ტალღამ...

შეშინებულმა შეხედა ვაკოს და, როგორც სარკის ანარეკლში, ისე დაინახა მის თვალებში თავისი იდუმალი სურვილები. არა, კი არ დაინახა, შეიგრძნო... „თავს უშველე, სანამ გვიან არ არის, სანამ არ ჩაგიდენია ის, რაც შეიძლება, შემდეგ ინანო“, — ჩასძახოდა საღი აზრი. მაგრამ გოგონას ძალა აღარ შესწევდა, გონების კარნახს დამორჩილებოდა... მოეჩვენა, რომ საუკუნეა, აქ დგას, მამაკაცის მკლავებს ჩაფრენილი, გახშირებული გულისცემით... რამდენიმე წამი თვალს არ აშორებდნენ ერთმანეთს... გოგონა გრძნობდა, როგორ ელეოდა ნელ-ნელა ძალა... მაშინაც კი, როცა ვაკო მისკენ დაიხარა, ადგილიდან ვერ დაიძრა, თვალები დახუჭა მხოლოდ და დაელოდა, რა მოხდებოდა... გრძნობდა, რომ იმ რაღაცას ველარ გაექცეოდა...

მაგრამ... უეცრად ვაკო წელში გასწორდა, ღრმად ამოიოხრა და განზე გადგა. სალიმ იგრძნო, როგორ დასწყდა გული...

— რაში დაგჭირდა ამის გაკეთება? — ცოტა არ იყოს, უკმეხად ჰკითხა მამაკაცმა.

— რისი? — ლამის ფეხებამდე გაწითლდა გოგონა.

— ჩემი შეხება?!

ვაკო თავს ძლივს იკავებდა, თითქოს ცეცხლი მოედო სხეულზე, გული არეულად უცემდა. ხელები ისე უცახცახებდა, იძულებული გახდა, რამდენიმე ნაბიჯით უკან დაეხია. ქალის სურნელი თავბრუს ახვევდა... დარწმუნებული იყო, ახლა მისთვის რომ ეკოცნა, გოგონა არასდროს აპატიებდა ამას. უფრო მეტიც — შეიძლებოდა, სამუდამოდ შეზიზღებოდა კიდეც. ამწუთას შეიძლება, სალი თავს კონტროლს ველარ უწევს, მაგრამ ეს მხოლოდ წამია სიგიჟის, წამი, რომელმაც შეიძლება, ნებისმიერი ჭკვიანი და თავშეკავებული ქალი აცდუნოს...

თუკი შეეცდება, შეთავაზებული მეგობრობის ზღურბლს გადააბიჯოს, სამუდამოდ დაკარგავს ამ უმშვენიერეს ქმნილებას. მიუხედავად იმისა, რომ გონის დაკარგვამდე სურდა ახლა სალის გულში ჩახუტება, სიყვარულისთვის შექმნილი მისი სხეულის მკლავებში მოქცევა, მაინც უნდა მოეხმო გონებისთვის და მოთმინებით აღჭურვილიყო. ჯობია, სალი დღევანდელი დღით იმედგაცრუებული დარჩეს, ვიდრე საბოლოოდ დაკარგოს ვაკომ იგი.

— მე... მე არ შეგხებივარ, — ენა დაება გოგონას, — იმ გაგებით არ შეგხებივარ, რაც იგულისხმე... კინაღამ წონასწორობა დავკარგე, რადგან ვერ გავიგე, როგორ შემოხვედი და შემეშინდა. რა სულელი ხარ, ეგ როგორ იფიქრე?!

ამ წუთებში სალი განუმეორებელი იყო — ლამაზი ცისფერი თვალები უბრწყინავდა, ღაწვები ასწითლებოდა, სხეული უთრთოდა. ადვილი მისახვედრი იყო, რომ ის არავითარ შემთხვევაში არ გამოუტყდებოდა ვაკოს, ამ წამიერმა შეხებამ რა ძლიერად იმოქმედა მასზეც. და ისიც ცდუნებას რომ აჰყოლოდა, გოგონა სწორედ იმ გზნებით უპასუხებდა, რომლის დამალვასაც ასე გულმოდგინედ ცდილობდა ამწუთას.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



მარი ჯაფარიძე

ანას ეგონა, იმ საღამოს ირაკლისთან შეხვედრასაც მოახერხებდა და მისი ეჭვების გაფანტვასაც, მაგრამ პირიქით მოხდა — უფრო გააბრაზა.

რამაზის თხოვნით, მასთან სტუმრად მისვლამ მოუწია, ვინაიდან საქმე ასე მოითხოვდა. ირაკლიმ რომ დარეკა, ანამ შეხვედრაზე უარი უთხრა, ვინაიდან იმ დროს რამაზთან ერთად იმ ადამიანისკენ მიიჩქაროდა, რომელიც მისი ბიზნესის ჩაძირვას ცდილობდა...

გაცოფებულმა ირაკლიმ ტელეფონი ღამის მანქანის ფანჯრიდან მოისროლა, რადგან ქალმა ისიც კი არ აუხსნა, რატომ ვერ ახერხებდა მასთან შეხვედრას. უბრალოდ ნათქვამი — „ახლა ვერ შეგხვდები, მნიშვნელოვანი საქმე მაქვს“, მამაკაცს არ აკმაყოფილებდა. ეჭვის ჭია ღრღნიდა და იმის გამო ბრაზობდა, რომ ეს გოგო ვერა და ვერ მოათვინიერა, ვერ მოთოკა, ვერ შეაგნებინა ის, რომ ისინი ძალიან ახლობლები იყვნენ და ვალდებულიც კი იყო, რომ ირაკლი ყველაფრის საქმის კურსში ჩაეყენებინა. ისე იეჭვიანა, ვახო საბლიანის სახლთანაც კი მივიდა და ეზო მოათვალიერა, რათა დარწმუნებულიყო, ანა იქ არ იყო.

„ეს კაცი სვანია, შესაძლოა, ადრე ერთმანეთი უყვარდათ კიდეც და ახლა მისი მოძებნა აქვს გადაწყვეტილი. არა, ანა უნამუსო არ არის, თუ მართლაც ყველაფერი ისეა, როგორც მე ვფიქრობ, ამ საქმეში ჩემთვის დახმარება რომ ეთხოვა. ნუგზარს სთხოვდა, ბოლოს და ბოლოს და ჩემს ყურამდე სულ არ მოიტანდა; არც მოღალატეა, რომ სხვა მამაკაცთან დაამყაროს ურთიერთობა. მაშ, რა საქმე აქვს? რატომ არ ამბობს ჩემთან? ნუთუ მისი ნდობა ვერ მოვიპოვე? მარტოხელა მგელივითაა ეს გოგო. სულ რაღაც საიდუმლო საქმეებშია გაბმული, სულ რაღაცას არკვევს, სულ ვიღაცას ეხმარება... ამიტომაც, სულ შარშია გაბმული. არა, აუცილებლად უნდა მოვიყვანო გონს! შეიგნოს ბოლოს და ბოლოს, რომ ქალია და და არა — აბჯარასხმული მეომარი ან ვარდისფერკაბიანი ფერია, რომელსაც ჯადოსნური ჯოხი აქვს და ყველას ეხმარება“, — ფიქრობდა ირაკლი და სახეზე ხან ღიმილი გადაეფინებოდა, ხან შუბლს შეიკრავდა, ხანაც ჩაიცინებდა... „ჩემი არანორმალური გოგო, ჩემი მოუსვენარი, საქმიანი და „ნამდვილი სვანი“, — გაიფიქრა ბოლოს და თვალებში სითბო და სიყვარული ჩაუდგა.

ასე მას არასოდეს ჰყვარებია და არც ასე ბედნიერად უგრძნია ოდესმე თავი. ანასთან ურთიერთობის დროს არასოდეს იცოდა, რას მოიფიქრებდა ახალს ეს კაფანდარა გოგო, წინასწარ ვერ გათვლიდა, რა ელოდა 2 წუთის შემდეგ — რა თავსატეხს გაუჩენდა... სწორედ ამის გამო მოსწონდა მასთან. მათი ურთიერთობა მდორედ არ მიედინებოდა. გრძნობაც ისეთივე ბობოქარი იყო, როგორიც მათი ცხოვრება...

„ხვალ დავსვამ და სერიოზულად დაველაპარაკები“, — გაიფიქრა მამაკაცმა და თვითონვე მიხვდა, რომ ანაზე აღარ ბრაზობდა. უკვე ყველაფერი აპატია. უბრალოდ, ინტერესი კლავდა, ამჯერად რა საქმე ჰქონდა ისეთი, რომ ირაკლისთან შეხვედრას ვერ ახერხებდა.

ამასობაში ანა და რამაზი ეკონომიკის სამინისტროს შენობაში, ერთ-ერთ მოზრდილ, კარგად მოწყობილ კაბინეტში ისხდნენ და მასპინძლის შემოსვლას ელოდნენ. გეგმა წინასწარ ჰქონდათ მოფიქრებული.

ახალგაზრდა, მელოტი მამაკაცი ხმაურით შემოიჭრა კაბინეტში და იქ მყოფებს ბოდიში მოუხადა. გაცნობისას ანას ხელი ხელში ცოტა ხნით შეაყოვნა და თვალებში ჩახედა. ქალმა თვალი გაუსწორა.

„იმედია, მოგეწონე“, — გაიფიქრა და მამაკაცის ხელს თითები ოდნავ მოუჭირა. ელიზბარს სახეზე კმაყოფილი ღიმილი გადაეფინა.

— დაბრძანდით, — მიუთითა დივანზე, — რამაზ, დაჯექი, — შინაურულად მიმართა მამაკაცს, თვითონ კი ანას მიუჯდა გვერდით, — ახლა გვიანია, მდივანი უკვე წასულია და სამწუხაროდ, ყავას ვერ მოგიდულებთ, მაგრამ შემიძლია, სასმელი შემოგთავაზოთ, კონიაკს ხომ

არ მიირთმევთ?

— არა, გმადლობ, საჭესთან არ ვსვამ, — უარი თქვა რამაზმა.

— მე არა ვარ საჭესთან და სიამოვნებით დავლევ, — ანამ ისე შეხედა მასპინძელს, რომ ელიზბარს ტანში სასიამოვნო ჟრუანტელმა დაუარა.

მან კედელში ჩაშენებულ კარადას პულტი დაუმიზნა. ბარის კარი ნელა გაიღო. წამოდგა, 2 მოზრდილი ბოკალი კონიაკით ნახევრად გაავსო და ერთი ჭიქა ანას გაუწოდა.

— ჩვენს შეხვედრას გაუმარჯოს! — მიუჭახუნა ქალს.

— გაგიმარჯოთ, — ხმადაბლა თქვა ანამ და სასმელი მოწრუპა.

— როგორც რამაზისგან ვიცი, თქვენ „გლობალტექსის“ მთავარი ბუღალტერი ხართ.

— არა, ჯერჯერობით მხოლოდ რიგითი ბუღალტერი, — ანამ რამაზს გახედა, — მაგრამ როგორც რამაზმა მითხრა, თუ იმ საქმეში დაგეხმარებით, რაც თქვენ გაინტერესებთ, მაშინ შესაძლოა, მთავარ ბუღალტრად დამნიშნოთ.

— რა თქმა უნდა, — მამაკაცს სახეზე კმაყოფილი ღიმილი გამოესახა, — თქვენ ლამაზი ხართ და ჭკვიანიც ყოფილხართ, — შეაქო ქალი, — მე გეტყვით ზუსტად, რა საბუთები მჭირდება და თქვენ ყველასგან მალულად უნდა გადაიღოთ ამ საბუთების ასლები, რომლებსაც შემდეგ მე გადმომცემთ. იმედია, თქვენი ნდობა შეიძლება?! — დაამატა ბოლოს.

— რა თქმა უნდა, შეიძლება. იმ „სტერვა“ ქალს დიდი ხანია, ვთხოვ, დამაწინაუროს ან ხელფასი მომიმატოს, მაგრამ ყურსაც არ იბერტყავს, თავში აქვს ავარდნილი და თავზეც ძალიან დიდი წარმოდგენა აქვს. სიამოვნებით დაგეხმარებით მის გაცამტვერებაში. რა თქმა უნდა, ჩემი ინტერესების გათვალისწინებით, — ანამ მამაკაცის ხელს ხელი დაადო.

— რამაზ, ასეთი ჭკვიანი გოგო რიგით ბუღალტრად რატომ გყავს? შენ ხომ მანდ ფინანსური განყოფილების ხელმძღვანელი ხარ! რატომ არ გადაგყავს მთავარ ბუღალტრად?

— ეს ჩემზე არაა დამოკიდებული, თორემ დღესვე გადავიყვანდი. მანდ სიტუაციას ის ქალბატონი აკონტროლებს და უბრალო მუშასაც კი მისი ნებართვის გარეშე ვერ ავიყვან.

— გასაგებია. ჭკვიანი ქალი ჩანს თქვენი შეფი, რადგან ამხელა ბიზნესი ააწყო და თან ისე, რომ ვერც საფინანსომ და ვერც საგადასახადომ ვერაფერი უპოვა. მე ჯერ ამ კუთხით ვაპირებდი მისთვის შეტევას, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

— ყველაფერი „გაპრავებული“ აქვს, შავი ბუღალტერია არ არსებობს, — თქვა ანამ.

— ვიცი და სწორედ ამიტომ გადავწყვიტე, სხვა ხერხისთვის მიმემართა.

— თქვენი ინტერესი რაში მდგომარეობს?

— ეს კარგი ბიზნესია, საკმაოდ შემოსავლიანი. დღემდე ვერ გავიგე, ვინ

ჰყავს „კრიშა“. საქმის ხელში ჩაგდება მინდა. ეგ ქალი არაფერს წარმოადგენს, თანაც, ისედაც ბლომად ჰქონია ფული და ჯობია, თავის „ამერიკულ ბიზნესს“ მიხედოს.

— არც მთლად ასეა საქმე, — პროტესტის გრძნობა გაუჩნდა ანას, — არაფერს წარმოადგენსო, ვერ იტყვი, რადგან ჭკვიანია, ფულიც აქვს და გავლენაც, შესაბამისად. მე როგორც ვიცი, მაგან ამერიკაში ერთ-ერთ ცნობილ ბიზნესმენს მოუგრიხა კისერი და ცოტა ფრთხილად უნდა იყოთ, ბატონო ელიზბარ.

— ჰა-ჰა-ჰა, — ხმამაღლა გადაიხარხარა მამაკაცმა, — როგორ შემეშინდაა?! — გულზე ხელი მიიდო, თითქოს შეშინებული იყო.

ანამ რამაზს გადახედა. მამაკაცმა შეუმჩნევლად ჩაიღიმა.

— გასაგებია, მხოლოდ თქვენნაირი უშიშარი და ყოვლისშემძლე ადამიანი თუ მოახერხებს მის „დამხობას“, — შეაქო ანამ.

— მე რომ მჭირდება, იმ საბუთებზე ხელი მიგიწვდებათ? — საქმიანი სახე მიიღო ელიზბარმა.

— რა თქმა უნდა, მიმიწვდება. ყველაფერს მე ვაკეთებ, მთავარი ბუღალტერი არაფრის მაქნისია, მხოლოდ ხელს აწერს გამზადებულ საბუთებზე, თვალდახუჭული მენდობიან, — ანამ თავი ისე მოისაწყლა, თითქოს ყველაზე დაჩაგრულად გრძნობდა თავს.

— ძალიან კარგი. აი, ჩამონათვალი, — ელიზბარმა მაგიდიდან წინასწარ გამზადებული, დაბეჭდილი სია აიღო.

ანამ სიას ჩახედა.

— რამდენ ხანში შეძლებთ ამის გაკეთებას?

— რამდენიმე დღეში.

— მაშინ ეს „ვიზიტკა“ გამომართვით და როგორც კი ყველა საბუთი მზად გექნებათ, დამირეკეთ და შეხვედრაზე შევთანხმდებით. ამაგს არ დაგიკარგავთ, ამის გამო არ ინერვიულოთ, — ხელზე ხელი კიდევ ერთხელ მოუჭირა მამაკაცმა, რითაც აგრძნობინა, რომ მომავალში უფრო გაუშინაურდებოდნენ ერთმანეთს. — ჩემნაირი მამაკაცის გვერდით არ დაიკარგებით, ბევრი რამე შემიძლია, — ამ სიტყვების შემდეგ წამოდგა და მიანიშნა, რომ ვიზიტი დასრულებული იყო.

— ანა, მშვენივრად შეასრულე დაჩაგრული, რიგითი ბუღალტრის როლი, — იცინოდა რამაზი, როდესაც უკან ბრუნდებოდნენ.

— ახლა საბუთებს ისე გავაკეთებთ, რომ ბატონი ელიზბარი როდესაც ნახავს და მთელი ყურადღებით გაეცნობა, ისეთ პირობებს შესთავაზებს ჩვენს პარტნიორებს, რომ თავქუდმოგლეჯილები გაიქცევიან. ხომ შეძლებ ამას? — ანამ რამაზის რეპლიკა-კომპლიმენტი უყურადღებოდ დატოვა და საქმეზე ლაპარაკი წამოიწყო.

— კი, როგორ არა, არანაირი პრობლემა არაა.

— ჰოდა, მაშინ წავიდეთ ჩემთან და აღვნიშნოთ ჩვენი პირველი „დაზვერვა“.

— ახლა ძიძა წავა, ანას მარტო ვერ დავტოვებ, — საათზე დაიხედა რამაზმა.

— მაშინ წავიდეთ, ანაც წამოვიყვანოთ, თან ჩემს გოგონას გავაცნობ, — ანას სუნთქვა შეეკრა პასუხის მოლოდინში.

— შეიძლება. რა სჯობია თქვენს საზოგადოებაში ყოფნას?! — რამაზმა ისე

— კარგი და გყავს, ანა, — უთხრა რამაზმა, როდესაც მამა-შვილი შინ მიჰყავდა.

— მართლაც კარგი და მყავს, გასათხოვარია. ცოტა წუნიაა და დარჩა ასე. მეც და დედაც ვეუბნებით, რომ ერთი კარგი „ბიჭი“ მოძებნოს და ოჯახს მოეკიდოს, მაგრამ ის გაიძახის, სანამ სიყვარული არ მეწვევა, მანამდე არ გავთხოვდებიო.

— სიყვარული როდის ეწვევა, არავინ იცის. შესაძლოა, ისე მოულოდნელად

— ასეთი იყავი ბავშვობაში, რომ ვუყურებ, შენი პატარაობა მახსენდება, — ხმამაღლა უთხრა ანას, — ასეთი მოწითალო ფერის თმა გქონდა, ასეთივე პაჭუა ცხვირი და გრძელი წამწამები.

ჩაიცინა, როგორც ჩანს, ისევ იმ აზრზე იდგა, რომ ანას მისი შებმა ჰქონდა გადაწყვეტილი.

პატარა ანა სიხარულით დათანხმდა მამის წინადადებას, ანასთან სტუმრობის თაობაზე. მაშინვე გამოიცვალა საშინაო ტანისამოსი და მანქანაში პირველი ჩახტა.

ბელამ და ანამ თვალით აზომეს ერთმანეთი. ანამ ისინი ერთმანეთს გააცნო. ბავშვები ბელას ოთახში შევიდნენ, ანამ რამაზი ოჯახის წევრებს წარუდგინა. ნინომ მამაკაცის სახელი გაიგონა თუ არა, მაშინვე მიხვდა, თუ ვინ იყო და სწრაფი ნაბიჯით ბელას ოთახისკენ წავიდა. როგორც ჩანს, ანას ხელახლა ნახვა უნდოდა.

რამაზი და გოგონა გვიანობამდე დარჩნენ. ციცომ შვილებს ხელიც არ გაანძრევინა, სტუმრებს თავად მოემსახურა. როდესაც სუფრასთან ბავშვებიც დასხდნენ, ციცომ კარგა ხანს უყურა ანას.

— ასეთი იყავი ბავშვობაში, რომ ვუყურებ, შენი პატარაობა მახსენდება, — ხმამაღლა უთხრა ანას, — ასეთი მოწითალო ფერის თმა გქონდა, ასეთივე პაჭუა ცხვირი და გრძელი წამწამები.

— ყველა ბავშვი ერთმანეთს ჰგავს, დედა, — ანამ სასწრაფოდ სხვა საკითხზე გადაიტანა ლაპარაკი, რომ ციცოს ეს თემა აღარ განევრცო.

სუფრასთან რამდენჯერმე შენიშნა, როგორ უჭვრეტდა რამაზი ნინოს. ნინოც ჩუმ-ჩუმად აპარებდა თვალს მისკენ. თითქოს მათ შორის რაღაც უხილავი ძაფი გაიბა.

„დაატყდეს“ თავს, როცა არ ელის და ისეთი ადამიანი შეუყვარდეს, როგორზეც არასოდეს უოცნებია. შვილიან კაცს თუ გაჰყვება ცოლად? — რამაზმა ვითომ სასხვათაშორისოდ იკითხა.

— არა მგონია, ნინოსთვის მნიშვნელობა ჰქონდეს, შვილიანია კაცი თუ არა, მაგრამ რატომ მეკითხები, გულში ხომ არ ჩაგივარდა? — ანა არ მოერიდა პირდაპირ შეკითხვას.

— გამორიცხული არაფერია, — თავისთვის ჩაილაპარაკა რამაზმა და ანაც აღარ ჩასცივებია.

რამდენიმე დღის შემდეგ რამაზის მიერ საგანგებოდ გამზადებული საბუთები ელიზბარის მაგიდაზე იდო და მამაკაცი ყურადღებით ათვალიერებდა მათ. ანა კი იქვე, მის მოპირდაპირე მხარეს იდგა და მის გამომეტყველებას აკვირდებოდა, რომელიც ხშირად ეცვლებოდა. ძირითადად კმაყოფილება ეხატა სახეზე.

— მადლობა, ძალიან დიდი მადლობა, ამას არ დაგივიწყებ, აუცილებლად დაგიფასდება, — ანას მიუახლოვდა და ხელი წელზე მოხვია.

ანა ხელიდან გაუსხლტა და რაღაც გაუგებრად ჩაილუღლუღა.

მამაკაცმა გასაქანი არ მისცა, კუთხეში მიიმწყვდია.

— მას მერე ვერ დაგივიწყე, რაც პირველად გადმოაბიჯე ამ კარის ზღურბლს. დაგინახე თუ არა, ვიფიქრე, რომ ჩემი გახდებოდი. მე შენ დედოფლად გაქცევ, „გლობალტექსის“ დედოფალი იქნები. შენ იქნები იქ ყველაფრის განმკარგავი, დირექტორად დაგნიშნავ, — ეჩურჩულებოდა მამაკაცი, — მე მაგ საქმის არაფერი გამეგება, მე მფლობელი ვიქნები, შენ კი — დირექტორი.

— ხელი გამიშვით, — ქალმა გაიბრძოლა და მამაკაცის მკლავებს თავი დააღწია, — იოლი არ იქნება ჩემს უფროსთან ბრძოლა, უცებ ფარ-ხმალს არ დაყრის, — გააფრთხილა ანამ.

— მაგ მათხოვარს სულ კუდით ქვას ვასროლინებ. ამას ჩემს ხალხს ვუჩვენებ, — ელიზბარმა მაგიდაზე დაყრილი ქაღალდების მოგროვება დაიწყო, — და ამ 2-3 დღეში მაგ საქმეს ბოლომდე მივიყვან. დაგიკავშირდები აუცილებლად, ბევრი სალაპარაკო გვექნება.

— წავალ, — მორიდებით თქვა ანამ და ოთახიდან დაუმშვიდობებლად გავიდა.

როგორც კი კარი მიხურა და კიბემდე მივიდა, სიცილი ვერ შეიკავა. კედელს მიყრდნობილი ხმამაღლა ხარხარებდა. ეგონა, რადგან გვიანი საღამო იყო, შენობაში თანამშრომლები აღარ იქნებოდნენ, მაგრამ კარის ჭრიალის ხმა გაიგონა, ცოტა ხანში კი კიბის თავში შუახნის მამაკაცი გამოჩნდა, რომელიც ანას სათვალის ზემოდან უყურებდა. ქალმა სიცილი შეწყვიტა და კიბეზე ჩაირბინა.

სახლში ნუგზარი ელოდა. სულ გადაავიწყდა, რომ როდესაც ელიზბარს ელაპარაკებოდა, ნუგზარის ზარს არ პასუხობდა და იქიდან რომ წამოვიდა, გამომძიებლისთის დაერეკა.

— ვა, ნუგზარ, შენ ახალი ამბის გარეშე აქ არ მოხვიდოდი, არა? გუშინ მითხარი, ჯერ არ ვაპირებ ბათუმიდან წამოსვლასო და დღეს თავზე დამადექი... ხომ კარგი ამბავია? — შინ შესული ანა ერთი ფეხის წვერით მეორე ფეხის ქუსლს აწვებოდა და ფეხსაცმელს ისე იხდიდა. ერთად არც დაუწყვია, როგორც სჩვეოდა, დერეფანში დაყარა და მისაღებში ფეხშიშველი შევიდა. თან ენას არ აჩერებდა და ნუგზარს კითხვებს აყრიდა.

მამაკაცს არასოდეს ენახა ანა ასეთ არაოფიციალურ ვითარებაში და სიცილს ძლივს იკავებდა.

— ნინოოო, მეც მომიტანე ყავა, რაა, — დივანზე დაეხეთქა, — საშინლად დავიღალე, შენ ჯერ კიდევ არ იცი, აქ რა ამბები ტრიალებს...

და ნუგზარს ყველაფერი დაწვრილებით მოუყვა... იურისტის გაწაფული გონება ყველაფერს უცებ ჩასწვდა. თავს აქნევდა და ეღიმებოდა ანას მონაყოლზე.

ბოლოს, როგორც იქნა, მისი ჯერიც დადგა.

— აბა, ახლა შენ მითხარი, რა ხდება ნატოს საქმესთან დაკავშირებით, — როგორც იქნა, დაინტერესდა.

— ნატო ცოცხალია, — საზეიმო ხმით გამოაცხადა ნუგზარმა.

— რას ამბობ? სადაა მერე? თურქეთში?

— კი, ნამდვილად ასეა. შენი მეგობარი ცოცხალია, მაგრამ თურქეთში კი არა, კახეთშია გათხოვილი.

— ხომ არ გეშლება რამე?

— არა მგონია. თუმცა, გადამოწმება და საკუთარი თვალით ნახვაც არ გვაწყენდა.

— კი, მაგრამ — ეს როგორ?

— როგორ და აი, ასე... თურმე ბათუმში კახელი ბიჭი გაუცნია, იმას ცოლობა უთხოვია და ამასაც გადაუწყვეტია, რომ გაჰყოლოდა. თანაც ისე, რომ არავის სცოდნოდა. მაგრამ, მე მაინც მგონია, რომ დედამისმა იცის და არ ამხელს.

— გენიოსი ხარ, ნუგზარ! მისამართი თუ იცი?

— აბა რა... — რაღაცნაირად მოუქცია ნუგზარმა.

— ჰოდა, მაშინ ხვალ დილით კახეთში „მივფრინავთ“.

დილის 6 საათი იყო, როდესაც ნუგზარს დაურეკა.

— ანა, კარგი, რა, ნეტავ ერთი დღე გათენდებოდეს ისე, რომ შენმა ზარმა არ გამაღვიძოს. ცოტა დავიძინოთ და მოგვიანებით წავიდეთ. მაგალითად, 10 საათზე რომ გავიდეთ თბილისიდან, რა დაშავდება? ნატო მაინც აღარ გაიქცევა სხვაგან.

— რას ამბობ, რა მომათმენინებს 10 საათამდე?! ღამე ძლივს გავათენე, ისე ვინანე, რომ გაგიშვი... ღამის შუაღამისას წავედი. თანაც, საქმეები მაქვს აქ, უკან დაბრუნებაც ხომ უნდა მოვასწროთ? ადე, ადე, ნუ ხარ ზარმაცი, — შეუძახა გამომძიებელს, — რა ვქნა, რომ ასეთი საჭირო კაცი ხარ?

— ანა, — ხვეწნა გაურია ხმაში მამაკაცმა.

— ადეეე! ნუღარ მახვეწნინებ, ნახევარ საათში შენთან ვიქნები და თუ მზად დამხვდები, ხელფასს მოგიმატებ, — სტიმული მისცა.

— ხელფასით უკმაყოფილო ისედაც არ ვარ, არ მინდა მომატება. უმაგისოდაც მზად დაგხვდები, — ჩაიცინა ნუგზარმა და ტელეფონი გათიშა.

რამდენიმე საათის შემდეგ ანა და ნუგზარი სოფლის ორღობეში, მწვანედ შეღებილი ჭიშკრის წინ იდგნენ და მასპინძელს უხმობდნენ. ჭაღარა, ასაკოვანი ქალი გამოეგებათ.

— რამ შეგაწუხათ, შვილო, გზა ხომ არ აგებნათ? — სახე ხელით მოიჩრდილა ქალმა.

— არა, დეიდა, ნატოს ვეძებთ, ჩემი ბავშვობის მეგობარს და როგორც მითხრეს, თქვენი რძალი უნდა იყოს.

— არა, დედა, ჩემს რძალს ნატო არ ჰქვია, მარიამი ჰქვია.

— ბათუმელი არ არის თქვენი რძალი?

— არა, — მტკიცედ გააქნია თავი ქალმა, — თბილისელია, მაგრამ უპატრონო ბავშვთა სახლშია გაზრდილი.

— შეიძლება, რომ შემოვიდეთ, ქალბატონო?

— ჩემი რძალი არაა ის, ვისაც ეძებთ, — ქალი ჭიშკრის გაღებას არ აპირებდა.

— მივხვდით, ნამდვილად არაა ის, ვისაც ვეძებთ, მაგრამ წყალი დაგვალევინეთ, თანაც, მანქანას რაღაც გაუფუჭდა... მივხედავთ და წავალთ. 15 წუთზე მეტი არ გავჩერდებით.

ქალმა ბუზღუნით შეუშვა დაუპატიჟებელი სტუმრები.

ანა ეზოში, ხის ქვეშ დადგმულ მერხზე ჩამოჯდა, ნუგზარმა კი ონკანი მოუშვა და თან გარემოს ზვერავდა.

— ქალბატონო, დაბრძანდით, — ანამ თავის გვერდით მიიხმო ქალი და შეეცადა, ლაპარაკით გაერთო, რომ ნუგზარს თავისუფლად მოქმედება შესძლებოდა.

— დეიდა, ტუალეტი სადაა? — ჰკითხა გამომძიებელმა.

— კიბეზე ჩადი და იქვე, ხელმარცხნივ დაინახავ, — ქალმა ეზოს სიღრმისკენ გაიშვირა ხელი.

— ეს შენი ქმარია, შვილო? — ცნობისმოყვარეობა არ ასვენებდა მასპინძელს.

— არა, ქმარი არაა.

— აჰა, გასაგებია, — ისე ჩაიცინა ქალმა, რომ აშკარად აგრძნობინა, მივხვდი, საყვარელი რომაააო.

— ანა, — მოესმა ამ დროს ქალს და იქით გაიხედა, საიდანაც ხმა მოდიოდა.

სახლის პირველი სართულის ფანჯრიდან გაოცებული ნატო იყურებოდა და თვალებს არ უჯერებდა, რომ მის წინ სტუდენტობის მეგობარი იყო.

ნატო სირბილით გამოიჭრა სახლიდან და ანას გადაეხვია. მეგობრებმა კარგა ხანს ხმა ვერ ამოიღეს, ერთმანეთს ეხვეოდნენ და ტიროდნენ.

— ღმერთო ჩემო, საიდან — სად? ესეც ბედისწერაა, რომ მაინცდამაინც ჩემს ეზოში შემოხვედი, — ცრემლს იწმენდდა ნატო.

— შემთხვევით არ მოვსულვარ, გეძებდი და მოგაგენი, — გამოუტყდა ანა.

ნატო მოიღუშა. მიხვდა — რაკი ანა ეძებდა, მას ალბათ ყველაფერი ეცოდინებოდა მის შესახებ.

— დედაშენთან ვიყავი, იმან მითხრა, რომ დიდი ხნის წინ გაუჩინარდი, შენი მოძებნა გადავწყვიტე და აი, მოგაგენი კიდეც.

— წლებია, პოლიცია მეძებს და ვერ მიპოვა, შენ როგორ მოახერხე?

— ნატო, დედას რატომ ანერვიულებ? მას მაინც უნდა სცოდნოდა, რომ ცოცხალი ხარ...

— მან იცის... დედამ იცის, სად ვარ და ისიც იცის, რომ კარგად ვარ, — თავი დახარა ნატომ, — მხოლოდ მან და ჩემმა ქმარმა იციან სიმართლე. დედამთილმა ჩემი ნამდვილი სახელიც კი არ იცის... ვერავის ვეტყოდი, რადგან...

— მე ყველაფერი ვიცი, გოდერძი ვეღარაფერს დაგიშავებს. თუ მაინც გაბედავს შენს დაშანტაჟებას, ვანანებ, — ანამ ლაპარაკი შეაწყვეტინა.

— გოდერძის შესახებაც იცი? — ნატოს ცრემლი წასკდა.

— ნუ ტირი, ახლა თავისუფლად შეგიძლია გაამჟღავნო შენი ვინაობა და მშობლიურ ბათუმსაც ეწვიო.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მარი ჯაფარიძე

რა საერთო აქვს „გზავნილებსა“ და „პოკერებს“?

გამარჯობა, ჩემო მკითხველებო და მგზავნელებო — კარგებო და ძალიან კარგებო, ბრაზიანებო და ტკბილებო, „მესიჯდაბეჭდილებო“ და განაწყენებულებო... როგორ ხართ? კახელებს გილოცავთ გადარჩენას. მადლობა ღმერთს, ჭერმისხევი არ ადიდდა და კახეთი არ ააწიოკა. რისთვის არ შეგვიდარებია „გზავნილები“ — ზოგმა, ქალაქს ჰგავსო, ზოგმა — სკოლასო, ზოგიერთმა — ზღაპრის სამყაროსო... მაგრამ ერთმა მკითხველმა ის ისეთ რამეს შეადარა, ვერც კი წარმოვიდგენდი, რა საერთო შეიძლებოდა ჰქონოდა „გზავნილებსა“ „იმ სფეროს“. ან ჩვენი მკითხველის ფანტაზიას არ აქვს საზღვარი, ან კიდევ, იქნებ, სიმართლესაც ამბობს? ჯობია, მას მოვუსმინოთ: „გზავნილები „პოკერებს“ ჰგავს. მართალია, არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ ვიცი, იქ რაც ხდება. თავიდან მოგაგებინებენ, აზარტი რომ გაგიზარდონ. შემდეგ კი თანდათან აგებ და აგებ. შიგადაშიგ, იშვიათად, ისევ მოგაგებინებენ. თუმცა, ძირითადად სულ წაგებული ხარ. არადა, მოგების იმედით ისევ თამაშობ... თამაშობ... ასევეა „გზავნილები“. თავიდან გიბეჭდავენ გზავნილს, თუმცა, ძალიან მალე ნუუურას უკაცრავად! კარგა ხნით გბლოკავენ. მერე ისევ ერთს წასახალისებლად დაგიბეჭდავენ, ისევ გადაგკარგავენ „საბლოკეთში“ და ა.შ. თუმცა, ჩემთვის ჯერ არ ყოფილა ეს „პატარა დაბეჭდვა წახალისებისთვის“. მე მაინც ვწერ და მოთმინებით ველი ბლოკის მოხსნას. ისე, ეს ყველაფერი ახალ მგზავნელებს გვეხება, თორემ თითოეული ძველი მგზავნელის გზავნილი ზოგჯერ ორი ან სამი ერთადაც კი ხვდება. აი, ასეთია რეალობა. თუმცა, მაინც მოთმინებით ველით „ჩვენს ქუჩაზე გაზაფხულს“ და ვიღიმით. :-) არა მგონია, ამ მესიჯმა დღის სინათლე იხილოს, მაგრამ თუ იხილავს, წამოვა საყვედურები, ვიცი მე. ბამბუჩა“.

უიმედოდ შეყვარებული

„პირველად რომ შემიყვარდა, 3 დღე „გულდაღმა“ ვიწექი, 4 დღე — გულაღმა. ბებია გარშემო მივლიდა საჭმელით, დააღე, შვილო, პირი, თუ არა, მოვა მგელი და შეგჭამსო. შენც არ მომიკვდე, არც მისმა ხუმრობამ გაჭრა და არც მოჩლექილმა ენამ. ერთ დღეს ბაბუა წამოგორებულს მომვარდა: ადექი, ბიჭო, ძროხა შევიდა ყანაშიო. ეგონა, წამოვხტებოდი. — პაპი, რესტორანში ეგ არ შევა და ვალებს არ დაიდებს, რა განერვიულებს, — ამოვიზლუქუნე და გვერდი ვიცვალე. ბოლოს, რომ აღარაფერმა გაჭრა და ჩემს გამობრუნებას არ დაადგა საშველი, გადაწყვიტეს, ოჯახური კრება მოეწყოთ.

— რა სჭირს? — იკითხა ბაბუამ და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

— არ ჭამს, მოწყენილია, დაღვრემილი, — ჩამოთვალა „სიმპტომები“ ბებომ.

— ჭია ჰყავს, — დაასკვნა ბიძაჩემმა.

— ჭია და ხვლიკი შენ გყავს, — მიაქოქოლა ბებიამ შვილს.

— გეუბნებით, ჭია ჰყავს, მასე არ იყო ჩვენი ღორი? არ ჭამდა, მოწყენილი იყო და სულ იწვა, სანამ ჭიის წამალი არ დავალევინეთ, — პირველ ჩვენებას აწვებოდა ბიძაჩემი.

— მაგ ოხერის, მუტრუკის მუცელში რა ჭია გაჩერდება? მომავალი თაობის დაყრას ეგ ვერ მოესწრება, რაც მაგი დარბის, ყოველკვირა ექნება იმ საცოდავს სასიარულო, აბორტის საკეთებლად, — კვლავ მოწოდების სიმაღლეზე იდგა ბაბუ.

— ჭია ჰყავს, რატომ არ გჯერათ? ოღონდ — სიყვარულის (მიხვდნენ!).

ბაბუმ საკუთარ თავზე აიღო ჩემი გამოცოცხლება. პაპამ ტაბლა მოადგა საწოლს, გვერდზე ჩამოჯდა და დაიწყო:

— ამ პატარა სასმისით და დიდი გულით იმ გრძნობას გაუმარჯოს, ბუსავით რომ თეთრად გაგათენებინებს, დილით მამალივით აგაყენებს, ძაღლივით აგაყეფებს (ყეფაც, კაცო?) და კატასავით მოქნილს გაგხდის.

— ხარის ბღავილი და ცხენის ჭიხ-

ვინი დაგავიწყდა, ბაბუ, — გავიცინე იმ კვირაში პირველად. ამის შემდეგ რა მოხდა, აღარ მახსოვს. გონს რომ მოვედი, მე — წინ, ბაბუ უკან გამორბოდა, ჩვენ უკან კი — 3 დიდი ძაღლი. საქმე ისაა, რომ ჩემი შეყვარებულის პაპას ფერმა ჰქონდა და უამრავი ძაღლი ჰყავდა. პაპამ საქმეები გაურჩია: — რათ უშლი შენს ბაღანას ჩემს შვილიშვილთან ურთიერთობას, ჩემს გიოიას (გიო მქვია მე) რა აქვს შენი დასაწუნი, მე შენიო და გემრიელად, კახურად „დალოცა“ (თან რამდენი)... ჩემი პოტენციური საცოლის პაპამ კარი გააღო და დაიწყო... მე და ბაბუმ ისეთი სიჩქარე განვავითარეთ, შეგვირცხვენია შუმახერი.

— გიყვარს კიდევ, ბიჭო? — მომაძახა ჩამორჩენილმა მოხუცმა.

— საკუთარი თავიც ნამეტნავად მიყვარს, ბაბუ, — ვუპასუხე და მოვტყდი.

ამ ამბიდან 2 წელი გავიდა, ბაბუ გარდამეცვალა და მისგან უამრავი სასიამოვნო მოგონება დამრჩა. ჩემი პირველი სიყვარული კი სულ თავს მახსენებს. პირველ სიყვარულთან ერთად ვეზიარე „კახური კულტურის“ საიდუმლოსაც... P.S. მარი, ჯერ არ მინდა პაპაჩემთან წასვლა და ამ მესიჯს ხომ დაბეჭდავ? რუისპირი“.

მორიგე

„სიზარმაცეზე უნდა მოგწეროთ. წინა კვირას ვერ მოვახერხე... ერთ ქალს შვილი ეყოლა და დაიწყო მისი ტანჯვა-წამება. ძალიან მტირალა ბავშვი იყო. საკმაოდ მოსუქებული ქალი 2 კვირაში ისე გახდა, ლანდიღა დარჩა. ბავშვი მთელი ღამე არ აძინებდა დედას. ერთ დღეს ქმარმა უთხრა: დღეს შენ დაიძინე და მე მივხედავო. ქალმაც გულდამშვიდებულმა, მკვდარივით დაიძინა. შუაღამეს ბავშვის ტირილმა მაინც გააღვიძა. ხედავს, ქმარს ისე სძინავს, არაფერი ესმის. გააღვიძა საყვედურით, აკი შენ უნდა მიგეხედაო? ქმარმა კი უთხრა: ჩემს მორიგეობაზე ბავშვს მინდა, ვატირებ და მინდა, ვამღერებო... მის რეალი“.

მამამთილის შებმული რძალი

„შაკოს დედა არ ჰყავს, მამის გაზრდილია. მიეჩვივნენ შაკო და მამა ერთად, მარტო ყოფნას. ერთმანეთის საუკეთესო მეგობრები და მესაიდუმლეები გახდნენ. გაიზარდა ჩვენი შაკო, დავაუკაცდა და დაიწყო საპირისპირო სქესისკენ ყურება. დაუბერდა შაკოს მამა და დაუწყო ხვეწნა, უშვილიშვილოდ ნუ მომკლავო. არადა, ვერც ერთ გოგოსთან სერიოზულ ურთიერთობას ვერ ამყარებდა. ერთხელაც, მაღაზიაში ჩასულმა სკვერში მოსეირნე „გედი“ დაინახა, რომელიც საკმაოდ ხშირად აპარებდა თვალს მისკენ. დაინტერესდა პატივცემული იმ გოგოთი და მეზობლის ბიჭს გაატანა პური სახლში და დააბარა, თენგიზას (მამამისს) უთხარი, დამაგვიანდებაო. მივიდა და ჯიქურ გაეცნო გოგოს. გაისეირნეს, მერე ყავაზე დაპატიჟა და სახლამდეც მიაცილა. თურმე, გვერდით კორპუსში ცხოვრობდა. ტელეფონის ნომერიც გამოართვა და წამოვიდა. სახლში მოსულმა, რა თქმა უნდა, ყველაფერი უთხრა თენგიზს. ერთი კვირა კი ემესიჯა და შემდეგ საქმეებზე გადართულს, სულ გადაავიწყდა თეა. ერთხელაც, შემთხვევით ისევ შეხვდნენ ერთმანეთს. თეამ თბილად მოიკითხა და ბოდიში მოუხადა, გუშინ ჩამეძინა და ვეღარ მოგწერეო. შაკომ ერთი საცოდავად ჩაიღიმა და არა უშავსო, უთხრა. სახლში მოსულმა გაარკვია, რომ თურმე, საღამოობით, როცა სამსახურიდან დაღლილი, ტელევიზორის წინ იძინებდა, თენგიზა შაკოსივე ტელეფონით „კერავდა“ პოტენციურ სარძლოს. რაღა თქმა უნდა, შაკოს სახელით. მესიჯებს კი შლიდა. მოკლედ, საქმე სერიოზულად იყო და „კაკ მინიმუმ“, გულითად მეგობრებად მაინც უნდა დარჩენილიყვნენ, მაგრამ შაკო იმ კაცებს არ მიეკუთვნება, ქალვაჟის მეგობრობის რომ სწამთ. ერთი სიტყვით, უკან ვერ დაიხია და გააგრძელა მესიჯობა. აღმოაჩინა, რომ გოგო თურმე არ ეწევა და არ სვამს! მოკლედ, დანიშნეს პირველი პაემანი, შემდეგ მეორე და ნელ-ნელა ისე შეუყვარდათ ერთმანეთი, რომ დაქორწინდნენ კიდეც! აი, ასე! უკვე ტყუპის ბაბუაა თენგო! პატარა მავნე“.

„საძაგელი“ ჩაქუჩი

„მათე ძალიან ცელქი ბავშვი იყო. ერთხელ, ღრმად ჩაძინებულ ბაბუას მიეპარა და ორად ორ ღერ თმაზე კანაფის ძაფით დიდი ჩაქუჩი მიაბა, რომელიც შემდეგ გულზე დაადო. მალე ბაბუას გაეღვიძა და ახალგახელილი თვალები უადგილო ადგილზე დადებულ ჩაქუჩს მოჰკრა. ამას აქ რა უნდაო, ხელი დაავლო და ისროლა. ისროლა და თავზე შორეული ახალგაზრდობის სიმბოლოდ შემორჩენილი, ის ორი ღერი თმაც გააყოლა. ტკივილისა და სიბრაზისგან ისე ბღაოდა, ოთახში ყველა მინას ბზარი გაუჩინა. ერთხელ მათე ბიჭებთან კარტის სათამაშოდ წავიდა, მაგრამ შინ ადრე დაბრუნდა და შეცვლილი ხმით საკუთარი სახელი დაიძახა. გამოვიდა მამამისი თავსხმა წვიმაში, „რომელი ხარ“-ს, ძახილით. მათე გაჩუმდა. ალბათ მომეჩვენაო და უკან გაბრუნდა საბრალო კაცი. ბიჭმა ისევ დაიძახა, ისევ გამოვიდა უკუნ სიბნელეში გალუმპული კაცი. სად არის შენი ბიჭიო? — შესძახა მათემ ბოხი ხმით. არ არის, ბატონო, სახლშიო. სად არის, მე მაგის მამასო... და ის იყო, გინების „მესამე სართულზე“ ავიდა, რომ გამწარებული კაცის ყვირილი შემოესმა:

— მაგის მამასთან რა გინდა, შენს მამას ტუ-ტუ-ტუო... ხომ გალუმპა საბრალო, ეს არ აკმარა, საკუთარ თავზეც აგინებინა. მათე უკვე დაკაცდა, ცოტა დასერიოზულდა, მაგრამ ახლა ფოკუსები ისწავლა და ხანდახან მაინც წაიმაიმუნებს ხოლმე. ამას წინათ ერთ ოჯახში მოხვდა სუფრაზე. იქ 3 წლის ბავშვი დახვდა. წამოსვლისას მშობლების — „ნუ წუხდების“ ფონზე, ბავშვს ტანსაცმელში 20-ლარიანი ჩაუკუჭა. ცოტა ხანში, უცებ ხომ არ ეცემოდა, დედამ ბავშვს ფული მოუძია, მაგრამ ვერ მიაგნო. ტანზეც გახადა, სათითაოდ დაფერთხა სამოსი და ისევ არაფერი. სად დაკარგეო? ერთი წამოარტყა საცოდავ ბავშვს და სახლის დალაგებისას ყველა კუთხე საგულდაგულოდ მოათვალიერა. მეორე დღეს გაიგეს, რომ მათემ იხუმრა და ფოკუსის წყალობით ფული იქ არც ჩაუდვია. P.S. იმედია, არ მიწყენს. ის დავწერე, რაც იყო. კამელია“.

ფეხბურთს შეწირული სამსახური

„კიდევ კარგი, მგზავნელების ასაკი შეზღუდული არაა. ბანალური არ მინდა ვიყო, მაგრამ სხვაგვარად როგორ გადმოვცე ის, რასაც „ხუთშაბათის ციებცხელება“ ჰქვია? ეს „უკურნებელი სენი“ წლების წინ მეც შემეყარა. თუმცა, „მკურნალობა“ (მესიჯების მოწერა) არასოდეს მიცდია. ერთი ამბავი მინდა გავიხსენო, როგორ შევწირე სამსახური ფეხბურთს. კაზინოში ვმუშაობდი. იმ დღეს იყო ჩემი ფავორიტი გუნდის, მადრიდის „რეალისა“ და ლევერკუზენის „ბაიერის“ მატჩი. ვისაც კაზინოსთან რაიმე შეხება აქვს, გამიგებს, რას ნიშნავს OVER TIME. ეს ის შემთხვევაა, როდესაც აუარება ხალხი მოდის, მოდის, და ბოლო არ უჩანს. ამ დროს გავალდებულებენ, დამატებითი საათები იმუშაო და მენეჯერის შერჩეულ სიაში მეც აღმოვჩნდი, მაგრამ როგორ გამოვტოვებდი ასეთ გრანდიოზულ „ჯახს“, როცა უკვე წინასწარ ვტკბებოდი მატჩის ტრანსლაციის დროს ნერვულად ჩახრამუნებული ჩიპსების, ლიტრობით მირთმეული ლუდისა და სიგარეტის ნამწვავების გროვით, ჩემს მინიატიურულ საფერფლეში. დღემდე მახსოვს ის განცდა, რაც „რეალის“ გამარჯვების დროს დამეუფლა. მეორე დილით კმაყოფილი ღიმილით შევაღე კაზინოს კარი. თანამშრომელმა კი ტრაგიკული სახით მაცნობა: „დატოვე უნიფორმა, გათავისუფლებული ხარ“. რაღას ვიზამდი? წამოვედი სახლში და მოუთმენლად ველოდი დიმა ობოლაძის ფეხბურთის მიმოხილვას, შაბათობით რომ გადიოდა ხოლმე. :-) დიდი გოგო“.

სევდიანი ამბავი

„ბანკეტიდან მოდიოდა ნია. ოდნავ სევდიანი, ოდნავ მხიარული. ენანებოდა კლასელებთან გატარებული დრო. ცისფერი თვალები სევდით ევსებოდა. თუმცა, ეშმაკუნებიც დაუხტოდნენ. მიდიოდა ნია და პატარა, მაგრამ ამაყი მხრებით მიჰქონდა ბიჭების აღტაცებული მზერა და ქალების შურიანი თვალები. მიდიოდა ნია და ყველას

ულიმოდა. გრძელი, ხვეული თმა მხრებზე ეყარა და თითქოს ვერც ამჩნევდა ვაჟს, სკოლიდანვე უკან რომ მოჰყვებოდა. მოულოდნელად გზა გადაუჭრა ვაჟმა და ატმის აყვავებული ტოტი გაუწოდა: შენსავით ლამაზი და უბინოა ისიც! — უთხრა ხმადაბლა და თითქოს მიწამ ჩაყლაპაო, გაუჩინარდა. თუმცა, ნიას მაინც მოესწრო მისი შეთვალიერება და მონუსხა ვაჟის საოცრად მწვანე თვალებმა. მერე კი იყო უდიდესი გრძნობა და სიყვარულით ანთებული თვალები... ერთად მოვლილი ჯვარი, ზედაზენი და არმაზის ციხე. იყო სიყვარულით გამთბარი გულები და უცხო ადამიანების ალერსიანი მზერა. მერე კი გაზაფხულის ღამესავით ლამაზი ჯვრისწერა და მტრედივით თეთრი ქორწილი. იყო მღვდლის გულწრფელი სიტყვები: „საოცრად უხდებით ერთმანეთს“... მერე კი ერთად გათენებული ბედნიერი დღეები და ახალი სიცოცხლე ნიას სხეულში. სწორედ ამიტომ ტიროდა გოგონა. ტიროდა ბედნიერებისგან და ამშვიდებდა შეშინებული ლევანი. არ იცოდა, რა ატირებდა მის „მტირალა მზეს“. გულში ჩაიკრა გოგონა და ძლივს გასაგონი ჩურჩული მოესმა: „არ გინდა, მამა იყო?“ ლევანი ჯერ შეცბუნდა. შემდეგ გაიაზრა ნიას სიტყვები. მერე — მისი ცრემლებიც და უცებ სიხარული აფეთქდა მასში. მიხვდა, რაც ატირებდა ნიას და გახარებულმა ჩაიხუტა ცოლი. მუცელზე მოეფერა და თითქოს იგრძნო პატარამ, ვინც ეფერებოდა... შემდეგ კი პატარა ბარბარეს ნათელი მზერა და უდიდესი სიხარული... დაბოლოს, სისხლიანი ერაყი, რომელსაც ამდენი ადამიანი შეუწირავს. ლევანის განცხადებამ, ერაყში მოხალისედ მივდივარო, ნიას გული შეუკუმშა, მაგრამ იცოდა ქმრის ხასიათი და კრინტი არ დაუძრავს. მხოლოდ პატარა ბავშვივით მოეხვია კისერზე. წასვლამდე იყო ცრემლი და პატარა ბარბარეს კისკისი. წასვლის შემდეგ ორწლიანი მოლოდინი და ავისმომასწავებელი ცნობა ერაყიდან: „თქვენი მეუღლე გმირულად დაიღუპა. 112-ე პოლკი გიცხადებთ თანაგრძნობას“. მერე კი ტირილი და ცრემლები ლევანის ტანისამოსზე, შავზე უშავესი კაბა და გაცრეცილი სახე. გაუმაძღარი დროის სტომაქში გამქრალი შვიდი წელი და პატარა ბარბარე, რომელიც გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა მამას. მერე კი 21 დეკემბერს მიღებული წერილი: დაბადების დღეს გილოცავ, ჩემო ცრემლიანო მზეო... WITE ANGEL“.

ნათხოვარი ქმარი

„ყველაფრის თხოვება გამიგია სამეზობლოში — ქვაბის, უთოს, სკამის, მაგრამ ქმრის თხოვება პირველად გავიგონე. გათენებული არაა, რომ ტელეფონი რეკავს.

— მზია, შენი ქმარი სახლშია? ცოტა ხანს მათხოვე, რა, პატარა მოსაჭერი მაქვს რაღაც.

ეზოდან მეორე მეზობლის კივილი ისმის:

— მზია, შენი ქმარი რომ მოიცლის, თუნდაც ღამე იყოს, მათხოვე ცოტა ხანს, გასახვრეტი მაქვს პატარაზე (კედელი)...

იქით მესამე მეზობლის ქალი წუწუნებს, რით ვერ მოიცალა ჩემთვის, სამი დღეა, ველოდებიო. განსაკუთრებით ერთი მეზობლის ქალბატონი აქტიურობს, მეც მზია მქვია და ნახევარზე ჩემი ქმარიცაა. ეგრე, გენაცვალე, მზია კვირიკაშვილსაც მზია ჰქვია და საერთოდ, საქართველოში ბევრი მზიაა. რა ვუყოთ, საპროტესტო აქციებს ხომ ვერ მოვაწყობ, მოთხოვნით: „საქართველოში ყველა მზიას გადაერქვას სახელი და საერთოდ აიკრძალოს სახელი „მზიას“ დარქმევა!“ — შფოთავს დედაჩემი. უჰ, რას „გვიშვრება“ ეს მთავრობა კი არა და... თქვენ მექალთანე კი არ გეგონოთ მამაჩემი, სამსახური აქვს ასეთი. მარტო სამეზობლოს კი არა, მთელი ქალაქის საყვარელი ხელოსანია, — ყველას გაჭირვების ტალკვესი. ამიტომაც ყველას უყვარს. აბა! ასეთი საყვარელი მამიკო მყავს. მიყვარხარ, მა!“

„მერე რა, რომ რუსია“

„1 წელია, თვალზე ცრემლი არ შემშრობია და გულით არ გამიხარია, რადგან დედიკოს სიცოცხლე კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა და ქართველმა ექიმებმა იმედი არ მოგვცეს. მოსკოვში დავუკავშირდით საუკეთესო სპეციალისტებს. მათ, დედას განკურნებაზე პასუხისმგებლობა აიღეს და მთელი წელია, ზრუნვას არ აკლებენ. დედა მომიყვა, თურმე ჩემი ლექსები უთარგმნია მათთვის. უტირიათ და სურვილიც გამოუთქვამთ, შენმა ქალიშვილმა ჩვენთან გაატაროს ზაფხულიო. მისი ოპერაციის დღეს კი ერთმა მოსკოველმა ქალბატონმა ქართულ ტაძარში იმდენი სანთელი დაანთო, რამდენი წლისაც დედუცია. მზად ვარ, მუხლმოდრეკილმა დავუკოცნო ხელები იმ ადამიანებს, ვინც მშობელი გადამირჩინა და ათასგზის მადლობა შევწირო. მერე რა, რომ ისინი რუსები არიან? სიკეთე ყველაფერზე მაღლა დგას. სულ მალე დამიბრუნდება ჩემი უძვირფასესი არსება და მე ისევ ბედნიერი ვიქნები! დედასთან ერთად დავიბრუნებ დაკარგულ სულიერ სიმშვიდესა და ხალისს. გკოცნით, თქვენი პარიჟანკა“.

„დედალი“ სანდრო

„მანაველი ვარ. ყველამ იცით, რომ თურქეთის ავტობუსზე გამცილებლად ვმუშაობ. კოლეგა მყავს ერთი, სუფთა სანდროა „შუა ქალაქიდან“, ოღონდ — მდედრობითი სქესის. ლიფტით ავდიოდით გოგონები მეხუთე სართულზე და ორჯერ მივაჭირეთ გამოსაძახებელ ღილაკს თითი. „სანდრომ“ გულუბრყვილოდ იკითხა: ვაიმე, ეს ლიფტი ახლა 2-ჯერ ავა და ჩამოვაო? მგზავრი ეუბნება, დაფნარში ჩავდივარ და ყურადღება მომაქციე, არ გავცდეო. „სანდრომ“ უყურა გზას, უყურა და შეწუხებული ხმით უთხრა ქალს: ქალბატონო, რა ხანია ვაკვირდები გზას და დაფნის ბუჩქები ვერსად შევნიშნეო. ეს მცირედია, მასთან ყოველდღიურ ურთიერთობაში მეტი კურიოზია. ახლა ჩემს ლაზ მძღოლზეც მოგახსენებთ, რომელმაც ქართული ცუდად იცის. ერთხელ ქობულეთიდან გამოვდიოდით, ყველა ვმხიარულობდით, რადგან საქართველოში ვიყავით უკვე. პატრულმა გაგვაჩერა. ყველა დავიძაბეთ, არ გვესიამოვნა, გვეგონა, დასაჯარიმებლად გაგვაჩერეს. ზექი აბიმ ფანჯარა ჩასწია და მხიარულად მიესალმა. პატრულს ეგონა, ქართველიაო და ძმურად, ჩვენი თანამშრომელი წყალწმინდამდე გაიყოლეო, — სთხოვა. ზექი აბი არ დაიბნა: რაო, გენაცვალე, წყალი გინდათო? ცალკე ავტობუსი ირწეოდა მგზავრების ხარხარისგან, ცალკე პატრულები მიესვენნენ მანქანას და ისე იცინოდნენ. ზექი აბი კი ნაძალადევი ღიმილით უყურებდა მათ. მანაველი“.

ბუს კვერცხები

„როცა პატარები ვიყავით მე და ჩემი დაიკო, დედამ სამსახურიდან პატარა, ძალიან გემრიელი, ფერად-ფერადი ბურთულები, დრაჟეები გამოგვიყოლა. ნუ, მე და ჩემი და დავიშოკეთ, ისე მოგვეწონა. — დე, ამას რა ჰქვია? — ვკითხე გაოცებულმა.

— ბუს კვერცხები, — სერიოზულად მიპასუხა დედამ.

ბუს კვერცხებიო?! ჩემთვის ვფიქრობდი და ოდნავადაც არ შემპარვია ეჭვი იმაში, რომ დედა გაგვეხუმრა. ის დღე იყო და ის, მე და ჩემმა დამ გადავწყვიტეთ, ფული შეგვეგროვებინა და რაც შეიძლება მეტი ბუს კვერცხი გვეყიდა. მაშინ მე 5 წლის ვიქნებოდი, ჩემი და — 3-ის. როგორც იქნა, დადგა ნანატრი დღე და შეგროვებული ფულით, მაღაზიაში ჩუმად წავედით. აბა, 5 წლის ღლაპს მაღაზიაში ვინ გამიშვებდა? თან საკმაოდ შორსაც იყო. დახლთან, ჩვენსა და გამყიდველს შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

— უი, გენაცვალე, ვისები ხართ, შვილო? ვინ გამოგგზავნათ? — მოგვეფერა მოხუცი გამყიდველი.

— ჩვენ თვითონ მოვედით, ბუს კვერცხების საყიდლად, — ვუთხარი სხაპასხუპით.

— რის საყიდლად? — გაოცდა მოხუცი.

— ბუს კვეერ-ცხეე-ბიის! — დამარცვლით ვუპასუხე.

— არა, შვილო, ეგეთი არაფერი გვაქვს. ქათმის კვერცხი გინდათ?— გაეცინა მოხუცს.

— არა, რა ქათმის კვერცხი? აი, ბუს კვერცხეები რომაა, პატარები და ლამაზები, ის მინდა მეე... — გავბრაზდი და გაბუტულივით ჩავილაპარაკე.

— ჰო, დედამ მოგვიტანა ტკბილი

ბუს კვერცხები, — როგორც იქნა, ხმა ამოიღო ჩემმა დამ. ამის თქმა და გამყიდველის ჩაბჟირება ერთი იყო.

ირგვლივ ყველა იცინოდა.

— უი, ქაა, ეს რა კარგები არიან?! ბუს კვერცხები საიდან მოაგონდათო?!

მე გავწითლდი. არ მესმოდა, რატომ იცინოდნენ. ვიფიქრე, ალბათ აქ ეგეთი რამეები არ აქვთ-მეთქი. მაღაზიიდან გამოვედით და ბოლო ხმაზე ავღრიალდი: ეს რა მაღაზიაა, ბუს კვერცხებიც კი არ აქვთ. აი, ასეთი ბუტუსურა ლაწირაკი ვიყავი. იმას, რომ დედამ მომატყუა და არანაირი ბუს კვერცხები არ არსებობს, მოგვიანებით მივხვდი, როცა ცოტა წამოვიზარდე. ამ ამბის გახსენებისას, სადაც უნდა ვიყო, გიჟივით ვიცინი, დედამ კი დღემდე არ იცის, რომ მაღაზიაში ბუს კვერცხების საყიდლად წავედი. მააშ... გკოცნით და მიყვარხართ. ლაკგიმოზა“.

„არყის გამყიდველო, მიწაგასახეთქო“...

„ერთ ამბავს მოგიყვებით. არ ვიცი, „ცენზურას“ როგორ გაივლის და დამიბეჭდავ თუ არა, მაგრამ მაინც ვცდი. :) ეს ამბავი ჩემი გურული დაქალის ასევე გურულ ბაბუას გადახდა თავს. ადრე, როცა ალკოჰოლის გაყიდვა იკრძალებოდა, დაქალის ბაბუ არაყს ჩუმად, ახლობლებში ყიდდა. ერთ მშვენიერ დღეს, რადგანაც სოფელში ხმა დარხეულა, რომ ნოდარი ბაბუ ჩუმად ყიდდა არაყს, მას „მშრალი კანონის“ დამცველი „სტუმრები“ ეწვივნენ. ნოდარი ბაბუმ „სტუმრების“ მისაღებად საგულდაგულოდ გაამზადა ბოცები, — წყლით გაავსო და არყის ბოცებს წინ დაულაგა. საღამოს „სტუმრები“ მივიდნენ იმის შესამოწმებლად, ჰქონდა თუ არა ნოდარი ბაბუს არაყი. მან, რა თქმა უნდა, უარყო და მეტი დამაჯერებლობისთვის ისინი სარდაფშიც კი ჩაიყვანა. „სტუმრებმა“ ბოცებიდან სითხის გასინჯვა მოითხოვეს, რაზეც ბაბუმ თავაზიანად დაუკრა თავი და ბოციდან ამოღებული წყალი გაასინჯა. „სტუმრებმა“ მეორე ბოცის გახსნა მოითხოვეს, შემდეგ მესამის და როცა დარწმუნდნენ, რომ ბოცებში წყალი იდგა, ბაბუს ამის მიზეზი ჰკითხეს და თან უკან მდგარი ბოცების გახსნა დაავალეს. აქ კი მაგრად დაერხა ბაბუს და გურული იუმორის გამოყენება გადაწყვიტა. სტუმრებს მიუბრუნდა და უთხრა: როცა ჩემი დიდი ბაბუა დაიღუპა, მამაჩემის მამას დაუბარა, მისი ნაბანი წყალი შეენახათ და ამ წყალში მის შემდეგ ყველა გარდაცვლილი გაებანათ და არასდროს გადაეღვარათო. გაქცეულ „სტუმრებს“ ბოლო სიტყვები უკან მიაძახა. მას შემდეგ ბაბუ არასდროს შეუწუხებიათ. ლიკა15“.

ტყუილი

„ერთ დღეს ტელეფონით ბიჭი გავიცანი. თავიდანვე ტყუილებით დაიწყო ყველაფერი. ათასი რამე მომატყუა. „უცბაშად“ მოვწვი, რა ტიპიც იყო. მოტყუებით არაფერი მომიტყუებია, მაგრამ მასთან ისეთ ადამიანს ვთამაშობდი, როგორიც არასოდეს ვყოფილვარ და არც ვიქნები (ღმერთმა დამიფაროს). ნუ, ამ ყველაფრით მაგრად ვერთობოდი... სულელი, გულუბრყვილო, მგრძნობიარე გოგონას როლმა ძალზე გამიტაცა. იმდენადაც კი, რომ ნამდვილად შემიყვარდა. სიმართლეს როგორღა ვეტყოდი? ან რა უნდა მეთქვა? მოკლედ, თავი დავარწმუნე, რომ არ მიყვარდა და ეს უბრალო მიჩვევა იყო. კარგადაც მოვიქეცი, რადგან ის ისეთი ამაყი და „ნაგლი“ იყო, უბრალოდ, გაკვირვებას ვერ ვმალავდი. როგორც ჩანს, ჩემი სიცანცარეები ყელში ამოუვიდა და კარგადო, „მთხლიშა“. :) ნერვები ამეწეწა, რადგან ყველაფერი ისე წარიმართა, თითქოს ზედ ავეკიდე და აღარ ვეშვებოდი. პკ-მეთქი, მეც მივწერე გაანჩხლებულმა და შურისძიებას მოწყურებულმა. მალე მისი ნომერი დაქალებში და ძმაკაცებშიც კი გავაბაზრე, მაგარი ნაშაა-მეთქი. ბევრი ვიხალისეთ, მაგრამ მერე მოხდა უბედურება: ადამიანების და განსაკუთრებით მამრობითი სქესის (ნუ, ის პრინციპში არც ერთს არ მიეკუთვნება) ნდობა დამეკარგა. ასე მგონია, ყველა რაღაცას თამაშობს და მეაფერისტება. ვიცი, ეს ჩემივე ბრალია. ადამიანი როგორიც ხარ, ყველა ისეთი გგონია. მე კი ვინ გამოვდივარ? აფერისტი და მოთამაშე, მაგრამ მაინც არ ვნანობ. ვიცი, გიგიჩო, ამ მესიჯს კითხულობ და მიხარია, რომ მიხვდები, ვინც ვარ. შეიძლება, ვერც მიხვდე, რადგან ტვინმა ვერ გაქაჩოს. „(გ)იგი წავა და სხვა მოვა, ტურფასა, საბაღნაროსა“. ასე რომ, თავისუფალი ვარ და ველი ნამდვილ სიყვარულს! P.S. მამაკაცების 90% ასეთია. გოგონებო, თავი დაიფასეთ! P.S.S. ჩათვალეთ, ჩემი სახით ახალი მგზავნელი შეგემატათ. ტერეზა“.

დაბრუნება

„ამ ამბის გმირს გიორგი ჰქვია. იგი 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაიჭრა და რუსებს ტყვედ ჩაუვარდა. გიორგი რუსეთის ტერიტორიაზე, სამხედრო ჰოსპიტალში მოხვდა, სადაც ქართველი ექთანი მუშაობდა. მან ნახევრად მკვდარი გიორგი „მოიპარა“, მოსკოვში კლინიკაში წაიყვანა და თავის ძმად გაასაღა. ვინაიდან რუსებს გიორგის გადარჩენის იმედი არ ჰქონდათ, მისი გაუჩინარებისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ. გიორგი გამოკეთდა, მაგრამ სრულად გამოჯანმრთელება ვერ შეძლო. მას დროებითი ამნეზია დაემართა. გავიდა 1 წელი. გიორგის თანდათან მეხსიერება უბრუნდებოდა. ექთანის დახმარებით, სამუშაო იშოვა და საქართველოში დასაბრუნებლად საკმარისი თანხაც შეაგროვა, მაგრამ არანაირი საბუთი არ გააჩნდა. მიუხედავად ამისა, საზღვრის გადმოკვეთა შეძლო. ზუსტად 1 წლის და 7 თვის შემდეგ მშობლიურ სოფელს მიადგა. თანასოფლელები და ოჯახის წევრები გაოცებულები მისჩერებოდნენ. მათ გიორგი გარდაცვლილი ეგონათ და საფლავიც კი გაუკეთეს. კარგა ხნის შემდეგ, როცა ყველამ დაიჯერა, რომ ნამდვილად გიორგი იყო და არა მისი სული, როცა დედამისი და ბებია მოაბრუნეს ამქვეყნად, გაიშალა სუფრა. მთელი კვირა ქეიფობდნენ. გიორგიმ თავისი საფლავიც კი მოინახულა. შემდეგ მოსკოვიდან ექთანი ნინოც ჩამოვიდა და მალე ქორწილი გაიმართება. ამხელა ამბავი იმიტომ მოგიყევით, რომ ყველა, ვინც ერთმანეთს კბენს და შეურაცხყოფას აყენებს, წაიკითხოს და მიხვდეს, ჩვენს ხალხს როგორ უყვარს ერთმანეთი. რუსეთში ქართველმა ქართველი არ მიატოვა და თქვენ (მხოლოდ იმან მიიღოს, ვისაც ეხება) რაღა დაგემართათ? არ შეიძლება, შეხმატკბილებულად ვიცხოვროთ? როდესაც უცხო ქვეყანაში მოხვდებით, უცხოელების გარემოცვაში, მაშინ გაიგებთ ერთმანეთის სიყვარულს. გაუფრთხილდით ერთმანეთს. ახალი მგზავნელი ვარ, მაგრამ ძველი მკითხველი და ვიცი, აქ რაც ხდება. H1N1. P.S. „მობილი-ზაციაში“ მესიჯს ვერ ვგზავნი და მიშველეეე... გაკოცე“.

„300 წლის“ სვანი

„მამაჩემის აწ გარდაცვლილი ნათესავი ახალგაზრდობაში დღიურ მუშად ხშირად დადიოდა თურმე რაჭაში. ქვრივ დიასახლისს ძალიან მოსწონებია სვანი ვაჟკაცი და ყველანაირად ცდილობდა მის მოხიბვლას. რთული სამუშაო დღის შემდეგ ჯერ ვახშმით გაუმასპინძლდა, შემდეგ ფეხის დაბანა მოუნდომა საკუთარი ხელით. გადარეულა კაცი, როგორ გეკადრებათ, უცხო ქალბატონს კი არა, ცოლს არ ვრთავ მაგის ნებასო. ღამით ქვრივი მიუწვა გვერდით დაქანცულ მუშას და მიუხედავად ბევრი მცდელობისა, ვერაფერს მიაღწია. თავი შეურაცხყოფილადაც იგრძნო, ლამაზი ქალი ვარ, რატომ არ მოგწონვარ, თანაც ვიცი, 9 შვილი გყავს სახლში დატოვებული და მაინცდამაინც ახლა შეგისრულდა 300 წელიო? კაცმა უპასუხა, მთელი დღეა, შენს ეზოში მუხლჩაუხრელად ვშრომობ, არც ცოლის ღალატი მინდა და არც ჩემი 9 შვილია ერთი ღამის ნამუშევარიო. სვანის ასული“. ■

თქვენთვის საინტერესო თემაზე ამბები შეგიძლიათ გამოგზავნოთ მესიჯებით ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწეროთ ელფოსტაზე:
marorita77@yahoo.com

„სიყვარული დაუპატიჟებელი სტუმარივითაა“

„შენი ცხოვრების ლამაზი წუთები უბრალო ტილოზეც დაიწერება“

„გზის“ №16-ში დაიბეჭდა 18 წლის დაბნეულის მესიჯი, რომელიც გვწერდა, რომ ყველა, მათ შორის, კლასელი ბიჭებიც კი ეკაიფებიან. „ჰოდა, თავი უბრალო ტილო მგონია. ცუდი გოგო ნამდვილად არ ვარ და არც ის მინდა, ვინმეს ვაწყენინო. ასე მგონია, შინაბერად დავრჩები. დაბნეული ვარ...“

ლიკა ქაჯაია

იკუშკები:

„საყვარელო, ჯერ ძალიან პატარა ხარ საიმისოდ, რომ მსგავს პრობლემებზე იფიქრო. ხომ იცი, რომ სიყვარული მოულოდნელად მოდის? ახლა სწავლაზე ფიქრი სჯობს, დამიჯერე. წინ სტუდენტობა გელის, რაც თავისთავად, ახალ ნაცნობებსა და თავგადასავლებს გულისხმობს. შენ დაბნეული და თავმდაბალი კი არა, თავდაჯერებული, ამაყი უნდა იყო. არ შეიძლება, ადამიანი საკუთარ თავზე ასე ფიქრობდეს, მით უმეტეს, რომ არავის დასაცინი და საკაიფო არ ხარ. შენ უპირველეს ყოვლისა, პიროვნება, ქალი ბრძანდები და ამით ამაყი უნდა იყო, სიყვარული კი აუცილებლად მოვა“.

კახნო:

„ჯერ 18 წლის ხარ და ასე არ უნდა ფიქრობდე. აუცილებლად იპოვი ისეთ პიროვნებას, ვინც ნამდვილად შეგიყვარებს“.

ანუკა:

„ნუ ნერვიულობ, საყვარელო, შინაბერად ნამდვილად არ დარჩები. ყველას აგრძნობინე, რომ მათზე ნაკლები არაფრით ხარ და თავი მაღლა ასწიე, შენს კლასელ ბიჭებს თავისი ადგილი მიუჩინე. აბა, შენ იცი. იმედი მაქვს, ამ საქმეს თავს გაართმევ!“

მიკო:

„არა უშავს, მეც ასე ვიყავი, მაგრამ გამოჩნდა ადამიანი, რომელმაც შემამჩნია და შემიყვარა. ჰოდა, ახლა მშვენიერი ოჯახი მაქვს“.

უფროსი ქალი:

„ჩემო პატარავ, თავი მაღლა ასწიე, მხრებში გაიმართე და ყველას თამამად შეხედე თვალებში. არა მგონია, ცუდი, უშნო გოგო იყო. იცოდე, დაჩაგრულს ვერავინ შეგამჩნევს. გამხნევდი“.

სტინგი:

„ეჰ, ჩემო დაბნეულო, 17 წლის ვარ და მიუხედავად იმისა, რომ თაყვანისმცემლები არ მაკლია, მეც ასე ვფიქრობ... გირჩევ, ეგ აზრი თავიდან ამოიგდო. რაკი ვიღაცები გეკაიფებიან, ეს იმას არ ნიშნავს, რომ შინაბერად დარჩები. მათ კაიფში შენც აჰყევი და ვინ იცის, იქნებ, შენში კარგი თვისებები აღმოაჩინონ. გამხიარულდი და გემრიელად იცხოვრე; მიზანი დაისახე და მის მისაღწევად იბრძოლე, ნაცნობები შეიძინე. წარმატებები!“

MISS SMILEY:

„ჯერ 18 წლის ხარ და რა დროს შინაბერობაზე ლაპარაკია, გენაცვალე?! გაიღიმე და გახსოვდეს, სიყვარული დაუპატიჟებელი სტუმარივითაა — მაშინ მოდის, როცა ნაკლებად ელი“.

გამგუჩა:

„მეც შენსავით ვიყავი — ჩუმი, მორიდებული და კომპლექსიანი. სკოლის ასაკში არც მე ვიყავი ყურადღებით განებივრებული. მართალია, არც ახლა ვარ თამამი, მაგრამ წლებმა მაინც, თავისი მოიტანა — უფრო კონტაქტური გავხდი. იარე თავშეყრის ადგილებში, ეცადე ადამიანებთან მეტი ურთიერთობა გქონდეს. სხვათა შორის, იმასაც გაგიმხელ, რომ პირველად ბიჭს 20 წლის ასაკში ვაკოცე :)). ყველაფერი წინ გაქვს. იყავი კეთილი, თბილი და აუცილებლად გამოჩნდება ადამიანი, რომელიც შეგიყვარებს“.

ლუნა:

„რამ დაგაბნია, ჩემო კარგო? ჩემი მეზობელი, რომელიც 1 კვირის წინ 30-ის გახდა, არ დარდობს გაუთხოვრობას. პირიქით, ამბობს: რა მეჩქარება? ჩემი ბედი მაშინ მოვა, როცა საჭირო იქნება, ჯერ ყველაფერი წინააო და შენ, 18 წლის ნორჩ გოგოს რაღა გაღელვებს? ნუ დარდობ, სიყვარული თავისით მოვა. მთავარია, მოთმინება იქონიო და ყურები არ ჩამოყარო, ხშირად გაიღიმე. ისე, რატომ გეკაიფებიან? „ლოვე“ რომ არ გყავს, იმიტომ? — ვინც ამის გამო აბუჩად აგიგდებს, მხოლოდ სიბრალულის ღირსია. ლამაზ სიყვარულს გისურვებ!“

ურჩი გოგო:

„რა დროს შინაბერობაზე ფიქრია?! მეც შენი ტოლი ვარ და მიმაჩნია, რომ აუცილებელი არაა, ამ ასაკში შეყვარებული მყავდეს! მე ერთადერთხელ მიყვარდა და დღეს იგი ცოცხალი აღარაა. თუმცა, იმედს მაინც არ ვკარგავ, ისევ ველოდები დიდ სიყვარულს. ასე რომ, გაიღიმე და იმაზე იფიქრე, რომ მიუხედავად ყველაფრისა, ვალდებულნი ვართ, ბედნიერი ვიყოთ — თუნდაც, საყვარელი ადამიანების გამო“.

კუტრინა:

„ძალიან ცუდად მსჯელობ, როცა ამბობ, — ჩემი შესაფერისი ვერავინ ვნახეო. ბოდიში, მაგრამ არა მგონია, ისეთი ლამაზი იყო, რომ ამქვეყნად შენი შესაფერისი ბიჭი არ დადიოდეს. ადამიანში მთავარი სულია და მერე, მისი გარეგნობა... რაც შეეხება კაიფს, ყველა „დაიკიდე“ და იცხოვრე შენი ცხოვრებით, მათ კი ეს სისულელე მობეზრდებათ და შეგეშვებიან. წარმატებები, პირადში!“

მისტერ:

„დაბნეული შენ კი არ, მე ვარ — აბა, 18 წლის გოგო რა შინაბერობაზე ლაპარაკობ?! ცოტა გამომწვევად, ოღონდ, სწორად ჩაიცვი, მაკიაჟი გაიკეთე, ფრჩხილებს მიხედე, კაი „კვასკვასა“ წითელი პომადა წაისვი, სარკესთან დადექი და სასიამოვნოდ გაღიმება ისწავლე (ოღონდ, მთლად „შპილკებჩაცმულ“ საფრთხობელას არ დაემსგავსო). დამიჯერე, ასეთი გოგონები ბევრს, მათ შორის, მეც მოსწონს. ჰოდა, რა იცი, იქნებ შემთხვევით შეგხვდე და გაგიცნო კიდეც :)). შენს კლასელებს კი გვერდით დაუდექი, მათ უაზრო, არასასაცილო მონაყოლზე გულიანად გაიცინე, ისინი წაახალისე და უთხარი, რომ კარგი იუმორი აქვთ. კლასელებთან ურთიერთობა თუ გინდა, მათნაირი ქუდი უნდა დაიხურო და თუ ასე მოიქცევი, მიხვდები, რომ უბრალო ტილო კი არა, აბრეშუმის ქსოვილი ხარ. იმედია, მალე დაბნეულის ნაცვლად, გარკვეულას დაირქმევ“.

დამავოი:

„დიდ ბოდიშს გიხდი, გინდა გამლანძღე, გინდ — მეჩხუბე (ფართო არჩევანი გაქვს), მაგრამ საკუთარ თავს ვერ მივცემ უფლებას, ასეთ სულელურ თხოვნაზე რაიმე გირჩიო. P.S. ლიკ, მე ვარ ძალიან არეული თუ ესენი არიან „ძალიან დალაგებულები“?..“

ხატია:

„ვაიმეეე... გადამრევს ეს ხალხი! რა დროს ამაზე ფიქრია? ჯერ არ ხარ იმ ასაკში, რომ ასეთ რაღაცაზე ნერვიულობდე... იმათ, ვინც გეკაიფება, შენც ეკაიფე. ცხოვრებას ახლა იწყებ და სანერვიულო არაფერი გაქვს. გირჩევნია, ამ სისულელეებზე ფიქრის ნაცვლად, დრო სწავლას დაუთმო. მერწმუნე, ცხოვრების თანამგზავრს აუცილებლად იპოვი! აბა, მაგრად“.

სევდიანი პრინცესა:

„ნუ დარდობ იმაზე, რაც ნერვიულობად არ ღირს. დამიჯერე, მალე იპოვი ბედნიერებას. შენი ცხოვრების ლამაზი წუთები, თავისი ავ-კარგიანობით, უბრალო ტილოზეც დაიწერება. წარმატებებს გისურვებ!“

მაკა 21:

„ჩემო კარგო, არა მგონია, ისეთ ასაკში იყო, რომ შინაბერად დარჩენის საფრთხე გემუქრებოდეს. შენ ახლა იწყებ ცხოვრებს. ლამაზ სიყვარულს გისურვებ!“

ხევსური:

„რატომ ჩქარობ? ჯერ 18 წლის ხარ და მალე, შენი დროც მოვა. სიყვარული მოდა არ არის, რომ სხვებს მიბაძო. სხვების ჯიბრზე ვინმეს შეყვარებას ნუ შეეცდები, თორემ ერთ დღეს ყველაფერი ხუხულასავით, თავზე დაგენგრევა და მერე უფრო დაგცინებენ!“

გრუზინკა:

„მართლა დაბნეული ხარ, გენაცვალე, თან — ბრინჯივით. 18 წლის გოგოს რატომ გგონია, რომ შინაბერობა გელის? ასე კატეგორიული რატომ ხარ? იქნებ, ადამიანებთან საერთო ენას ვერ პოულობ და საკუთარ ნაჭუჭში ხარ ჩაკეტილი?.. იყავი მხიარული, ხშირად გაიღიმე, კლასელებთან იმეგობრე და შენთან ურთიერთობის სურვილი ბევრს გაუჩნდება“.

სოფიო:

„იცი, მეც ასე ვფიქრობ. იქნებ, პრობლემა ჩვენშია ან ბიჭები დაბრმავდნენ?! 10 წელია, მეზობელი მიყვარს, მაგრამ — ამაოდ... შემეხმიანე: 8(92) 00.39.08“.

მოტყუებული და „ცომივით დამუშავებული“ სვანი

„ის შენით ჭკვიანურად მანიპულირებს“

„გზის“ №16-ში დაიბეჭდა 19 წლის სვანი ნინუცას მესიჯი, რომელიც გვწერდა, რომ უყვარს ბიჭი, რომელიც 3 წელი ატყუებდა — „თურმე, სხვა ჰყვარებია. ახლა აღარ მეხმიანება და ნეტავ, რატომ?..“



უწუწური:

„3 წელი გატყუებდა? ჭირი, მაგას... რაში გჭირდება ასეთი ადამიანის გვერდით ყოფნა? თანაც, იცი, რომ არ უყვარხარ. ნუ ელოდები, ის არ მოვა! ყველაფერს ჯობია, საკუთარ თავსა და ნერვებს გაუფრთხილდე. შენი იმედი მაქვს“.

სვანის ასული:

„ეჰ, ჩემო კარგო, საქმე აფერისტთან გქონია და ეს საუბედუროდ გვიან, მაგრამ მაინც გაგიგია. რა მოიგე ასეთი შემწყნარებლობით? და კიდევ, ჩვენთვის ეს კითხვა — აღარ მეხმიანება და ნეტავ, რატომ? — არ უნდა დაგესვა, რადგან პასუხი ისედაც ცხადი და მწარეა: — სჯობდა, უფრო ადრე გამქრალიყო! რადგანაც აღარ გეხმიანება, უნდა შეეგუო იმ აზრს, რომ ის ბიჭი შენი ცხოვრებიდან სამუდამოდ წავიდა, მომავალში კი უფრო ფრთხილი და დაკვირვებული უნდა იყო“.

EKO LIDER BOY:

„თავი დაანებე, რას ეხვეწები?! ბიჭს რატომ უნდა ემუდარო? ეტყობა, გაერთო და როცა მოსწყინდი, ჩამოგშორდა. მოკლედ, ზოგიერთები ძალიან ქარაფშუტები ხართ“.

ლიკა 15:

„ნუთუ ვერ ხვდები, რომ არ უყვარხარ? თავს ნუ დაიმცირებ, ნუ შეეხმიანები. ეცადე, დაივიწყო. ვიცი, ეს გაგიჭირდება, მაგრამ მაინც, შეეცადე. წარმატებებს გისურვებ!“

ელენე:

„შენი არ მესმის — გატყუებდა და მაინც ურიგდებოდი? მაპატიე, მაგრამ სულელი ყოფილხარ! შენს ადგილას ისე გავლანძღავდი, საკუთარი საქციელის შერცხვებოდა“.

კლეოპატრა:

„თავადაც ხვდები, რომ ის გატყუებდა, არ უყვარდი. ჰოდა, რაღაა სალაპარაკო? გირჩევ, დაივიწყო და ისეთი ადამიანი მოძებნო, ვინც არ მოგატყუებს, დაგაფასებს!“

სანტა:

„ეტყობა, მთლად სვანი არ ხარ, თორემ შენს ე.წ. „ლოვეს“ დიდი ხნის წინ მიაპანჩურებდი. როცა ადამიანი გატყუებს, მას თავისი ადგილი უნდა მიუჩინო!“

WHITE ANGEL:

„შენ მართლა სულელი ხარ თუ თავს ისულელებ? ბიჭს არ უყვარხარ და მაინც, წუხხარ, — რატომ არ მეხმიანებაო? მაგ არაკაცს შეეშვი და ვინმე ღირსეული იპოვე“.

სოფი 19:

„ნუ გამაგიჟე, რა. თუ ბიჭი სხვასაც ხვდებოდა და ახლა შენი ცხოვრებიდან დაიკარგა, ეს უნდა გახარებდეს კიდეც. დავიჯერო, გინდა, დაგიბრუნდეს? შენს ადგილას მას ძებნას არ დავუწყებდი. წარმატებები! P.S. ზვიად ქისტაურო და თან, ხევსურო, სადაური ხარ? იქნებ, დამეკონტაქტო“.

მადამ 20:

„თავს ტყუილად ნუ იტანჯავ. სჯობს, ასეთ პიროვნებას დაშორდე. რადგან გატყუებს, ე.ი. არც უყვარხარ. ირგვლივ მიმოიხედე, რამდენი კარგი ბიჭია. არ მოიწყინო!“

მისტერ:

„მაპატიე, მაგრამ მართლა მაგარი სვანი ხარ :)). ის შენით ჭკვიანურად მანიპულირებს. შენთან დაკავშირებით სერიოზული ზრახვები რომ ჰქონოდა, ახლა „ესემესის“ გამოგზავნა არ დაგჭირდებოდა. იქნებ მობეზრდი და ამიტომაც აღარ გეხმიანება ან კიდევ, შენგან დროებით ისვენებს?!. მოკლედ, შეეშვი, რა, ნერვებს რატომ „ასანსვლინებ“ ადამიანს, რომელიც ცომივით გამუშავებს?.. ამ ყველაფერს იმიტომ გეუბნები, რომ ხანდახან, თავადვე ჩავდივარ ასეთ საქციელს, მაგრამ მე, შენი „ლოვესგან“ განსხვავებით, ეტყობა, ჭკვიან გოგონებს ვირჩევ და ისინი ყველაფერს მალევე ხვდებიან. ასე რომ, 3-წლიანი მოტყუებული ადამიანის სტატუსს მქონევ, ჭკვიანად იყავი“.

ლუნა:

„ვიღაც მატყუარა ტიპის გამო ცხოვრების ლამაზ დღეებს რატომ იუფერულებ? ერთხელ მეც ვიყავი შენს მდგომარეობაში, მთელი სამეგობრო და ვისაც ენა ექავებოდა, ყველა მეუბნებოდა, — გატყუებს ეგ ბიჭი, შენ გარდა, სხვასაც ელაპარაკებაო, მაგრამ ვირზე რომ შევჯექი, იქიდან მანამდე არ ვიკადრე ჩამობრძანება, ვიდრე ცხვირი არ წავიმტვრიე, ნუგეშად კი ისღა დამრჩა, რომ ერთხელ ყველა ცდებაა... როცა ადამიანი ერთხელ მოგატყუებს, მას მეორე შანსი აღარ უნდა მისცე. იმიტომ არ გეხმიანება, რომ არ უყვარხარ! როცა ადამიანი შენგან მიდის, ე.ი. შენთან ყოფნის ღირსი არაა და ამიტომაც, მას „პაკა“ უნდა უთხრა. გავა დრო და ინანებ, 3 წელი მას რომ შეალიე. მაპატიე, თუ ამ სიტყვებით გული გატკინე. გაკოცე“.

ანაანო:

„პირდაპირ გეტყვი, რა — ასეთ ადამიანს ზედაც არ უნდა აფურთხებდე. ძნელია, როცა ადამიანი გატყუებს. როგორც ჩანს, გიყენებდა და საკმაოდ გამცირებდა. ჰოდა, რაღაში გჭირდება მისი შეხმიანება? არ ინერვიულო, მაგის გარდა, კიდევ ათასი მოვა და წავა. მას არ ჰყვარებიხარ. ნამდვილი სიყვარული მოვა, აბა, სად წავა?!“

კატო-18:

„შენი მესიჯის წაკითხვის შემდეგ ყველა იფიქრებს, რომ თავმოყვარეობა საერთოდ არა გაქვს. როდესაც გაიგე, რომ მას სხვა უყვარდა, მაშინვე უნდა დაგენებინა თავი. ჯერ 19 წლის ხარ და შეყვარებული კიდევ გეყოლება. ჩემო კარგო, არ იდარდო, ცხოვრება მშვენიერია, ყველაფერი წინ გაქვს“.

დადუნა:

„კარგი, რა. არც ერთი ბიჭი არაა გოგოს ცრემლის ღირსი (ზოგიერთების გარდა); სისულელეა ისეთ იდიოტზე ფიქრი, რომელმაც არაფრად ჩაგაგდო და გული გატკინა... მეც ეგეთ პონტში ვიყავი, მაგრამ ახლა ჩემი ცხოვრების სიყვარული ვიპოვე და ბედნიერი ვარ. დამიჯერე, შენც იპოვი ნამდვილ სიყვარულს“. ■

„ექიმის დაუდევრობის გამო, შვილი დამეღუპა“

პუსკა 21:

„აღარ ვიცი, ვის მივმართო. უკვე 2 თვეა, რაც ექიმის დაუდევრობის გამო, შვილი დამეღუპა — ჯერ დაბადებული არ იყო, 8 თვის ფეხმძიმე გახლდით. მას შემდეგ ჩემი ცხოვრება შეიცვალა. დედამთილი ცდილობს, მეუღლესთან ურთიერთობა გამიფუჭოს და დაგვაშოროს. ის უშვილოს მეძახის. მირჩიეთ, როგორ მოვიქცე, რომ ჩემმა ქმარმა დედამისს არ დაუჯეროს? რჩევებისთვის წინასწარ გიხდით მადლობას“.

*P.S. **მაშ ასე, თუ პუსკა 21-ის წერილის წაკითხვის შემდეგ, მასთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მას თქვენი დახმარების იმედი აქვს.*** ■

მობილი-ზაცია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ქალები

1. მყავს დაქალი, რომელსაც მოსწონს 40 წლის, ლამაზად მოსაუბრე, ზრდილობიანი მამაკაცები სერიოზულები და სიმპათიურები. თვითონ არის 23 წლის.

2. ვეხმაურები „გზა“ №15-ში გამოქვეყნებული, მე-14 მესიჯის ავტორს, 42 წლის მამაკაცს. ვარ 37 წლის, ნორმალური გარეგნობის ქალბატონი.

3. ვარ 35 წლის, თბილისელი, ქმარგაცილებული, სიმპათიური ქალბატონი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 40-50 წლის, ყველანაირად უზრუნველყოფილ, სერიოზულ მამაკაცს.

4. ვარ 28 წლის, სერიოზული გოგო, სულით ლამაზი, თბილი და ყურადღებიანი. გამომეხმაუროს 28-30 წლამდე ასაკის, ჭკვიანი და სერიოზული მამაკაცი, ვისაც ნამდვილი სიყვარული შეუძლია.

5. ვარ სულიერად და ფიზიკურად ლამაზი, მშვიდი ხასიათის. დამღალა მარტოობამ და ლოდინმა. მინდა მქონდეს თბილი და მყუდრო ოჯახი, წესიერ, განათლებულ და ყურადღებიან მამაკაცთან.

6. ვეხმაურები წინა ნომრის მე-14 მესიჯის ავტორს. მეც ისეთს ვეძებ, ვისაც წრფელი სიყვარული შეუძლია და ამაში დამარწმუნებს. ვარ 41 წლის, უმაღლესი განათლებით, სუფთა წარსულით.

7. გავიცნობ მაღალ, წესიერ მამაკაცს, ოჯახის შექმნის მიზნით. 18 წლის ვარ, მაგრამ ძალიან მინდა მეუღლე და შვილები. შემეხმიანე და იქნებ გაგვიმართლოს. დიკი ანგელი.

8. მინდა სერიოზული ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნო სერიოზული მამაკაცი. ვარ 25 წლის, მქვია სოფია. დამირეკეთ მხოლოდ სერიოზული განზრახვით და ოჯახის შექმნის მიზნით.

კაცები

9. გამარჯობა. ვარ 25 წლის და მსურს გავიცნო 20-30 წლამდე ასაკის, სიმპათიური გოგონა. დათო.

10. ვარ 22 წლის, დასაქმებული. გავიცნობ 20-27 წლამდე გოგონას, რომელსაც სჭირდება კარგი ადამიანი გვერდით.

11. ვეხმაურები მე-16 ნომერში გამოქვეყნებულ მე-6 მესიჯის ავტორს. დამიკავშირდით.

12. ვარ 42 წლის, წესიერი, უკომპლექსო ადამიანი. გავიცნობ 35-40 წლის, პუტკუნა ქალბატონს.

13. გამარჯობა. ვარ ვეტერინარ-კინოლოგი, მკურნალი ექიმი. წყნარი, პატიოსანი, მორწმუნე. გავიცნობ პატიოსან, წყნარი ბუნების გოგოს. მერაბი.

14. თუ თბილისში ხარ, თუ ვისიცა ხარ, ვერ გაიგო მან შენი ფასი, თუ შენც ჩემსავით სიყვარულში არ გაგიმართლა, დამეკონტაქტე. ზურა, 37 წლის.

15. მყავს 32 წლის ბიძა. ძალიან მოსიყვარულე. მე მისი გაზრდილი ვარ. გულგატეხილია. გაიცანით და შექმენით ტკბილი ოჯახი.

16. ვარ 21 წლის. გავიცნობ 18-28 წლის გოგოს.

17. ვარ 33 წლის. ვეძებ ლამაზ სიყვარულს. დანარჩენი ყველა ღირსება და პირობა გამაჩნია. დამიკავშირდეს სერიოზული გოგო, ოჯახის შექმნის მიზნით.

18. ვეხმაურები 27 წლის, ქმარგაცილებულ გოგონას, რომელსაც სურს ჭიათურელის გაცნობა. ვარ 26 წლის, ჭიათურელი, გიგა. სამსახურითა და ბინით უზრუნველყოფილი.

19. გოგონებო, შემეხმიანეთ. მინდა მეგობარი გოგო, 18-28 წლამდე, ვისაც ჩემი გულის ტკივილს გავუზიარებ.

20. მინდა გავიცნო ქალი, შევხვდე, ურთიერთობა მქონდეს. ნიკა. შევხვდები ბავშვიან გოგოს, განათხოვარს.

21. გავიცნობ გოგოს, დასავლეთიდან, ძალიან ახლო და თბილი ურთიერთობებისთვის. ვარ 27 წლის, სიმპათიური, დასაქმებული.

22. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ლამაზ და სერიოზულ გოგოს. უნდა ჰქონდეს სუფთა წარსული, იყოს 20-24 წლამდე. ვარ დასაქმებული, 28 წლის.

23. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 23-29 წლამდე ასაკის, თბილისელ, სუფთა წარსულის მქონე, ეკლესიურ გოგოს. უნდა იყოს როგორც სულიერად, ასევე ხორციელად ლამაზი და არ უყვარდეს ტყუილი.

24. ვარ რაიონიდან, 35/189/90, დასაოჯახებელი. გავიცნობ თბილისელ გოგოს, ოჯახის შექმნის მიზნით, ბინით უზრუნველყოფილს. გთხოვთ, მსუქნები ნუ გამომეხმაურებით.

ვეძებ

25. ვეძებ ქუთაისში მცხოვრებ თეონა ბუაძეს! ის ჩემი ბავშვობის მეგობარია. იქნებ თვითონ გამომეხმაუროს, თორემ მე ვერსად აღმოვაჩინე. ნინო. დამიკავშირდი.

სხვადასხვა

• ხევსურო ქალო, მადლობა. მოვიკითხავ აუცილებლად. მე მიყვარხარ ისევ... შემეხმიანე, როგორმე შევხვდეთ და ვილაპარაკოთ. ვერძო, გაიხარე. კლეოპატრა, უფალი გფარავდეს, საყვარელო. :) სარვიეტა, მიხარია, რომ ისიამოვნე ჩემი და მაესტროს ლექს-გზავნილით. :) ვერონაااااა, შენი მესიჯები რომ ვნახე, ისე გამიხარდა, როგორც ჩემი რომ ვნახე პირველად დაბეჭდილი. :) მიხარია, რომ ამდენი ხნის ჩუმი ერთგულების შემდეგ შემოგვიერთდი და წარმატებებს გისურვებ აწი, უკვე აქტიურ მგზავნელობაში. :) ჩემი კიკო მენატრებაااااა. ვინც გნახეთ, ისინიც მომენატრეთ უკვე. SWEET, ძალიან საყვარელი ხარ! მიხარია, რომ გნახე. ჩორის ნახვაც მელირსა, რა... მაგარი ქალია... ოსვალდი კი უსაყვარლესი ბიჭია. გიჟი და გადარეული. :) ლიმოონ, მადლობა ყველაფრისთვის. :) ჩუპი, ჩეეეეემი ციყვუნია დაიკო ხარ. გენაცვალეთ ყველას, ბავშვებო. კარგები ხართ. სოოფ, რაღა ამ დღეს არ იყავი თბილისში? გაკოცეთ. მის რეალი.

ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მობილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!

ა — a	მ — m	ღ — gh
ბ — b	ნ — n	ყ — y
გ — g	ო — o	შ — sh
დ — d	პ — p	ჩ — ch
ე — e	ჟ — zh	ც — c
ვ — v	რ — r	ძ — dz
ზ — z	ს — s	წ — w
თ — t	ტ — t	ჭ — wh
ი — i	უ — u	ხ — x
კ — k	ფ — f	ჯ — j
ლ — l	ქ — q	ჰ — h

• მარიკუნა, რომ იცოდე როგორ გამახარე... დილით სასწრაფოდ გავიქეცი ჯიხურში, იქვე გადავშალე და როდესაც ჩემი ნაჯღაბნ-ნაცოდვილარი გზავნილი წავიკითხე, სიხარულისგან ხტუნვა დავიწყე. გამოვეშურე სახლისკენ, რაღა თქმა უნდა, ჟურნალში თავჩარგული. არადა, იცი, როგორ წვიმდა? სახლში მოვედი და აღმოვაჩინე, რომ საკმაოდ დავსველებულვართ მეც და „გზაც“. ახლა კი ცალი ხელით „გზას“ ვაშრობ, ცალით მესიჯის მოწერას ვცოდვილობ. P.S. თუ ცოტა აბსურდულად დავწერე რამე, არ გაგიკვირდეთ, ეს ზედმეტი სიხარულის ბრალია. მიყვარხართ ყველანი. ვერონა.

• აუ, მაგრები ხართ რა, დაჭამეთ ერთმანეთი. ნამეტანი სიყვარულიც არ ვარგა, ორგანიზმს ვნებს. ყველამ თქვენს სულში ჩაიხედეთ და ნუ იკბინებით. ბარსას ფანი.

• ფუ, შენი! გული მერევა შენზე, ბერბიჭა ხარ თუ ენიგმა! აზრზე მოდით, ასეთ უზრდელს უჭერთ მხარს? იმიტომაც გათამამდა და წაბილწა „გზა“! მარ, მიბლოკე მსგავსი მესიჯები. ASHLEY.

• დავბრუნდი და აღარსად წაწანწალებას აღარ ვაპირებ... :) ჯუსტ ნათ, მეც ნაწყენი ვარ თქვენზე. ვოტ ტაკ! მთელი თვე დალეწილი ვიწექი და მოკითხვებით არ კვდებოდით. :(ASHLEY.

• ჩემი საყვარელი მგზავნელები როგორ არიან? ბერბიჭა და ვერძი, ძალიან მიყვარხართ. კიდევ რამდენიმე მგზავნელი, მაგრამ თქვენ — განსაკუთრებით. გკოცნით. ანასტასია23.

• მისტერ, უსიამოვნოდ აჟღარუნებ სიტყვებს. არაა ვაჟკაცური და უკვე დასცინი საკუთარ დედას. რასაც ვადაგასულს ეძახი, ზნეობა ჰქვია მაგას. მეტი ზრდილობა გმართებს. მემე.

• უზომოდ მომენატრეთ. ფლამინგოს და მის დაიკოს, თამოს, დაბადების დღეს ვულოცავ. მიყვარხართ. ჩემი ულამაზესი და უსაყვარლესი მეგობრები ხართ. ედელვაისი.

• ე.ი. მისტერ, ყველა ქურთი შენსავით უზრდელია და ასე აყენებენ შეურაცხყოფას ქართველ დედებს? დასაცინი დედაშენია, შენისთანა შვილის გაზრდისთვის. პატრონი არ გყავს, შე ვირო?

• ბერბიჭ-ენიგმა, მიხარია, რომ ბოლომდე ღირსეული დარჩი. თქვენ კი, ბოღმიანებო, მიმიფურთხებია უბერბიჭ-უენიგმო და უელექტრო მობილი-ზაციისთვის. დაგიჭამიათ ერთმანეთი.

• ბერბიჭ, მე კაცურად გითხარი, რას გადაეკიდე დოლარას-მეთქი და შენ რა ქვეყანა შეყარე, ადამიანო? ეს ამდენი შეურაცხყოფა გეპატიება? არ ხარ მართალი, იცოდე! დათო.

• ისე, კი ვეჭვობდი და ამბობდნენ კიდეც, ელექტრა ენიგმას და ბერბიჭას დედააო, მაგრამ არ მჯეროდა და წინა ნომერში გამოქვეყნებული მისი საპროტესტო მესიჯი რომ წავიკითხე, კი დავრწმუნდი, რომ მართლა ასე ყოფილა. აბა, სად ელექტრა და სად ენიგმა და მისი ტყუპისცალი? თანაც, მართლა დედაბერივით რომ იწყევლება... დათო.

• მარი, მოაშთე აქედან ბარბიჭა, ენიგმა, დოლარა, ორივე დათო, მისტერი და ყველაფერი კარგად იქნება. პილოტა.

• მისტერ, შენ მაგარი ნაგავი ყოფილხარ. დედის ტოლ ქალს როგორ ელაპარაკები? ოჯახში გაზრდილის არაფერი გეტყობა... სანაგვეზე გაიზარდე? შენ მისტერი კი არა, საჯდომი უნდა გერქვას, რადგან იმ ნახვრეტიდან, რომელსაც პირი ჰქვია, სიბინძურის მეტი არაფერი ამოგდის. ნიკს არა და პირდაპირ სახელს მივაწერ. ნანა. მიცანი?

• რუსთავი, რუსთაველებს დიდ პატივს ვცემ, მარა შენ ვინ ხარ, შე ნასედკა კაცუნა, ასე რომ მოაღე პირი და რა მაკადრე? ადვილია, ჟურნალში ენის წაგდება? სად გნახო? დათო.

• ყველას გასაგონად, ვინც ამდენი მაკადრა, ჯერ შარვლები აიწიეთ, თქვე სირეზო და მერე მებაზრეთ! მე არავინ გამომიწვევია და დააყენეთ ყველამ! დათო.

• აუ, ძაღლი გამიძერსკდა. უნალექო, რძიან ყავას სვამს. :) „პეპსის“, მანდარინსა და მზესუმზირას ხომ მანამდეც მიირთმევდა. :) პუჩიტო, ხომ არ ჩაგიხედო ჭიქაში? :) ASHLEY.

• აუ, დავიზაგრე ცოტა და რომ მეგონა, შიკალადკა გავხდები-მეთქი, წვიმაა. :(სოფი19, დაბადების დღეს გილოცავ. ASHLEY.

• არ უნდა წასულიყავი, ბერბიჭ, თუმცა, შენი და ენიგმასი მესმის. მანდ ვაჟკაცის ადგილი არ არის. ჩმორები არიან, დათოიე პედერასტივით, თორემ კაცურად ჩაერეოდნენ. რუსთავი.

• ოე, მისტერ, მარიმ როცა გითხრა, თავხედი ხარო, ჩაისვარე. სადაც გაგდის, არაა? ემიგრანტი უმაგრესი ადამიანია, მისი შვილის ადგილზე გამოგწელავდი, დებილო, დახლის მათხოვარო.

• აქ არავის გინება ჩემს ინტერესებში არ შედის, საკითხის პირადში გადაწყვეტა თუა შესაძლებელი... ვინც ვინმეს შეურაცხყოფს ჩემი სახელით, ის კრისაა! დათო.

• მოგესალმებით განაწყენებული. რატომ ჭამთ ერთმანეთს? ბერბიჭა და ენიგმა, თქვენ გვერდით ვარ, თუ რამეში გამოგადგებით. არ წახვიდეთ, რაა! კუტრინა.

• გამარჯობა მგზავნელებო, მე ახალი ვარ. იმედია, მიმიღებთ. ძაან საყვარლები ხართ. მაო.

• ილო, ძალიან მოგვენატრე. მოთმინება გამოიჩინე. ლევანი ვნახეთ. ველოდებით მოთმინებით. ჩვენ კარგად ვართ. მზია.

• გენაცვალე, უსაყვარლესო, მართლა კარგი ადამიანი ხარ და უზომოდ შემაყვარე თავი. ბერბიჭ, ძალიან მაინტერესებს შენი ვინაობა. საინტერესო ადამიანი ჩანხარ... P.S. ყველანი ჩემს გულში ხართ.

• ხალხო, დავიღალეეე... რა გინდათ, რომ „გზა“ აღარავინ წაიკითხოს? შეწყვიტეთ ეს უაზრო ლანძღვა-გინება. „გზა“ და „გზავნილები“ მხოლოდ სიყვარულისთვის, მეგობრობისთვის და სითბოსთვისაა შექმნილი, არ დაგავიწყდეთ. ვერონა.

• ცრუდათოს ერთ რუსულ ანეკდოტს ვუამბობ: მასწავლებელმა ბავშვებს „უ“ ასოზე დაწყებული სიტყვების დასახელება სთხოვა. ერთმა თქვა „უუკ“, მეორემ — „უაბა“, მესამემ — „უოპა“. მასწავლებელმა უყვირა: „მოლჩი დურაკ, ნეტ ტაკოგო სლოვო!“ ბავშვი გაოცდა: „კაკ უე ტაკ, უოპა ესტ ა სლოვო ნეტ?“ მართლა გასაოცარია, რომ ბევრს სიტყვები უფრო აღიზიანებს, ვიდრე თავად ის, რასაც ეს სიტყვები ეწოდება. და კიდევ, ბოზი „ვეფხისტყაოსანში“ მამამ (ფარსადან მეფემ) საკუთარ შვილს (ნესტანს) უწოდა და მამიდამ — ძმისშვილს. დავიჯერო, ვისაც ექომაგები, ნესტანზე მაღალი ზნეობისაა? თუ ბერბიჭასგან მოითხოვ რუსთაველზე უფრო მაღლა დგომას? ემი.

• გზავნილეთს შემოვეხიზნე ბერბიჭას ნიჭის ქებით, როგორც ჩანს, ბევრს არ ეამა აქ გამოჩენა ჩემი, წასვლას ვფიქრობ და მეძნელა, ჯერ ისევ თქვენთან ვრჩები, გრანტი ბერბიჭას ვარგუნე, მე დავიტოვე ემი. P.S. გამაგდეთ, რაა! :)

• ბერბიჭავ, შენს ნიჭს ვერ სცნობენ, ბოღმით ავსილი შტერები, ფანები ღმერთმა გიმრავლოს, დაგიძაბუნოს მტერები. ცოფიანთ ვერ ააგრილებ, ყველას ვერც მოეფერები, არა ღირსთ რითმას ნუ უძღვნი, არ დაამცირო ბგერები. ზოგი ზედ რომ დაიკიდო, მისთვის გაბია ყურები (ბოლოს კარგად ვერ გავრითმე, დათო ბიძიასი შემეშინდა). მგონი სიტყვა „ფეხებიც“ ტუტუცობაა, ხომ? თავად შეალამაზე. :)) ემი.

• ყველა იტალიელის დედა! ასეთი გიჟები და ტვინაფეთქებულები როგორ არიან, ვერ გამიგია. რადგან მოსამსახურედ მუშაობ, ჰგონიათ, რომ არაფერი იცი, არანაირი გრძნობა არ გაგაჩნია, არაფერი გტკივა და გიყურებენ როგორც მონას. სინამდვილეში, ამათზე უზრდელი და შეუგნებელი ერი არა მგონია, მსოფლიოში კიდევ არსებობდეს. რადგან ფული აქვთ, თავიანთი თავი ყოვლისშემძლე ჰგონიათ. ემიგრანტებო, გაძლებას და ამათი სიგიჟეების ატანას გისურვებთ და მალე საკუთარ ოჯახებში დაბრუნებას. იტალია. თამარი (ქართული ყველაფერი მენატრება, ცუდიც და კარგიც).

• ნამდვილი მეგობარი ისაა, ვინც დაინახავს ჩვენს პირველ ცრემლს, დაიჭერს მეორეს და შეაჩერებს მესამეს. მეთანხმებით, მგზავნელებო? სანტა.

• მაარ, შენს მოთხრობებს რომ ვკითხულობ, გაოგნებული ვარ — ამდენმა ნიჭმა ერთ ადამიანში ასე როგორ მოიყარა თავი? მიყვარხართ ყველა. თუ დამიბეჭდავ, ხუთშაბათ დღეს ბედნიერების დღედ გამოვაცხადებ. იმედი არ გამიცრუო. იცი, მე წიგნიც შემხვდა, რისთვისაც უღრმესი მადლობა. მიყვარხართ. ტერეზა.

• რაო, ჭილყვავებო, სკდებით შურით, გოგოები რომ ბერბიჭაზე ეცემიან და ამ გზით გინდათ მდედრების ყურადღების ღირსი გახდეთ? სხვა ყველა ხერხი ამოწურეთ და არაფერი გამოგდით? ვაჟკაცები ჭიას და თანაც გასრესილს დუელში არ იწვევენ. თქვენისთანა „ძლიერებს“ შეეჭიდეთ, საცოდავებო. აბა თქვენ იცით, კარგად მოფხანეთ დოლარას, იქნებ დაგიფასოთ სამსახური. P.S. თუ დედაჩემთან ვიზიტი მოგინდეთ, მისამართს მიგასწავლით: საიქიო. ემი.

• ბერბიჭა, ქორწილი არ გამომაპარო. მარის ჩემი ნომერი გამოართვი და დამიკავშირდი, რომ დაპირებული საჩუქარი მოგაწვდინო. მპუა! ემი.

• ბერბიჭავ, „გზის“ მარგალიტო, არ მიყვარს კარგო ლუდიო, კათხას კი მოგიჭახუნებ, რომ არ დაგწყვიტო გულიო. მტერი ჰყავს მხოლოდ კარგსაო, არა ღირს დროის დაკარგვა, ყველას სულელურ ნათქვამზე, თანაც რითმების დაქარგვა. დააცა ზოგსა ჭკვიანსა, უსაქმურობით

სტვენაო, ჩვენ სიყვარულით ვიცხოვროთ, აჰა, ეს კოცნა შენაო. კლეოპატრა.

• ფლამინგო, გენათალე, გილოცავ დაბადების დღეს. უფლის წყალობა არ მოგკლებოდეს. სიყვარული და ბედნიერება იყოს შენი ცხოვრების თანამგზავრი. მიყვარხარ. კლეოპატრა.

• მარ, აქამდე ხშირად რომ ვერ გწერდი (მაგრამ ყველა ნომერს ვკითხულობდი), პატარა გოგო ვიყავი, „გზავნილიორკის“ საბავშვო ბაღში დავდიოდი. ახლა ხშირად მოგწერ, რადგან პირველ კლასში მივედი და მომილოცეთ, რაა. მიყვარხართ. გაუფრთხილდით ერთმანეთს. კლეოპატრა.

• ამ ბიჭების ჩხუბი და დავა საჯაროდ, დამღლელია. იქნებ ერთმანეთის კოორდინატები გაიგოთ და მერე გაარკვიონ თავიანთი უთანხმოება ერთმანეთში. რა ვქნა, „გზას“ როცა ვყიდულობ, ასეთი უხამსი და უცენზურო სიტყვების კითხვა მიძნელდება. მარი, გაგზავნე ისინი ჯურღმულიორკში და იქნებ დამშვიდდნენ ცოტათი მაინც. რას ჰგავს ეს?

• კლეოპატრა, შენნაირ ცოლუკას როგორ ვუღალატებ? სიდედრი როგორრაა? ქორწილი როდის დავნიშნოთ? დაგირეკავ, გენაცვალე. გაკოცე. გადარეული.

• სევდისფერია ზეცა, შენი თვალების ფერი. ფიქრები ტანჯვად მექცა, მოდი დაბრუნდი, გელი. P.S. 9717, ეს — შენ, „ბოგატო“. მიყვარხარ, მიშ. კლეოპატრა.

• ენიგმა, სდექ! არ გინდა რა ამათთვის ყურადღების მიქცევა და დროის დახარჯვა. შურიანებს რა გამოლევს. არსადაც არ წახვალ! ამათ სიხარული არ მიანიჭო. კლეოპატრა.

• ვაი, ცუდად ვარ, რა. „მობილიზაციას“ ვკითხულობ და თვალები „სამი — ოთზე“ მაქვს, გული მიფრიალებს და ყურებში მიწუის, ისეთი აურაა. რამ გადაგრიათ, ხალხო? მთელი საქართველოსი თუ არა, მარისი მაინც არ გერიდებათ? სიბინძურეა უკვე აქ. ჩამოიხსენით ნიღბები? სიყვარულისკენ მოგიწოდებთ და ვინც მეთანხმება, „ვარ“ დაიძახოს, ვინც არა, დაშოშმინდით. კლეოპატრა.

• ქალბატონო, პირიქით, დიდი პატივია ჩვენთვის თქვენს „გზავნილებში“ ყოფნა. იქნებ თქვენ მაინც დააშოშმინოთ ძნელად აღსაზრდელები. კეთილი იყოს თქვენი მოსვლა. კლეოპატრა.

• კლეოპატრა, ვეღარ ვფართობ, სულ მეძინება. მეშინია, არ გავიპარო ძილში. მიშკამ მიწინასწარმეტყველა, გაიპარებიო და ყურის ბიბილოები მიცახცახებს შიშისგან. :) მოკითხვა სოფი19-ს, გადარეულს, რუისპირს, კუტრინას, 9717-ს. გაკოცეთ ბევრიიი. P.S. ბერბიჭას და ენიგმასაც დიდი მოკითხვა. სანტა.

• ცრემლი მერევა, აპრილის წვიმას ჩუმად ერევა, ასველებს ფიქრებს, ოცნებას, სევდას ქარგავს ფერებად, ალბათ ოდესმე მე გრძნობებიც გადამერევა, მერე ჩემს ნაცვლად წვიმის წვეთები მოგეფერება. ცრემლი მასველებს, წვიმასავით გადარეული, აღარ ჩერდება სიბნელეში შენზე ფიქრები, როგორ მომინდა ისევ შევიგრძნო შენი სხეული და მერე მართლა სამუდამოდ შენი ვიქნები. ცრემლი მასველებს, ცრემლი ჩვენი განშორებისა, დღეებსღა ვითვლი, გადამეღალა უკვე თითები, ისევ იქეცი წყაროდ ჩემი შთაგონებისა, ისევ დაიპყრე უსასრულოდ ჩემი ფიქრები. მომენატრე. კლეოპატრა.

• გამარჯობა მარი, ღმერთმა დაგლოცოს, შენს ლამაზ და საყვარელი ოჯახთან ერთად. შენ ხომ დიდი სიკეთისა და სიყვარულის მთესველი ხარ, მოსავალიც უფლის ნებით უშრეტი სიყვარულია ყველა იმათგან, ვისაც ერთხელ მაინც წაუკითხავს „გზა“. გმადლობ, რომ არსებობთ და ალამაზებთ ამ მახინჯ სამყაროს. მე მოხუცი ვარ. მინდა დავბრუნდე, რათა მხოლოდ შენ მიერ გაშენებული ლამაზი ბაღის მზრუნველი დარაჯი და მებაღე ვიყო, სხვა ნიკით და ვუთხრა ყველას, თუ რა ძნელია ცხოვრება უსიყვარულოდ. სიყვარული ანათებს სამყაროს, მან არ იცის მდიდარი, ღარიბი, ლამაზი და უშნო, სუსტი და ძლიერი. ის თავად ალამაზებს, ამდიდრებს და აძლიერებს ადამიანს. მოხუცი.

• გამარჯობა ხალხო, იცით როგორ მიყვარხართ? (ნუ დოლარას და მის ამფსონებს არ ეხებათ, რა თქმა უნდა), რუისპირი, ჩასაყლაპი ხარ რაა. მისტერ, მაგრად მომწონდი წარსულში. ენიგმა, არ წახვიდე, რაა. ყველანი მიყვარხართ და გაფასებთ მაგრად. P.S. მარი, შენ რომ არ გვყავდე, რა გვეშველებოდა? მიმიღეთ თქვენთან თორემ მოვხვდები ასათიანზე. პუპე.

• ვეძებ საბერძნეთში დროებით მცხოვრებ ქალბატონს, ნანა ჯიმშიტაშვილს. ნანიკო, გთხოვ, შემეხმიანე, მენატრები და მიყვარხარ ძალიან. ათენი, მაია, ქუთაისიდან.

• ჩემს ძმებს, რუისპირს და კუტრინას მოვიკითხავ. მიყვარხართ ძალიან, სიხარულებო. კლეოპატრა.

• მარი, ზიხარ ალბათ ახლა და „გზავნილებს“ ამზადებ. მანდ მაინც ვიყო, ჩაგეხუტებოდი. გთხოვ, მარ, „გზავნილებში“ ძველებური სითბო დააბრუნე. ბევრი გაკოცე. კლეოპატრა.

• ოჰ, მაარ, ეგ ჩემი ჯიმქერისეული სურათი შენი დაბეჭდილი იქნება. მახსოვს, ზაფხულში რომ დამპირდი, დავბეჭდავო. ან იქნებ SWEET-მა ან სხვა ვინმემ გამოგიგზავნა? ერთი კი ვიცი, რავარც „გზას“ ჩაკბეჩილი დედამიწა არ მოშორდება, ისე არ შორდება ჩემი სახე. ისე, წინასწარ მაინც მითხარით, თორემ მე ჩემს თავს სარკეში ვერ ვიტან და ასე მოულოდნელად და თან დაჭყანული, გულს მიხეთქავს. მაგის გადაღების ისტორია — პრიკოოლ. P.S. აუ, აქ რა ამბავია, ერთი ადამიანის არ იყოს, ვისი კალამი ვის რვეულშია, ვერ გაიგებ. სუპერსთარი.

• მაარ, ბოდიში, ამ დილით რომ გაწუხეებთ! მინდა გითხრა: მიუხედავად იმისა, რომ არ გიცნობ, არც ახლოდან და არც შორიდან, მაინც მიყვარხარ! იცი, რატომ? თქვენი, როგორც ჟურნალისტის, წერის მანერა ბევრ რამეზე მეტყველებს. უზომოდ თბილი ადამიანი ხართ, შესაშური ნიჭის პატრონი. გკოცნით ყველას, შენი თამადობით. :) ლაკრიმოზა.

• მარი, მესიჯებს რატომ არ მიბეჭდავ? სიმართლე არ გსიამოვნებს? მე წავედი, ჯობია, შორიდან გადევნოთ თვალი. მშვიდობით. თიკუნია999.

• ვაიმე, მაარ, რა მაგარ „მინიროგანებს“ წერ, აღფრთოვანებული ვარ. სანტა.

• როგორ გაგვიფრინდა წლები, ერთად ყოფნის, დადგა განშორების მწარე მოლოდინი... ნუღარ აგვატირებ, სევდა ისეც გვყოფნის, ნუ გაჰყვები ნიავს, ხმელი ფოთოლივით... ოთხი წელიწადი რა ჩქარა გავიდა, ბოლო წამებია შენი, საეთერო, აწ უკვე ვერაფერს დავიწყებთ თავიდან, თითქოს და წარსული ფეხით გაეთელოთ. მიდიხარ, წარსული იქცა მოგონებად და ეს მოგონება ქარში გაიფანტა, ოდესღაც ალბათ ის წამიც გაცოცხლდება, როდესაც ეს სითბო ჩვენში დაიბადა. მიდიხარ და რჩება სრული სინანული, წარსული არასდროს აღარ დაბრუნდება, ჩვენში კი დარჩება შენი სიყვარული, ოდესღაც ოცნებაც ალბათ ასრულდება. მაგდას, ყველა მეგობრის სახელით. 9717.

• რაც წავედი, ამ დროის მანძილზე 3 „გზა“ ვნახე მარტო, მარ. :(საერთოდ არ ვიცი, რა ამბებია და ცუდია. :(თავი ახალ მკითხველად წარმოვიდგინე და რა საყვარლები ჩანან ბევრნი. ნეტავ მართლა მასეთები იყვნენ და გავიხარებდი. მაგრამ... შენ ბოდიში მარ და კიდევ მადლობაც, შემოგევლე, მარიამულ. :)

• მარ, მოგესალმები, მე ძველი მკითხველი და ახალი მგზავნელი ვარ. მინდა, ჩემი ბოტებიანი გოგოჭურები მოვიკითხო — პეპლიკო, ელოია და ბატი ტასიკო. პეპლიკო, ტარამ ტარამ, მიდი, მოვდივართ. ბიკოჩალა ანანო.

• გონებაში წამით გამიელვებს სიზმრად ქცეული, გრძნეული ქალის ხატება. ათეული წლებია, აჩრდილივით თან დამდევს, ჩემშია, ჩემთან ორგანულად შენასკვული, შესისხლხორცებული. და აი, საოცრება: მე უკვე ვბერდები, სადაცაა, ჩემი მზე გადაიწვერება, ის კი ისევ ნორჩია, ახალგაზრდა, ვით იმ საღამოს, გარეთ რომ გამიხმო, ჩემი მყუდრო სამყოფელიდან, ამიყვანა მაღალ მთაზე, მომაჯადოვა, ჩემი სულის უღრმეს კუნჭულში ჩასახლდა. მას აქეთ ნორჩია, ახალგაზრდა, მომხიბლავი, სათნო. მას რა უჭირს, მე

ჩემო მარი, ძალიან გთხოვ, ეს მესიჯი განსაკუთრებულ ადგილზე მოახვედრე, რომ სწრაფად გამომეხმაუროს ოჯახი, ვისაც სურვილი ექნება, ჩემს წინადადებას გაგებით მოეკიდოს და განსაზღვროს მისი შვილის მომავალი. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან რთულ წინადადებას ვთავაზობ. ერთ ბერძენ ოჯახს სურვილი აქვს, ქართველი ბავშვის, 10-წლამდე გოგონა შვილად აიყვანოს ისე, რომ კონტაქტი არ გაუწყვიტონ მშობლებთან, თუ რა თქმა უნდა, მშობლები ეყოლება და თან ამავე დროს, დიდი დახმარება უნდათ გაუწიონ მათ. თუ გაგიჩნდებათ სურვილი გააბედნიეროთ შვილი და მისცეთ მას უზრუნველი ცხოვრება, შემეხმიანეთ სასწრაფოდ. ქალბატონ მარისთან დავტოვებ ჩემს კოორდინატებს. ვიცი, როგორც მშობელი, ძალიან რთულ საქმეს გთავაზობთ და ძნელი გადასაწყვეტი იქნება, ნებისმიერი ოჯახისათვის, მაგრამ დაფიქრებად ღირს. დიდი მადლობა წინასწარ. მაკო, 60 წლის. ათენი.

ვინაღვლო, რომ უმწეო მონა ვარ, მისი ეშხისა. გრძნეული ქალი ტრფობაა ჩემი. რას იზამ, წესია ბუნებისა, შეყვარებული ჭკნება, ბერდება, სიყვარული კი — არასოდეს!!! ჰოკერა.

• SWEET-GIRL, მაგარი ხარ და მაგარი რითმა გაქვს. ვიმეგობროთ? ს.კ.

• მოკლედ, რას გააპიარეთ ეგ დათოა თუ ვინცხა. მაგასაც ეგ უნდა. აღარ გვინდა რაა, მაგ სახელის შემარცხვენელზე ლაპარაკი. მის რეალს ვეთაყვანები შორიდან. P.S. სუ600, ჰაა, მივდივარ იქანა, ჩვენ რომ ვიცით? :) სანტა.

• დამიკიდა ამ ცხოვრებამ, დამიკიდეს სხვებმაც, ჩემი გული ვეღარ უძღებს, ღმერთთან ეძებს შვებას... ბერბიჭ, გული არ გაიტეხო. გიჟოეტა.

• გმადლობ მოკითხვისთვის, ფეშენა. გაიხარე. ყველას მოვიკითხავ, ვისაც ვახსოვარ. გაკოცეთ. თიკუნია999.

• პოლიგონს დაემსგავსა „მობილი-ზაცია“, ვინ უფრო საზიზღარ სიტყვას ისვრის, ეჯიბრებიან. მგონი სჯობს, საერთოდ გააუქმო ეგ რუბრიკა, უზრდელობის დემონსტრაციაა! ფინტიკოზა.

• ლიმონა, მის რეალ, სიკვდილა, გაიხარეთ, ჯიგრის კუნწულებო, რა კარგები ხართ. მარიამულ, ყოველ კვირას დაბეჭდე რა, მგზავნელების სურათები, გთხოვ. SWEET GIRL, შენც კარგი ხარ და დანარჩენი ბიჭებიც. მოუფრთხილდით და მოეფერეთ ერთმანეთს, კარგი მეგობარი ძნელი საპოვნელია.

• აუ, გოჩა მანველიძის ფანი ვაარ. უმაგრესია. სიამოვნებით ვკითხულობ მის დეტექტივებს. „ძმები“ მორჩა. :(კიდევ დაბეჭდეთ რამე, რაა. ბატონო გოჩა, მიყვარხართ. კლეოპატრა.

• გამარჯობა, მარ... როგორ ხარ, ჩვენს ხელში? პატარა „კამენტარის“ გაკეთება მინდა დაააა... :) პირველ რიგში, ძალიან დიდი მადლობა ვერძს და ვერონას, უსაყვარლეს ადამიანებს. ასევე, კუტრინას. კეთილი იყოს შენი მობრძანება. მოკითხვა ბერბიჭას, კლეოპატრას და ყველას! ელექტრაც მიდის. :(კაშმაااარ! :(მარ, არც შენ იცი, რა ხდება „მობილი-ზაციაში“? პირადად მე, აღარ შემიძლია ამდენი საძაგლობის კითხვა და სხვა მკითხველი რა დღეში იქნება, ხომ წარმოგიდგენიათ? რამე იღონე რა, გთხოოოოოვ... გასკდა გულიიიიი!!! დამავოი.

• მადლობა, ვინც ნიკოს გარდაცვალება მოგვისამძიმრა... მინდა უნიკოს ვუთხრა, რომელიც ამბობს, კარგია, ვინც არ იცნობთ მგზავნელებს პირადადო... ასე ნამდვილად არაა. მარტო იმიტომ ღირდა „გზაში“ დამესიჯება, რომ გამეცნო კიკო, ჩუპი, ლიმონა, სიკვდილა, SWEET-GIRL, იჭო, კახელო, სოოფ19 და კიდევ ბევრი. მიყვარხართ ძალიან... მართალია, აქ ბევრი, როგორიც ჩანს, რეალობაში ისეთი არაა, მაგრამ მიხარია, რომ ძალიან ბევრს ვიცნობ და დავინახე, ვინ ვინაა. ვისთან შეიძლება მეგობრობა და ვისთან — არა. ასე რომ, სჯობს გაიცნოთ კარგად ადამიანები, ვიდრე ვინმეზე მცდარი წარმოდგენა გქონდეთ. P.S. რუისპირო, სად დამეკარგე? 9717, „გზას“ დააკლდი. პოეტო, მოგესალმები... წერე ბევრი, ბევრი ლექსი. :) მის რეალი.

• მესაფლავე ამბობს ასე: „ქვეყანაზე ვინც კი კვდება, იმ წუთშივე მისი ჩრდილი ყველა ჩვენგანს ავიწყდება“. მე არ მჯერა მესაფლავე, გალაკტიონს მოვდე შარი, რადგან თავად დაამტკიცა, რომ ამ ლექსში ცდომა არის. წავიდა და დღესაც გვათრობს მისი ლექსის უტოპია, რითმები და სტრიქონები ზოგი ამოუცნობია. მესაფლავე, მინდა შენთან, ობიექტური ვიყო, მე ამაში მეხმარება, ლექსის ლომი, ჩემი ნიკო. არ შემფერის გალაკტიონს ვეკამათო... მაინც მჯერა, ზოგის ჩრდილს რომ სიცოცხლეშივე ასამარებს ბედისწერა. ნიკოსნაირს ვერას უზამს, მესაფლავე, დრო და ჟამი, რომც შეჭამოს სუმთლად მიწამ, სხეული და გაქრეს გვამი, გავბედე და მივაყარე, ნიკოს მუჭა მიწა, შავი, შევფიცე, რომ მუდამ ჩემში იდღეგრძელებს მისი თავი. მის რეალი.

• მინდა, დამავოის და აზიელს ვუთხრა, რომ არაჩვეულებრივები არიან. ძალიან მიყვარს ორივე. ჩემი როსტიკოები. :)

• ორ ადამიანს ერთმანეთი შეუყვარდა, დიდი ასაკობრივი სხვაობით. გოგონა სულ მთლად ბავშვი იყო, ბიჭი კი... თუმცა, რაღა ბიჭი, — კაცი. უამრავი წინააღმდეგობა, უამრავი ცრემლი, მაგრამ მაინც მომავლის იმედი. სამწუხაროდ, გოგონას არ ეყო ძალა, გამკლავებოდა ყველას და ყველაფერს. დაჰყვა მშობლების ნებას სამუდამოდ გაწყვიტა ბიჭთან ურთიერთობა (მაშინ ეგონა, რომ სამუდამოდ). დღეს ორივეს საკუთარი ოჯახი აქვს, ბედნიერად ცხოვრობდნენ მანამ, სანამ მათი გზები კვლავ არ გადაიკვეთა. მათ დღესაც ძველებურად უყვართ ერთმანეთი, მაგრამ...

გილოცავ!

• საყვარელ დედას, ირმა დაშნიანს ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელ და ულევი სიხარულით სავსე ცხოვრებას.

• დაბადების დღეს გილოცავს მამიკო, მალხაზი გრძელიძე, მანანა ბებო, სულიკო ბებო, ნოდარი ბაბუ და ვალერი. გკოცნით, მამუკა და მარიამ გრძელიძეები.

• ჩემს საყვარელ დეიდას ვულოცავ დაბადების დღეს. დაესწარი მრავალს. დიდხანს სიცოცხლეს და ულევ სიხარულს გისურვებ. ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეს. მიყვარხარ.

• ჩემს სიცოცხლეს, თემური დეკანოსიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ჯანმრთელობას, სიყვარულს და ულევ სიხარულს ვუსურვებ. გფარავდეს უფალი, ჩემო სიხარულო, შენი ოლოლა.

• 27 აპრილს დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს ანგელოზს, მერიკუნა ძიძიგურს. რწმენით, სიხარულით და სიყვარულით გეცხოვროს მუდამ, ჩემო კუდრაჭავ. მარიკა დედიკო.

• ჩემს სიცოცხლეს, ემზოს ვულოცავ დაბადების დღეს და ქუთაისობას. სიხარულით და სიყვარულით გეცხოვროს მუდამ, ჩემთან და ჩვენს მერცხლებთან ერთად, სიხარულო. უფალი გფარავდეს.

• ჩემს ლამაზ და მონატრებულ შვილს, ირინა გელხვიძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 25 აპრილს. ჯანმრთელობა, სიხარული და ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეს, შენს ლამაზ ქმარ-შვილთან ერთად. გკოცნი, მონატრებული დედიკო, თინა.

• მეგობარს, გულო ჩიტაიშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ საუკეთესო სურვილების შესრულებას. საყვარელ ოჯახთან ერთად გაიხარე, ჩვენო საყვარელო. გულო, გილოცავენ მეგობრები, ნიურა, მაყვალა, გულიზა. გკოცნით.

• ჩვენო ბოლოკა, ძალიან გვენატრები. ბუბუ, გილოცავთ დაბადების დღეს და გისურვებთ ჯანმრთელობას, გამძლეობას და სულ მალე ოჯახთან ყოფნას. ჩათვალე, რომ რაც ხდება, ძალიან ცუდი სიზმარია და მალე გათენდება. ყველაფერი ჩაივლის და მალე განახავთ. არ დაგავიწყდეს არასოდეს, რომ სიმართლის და სიკეთის სანთელი არასოდეს ქრება. აბა, შენ იცი ბუბუ, მაგრად იყავი. გკოცნით. გვიყვარხარ და სულმოუთქმელად გელით. იაკო, დიკუნია, თეო, ოქროსნისკარტა.

• დროებით ათენში მცხოვრებ სიხარულიძე ლიას დიდი სიყვარულით და ლამაზი სურვილებით მინდა მივულოცო დაბადების დღე. შენი სიცოცხლის ყოველი დღე ყოფილიყოს მზის შუქივით ბრწყინვალე და ნათელი. გისურვებ ბევრ ლამაზ წელს. ნესტანი.

• ჩემო ბოლოკა ბუბუკა, უპირველეს ყოვლისა გილოცავ დაბადების დღეს და გისურვებ ყოველივე საუკეთესოს. არ მოიწყინო, გამაგრდი. გახსოვს, გიოს რომ სანთლები მიეცი ლომისობას? ყოველდღე ანთებდა და ლოცულობდა, რომ ყველაფერი კარგად ყოფილიყო. მალე გაივლის დრო და ისევ ოჯახთან იქნები. აბა შენ იცი, ბუბუ, მაგრად იყავი. ხომ იცი, შენი დაიკო სულ შენთანაა. მიყვარხარ და მენატრები ძალიან. დიდი მოკითხვა გიოსგან. გკოცნით. იაკო, გიო.

• ხაშურში ასმათს და მახოს ვულოცავთ შვილის, პატარა თორნიკე მხატვრიშვილის დაბადებას. ღმერთმა ჯანმრთელი და სასახელო გაზარდოს. გკოცნით შორიდან და მენატრებით. ბებიები, მზია და ცინარა.

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

ფაქტ-აუდი

მისტიფიკაციები და გაბრიყვებული მოსახლეობა

ბიჭუნა საჰაერო ბუშტზე

2009 წლის 15 ოქტომბერს 6 წლის ფალკონე ხინეს მშობლებმა განაცხადეს, რომ მათი ბიჭუნა საჰაერო ბუშტით გაფრინდა. ხანგრძლივი ძიების შემდეგ, საჰაერო ბუშტი მიწაზე დაეშვა, მაგრამ ფალკონე კალათში არ იჯდა. გაჩნდა ვერსია, რომ ბიჭუნა შესაძლოა, ფრენის დროს კალათიდან გადმოვარდნილიყო. თუმცა, ცოტა ხანში გაირკვა, რომ საღ-სალამათი ბიჭი შინ იჯდა და ტელევიზორს უყურებდა, ეს წარმოდგენა კი მისმა მშობლებმა გაითამაშეს — ისინი ერთხელ უკვე მონაწილეობდნენ რეალითი შოუში და პოპულარობის მოპოვება ხელახლა სურდათ. მათზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

„მაიკროსოფტიც“ ხუმრობს

1994 წელს ინტერნეტში გაჩნდა „მაიკროსოფტის პრეს-რელიზი“, რომელშიც ეწერა, რომ კომპანიამ კათოლიკური ეკლესია შეიძინა. დოკუმენტში ბილ გეიტსის ინტერვიუდან ამონარიდიც იყო მოყვანილი: „კათოლიკური ეკლესიისა და „მაიკროსოფტის“ გაერთიანება საშუალებას მოგვცემს, რელიგია უფრო გავამარტივოთ და გავამხიარულოთ“. ამ ხუმრობას ისეთი გამოხმაურება მოჰყვა, რომ ბილ გეიტსმა ბოდიში საჯაროდ მოიხადა.

ჰიტლერის დღიურები

1983 წელს ჟურნალმა — „შტერნმა“ რამდენიმე მლნ მარკად შეიძინა და გამოაქვეყნა ფიურერის 1932-45 წლების დღიურები. ცოტა ხანში გაირკვა, რომ ჩანაწერები ყალბი იყო და ისინი ყოფილმა ნაცისტებმა დაწერეს, რათა საზოგადოებას ჰიტლერზე კარგი შთაბეჭდილება შეჰქმნოდა.

თაღლითი ოლიმპიელი

1972 წელს მიუნხენის ოლიმპიადაზე გერმანელი სტუდენტი, ნორბერტ სადხაუსი 42-კმ-იან მარათონში მაშინ ჩაება, როცა ფინიშამდე რამდენიმე მეტრი რჩებოდა — მან დაღლილი სპორტსმენები უკან ჩამოიტოვა და გაიმარჯვა. მართალია, თაღლითი მალევე გამოააშკარავეს, მაგრამ მან ამ საქციელით სახელი გაითქვა და ოლიმპიადის ისტორიაშიც შევიდა.

ჟურნალისტური ოინი

1917 წელს ჟურნალისტი ჰენრი მენკენი გაზეთ New York Evening Mail-ის რედაქტორს დაენაძლევა, რომ მკითხველი გაზეთში ყველა გამოქვეყნებულ სტატიას სიმართლედ აღიქვამდა და ამის დასამტკიცებლად, ახალი „ფაქტების“ ძიებას შეუდგა. ცოტა ხანში გაზეთში გაჩნდა ინფორმაცია, რომ XX საუკუნის ამერიკაში შხაპის მიღება დანაშაულად და ორგანიზმისთვის საზიანოდ მიიჩნეოდა, კანონის დამრღვევს კი ჯარიმა უნდა გადაეხადა. სტატია სხვა გაზეთებმაც გადაბეჭდეს, მეცნიერებმა კი ის თავიანთ კვლევებშიც გამოიყენეს. 8 წლის შემდეგ მენკენმა აღიარა, რომ სტატიაში მოყვანილი ფაქტები სიმართლეს არ შეესაბამებოდა, მაგრამ აღარავინ დაუჯერა. 1952 წელს პრეზიდენტი ტრუმენი თავის მოხსენებაში ჯანმრთელობის თემას შეეხო და მენკენის სტატიის ციტირება მოახდინა, ხოლო 2004 წელს „ვაშინგტონ პოსტმა“ მენკენის „ფაქტები“ გამოაქვეყნა რუბრიკაში: „იცით თუ არა, რომ...“

ლოხ-ნესის ფოტო

1934 წელს ინგლისურმა „დეილი მეილმა“ გამოაქვეყნა ლოხ-ნესის ურჩხულის პირველი ფოტო, რომელიც ლონდონელ ქირურგ უილსონს ეკუთვნოდა. ქირურგის მტკიცებით, მან ურჩხული ტბის მიდამოში სეირნობისას, შემთხვევით დააფიქსირა. სხვათა შორის, 1975 წელს ქირურგმა აღიარა, რომ ურჩხულის ფოტო ყალბი იყო და იგი თანამზრახველებთან ერთად „შექმნა“.

მილიარდერის ბიოგრაფია

მწერალ კლიფორდ ირვინგის ნაწარმოებები პოპულარობით არ სარგებლობდა და გაჭირვების გამო, აფერისტობა განიზრახა — მან ექსცენტრიკული მილიარდერის, ჰოვარდ ჰიუზის ბიოგრაფია დაწერა. წიგნმა მწერალს ფული და წარმატება მოუტანა, მაგრამ თაღლითობისთვის ციხეში გამომამწყვდიეს. სხვათა შორის, 2006 წელს ამ ამბის საფუძველზე ფილმი — „მისტიფიკაცია“ გადაიღეს, რომელშიც მთავარ როლს რიჩარდ გირი თამაშობს.

ნახტომი ბრუკლინის ხიდიდან

ბრუკლინის ხიდის მშენებლობაზე 16 მლნ დოლარი დაიხარჯა და ცოტა ხანში, მას „თვითმკვლელთა ხიდი“ შეერქვა, რადგანაც 26-მა ადამიანმა

სიცოცხლე ხიდიდან გადახტომით დაასრულა. თუმცა, პირველი ნახტომი იღბლიანი აღმოჩნდა — ვინმე სტივ ბროდი მეგობრებს დაენაძლევა, რომ ხიდიდან გადახტებოდა და გადარჩებოდა. თანამოაზრეებმა 42 მ სიმაღლის ხიდიდან ბროდის ფიტული გადაგდეს, თავად „გადარჩენილი“ კი საჭირო ადგილას მიცურდა. ვიდრე აფერა გამჟღავნდებოდა, ბროდიმ მოგებული თანხა მეგობრებს გაუნაწილა და მიიმალა.

„მისტიკური“ რგოლები

დედამიწის სხვადასხვა ადგილას უხსოვარი დროიდან არსებობს მისტიკური წრეები, რომელთა დანიშნულება და მნიშვნელობა კვლავაც უცნობია. ბრიტანელმა მხატვრებმა: დეივ ჩარლიმ და დაგ ბაუერმა გადაწყვიტეს, ასეთი წრეები ინგლისშიც ყოფილიყო. ისინი 13 წლის მანძილზე, კენტის საგრაფოში ქმნიდნენ წრეებს და ხალხს ატყუებდნენ.

„გაცოცხლებული“ პოლი

დღემდე არსებობს მოსაზრება, რომ „ბითლზის“ წევრი — პოლ მაკარტნი 1966 წელს, ტრაგიკულად დაიღუპა და იგი მისი ორეულით შეცვალეს. სოციოლოგებმა არაერთხელ გამოიკვლიეს მაკარტნის „სიკვდილი“, მაგრამ საბოლოო დასკვნამდე ვერ მივიდნენ.

აფორიაქებული ამერიკა

ჰერბერტ უელსის ნაწარმოები — „სამყაროთა ომი“ მწერლის მოგვარემ, ორსონ უელსმა მარსელების მიერ დედამიწის დაპყრობის რეპორტაჟად აქცია და მეტი დამაჯერებლობისთვის, რუზველტის კომენტარებით გააფორმა. რადიოდადგმა ეთერში 1938 წლის 30 ოქტომბერს გაუშვეს. მოსახლეობაში პანიკა ატყდა: ხალხი საავადმყოფოებში რეკავდა და შველას ითხოვდა, პოლიციელებს იარაღის დარიგებასა და მარსელებთან ბრძოლაში დახმარებას სთხოვდნენ, ზოგიერთი მათგანი კი „საკუთარი თვალით ხედავდა“ პლანეტაზე ჩამოსულ უცხოპლანეტელებს... დილით ხალხი დამშვიდდა და ჩვეულ ცხოვრებას დაუბრუნდა.

ცრუ იეტი

2008 წლის აგვისტოს კრიპტოზოოლოგმა ტომ ბისკარდიმ პალო-ალტოში (კალიფორნია) გამართულ კონფერენციაზე განაცხადა, რომ ორ მონადირესთან ერთად თოვლის კაცი — იეტი მოკლა. ინფორმაცია ყველა გაზეთმა გაავრცელა, მაგრამ იეტი რეზინის გორილა აღმოჩნდა. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ტყუილით, ბისკარდიმ მოსახლება პირველად 2005 წელს გააბრიყვა. ■

რუბრიკა მოამზადა
რუსუდან გელაშვილმა

„ჩემი დავით კლდიაშვილი“

დიდი მწერალი და „ბედისწერისგან შეგრალებული“ ოფიცერი

მწერალი, რომლის ნაწარმოებები მუდამ იდგმება ქართული თუ უცხოური თეატრების სცენაზე და ბევრი მათგანის ეკრანიზაციაც არსებობს, რომელიც ყველა თაობას უყვარს და მუდამ თანამედროვეა — „ქართული პროზის საგანძური“ მომდევნო, მეათე ტომად კლასიკოსი მწერლის, დავით კლდიაშვილის ნაწარმოებებს გამოსცემს. მასზე სასაუბროდ მწერლის შემოქმედების მკვლევარს, ავტორს წიგნისა — „ჩემი დავით კლდიაშვილი“, „პალიტრა L“-ისა და ჟურნალ „გზის“ ერთობლივი პროექტის დიდ გულშემატკივარს, მწერალ მაკა ვეფხაძეს ვეწვიეთ. მათ, ვინც ჩვენი „საგანძურის“ მეათე წიგნის შეძენას გადაწყვეტს, ვინც პირველად ან ხელახლა გაეცნობა სამანშვილებისა თუ ქამუშაძეების, მანველიძეებისა თუ მორბელაძეების, დარისპანისა თუ ირინეს გასაჭირს, უბედურებასა და „ბედნიერებას“, ამ ინტერვიუს წაკითხვა უთუოდ წაადგება.

ირმა ხარშილაძე

— ქალბატონო მაკა, რატომ არიან დავით კლდიაშვილი და მისი პერსონაჟები მუდამ თანამედროვენი?

— მართლაც, კლდიაშვილის ნაწარმოებებმა დროს გაუძლო და მისი გმირები დღესაც აქტუალურები არიან, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ის დიდი მწერალია. მის ნაწარმოებებში თემატურად თითქოს, განსაკუთრებული არაფერი ხდება: ეს გახლავთ პერიოდი, როდესაც ერთი ფორმაცია მეორით იცვლება, რადიკალურად განსხვავებული ცხოვრება იწყება და ადამიანებიც გაოგნებულებ-გაოცებულები არიან. ამაზე იმ დროს ბევრი წერდა, თუმცა დავით კლდიაშვილმა ორიგინალურ ხერხს მიმართა: ეს ცვლილებები ფონად გამოიყენა და ექსტრემალური სიტუაციები, სადაც მაინცდამაინც „შემოდგომის აზნაური“ კი არა, ზოგადად ადამიანი მოხვდა, ტესტივით გაავრცელა. უმნიშვნელოვანესი აღმოჩნდა, რომ მწერალი ძალიან კარგად, ღრმად იცნობს ადამიანის ბუნებას და ასევე, ძალიან უყვარს ადამიანი. სხვათა შორის, დავით კლდიაშვილის სიცოცხლეში დადგმული მისი პიესები ჩავარდა, რადგან ყველას იმერულ დიალექტსა და დაცინვაზე გადაჰქონდა ძირითადი აქცენტი. არადა, მწერალი არასდროს დასცინოდა თავის გმირებს, მათ თბილი იუმორით მხოლოდ თანაუგრძნობდა. როდესაც კლდიაშვილს ჰკითხეს: ხალხს ასე ძალიან რატომ უყვარხართო? უპასუხა: — მთელი ჩემი ბავშვობა სინათლესა და სიყვარულში ვიყავი „ამოგანგლულიო“. საკუთარი სამართლიანობისა და სიკეთის საფუძველს კი გენეტიკაში — მშობლებსა და მათ წინაპრებში პოულობდა. დავით კლდიაშვილმა, ფაქტობრივად, გმირობა ჩაიდინა: სხვა ბავშვებივით, სასწავლებლად ისიც რუსეთში გაამგზავრეს. გამგზავრებამდე მათ ოჯახს აკაკი წერეთელი



სწვევია. აკაკის კითხვაზე: გასარუსებლად მიდიხარო? — 12 წლის დავითს წყენით უპასუხია: მე არ გავრუსდებიო! 17 წლისა მაინც გარუსებული ბრუნდება საქართველოში, სრულიად დავიწყებულ ქართულს თავიდან, თანაც, შესანიშნავად სწავლობს და ასეთივე შესანიშნავ ნაწარმოებებს წერს...

— ჩანს, ეს მწერალი ძალიან ახლობელია თქვენთვის. ამას ისიც ადასტურებს, რომ წიგნს „ჩემი დავით კლდიაშვილი“ უწოდეთ...

— ჩემი თაობა წიგნზე გაიზარდა და ბევრი მწერალიც მიყვარს, მაგრამ ასეთი „ჩემი“ მხოლოდ დავით კლდიაშვილია (*იღიმის*). ვფიქრობ, რომ კლდიაშვილის ჩემეული ხედვა იმიტომაა ორიგინალური, რომ მის ნაწარმოებებში დიდი დატვირთვა მივეცი ნიღაბს, როგორც თავდაცვით ინსტინქტს, თავშესაფარს; ტყუილი, ტრაბახი, ფანტაზია, მაშვლობის პროფესია შრომის პროცესთან დავაკავშირე — გმირები შრომობენ და თან, მძიმე სიტუაციიდან გამოსავალს ეძებენ ისე, რომ საკუთარ განცდებს ოჯახის წევრებსაც არ უმჟღავნებენ. ეს, ასე ვთქვათ, თვითთერაპიაც არის და არა მხოლოდ იმერული, სწორედაც რომ ქართული ბუნების მანიშნებელია. გარდა ამისა, დავით კლდიაშვილის ნაწარმოებებში თაობები გამოვყავი: უფროსი, საშუალო, ახალგაზრდა თაობა და ბავშვები, რომლებსაც ფაქტობრივად, ბავშვობა წართმეული აქვთ.

— დღესაც ხომ ზუსტად ასეა თაობები დაყოფილი?

— დიახ, დღესაც იდენტური ვითარებაა. დავით კლდიაშვილთან უფროსი თაობა, მაგალითად, ბეკინა სამანიშვილი გაჩერებული საათივით, ძველ დროში ჩარჩა; რა დროშიც ცხოვრობდა, იმდროინდელი მოთხოვნილებები და სურვილები აქვს... საშუალო თაობა ყველაზე მძიმე ვითარებაშია, რადგან არა მარტო საკუთარი თავი გაუხდა სარჩენი, არამედ — მშობლებიც და შვილებიც. ამიტომაც, ყველაზე არტისტული ბუნება, გამოსავლის ძებნა სწორედ ამ თაობამ იტვირთა. გახსოვთ, ალბათ, სოლომანის განთქმული ჯორი, რომელსაც მართლაც, „ბიბლიური ფერი“ ადევს, რაც ფანტასტიკური მეტაფორა გახლავთ საშუალო თაობის ადამიანებისთვის. ჩემს ოპონენტს, აკაკი გაწერელიას ძალიან მოეწონა ეს ჩემი პარალელი და მითხრა: შენი მიგნება ისე ზუსტად ჩაჯდა მსოფლიოს კულტურული მონაპოვრის, ხელოვნების კონტექსტში, რომ მასში ხელოვნური არაფერი აღმოჩნდაო. ჩემს წიგნში ვიხსენებ აკირა კუროსავას ფილმს — „ტრამვაის ბორბლებქვეშ“, სადაც უღარიბეს კვარტალში მცხოვრებ ბიჭს ტრამვაის საჭე უკავია და მთელი დღის განმავლობაში ასე დადის: შიმშილის გამო შეშლილობის ზღვარზეა მისული და იქმნის ილუზიას, რომ უსაქმოდ არ არის. საღამოს, შინ დაბრუნებულს კი სჯერა, რომ საქმე გააკეთა. როგორც კუროსავასთან აქვს ამ ბიჭს თვითგადარჩენის, ფარ-ხმლის არდაყრის ინსტინქტი, ასეთია ჩემთვის კლდიაშვილის სოლომან მორბელაძე... დღევანდელ ყოფას, სიტუაციას, უფუნქციოდ დარჩენილ, განუხორციელებელ, უპერსპექტივო ადამიანს, თავისი ფსიქოლოგიური მდგომარეობით ხშირად ვადარებ ხოლმე დავით კლდიაშვილის გმირებს... გარდა ამისა, ვთქვათ, თუკი არ გაიგებ, ვინ არის ბეკინა სამანიშვილის მამა, ბაბუა და რა მდგომარეობაში არიან ისინი, მისი შვილის განცდებსაც ვერაფრით ჩასწვდები. როდესაც მკითხველი ამ კუთხითაც შეხედავს კლდიაშვილს, საოცრად საინტერესო და უცნაურ მწერალს აღმოაჩენს.

გმირები შრომობენ და თან, მძიმე სიტუაციიდან გამოსავალს ეძებენ ისე, რომ საკუთარ განცდებს ოჯახის წევრებსაც არ უმჟღავნებენ

— რას უნდა ჩაუღრმავდეს ახალბედა მკითხველი დავით კლდიაშვილის ნაწარმოებებში?

— რამდენიმე წლის წინ რეჟისორმა გოჩა კაპანაძემ დავით კლდიაშვილის პიესებზე დადგმულ რამდენიმე სადიპლომო სპექტაკლზე მიმიწვია და სტუდენტების თამაშმა გამაოგნა: იცით, როგორ ჰყავდათ გააზრებული და გათავისებული თითოეული პერსონაჟი? მაშინ ვიფიქრე: რომ არა ჩვენი ეპოქა, მიჯნა, სადაც საქართველო დღეს აღმოჩნდა, ბავშვები ამ გმირებს ასე კარგად ვერ გაუგებდნენ. როცა ახალგაზრდა მკითხველი კლდიაშვილის ნაწარმოებებს ჩაუჯდება, იქ საკუთარ განცდებს აღმოაჩენს, თუნდაც, სიყვარულთან მიმართებაში (მაგალითად, კაროჟნა გავიხსენოთ); ირგვლივაც შეამჩნევს „რედიკულში“ ანუ მზითვის, ფულის მაცქერალ სასიძოებს და მათ აქტიურ მშობლებს; დაინახავს, რომ სიტყვა „სიყვარული“ თაობიდანაა ამოვარდნილი. დავით კლდიაშვილი ზუსტად დღევანდელი გოგო-ბიჭების წასაკითხია. ვისაც წიგნები უყვარს, მათი შეძენის შესაძლებლობა არა აქვს, ხოლო ვისაც შესაძლებლობა აქვს, მას წიგნები არ აინტერესებს — ასევეა ახალგაზრდებთან მიმართებაშიც: ვინც კითხულობს, ის დაინახავს, რომ კლდიაშვილი დღევანდელი მწერალია, მისია, მის სიყვარულზე, სიდუხჭირეზე, განცდებზე, განსაცდელის მორევაზე წერს... და, რა თქმა უნდა, აუცილებლად შეიყვარებს მის გმირებს. დავით კლდიაშვილი ამოუწურავია: დროს გაუძლო, გაუძლებს და ვიდრე ამქვეყნად ვიქნებით, ისიც, სხვა ქართველი კლასიკოსების მსგავსად, მუდამ საყვარელ მწერლად დარჩება.

P.S. ბათუმში, რუსეთის ჯარის ოფიცერ დავით კლდიაშვილს უბრძანეს, ქართველი აჯანყებულებისთვის ესროლა, მან კი მეფის ბრძანება არ შეასრულა. გიორგი ზდანევიჩის სიტყვებით რომ ვთქვათ: „ამ გმირის გუნდს არც ერთი ტყვია არ გაუსროლია“ — დავით კლდიაშვილმა თავის რაზმს სროლა აუკრძალა. ამას დიდი მწერალი ბედისწერას უმადლოდა: მოგვიანებით, ქებით ალეწილმა და შეცბუნებულმა ტაშის გრიალში გულწრფელად განაცხადა: — „არავითარი გმირობა არ ჩამიდენია. ბედისწერისგან შებრალებული აღმოვჩნდი, ბედნიერი იმათთან შედარებით, რომლებიც უნებურად ხდებიან საშინელი დამნაშავენი ხალხის წინაშე“. აი, ასეთი იყო ჩემი, თქვენი და ყველას დავით კლდიაშვილი. ■

WORLD CUP 2010

URUGVAI 1930

ფინალური ტურნირი მიმდინარეობდა 13-30 ივლისს, მონტევიდეოში. მონაწილეები: ურუგვაი, არგენტინა, ბრაზილია, მექსიკა, ჩილე, ბოლივია, პერუ, პარაგვაი, აშშ, საფრანგეთი, ბელგია, რუმინეთი, იუგოსლავია. გათამაშების სისტემა: გუნდები ოთხ ქვეჯგუფად დაიყვნენ, ქვეჯგუფებში გამარჯვებულებმა ნახევარფინალში ოლიმპიური სისტემით გააგრძელეს ასპარეზობა. სულ 18 მატჩი გაიმართა, რომლებსაც 434 ათასი მაყურებელი დაესწრო (საშუალოდ, 24111 კაცი თითო შეხვედრისას). სულ გავიდა 70 გოლი (საშუალოდ 3,89 თითო შეხვედრაში). საუკეთესო ბომბარდირი გახდა გილერმო სტაბილე (არგენტინა, 8 გოლი).

ურუგვაისა და არგენტინას (4:2) შორის ფინალური შეხვედრა 30 ივლისს, მონტევიდეოში, სტადიონ „სენტენარიოზე“ გაიმართა. მატჩს 60 ათასი მაყურებელი ადევნებდა თვალს.

მიუხედავად იმისა, რომ ურუგვაიში მონაწილეთა „თარსმა“ რაოდენობამ მოიყარა თავი და ტურნირიც ასევე „თარს“ რიცხვში — 13 ივლისს დაიწყო, მსოფლიო თასის პირველი გათამაშება მაინც, წარმატებული აღმოჩნდა, ხოლო ურუგვაისა და არგენტინის ნაკრებთა ფინალური მატჩი შეჯიბრების ნამდვილ მშვენებად იქცა.

მონაწილეთა კენტი რაოდენობის გამო, ჩემპიონობისათვის ბრძოლას მხოლოდ ქვეჯგუფების გამარჯვებული გუნდები აგრძელებდნენ. გარდა ამისა, პირველ მუნდიალში მხოლოდ 4 ევროპული ნაკრები მონაწილეობდა, ხოლო სამხრეთი, ცენტრალური და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნების ნაკრებები უმრავლესობაში იყვნენ, რაც შემდგომში აღარ მომხდარა — ეს, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური პრობლემებით იყო განპირობებული. ტრანსატლანტიკური მოგზაურობა მხოლოდ ოთხმა ევროპულმა გუნდმა გაბედა. ფრანგებმა, ბელგიელებმა და რუმინელებმა, თანხის დაზოგვის მიზნით, საერთო ლაინერი, Conte Verde დაიქირავეს, მაშინ, როდესაც იუგოსლავიელები ატლანტის ოკეანის მეორე მხარეს ჟიულ რიმესთან და „ოქროს ქალღმერთთან“ ერთად, ხომალდით — Florida — გაემგზავრნენ.

ტურნირის პირველ დღეს ერთდროულად ორი მატჩი მიმდინარეობდა: ფრანგები მექსიკელებს დაუპირისპირდნენ, ხოლო ბელგიელები აშშ-ის ნაკრებს. მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიული პირველი გოლი ფრანგმა ლოსიენ ლორანმა გაიტანა, მაგრამ ამის შემდეგ საფრანგეთის გუნდი ერთობ რთულ ვითარებაში აღმოჩნდა: ტრავმის გამო მოედანი მეკარე ტეპომ დატოვა. იმის გამო, რომ მაშინ მოთამაშის შეცვლა დაუშვებელი იყო, გოლკიპერის ადგილი მცველმა — შანტრელმა დაიკავა. მიუხედავად რიცხობრივი უპირატესობისა, ფრანგებმა ის შეხვედრა მაინც მოიგეს (4:1).

მეორე წყვილში კი გამარჯვება ამერიკელებს დარჩათ (3:0). ამგვარად, პირველ დღეს ევროპელებმა და ამერიკელებმა თითო-თითო მატჩი მოიგეს და 4-4 გოლი გაიტანეს.

აღსანიშნავია, რომ 1930 წლის მუნდიალზე ევროპელები ამერიკელებს არა მარტო რიცხობრივად, არამედ თამაშის ხარისხითაც ჩამორჩებოდნენ. ქვეჯგუფებში გამარჯვებულ ოთხ ნაკრებს შორის „ბებერი კონტინენტიდან“ მხოლოდ იუგოსლავიელები მოხვდნენ, მაგრამ ნახევარფინალში მასპინძლებთან მათაც წააგეს, თანაც, დიდი სხვაობით (1:6). ასეთივე ანგარიშით დათმო ნახევარფინალური მატჩი აშშ-ის გუნდმა არგენტინის ნაკრებთან.

ამგვარად, ფინალში ერთმანეთის პირისპირ ჩემპიონატის ორი უძლიერესი გუნდი აღმოჩნდა. მატჩის წინ უჩვეულო აჟიოტაჟი შეიქმნა — არგენტინამ ურუგვაის სანაპიროზე გულშემატკივართა მრავალათასიანი „დესანტი“ გადასხა. ტურნირის ორგანიზატორები კი, რომლებსაც სამხრეთამერიკელთა დიდი ტემპერამენტის შესახებ კარგად მოეხსენებოდათ, იძულებულნი გახდნენ, უსაფრთხოების მიზნით მთელი 10 ათასი ბილეთი არ გაეყიდათ და მაყურებელთა ნაცვლად, ტრიბუნებზე პოლიცია და სამხედრო ნაწილები განთავსებინათ. სტადიონზე შესვლის წინ ყველას ჩამო-

ართვეს ცივი და ცეცხლსასროლი იარაღი.

მასპინძლებმა პირველი ტაიმი დათმეს (1:2), მაგრამ შესვენების შემდეგ თამაშში გარდატეხის შეტანა მაინც მოახერხეს — ამაში დიდი წვლილი შეიტანა ურუგვაელთა ცალხელა თავდამსხმელმა, ექტორ კასტრომ. მოედნის ცენტრიდან სწორედ მისი თავბრუდამხვევი გარღვევისა და გამოზომილი პასის წყალობით, ანგარიში გათანაბრდა, ხოლო თამაშის ბოლო წუთზე მან მატჩის ბედიც გადაწყვიტა — კასტრომ მეტოქის თითქმის მთელი დაცვა მოატყუა და ბურთი არგენტინელთა კარში გაგზავნა (4:2). დღემდე, ექტორ კასტრო ერთადერთ ცალხელა ფეხბურთელად რჩება, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე უთამაშია.

მატჩის დასრულებისთანავე, ფიფას პრეზიდენტმა, ჟიულ რიმემ მაყურებელთა გამაყრუებელი ოვაციების ფონზე, „ოქროს ქალღმერთი“ ურუგვაელთა კაპიტან, ხოსე ნასასის გადასცა.

რა თქმა უნდა, ამ წარმატებას, მთელი ურუგვაი ზეიმობდა. სულ სხვა განწყობილება სუფევდა არგენტინაში — არგენტინის ნაკრების ქომაგებმა უკეთესი რომ ვერაფერი მოიფიქრეს, ურუგვაის საელჩოს ოკუპაცია მოახდინეს. ეს ყველაფერი პოლიციასთან შეტაკებით დასრულდა, დაიღვარა სისხლი, რის შემდეგაც ორი ქვეყნის საფეხბურთო ფედერაციებს შორის ურთიერთობა გარკვეული ხნით შეწყდა. ბუნებრივია, ეს ფაქტი ურუგვაელი ფეხბურთელებისა და ქომაგების საზეიმო განწყობილებას ვერ გააფუჭებდა. ჩინებულ ხასიათზე იყვნენ ტურნირის ორგანიზატორებიც. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან საერთო მოგებამ 255.107 დოლარი შეადგინა. იმ პერიოდისათვის ეს საკმაოდ დიდი თანხა გახლდათ. ასე რომ, ყველამ ნათლად დაინახა: მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის ჩატარება, არა მარტო საინტერესო, არამედ მომგებიანიც იყო. ■

მუნდიალი რონალდინიოს გარეშე წარმოუდგენელია(?!)

იტალიური „მილანის“ პლეიმეიკერი რონალდინიო იმედს გამოთქვამს, რომ ბრაზილიის ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელი დუნგა მას პენტაკამპეონთა შემადგენლობაში შეიყვანს და მომავალ მუნდიალზე ასპარეზობის საშუალებას მისცემს. წლების წინ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებულ რონალდინიოს, როგორც ჩანს, სულაც არ აღელვებს ის ფაქტი, რომ მიმდინარე საფეხბურთო სეზონის განმავლობაში, იტალიური კლუბის მაისურით წარმატებულად ასპარეზობის მიუხედავად, სელესაოს თავკაცმა იგი ნაკრებში ერთხელაც არ მიიწვია. „საიდუმლოს გაგიმხელთ: მსოფლიოს ჩემპიონატი რონალდინიოს გარეშე ვერ წარმომიდგენია, — აცხადებს 2005 წლის „ოქროს ბურთის“ მფლობელი და დასძენს: — წარმოუდგენელია, რომ ჩემი მონაწილეობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს იმ შემთხვევაშიც კი, თუ თავს ძალიან ცუდად ვიგრძნობ. დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ მომავალ ტურნირზე საკუთარ ქვეყანას წარვადგენ და ტურნირს მოვიგებთ!“ როგორც ცნობილია, ბრაზილიელი ვარსკვლავი მსოფლიო პირველობაზე 2002 და 2006 წლებში მონაწილეობდა. ამასთან, კორეასა და იაპონიაში გამართულ ჩემპიონატში მან, ყვითელმაისურიანთა ნაკრებთან ერთად, მსოფლიო თასი მოიპოვა, ხოლო უკვე 4 წლის შემდეგ, ისევე, როგორც მისმა სხვა არაერთმა ვარსკვლავმა თანაგუნდელმა, თავი ვერაფრით გამოიჩინა. ■

სექსუალური სკანდალი „მამლაყინწათა“ ბანაკში

„ლიონისა“ და „ბორდოს“ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გასვლამ ფრანგული ფეხბურთის რეპუტაცია საგრძნობლად აამაღლა, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით იმ ფაქტზე, რაც ცოტა ხნის წინ გახმაურდა. „მამლაყინწათა“ ნაკრების ერთ-ერთ მოთამაშეს, რომლის სახელიც არ აშკარავდება, არასრულწლოვან მეძავთან ინტიმური კავშირის დამყარებაში ედება ბრალი. გამომძიებლებმა მოწმის სახით ფრენკ რიბერი და სიდნეი გოვუ დაჰკითხეს, რომლებმაც ცოტა ხნის წინ, ჩემპიონთა ლიგაში „ბაიერნისა“ და „ლიონის“ მაისურებით, ერთმანეთის წინააღმდეგ ითამაშეს. „სიდნეი ძალიან დათრგუნა ამბავმა, რომელმაც შეიძლება, მის ღირსებას ჩრდილი მიაყენოს. ამ მიზეზით გადავწყვიტე, განვაცხადო, რომ ჩემს კლიენტს ამ დანაშაულთან არავითარი კავშირი არა აქვს. მსურს, ეს დაიმახსოვროთ“, — განაცხადა ფეხბურთელის ადვოკატმა ტიერი ბრეიარმა.

ცნობილი გახდა, რომ გოვუსა და რიბერის გარდა, გამოძიება საფრანგეთის ნაკრების კიდევ ორ ფეხბურთელს გამოიძახებს. უცნობია, ვინ არის ეჭვმიტანილი, მაგრამ ცხადია, რომ ნაკრების ქომაგებს ამ საქმეში რიბერის სახელის ხსენებაც კი შოკში აგდებს — ფრენკი ხომ ბოლო წლებში გუნდის ლიდერია. ასეა თუ ისე, როგორც ჩანს, „მამლაყინწათა“ გუნდის ერთ-ერთი მოთამაშე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში არ გაემგზავრება, რადგანაც საფრანგეთის კანონმდებლობა, ასეთი დანაშაულისთვის, 3 წლით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ■

სამუნდიალო მატჩების ტელეტრანსლაცია სკოლებსა და სასწავლებლებში

მომავალი მსოფლიოს პირველობის მსვლელობისას არგენტინელ სკოლის მოსწავლეებსა და სტუდენტებს მატჩების ყურება პირდაპირ საკლასო ოთახებსა და აუდიტორიებში შეეძლებათ. ამგვარად, ადგილობრივი ჩინოვნიკები მოზარდი-ახალგაზრდობის მხრიდან გაკვეთილებისა და ლექციების გაცდენათა მაჩვენებლის შემცირებას შეეცდებიან. არგენტინის განათლების მინისტრმა, ალბერტო სილეონიმ განაცხადა, რომ თუ მოსწავლეები და სტუდენტები გაკვეთილებსა და ლექციებს მსოფლიო პირველობის მატჩების ყურების მიზნით გააცდენენ, ეს მათ 6 საათს წაართმევს, ხოლო თუ საკლასო ოთახებსა თუ აუდიტორიებში უყურებენ, ამისთვის მათ მხოლოდ 2 საათი დასჭირდებათ. „გარდა ამისა, მსოფლიოს ჩემპიონატი მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენაა და ეჭვგარეშეა, შემეცნებითიც“, — დასძენს სილეონი. სხვათა შორის, „შატალოების“ რიცხვის შემცირების მიზნით, ანალოგიური ზომები ქვეყნის ხელისუფლებამ 2006 წლის მუნდიალის მსვლელობის დროსაც მიიღო. მაშინ არგენტინელებს არაერთგვაროვანი რეაქცია ჰქონდათ: ზოგიერთმა მთავრობის გადაწყვეტილება მოიწონა, სხვებმა კი ჩათვალეს, რომ ეს სწავლის პროცესზე მხოლოდ ნეგატიურად იმოქმედებდა. სავარაუდოდ, არგენტინის განათლების სამინისტროს გადაწყვეტილების მიმართ არც ამჯერად ჩამოყალიბდება საერთო აზრი. მაგალითად, ბუენოს-აირესის ერთ-ერთი სკოლის დირექტორმა, მარიო ოპორტომ განაცხადა, რომ მატჩების ადგილზე ყურების ორგანიზება ყველა სასწავლებელს არ შეუძლია, რადგანაც ზოგიერთ დაწესებულებას ტელევიზორი და საჭირო სათავსიც კი არ გააჩნია. ■

გერმანელი ფიზიკოსის უცნაური ალმოჩენა

დორტმუნდის უნივერსიტეტში მოღვაწე ფიზიკის პროფესორი იმ ფორმულაზე მუშაობს, რომლის საშუალებითაც, 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის გამარჯვებულის გამოცნობა იქნება შესაძლებელი. მეტინ ტოლანის გათვლით, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სტადიონებზე წარმატებას გერმანიის ნაკრები მიაღწევს!

ფორმულის საფუძველში ჩადებულია ბუნდეს-ნაკრების მიერ ნაჩვენები შედეგები პლანეტის წინა პირველობებზე. ამგვარად, ფიზიკოსმა გამოთვალა, რომ საშუალო შედეგი, რომელიც გერმანიის ეროვნულმა გუნდმა ადრე გამართულ მუნდიალებზე უჩვენა მესამე და მეოთხე ადგილებს შორის პოზიციაა (3,7). ამასთან, გერმანელებმა 1954, 1974 და 1990 წლების ტურნირებზე გაიმარჯვეს. ამ მაჩვენებლების მიხედვით, გერმანიის გუნდი ყოველი 4-5 ტურნირის შემდეგ იგებს. „ბოლოს გერმანიამ მსოფლიო თასი 1990 წელს დაისაკუთრა, რაც იმას ნიშნავს, რომ მომავალი მუნდიალი რიგით მეხუთე იქნება და წელს, ჩვენს დაძლევას ვერავინ შეძლებს. ახლავე შეგიძლიათ ჩააცივოთ შამპანური“, — აცხადებს საკუთარ თეორიაში დარწმუნებული გერმანელი ფიზიკოსი.

შეგახსენებთ, რომ გერმანიის ნაკრებს D ქვეჯგუფში განელებთან, სერბებთან და ავსტრალიელებთან მოუწევს პაექრობა. ■



ცნობილი ტელეწამყვანის სუსტი წერტილი და სწრაფვა ერუდიციისაკენ

ბავშვობაში წიგნის კითხვაზე არ გიჟდებოდა — როგორც ბიჭების უმეტესობას, მასაც ეზოში გართობა და ფეხბურთის თამაში ერჩივნა, დედა კი არ ეშვებოდა, ლიტერატურას ურჩევდა, წასაკითხი ფურცლების რაოდენობას უსაზღვრავდა და საღამოს, შინაარსის მოყოლას სთხოვდა. აი, ასეთი გახლდათ ბავშვობაში ჟურნალისტი ლევან ვაჯაბიშვილი, რომელსაც პოეტებიდან, ყველაზე მეტად, გალაკტიონი, ტიციანი და ტერენტი გრანელი უყვარს, პროზაიკოსებიდან — ვაჟა-ფშაველა და კონსტანტინე გამსახურდია.

თამუნა ქვინიკაძე

„დიდი ხანია, ინტერვიუ არ მიმიცია...“

პრეამბულის მაგივრ

— დიდი ხანია, რაც ინტერვიუ არც ერთი ჟურნალისა და გაზეთისთვის არ მიმიცია, რადგან ყველა ერთსა და იმავე კითხვებს მისვამდა, შენ კი იმიტომ დაგთანხმდი, რომ „ერუდიტი“ მომწონს.

— შენგან განსხვავებით, ამ რუბრიკას ბევრი ადამიანი გაურბის. თავს ერუდირებულ ადამიანად მიიჩნევ?

— არა, მაგრამ ოროსანიც არ ვარ.

— ახლა რას კითხულობ?

— „მოამბეს“ (*იცინის*).

— „მოამბის“ გარდა?

— ბალზაკს, პოეზიაც მიყვარს.

— ლექსებს თავადაც ხომ არ წერ?

— ერთი პერიოდი ვწერდი, უფრო სწორად, „ვმაიმუნობდი“, მაგრამ არავის ვაკითხებდი.

— ახალგაზრდა ქართველი პოეტების შემოქმედებას თუ იცნობ?

— რატი ამაღლობელის პოეზია მომწონს. ჩემთვის ირაკლი ჩარკვიანის ხელწერაც საინტერესოა.

— რომელმა წიგნმა მოახდინა შენზე წარუშლელი შთაბეჭდილება?

— „სამმა მუშკეტერმა“ — როცა ეს ნაწარმოები წავიკითხე, 10 წლის ვიყავი და მან ჩემზე ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ 2-3 წელი დ`არტანიანობაზე ვოცნებობდი.

— რომელ სოფელში დაიბადა ნიკო ფიროსმანი?

— კახეთში დაიბადა.

— მე სოფლის დასახელება გთხოვე.

— (*ფიქრობს*) მირზაანში.

— რომელია მსოფლიოში ყველაზე დიდი მინანქრის ხატი?

— ხახულის ღვთისმშობლის ხატი.

— რა ერქვა ბიბლიური აბრაამის ცოლს?

— არ მახსოვს.

— სარა. აკაკი შანიძის მთის კილოთა ლექსიკონის მიხედვით, როგორ განიმარტება სიტყვა „პატიმარი“?

— არ ვიცი.

— ფეხმძიმე, ორსული. „ნეტავ შენ, თერგო! იმით ხარ კარგი, რომ მოუსვენარი ხარ. აბა პატარა ხანს დადექ, თუ მყრალ გუბედ არ გადაიქცე და ეგ შენი საშიშარი ხმაურობა ბაყაყების ყიყინზედ არ შეგეცვალოს. მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი“, — რომელ ნაწარმოებში წერს ამ სიტყვებს ილია ჭავჭავაძე?

— „მგზავრის წერილებში“.

— მითხარი, ვაჟა-ფშაველა ჩემი საყვარელი ავტორიაო. თუ იცი, ვინ შეარქვა მას ეს ფსევდონიმი?

— ფსევდონიმი არ ვიცი, მაგრამ მახსოვს, როცა სკოლაში მისი „არწივი ვნახე დაჭრილი“ გვასწავლეს, გვითხრეს, — არწივი საქართველოაო. მოგვიანებით, ამ ლექსთან დაკავშირებით ასეთი ამბავი წავიკითხე: იმ წლებში, როცა ვაჟა პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა, ერთ-ერთ დუქანში შევიდა. იქ მყოფმა რუსმა ოფიცრებმა საქართველო აუგად მოიხსენიეს და ვაჟას მათთან ჩხუბი მოუვიდა, შინ დაბრუნებულმა კი ეს ლექსი დაწერაო.

— ვაჟა-ფშაველა მას მეგობარმა, დიმიტრი ცისკარიშვილმა შეარქვა. რომელმა კომპოზიტორმა დაწერა მუსიკა ფილმისთვის — „მიმინო“?

— გია ყანჩელმა.

— „ჩემს ცხოვრებას ცოტა ხალისი შემატა ხალხში ყოფნამ. ვერც კი წარმოიდგენთ, რა ეულად, ნაღვლიანად გავატარე ბოლო 2 წელიწადი. აჩრდილივით მუდამ თან მდევდა ჩემი დაქვეითებული სმენა და გავურბოდი ხალხს, მიზანთროპს ვგავდი, თუმცა სინამდვილეში სულაც არ ვარ ასეთი. ეს ცვლილება ჩემში მოახდინა საყვარელმა მშვენიერმა გოგონამ, რომელსაც ვუყვარვარ და მეც მიყვარს“, — ყველა ბიოგრაფის აზრით, ამ წერილის ავტორი ჯულიეტა გვიჩარდიზე ლაპარაკობს. ვინ არის ამ წერილის ავტორი?

— კომპოზიტორია?

— **დიახ.**

— ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი.

— **რომელი ნაწარმოები მიუძღვნა მან ჯულიეტა გვიჩარდის?**

— „მთვარის სონატა“.

— **რას უწოდებენ დაუძველებლად გამოშვებულ ღვინოს?**

— ღვინის ექსპერტი არა ვარ.

— **ორდინარულს. ალკოჰოლური სასმელებიდან უპირატესობას რომელს ანიჭებ?**

— ვისკი მირჩევნია.

— **ისააკ ნიუტონის 300 წლისთავის აღსანიშნავად, დიდ ბრიტანეთში გამოუშვეს საფოსტო მარკა. რა იყო მასზე გამოსახული?**

— (*ფიქრობს*) ვერ ვიხსენებ...

— **სხვა რა იქნებოდა, თუ არა წითელი ვაშლი?**

— ო! ამ კითხვაზე უნდა მეპასუხა.

— **ვინ ასრულებს მაიას როლს ფილმში — „მაია წყნეთელი“?**

— ლეილა აბაშიძე.

— **„მე ვარ მისანი ხარი წიქარა,/ შენი დვრიტა ვარ, მამულ-დედულო,/ ზღაპრიდან მისთვის გამოვიპარე,/ რომ გემსახურო და გიერთგულო“, — ვინ არის ამ სტროფის ავტორი?**

— ვერ გიპასუხებ.

— **შოთა ნიშნიანიძე. ეს საზოგადო მოღვაწე გორის მაზრაში, ღარიბი მღვდლის ოჯახში დაიბადა. ის ჯერ გორის, შემდეგ კი თბილისის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა. 1861 წლის შემოდგომაზე კიევის სასულიერო აკადემიაში ჩააბარა, მაგრამ უკრაინის ცივი ჰავა ვერ აიტანა და III კურსიდან სწავლას თავი დაანება. მოგვიანებით, 1868 წელს თბილისის სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორად დაინიშნა. ვისზეა ლაპარაკი?**

— რადგან გორი და სასულიერო სასწავლებელი ახსენე, ვფიქრობ, სტალინზე ლაპარაკობ...

— **ცდები. ახლა ამ პიროვნებასთან დაკავშირებულ, ვასილ ბარნოვის ერთ მოგონებას წაგიკითხავ: „ჩამოიარა ყველა კლასები, ხელი ჩამოართვა მასწავლებლებს, შეგირდებსაც გადმოუგდო ზოგი რამ სიტყვა... ახალ ზედამხედველს შხეპლა და შიშმა (წკეპლა და სახაზავი) გადაუგდია. უთქვამს, ვერ მოვითმენო, რომ შეგირდებს ლახავდეთო. მართლა და ამ დღიდან შესწყდა კლასში მოსწავლის გალახვა. დაჩოქებით დასჯასაც უკვე ერიდებოდნენ მასწავლებლები“.**

— ბარნოვი ამას იაკობ გოგებაშვილზე ხომ არ წერს?

— **გამოიცანი. რისი საცავია ფონოთეკა?**

— ხმის ჩანაწერების.

— **რა ჰქვია ღვინის საცავს?**

— მარანი.

— **არა, მას ენოთეკა ჰქვია. რომელია საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე კავკასიონის უმაღლესი მწვერვალი?**

— შხარა.

— **დიახ, მისი სიმაღლე 5068 მეტრია. დაასახელე მალაიზიის დედაქალაქი.**

— კუალალუმპური.

— **რომელი ტბის ნაპირზე მდებარეობს ამერიკის უდიდესი სამრეწველო ქალაქი — ჩიკაგო?**

— არ ვიცი.

— **მიჩიგანის. ყველა ნატურალური რიცხვი, რომელიც უნაშთოდ იყოფა 3-სა და 4-ზე, კიდევ რომელ ციფრზე გაიყოფა?**

— მათემატიკა ჩემი სუსტი წერტილია.

— **12-ზე. დაასახელე მსოფლიოში ყველაზე მრავალრიცხოვანი პარტია.**

— „რესპუბლიკელები“ ან „დემოკრატები“ იქნებიან.

— **ყველაზე მრავალრიცხოვანი ჩინეთის კომუნისტური პარტიაა. რა ერქვა ძველად დეკემბერს?**

— ქრისტეშობისთვე.

— **აპრილს?**

— არ ვიცი.

— **იგრიკა. რომელი ფრინველი დებს კვერცხს სხვის ბუდეში?**

— გუგული.

— **დიახ. რა ეწოდება დედამიწის შემცირებულ მოდელს?**

— გლობუსი.

— **ანდაზის მიხედვით, გაჭირვებულ ადამიანს აღმართში რა მიეწევა?**

— ქვა.

— **ვისი სიტყვებია: „გველსა ხვრელით ამოიყვანს, ენა ტკბილად მოუბარი“?**

— შოთა რუსთაველის.

— **დაალაგე დაბლიდან ზევით დიპლომატიური რანგები: ატაშე, ელჩი, დესპანი.**

— ატაშე, დესპანი, ელჩი.

— **რომელ ზღვასთან აკავშირებს წითელ ზღვას სუეცის არხი?**

— (*ფიქრობს*) ხმელთაშუა ზღვასთან.

— **რამდენი მუზა არსებობს ბერძნულ მითოლოგიაში?**

— არ ვიცი.

— **ცხრა. რა საკითხს მიუძღვნა ილია ჭავჭავაძემ 1871 წელს დაწერილი პუბლიცისტური წერილი — „გამოცანები“?**

— თუ არ ვცდები, მამათა და შვილთა ბრძოლას მიუძღვნა.

— **დიახ. რა ერქვა ძველ რომში მოქალაქეთა თავშეყრის ადგილს?**

— ვერ ვიხსენებ.

— **ფორუმი. „ასფურცელა“, „სამი გოჭი“, „კომბლე“, „წითელქუდა“ — რომელ ზღაპარში არ ფიგურირებს მგელი?**

— (*პაუზის შემდეგ*) „ასფურცელაში“.

— **ვინ არის ფილმის — „დიდი მწვანე ველი“ რეჟისორი?**

— მერაბ კოკოჩაშვილი.

— **ინგლისის მეფე — რიჩარდ IV ჯვაროსნთა III ლაშქრობაში აქტიურად მონაწილეობდა და საფრანგეთის მეფე ფილიპე II-სთან ერთად, დიდ წარმატებასაც მიაღწია. გასაოცარი მამაცობისა და შეუპოვრობის გამო, რა მეტსახელი უწოდეს მას?**

— რიჩარდ IV ლომგული.

— **მდედრობითი სქესის რამდენი მეფე ჰყავდა საქართველოს?**

— ორი: თამარი და რუსუდანი.

— **დაასრულე ფრანკლინის ცნობილი გამონათქვამი: გამოცდილება ისეთი სკოლაა, სადაც ყოველი გაკვეთილი ძვირად გვიჯდება, მაგრამ მაინც კი ერთადერთი სკოლაა, სადაც...“**

— ეს გამონათქვამი არ ვიცი.

— **„...უჭკუონიც კი ჭკუას სწავლობენ“.** ■

ერუდიტი +

1. მსოფლიოში პირველი ბოტანიკური ბაღი იტალიაში დაარსდა.
2. უოლტ დისნეის მულტფილმების ერთ-ერთ გმირს — მფრინავ სპილოს დამბო ჰქვია.
3. 1986 წლამდე კოტ დ`ივუარი ატარებდა სახელწოდებას — „სპილოს ძვლის ნაპირი“.
4. ადრენალინს თირკმელზედა ჯირკვალი გამოყოფს.
5. ჯუზეპე გარიბალდის მიმდევრებს წითელი პერანგები ეცვათ.

ანეკდოტები

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგეცქცეთ თვალი

1. როდის გამოქვეყნდა მიხაილ გორბაჩოვის „პერესტროიკის“ პროგრამა?
2. სადაური ჭიდაობაა ტრინტე?
3. ტიბეტელ შიკრიკებს ტრადიციულად, ორი შეტყობინება მიჰქონდათ — წერილობითი და ზეპირი. რატომ?
4. ჰერმესის შვილი ავტოლიკე დახელოვნებული ქურდი იყო. მას შეეძლო, მოპარული საქონლისთვის ფერიც კი შეეცვალა. რა წარწერა გაუკეთა სიზიფემ საკუთარ საქონელს ჩლიქებზე, რათა ის ქურდისგან დაეცვა?
5. რას ეძახიან „ზეობას“?
6. რა არის „მარიხი“?
7. დაასახელეთ ფრინველი, რომლის კვერცხის მოხარშვას 4 საათი სჭირდება.
8. დაასახელეთ სახელმწიფო, რომლის ნაციონალური ორკესტრი მის არმიაზე დიდია.
9. რას ეძახიან საქართველოში „ნაღიტას“?
10. ეს კაცი მსოფლიოში ყველაზე მაღალანაზღაურებადი მომღერალი იყო. მან თავისი დროისთვის გაუგონარი თანხა — 6 მილიონი დოლარი დააგროვა. მის სიცოცხლეშივე გაიყიდა მომღერლის მილიონზე მეტი ფირფიტა, რის გამოც, გინესის რეკორდების წიგნშია შესული. დაასახელეთ იგი.
11. რას ეძახდა ერნესტ ჰემინგუეი „ყველაზე იოლ გამოსავალს“?
12. რითი გარდაიცვალა კომპანია „მალბოროს“ პირველი მფლობელი?

* * *

ქალაქში პატარა ბიჭი დაიკარგა. უფროსები ეკითხებიან:

— შენი მისამართი არ იცი, პატარავ?

— როგორ არა! www.patarabichi.com

* * *

ბავშვიანი ქალი ექიმთან მიდის. ექიმი ჯერ ბავშვს სინჯავს, შემდეგ კი ქალს ეკითხება:

— ბავშვი ძუძუზეა თუ ხელოვნურ კვებაზე?

— ძუძუზე.

— გაიხადეთ!

ქალი იხდის, ექიმი ძუძუს უზელს, მაგრამ — უშედეგოდ.

— გასაგებია, თქვენ რძე არა გაქვთ, ბავშვს კვება არ ჰყოფნის!

— ისე, მე ბავშვის დეიდა ვარ, მაგრამ მაინც გმადლობთ, რომ გამსინჯეთ...

* * *

ჭიჭიკიას დანა პირს არ უხსნის.

— რა მოხდა, აღარ იტყვი?

— ჩემი მანქანის საჭესთან სიდედრი დაჯდა, ავარიაში მოყვა, თავიც დაიღუპა და ჩვენც დაგვღუპა.

— რას მეუბნები! რა ხნის იყო?!

— ერთი თვის გამოყვანილი მყავდა, 2 ათასი კილომეტრიც არ ჰქონდა გავლილი!

* * *

ორი შინაბერა ღობესთან ზის და უყურებს, როგორ მისდევს მამალი დედალს. ქათმებმა ორჯერ შემოურბინეს სახლს გარშემო, მამალი სადაცაა, უნდა დაეწიოს, მაგრამ დედალი ღობის ქვეშ გაძვრა, შუა გზაზე გავარდა და მიმავალ ავტომობილს პირდაპირ ბორბლებქვეშ შეუვარდა.

— სიკვდილი ამჯობინა!.. — გადაულაპარაკა ერთმა შინაბერამ მეორეს.

* * *

მოულოდნელად, შინ დაბრუნებულმა ქმარმა აივანზე ცოლის საყვარელი აღმოაჩინა.

— აქ როგორ მოხვდით?

— რომ გითხრათ, არ დამიჯერებთ! პარაშუტით გადმოვხტი და თქვენს აივანზე ამოვყავი თავი.

— რატომ გგონიათ, რომ არ დაგიჯერებთ?.. ჩემს სახლში საკმაოდ ხშირად ხდება უცნაური ამბები. მაგალითად, ერთი კვირის წინ ჩვენს აბაზანაში გეოლოგები ნავთობს ეძებდნენ!..

* * *

ციხის საკანში ახალმისულს ეკითხებიან:

— რაზე დაგიჭირეს?

— ბრაკონიერობაზე.

— რამდენი მოგისაჯეს?

— 15 წელი.

— ბრაკონიერობაზე მაგდენს არ აძლევენ.

— ვიცი, მაგრამ როცა თევზაობისას მდინარეში დინამიტი ჩავაგდე, თევზებთან ერთად სამი მყვინთავიც ამოტივტივდა.

* * *

— ერთი ხაჭაპური მომეცით, თუ შეიძლება.

— ინებეთ. ორად გაგიჭრათ თუ ოთხად?

— ოთხად, ძალიან მშია.

* * *

გოგონამ ბოთლი გახსნა, იქიდან კი ჯინი ამოფრინდა.

— გინდა, მოგეფერო? — ეკითხება გოგონას.

— არა.

— მაშინ გაკოცებ!

— არ მინდა.

— ჩემთან ინტიმურ კავშირზე რას იტყვი?

— შენ ხომ არ გაგიჟდი?!

— მაშინ, მე წავედი!

— მოიცა, სამი სურვილი არ უნდა შემისრულო?

— შენ აღარ დაგრჩა მეტი სურვილი.

* * *

ცოლი სახლს ალაგებს და თან, ღიღინებს. ცოტა ხნის შემდეგ ოთახში შესული ქმარი საყვედურობს:

— გეთქვა, რომ შენ მღეროდი. ნახევარი საათია, აბაზანის კარს ვზეთავ.

* * *

შვილი მამას ეუბნება:

— ბებია უნდა მოვიყვანო ცოლად!

— არა, შვილო, ბებიის ცოლად მოყვანა როგორ შეიძლება, ის ხომ დედაჩემია?!

— ვა, აბა, შენ რომ დედაჩემი მოიყვანე?!.

* * *

მდივანი შეფს ეკითხება:

— მიყიდი ამ სამკაულს?

— ეს რა, ულტიმატუმია?!

— არა, ბრილიანტი!

* * *

მამამ სამი წლის ვაჟი სასეირნოდ წაიყვანა. მათ მოკლე კაბაში გამოწყობილმა ქერა ქალმა გვერდით ჩაუარა.

— ნახე, რა „ბლანდინკა“ იყოოო... — ამბობს მამა.

— „ბლანდინკა“ კი არა, „ბრუნეტკა“ იყო, აქედან უკეთესად ჩანს! — ეუბნება შვილი.

* * *

ცირკში ახალი ნომერია — „ფრანგულად მოლაპარაკე ღორი“. ცხოველი არენაზე გამოიყვანეს. გამოვიდა მომთვინიერებელი, მივიდა ღორთან და მთელი ხმით დაუღრიალა:

— პარლე ვუ ფრანსე?! — და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, წიხლი ამოარტყა.

— უიიიიიიი!

* * *

თბილისში საცხოვრებლად ახალგადმოსული სვანი მეზობელს ეჩხუბება:

— შენს შვილს ზრდილობას ვერ ასწავლი?!

— რაშია საქმე?

— იმ დღეს ტელევიზორში გამოდიოდა, სამჯერ მივესალმე, მაგრამ ზედაც არ შემოუხედავს!

* * *

ქორწინებიდან ერთი თვის შემდეგ:

— კი, ბატონო, ვაღიარებ, რომ ოქროს მთებს გპირდებოდი, მაგრამ სარეცხ მანქანაზე ლაპარაკიც არ ყოფილა!..

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. „პერესტროიკას“ არავითარი პროგრამა არ ჰქონდა.

2. მოლდავური.

3. მტრისთვის გზა-კვალის ასაბნევად: წერილობითი შეტყობინება ყალბი იყო, ზეპირი — ნამდვილი.

4. „მოპარულია ავტოლიკეს მიერ“.

5. ვისიმე მეფობის ხანას.

6. პლანეტა მარსის ძველი ქართული სახელწოდება.

7. სირაქლემა.

8. მონაკო.

9. პატარა ტანის, დაჩაგრულ საქონელს.

10. ენრიკო კარუზო.

11. გულგრილობას.

12. ფილტვების კიბოთი.

ჩვენი ფოტო გაღვრეა

ჰოროსკოპი

29 აპრილი - 5 მაისი

ვერძი:
კარგი პერიოდია შემოქმედებითი საქმიანობისთვის. საქმეების მიუხედავად, ნურც გართობაზე იტყვით უარს. დასვენების დღეებში ახალი ნაცნობობა შესაძლოა, სიყვარულში გადაიზარდოს.

ჯუჯი:
კარგი პერიოდია ცოდნის გასაღრმავებლად. კვირის მეორე ნახევარში მატერიალური მდგომარეობა გამოგისწორდებათ. დასვენების დღეები საყვარელ ადამიანთან ერთად გაატარეთ.

ტყუპი:
სიზარმაცის გამო კოლეგებს საქმეებს ნუ გაუფუჭებთ. კვირის მეორე ნახევარში ნათესავების პრობლემების მოგვარებით იქნებით დაკავებული. დასვენების დღეებში განმარტოვდით.

ჯიგრისხიტი:
თანამოაზრეებთან ერთად, ახალი იდეების განხორციელებას შეძლებთ. საქმეების მიუხედავად, მეტი ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას, დაიცავით დიეტა და მისდიეთ სპორტს.

ლომი:
ამ კვირაში ახალი იდეები გაგიჩნდებათ და მათ განხორციელებასაც შეეცდებით. ხელმძღვანელობასთან კამათს არ გირჩევთ. დასვენების დღეები მეგობრებთან ერთად გაატარეთ.

ქალწუდი:
კარგი პერიოდია შეცდომების გამოსასწორებლად, ძველი ურთიერთობების აღსადგენად. ეცადეთ, გარშემო მყოფების მიმართ ლმობიერი იყოთ. დასვენების დღეები შვილებთან ერთად გაატარეთ.

სასწორი:
ეცადეთ, სარისკო ქმედებებისგან თავი შეიკავოთ. მოერიდეთ უცნობებთან გულახდილობას და გაუფრთხილდით საფულეს. დასვენების დღეებში შემოქმედებით საქმიანობას მოჰკიდეთ ხელი.

ბოსიტი:
კარგი პერიოდია სასიყვარულო პარტნიორებთან ურთიერთობის მოსაგვარებლად. ახალი იდეები შუა კვირაში განახორციელეთ. დასვენების დღეები მშობლებთან ერთად გაატარეთ.

ბუკიდი:
მეტი ყურადღება დაუთმეთ ჯანმრთელობას. კარგია ვარჯიშისა და დიეტის დაწყება. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა გამოგისწორდებათ და სამომავლო გეგმებს ერთად დასახავთ.

ოხიტ რეჟ:
ხელსაყრელი პერიოდია შემოქმედებითი საქმიანობისა და სასიყვარულო ურთიერთობისთვის. შესაძლოა, საქმიანი პარტნიორები საზღვარგარეთაც გამოგიჩნდნენ და ბიზნესი გააფართოოთ.

ბებრწყუდი:
თუ სიჯიუტეს დაამარცხებთ და სხვათა რჩევებსაც გაითვალისწინებთ, თქვენს ოჯახში სიმშვიდე დაისადგურებს. მოინახულეთ ძველი მეგობრები. კარგი პერიოდია ნიშნობისთვის.

ოდეზები:
ფორტუნა თქვენს მხარესაა — ყველაფერი ისე მოხდება, როგორც ჩაიფიქრებთ. კარგი პერიოდია რომანტის დასაწყებად. მეგობრებთან შეხვედრა განწყობილებას გაგიუმჯობესებთ.

იცით თუ ვრცა, რომ...

ორშაბათს (მთვარის დღე) გურმანები და თავადაც კარგი კულინარები იბადებიან. ჯიუტები, მაგრამ მოსიყვარულეები არიან. უყვართ სწავლა და ბეჯითობით გამოირჩევიან.

სამშაბათს (მარსის დღე) დაბადებულებს მებრძოლი ხასიათი აქვთ. უყვართ ლიდერობა და ხშირად, კარგი ხელმძღვანელები არიან. სიძნელეებს არ ეპუებიან, ბრძოლისთვის მუდამ მზად არიან.

ოთხშაბათს (მერკურის დღე) წარმატებული ადამიანები იბადებიან. მათ სიყვარულსა თუ კარიერაში უმართლებთ და ხშირად, შედევრებს ქნიან.

ხუთშაბათს (იუპიტერის დღე) დაბადებულებს უყვართ მოგზაურობა, სიახლეები. სამართლიანები არიან და სუსტს არასდროს დაჩაგრავენ.

პარასკევს (ვენერას დღე) მოსიყვარულე, მომხიბვლელი და თავაზიანი ადამიანები იბადებიან. მთელი ცხოვრება სიყვარულის გამო იტანჯებიან. უყვართ ფლირტი. ძირითადად, ხელოვნები არიან და ამ სფეროში წარმატებასაც აღწევენ.

შაბათს (სატურნის დღე) ფილოსოფოსები, პედაგოგები და მეცნიერები იბადებიან. სხვებზეც ისევე ზრუნავენ, როგორც საკუთარ თავზე. მათი დახმარების იმედი გქონდეთ.

კვირას (მზის დღე) დაბადებული ადამიანები, სტატისტიკის მიხედვით, სხვებზე წარმატებულები გახლავან. შემოქმედებითი ნიჭით არიან დაჯილდოებულნი და ყველა სირთულეს ფილოსოფიურად უდგებიან.

დღის რომელ მონაკვეთში დაიბადეთ?

დილით დაბადებულს განმარტოება, ფიქრი უყვარს, საკუთარ თავში ჩაკეტილია და გარშემო მყოფებს არ ენდობა. პრინციპულები, დისციპლინის მოყვარულები და პატივმოყვარეები არიან.

შუადღეს თავგადასავლების მოყვარულები იბადებიან. ადვილად შეუძლიათ ნებისმიერი უსიამოვნების გადატანა. სამსახურს იოლად შოულობენ და კარგავენ. მთელი სიცოცხლე ნამდვილი სიყვარულის ძიებაში არიან.

საღამოს დაბადებული ნებისმიერი რთული სიტაციიდან შეძლებს თავის დაძვრენას, სიძნელეებს არ უშინდება. ერთგულია, უყვარს ფილოსოფიური საუბრები, ურთიერთობაში კი ჰარმონიისკენ ისწრაფვის.

ღამით ენერგიული, აქტიური და ლიდერის თვისებებით შემკული ადამიანები იბადებიან. დამოუკიდებლად მიიწევენ წარმატებისკენ და მიზნის მისაღწევად, უკან არაფერზე იხევენ. ჯიუტები არიან.

ტაიმ-აუტი

1. ერთგვარი საწერი მაგიდა
2. ცხენოსანი ჯარი
3. თხის ჯოგი
4. საბალო დეკორატიული ხელოვნება
5. სარწმუნოება
6. აფრიკის უმაღლესი მწვერვალი
7. ინგლისის ფეხბურთის გუნდი
8. გამადიდებელი შუშა
9. რელიეფის ნაწილი
10. ფრინველის ბინა
11. დროის ათდღიანი მონაკვეთი
12. სასწავლო დაწესებულება
13. ნედლეული
14. გერმანული ავტომობილი
15. ელძრავას მოძრავი ნაწილი
16. ჯგუფ „ქვინის“ გიტარისტი
17. თვე
18. მხარე ისტორიულ სამხრეთ საქართველოში
19. არმია
20. ქიმ. ელემენტი, ლითონი
21. ავტომობილის ძარას ტიპი
22. ოხერი
23. სენეგალის დედაქალაქი
24. ქვეყანა აფრიკაში
25. იტალიური მაკარონი
26. მოხარშული ზეთი
27. შებოლილი ღორის ხორცი
28. ... ქავჟარაძე
29. ფულის ერთეული მექსიკაში
30. ყვავილი
31. ბრაზილიელი ფეხბურთელი
32. ზღაპრული ცხენი
33. ფრანგი ფერმწერი
34. მუს. ნოტი
35. ციხესიმაგრის კედელი
36. მრავალშრიანი ფანერი
37. ქართველი კომპოზიტორი
38. გაზაფხულის ყვავილი
39. ჩანჩქერი აფრიკაში
40. ღმერთების დედა ინდ. მით.



ზინა ნომრის სკანვორდის პასუხები

1. ნიანგი; 2. აბლაბუდა; 3. განა; 4. პიცა; 5. კანიბალი; 6. კულინარია; 7. ბარი; 8. ოტავა; 9. ფხენიანი; 10. ურთხელი; 11. ბონო; 12. ლიდერი; 13. გულაბი; 14. ხელი; 15. ნიკე; 16. ნიუკასლი; 17. მადონა; 18. ბაჩანა; 19. იდეა; 20. ბოი; 21. რულეტი; 22. ანძა; 23. შლანგი; 24. სიძე; 25. ოხრახუში; 26. სიონი; 27. სუბარუ; 28. რიტორი; 29. კლიფსი; 30. რუბრიკა; 31. სინჯარა; 32. ალქიმია; 33. ხარტუმი; 34. ბულდოგი; 35. კრისტინა; 36. ფირნიში; 37. ფა.

სურათებზე: 1. ნიკო გომელაური; 2. ირაკლი ჩარკვიანი.

სპეციალური კროსვორდი

ქ	უ	რ	ნ	ა	ლ	ი	გ	გ	ა	ს	ა	უ	კ	ე	თ	ე	ს	ო	ა	რ	ჩ	ე	ვ	ა	ნ	ი	ა
ლ	ო		ი	გ	ე	ა	ლ	ა	ა	ა	თ		ე	ო	თ	ა	პ	ა	ს	რ	ი	ი	ც	ი	ლ	ნ	ტ

შევსების წესი: **უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.**

ჟ. დაქირავებული კავალერი რესტორნებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში; **უ**. ცის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში, რომელსაც საკუთარმა შვილმა ცელით მოჭკვეთა ასო და ისე გამოასალმა სიცოცხლეს; **რ**. ზურაბ ქაფიანიძის მშობლიური კუთხე; **ნ**. სპორტული ტანსაცმლისა და ინვენტარის მწარმოებელი ფირმა; **ა**. ყაჩაღის სახელწოდება დასავლეთ საქართველოში; **ლ*** . შვეიცარის ან ლაქიას მოსირმული სამოსელი; **ი*** . იაპონური მხატვრობა, ყვავილების, ფოთლებისა და ტოტებისაგან გამოსახულების შექმნა; **გ*** . თბილისის „დინამოს“ ყოფილი მეკარე; **ზ*** . მსხვერპლად შესაწირავი საკლავი; **ა*** . სამცხის მმართველთა ტიტული; **ს*** . კახეთის ერთ-ერთი რაიონი; **ა*** . „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი ქალი; **უ*** . კონსტანტინე არსაკიძის მოფერებითი სახელი; **კ*** . მსოფლიოში ყველაზე მეტად გავრცელებული დაავადება; **ე*** . რა ერქვა მიზანა ბრეგვაძის ვაჟს მხატვრულ ფილმში „შერეკილები“; **თ*** . საქართველოს მაღალმთიანი კუთხე; **ე*** . საზოგადოების რჩეული ნაწილი; **ს*** . თავის კანი თმიანად, რომელსაც ინდიელები მოკლულ მტერს აჭრიდნენ; **ო*** . თავაშვებული, ზღვარგადასული დროს ტარება, ქეიფი; **ა*** . მისაღები თანხის ნაწილი, რომელსაც წინასწარ უხდიან ვისმე შესასრულებელი სამუშაოს ანგარიშში; **რ*** . რა ერქვა ვაგნერს; **ჩ*** . ქართველი ეთნოგრაფი, ქართული ეთნოგრაფიული სკოლის შემქმნელი; **ე*** . განსწავლული ადამიანი; **ვ*** . ევროპის ქალაქი, სადაც ერეტიკოსებს კოცონზე დაწვის ნაცვლად წყალში ახრჩობდნენ; **ა*** . კარტოფილის სამშობლო; **ნ*** . დინამიტის გამომგონებელი; **ი*** . დოდო აბაშიძის პერსონაჟის სახელი ფილმში „პირველი მერცხალი“; **ა*** . ქირურგიული ოპერაცია, რომელიც ჩვენში კანონით არ ისჯება, მაგრამ ეკლესია სასტიკად გმობს.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

დ* . დიეგო; **ა*** . ავრორა; **ი*** . ისთვუდი; **ს*** . სვიფტი; **ვ*** . ვაჭარი; **ე*** . ესკადრა; **ნ*** . ნიუტონი; **ე*** . ეტალონი; **ჩ*** . ჩაროზი; **ვ*** . ვიერი; **ე*** . ენგური; **ნ*** . ნევადა; **ს*** . სმეტანა; **ჟ*** . ჟენევა; **უ*** . უისლერი; **რ*** . რეალი; **ნ*** . ნაცია; **ა*** . აუდი; **ლ*** . ლიახვი; **თ*** . თხემი; **ა*** . ანჯამა; **ნ*** . ნოე; **ე*** . ეგრისი; **რ*** . როენა; **თ*** . თიბათვე; **ა*** . არარატი; **დ*** . დიოგენე.

გამუქებულ უჯრედებში იკითხება:

ერთი ჭკუა რეგვენსაც დაეჯერებაო

იაპონური სენსაცია სუდოკუ

„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

7	1	5	9	6	4	2	8	3
4	6	8	2	7	3	5	1	9
3	2	9	5	8	1	4	7	6
1	9	7	6	5	2	3	4	8
8	4	6	3	1	9	7	5	2
2	5	3	7	4	8	9	6	1
9	8	4	1	3	5	6	2	7
5	7	2	8	9	6	1	3	4
6	3	1	4	2	7	8	9	5

3	8	7	2	4	1	6	5	9
9	6	5	3	8	7	2	1	4
2	1	4	9	6	5	8	3	7
1	2	9	5	3	4	7	6	8
6	7	3	1	9	8	5	4	2
4	5	8	7	2	6	1	9	3
7	4	2	6	1	3	9	8	5
8	9	6	4	5	2	3	7	1
5	3	1	8	7	9	4	2	6

6	1	7	2	8	4	9	5	3
8	9	3	1	5	6	4	2	7
2	4	5	7	3	9	8	1	6
4	8	6	5	9	3	2	7	1
1	5	2	6	7	8	3	9	4
3	7	9	4	1	2	5	6	8
5	6	4	3	2	1	7	8	9
9	2	1	8	4	7	6	3	5
7	3	8	9	6	5	1	4	2

* მარტივი

5				9			7	6
	6			2			1	
2					6		9	
	3				2		6	
4			9					1
	7			5	1		4	
	8		6					2
	2			3			8	
3	9			7				4

** საშუალო

		4			2		7	
	7				3		8	
	6			8	7			1
	3				1	9		5
1				9				6
6		5					1	
7			3	2			5	
	2		7				6	
	5		1			8		

*** რთული

6					7			
		2					1	
3				5			9	
		3						6
9				8				4
5			2			8		
	9			6				5
	1					2		
			7					8

ფოტოკუჩიოზები



ყოველთვიურად მიიღეთ ერთი ახალი ტომი საყმაწვილო სერიიდან -„ ეს სამყაროა“. სამყარო, რომელიც უფროსებსაც გააოცებს!

ეს სამყაროა

სამგანზომილებიანი (3D) გამოსახულებები

წიგნების კიდევ ერთი საოცარი სერია „კვირის პალიტრისგან“

ტომი №3

მგაცეზლები

26 ივლისიდან - 3 მისამდე

მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის

სპეციალური ფასი 15 ლარი!

შეიძინეთ „კვირის პალიტრასთან“ ერთად

„კვირის პალიტრის“ ხელმომწერთა საყურადღებოდ!
წიგნის შეძენის მსურველები დაუკავშირდით „ელვა.ჯი“-ს ტელ: 38-26-73/38-26-74 კურიერი
სერიის ყოველ ტომს ადგილზე მოგართმევთ

სერია „ეს სამყაროა“-ს I და II ტომი — „რაინდები და ციხე - კოშკები“ და „ეგვიპტე“ გაყიდვაშია წიგნის მაღაზიებში